

Օրմըն

11

საბჭოთა

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივი - პოლიტიკური
შურობალი
საბარტველოს ალკპ ც. ძ-სა და
მწიარლთა კაზმირის ორბანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბ. ჩხიძე — ერთი დღით შირაქში	3
მ. გვეტაძე — ოქტომბერი (ლექსი)	11
რ. ბეჟანიშვილი — ბაქანი (მოთხრობა)	18
ბ. ისაბაიანი — რავენაში (ლექსი)	35
მ. ჩარბენი — მომავლისაკენ (ლექსი. თარგმნა ჯ. ჩარკვიანმა)	36
ბ. ღარბენი — სოფლის პარიკმახერი (მოთხრობა. თარგმნა მ. აგიაშვილმა)	38
მ. შირაზი — ლექსები (თარგმნა მ. ფოცხი- შვილმა)	47
რ. მანუკიანი — (ლექსები. თარგმნა გ. ძნელაძემ)	48
ბ. მამუკიანი — ნეტა წყარო ვოლოდიკა (ლექ- სი. თარგმნა ჯ. ჩარკვიანმა)	48
მ. მირზიანი — * * * შენ წახველ, მაგრამ ჩემში არსებობ, (ლექსი. თარგმნა გ. გე- გეკორმა)	49
მ. კახიძე — ლექსები	50
მ. ჰამიზაშვილი — მშვიდობით, იარაღი (რომანი. გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა ვ. ჭელიძემ)	52
შ. ნიშნიანიძე — ლექსები	84
მ. ბაბრიცკი — თქმულეზა ზღვაზე, მეზღვაურებ- სა და მფრინავ ჰოლანდიელზე (თარგმნა ო. ჭილაძემ)	87
ბ. გლოტი — სამაგიერო (პოემა, თარგმნა ფ. ბე- რიძემ)	91

საბჭოთა საბარტველოს 40 წელი

ბ. შველიძე, დ. ცინცაძე — ოქტომბრის რევო- ლუცია და გლეხთა მოძრაობა საქარტვე- ლოში	100
--	-----


697

11

1960

ნოემბერი

სახელმწიფო
ბამოცემლოზა
„საბჭოთა
საბარტველო“



ნ. აბიაშვილი — ქაბუკები დარჩენ მარად!	
(გაგრძელება)	106

კრიტიკა და კუბლიცისტობა

დ. შენგელაია — დედა-ენა	119
ბ. ბელიაშვილი — მებრძოლი შემოქმედი	124
ბ. ბახტაძე — ლევ ტოლსტოის ლიტერატურულ- ესთეტიკური მრწამსი	126
ს. ჩიქოვანი — ალექსანდრე აბაშელი	133
თ. ბაღურაშვილი — უკეთ დავაქმაუფილოთ ახალგაზრდობის სულიერი მოთხოვნილე- ბანი	138
ბ. სპჰვარელიძე — პლენანოვი და ქართული სა- ზოგადოებრიობა	146

სამართი

პ. გეგეშკორი, ბ. შანჭიკიძე — ფეხბურთის სე- ზონი არასოდეს მთავრდება	152
---	-----



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.


რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XII-60 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 2055. უე 06072. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამოცემლობის ბეჭდვით
სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

ერთი დღით



შირაქში

ბორის ჩხეიძე

მექანიზატორი

თავითბოლომდე გადახნული, მთლად დათესილი შირაქის ველების პირველი შეზღვისთა-
ნავე ერთი კიოხვა დაგებადებათ: რა ძალა მოინახა ამ ვეებერთელა მინდვრების დასამუშავებ-
ლად. საბედნიეროდ დიდი ძალდატანება არ დასჭირდება გონებას ამ ძალის აღმოსაჩენად. ეს
ძალა იქვეა, თქვენს მახლობლად. ის აქვთ ჩვენს კოლმეურნეობებს. ამ ძალას განასახიერე-
ბენ სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობის, მანქანა-იარაღების მოხმარებისა და გამოყენების ჯა-
დოქრები — თანამედროვე სოფლის „ტექნიკური ინტელიგენცია“, კოლმეურნე მექანიზატორები.

ამ მექანიზატორთა უმრავლესობა, აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით, შირაქის ველებზე
მოღვაწეობს. ამიტომაც თამამად შეგვიძლია, შირაქის ცენტრი, წითელწყარო, ამ ტექნიკური ინ-
ტელიგენციის მთავარ ბუდედ მივიჩნიოთ.

ეს პატარა სარაიოო ქალაქი, ჩვენი ქვეყნის პურის ბედელი, საკმაოდ შემადლებულ ზეგან-
ზე შეფენილა შირაქის ბუმბერაზი ხალხის ერთ კუნძულში.

შედგები მის ერთ-ერთ შაქრის თავივით ცაში აწვილილ მაღლობზე და თუ გაზაფხულია,
წამით ცნობიერება გიღალატებს.

მინდვრის ყვავილების, ცხვრის საყვარელი ბალახის — ქუჩის, პურის და ქერის თავთავების
სურნელებით მოზანგული თვალებს დააცეცებ, აღარ იცი, რისი ცქერით უფრო გაიხარებს გუ-
ლი, გონიერი და ღონიერი ადამიანების ეშხით, რომელთა ხმა ამ მხრიდან მთელს რესპუბლიკა-
ში ომანიადად ისმის, თუ უნისლო ცაზე მშვენიერი მზის ელვარებით, რომელიც მარტენის ღუ-
მელივით ვარვარა ლითონის სიცხეს ღვრის თუქურმიშა-შირაქის მიწა-წყალზე.

დილაა. დიდ მნათობს ყველა სულიერისათვის დაუსწრია გაღვიძება, ცაზე ამოჭრილა, თავს
ზემოდან წამოსდგომია თეთრი ქვეს მთავრებილს, ჩახვევია ხორანაუჯის ქონგურებს, ქათქათებს,
იცინის, სიცოცხლეს გვრის სულიერს და უსულოს. მათაც გამოუხატავთ მნათობისადმი დიდი
ტრფიალი. მინდვრებში პურეული დამწიფებულა, მკაა გახურებული, ბადები ნაყოფით დატვირ-
თულან, საცაა მწიფობა დაიწყება. ჯანიანი, მრავალფერად გამოწყობილი ადამიანებიც მოსდე-
ბიან პატარა ქალაქის ქუჩებს, მიიჩქარიან სამუშაოდ, სამსახურში, მინდვარად.

გირიგე დოლიძე იმ დღეს მზის ამოსვლამდე მივიდა ორჯონიკიძის სახელობის კოლმე-
ურნეობის ეზო-გარემოში. კანტორის აივანზე შემდგარი, ბუნების მშვენებით გატაცებული, იგი

ცაბ შემპურებდა მცირე ხნით. ხანდახან კოლმეურნეობის შენობებს და მათ შორის გაშლილ-
შოვლანს გადახედავდა. მისი ყურადღება მოტარებს ბათქუნმა მიიპყრო, რომელიც ერთმანეთის
ნეყოლებით ისმოდა.

ამ ხმაურს კოლმეურნეობის შენობების შუაში მდგარი დიდი სატვირთო მანქანა გამოსცემდა.
„ერთავი რა მარკის მანქანაა? რა მოიქანა? რა მიაქვს? ვინ მოიყვანა, ვის წაიყვანს?“ გაუ-
ელვია თავში კოლმეურნეობის მოვარ ბრიგადირ-მექანიზატორს.

ამ დროს მეორე მხრიდანაც ატყდა მანქანის ხმაური. გიორგიმ იქითაც გაიხედა. დანახა:
საყუდიდან ტრაქტორი გამობოძდა, გორაკებისაკენ აიღო გეზი. გორაკებს გადაღმა ხომ ორ-
ჯონიკიძელების აურაცხელი სამუშაო და სახნავებია.

ტრაქტორს რაღაც ტვირთი მიუბამს, ბრახუნებს, მუხლუხობებით ტკაცუნებს, ეწევა ნელა,
„ბატონოსნად“.

გიორგი კმაყოფილად ისვამს ხელს წარბზე. ტრაქტორი გუთნებს შებმია, ჩანს ეწოდან სა-
ხელოსნოში გადააქვს, მალე სახნავდაც გასწევს.

ქვემოთ კი მანქანა ისევ გუგუნივს. და მექანიზატორმაც მთელი ყურადღება ისევ მისკენ გა-
დატანა. სატვირთო ავტომობილი. უკვე ეწო-გარემოდან საქმალდ შორს გამოგორებულა. შოფ-
რის მახლობლად, საფეხურზე ივერ გონაშვილი შემდგარა. მისი ძნისოდენა ქორის შავ კანძს
ვინ არ იცნობს მთელს წითელწყაროში, თუნდაც ერთი კილომეტრის სიშორიდან. ივერის ვე-
რცეც კი ბანაც ადვილი გასარჩევია ათას სხვა ხმაში. ივერი ტრაქტორისტი-მექანიზატორია. გი-
ორგი დალიძემ იცის, რომ იმ დღით ჩალიანხევისაკენ არის ქოჩორა მექანიზატორის გზა. და
გაახსენდა:

ეს წამთარში იყო... გიორგის მექანიზატორთა ის შეკრება ისევ ახსოვს, თითქმის წინადაღით
მომხდარიყოს.

გამგეობის შესაკრებ ბინაში იჯდა ბრიგადირი-მექანიზატორი, კრების მოწყობის საცადელ-
ში იყო.

ნახალწლევს შირაქში გაგზავნილმა კაცებმა ველებში კარვები ჩადგეს, მოსახენელი ფარ-
ოებების მახლობლად ღამის გასათვლი ადგილები მოაწყვეს მინდვრად მომუშავეთათვის. ივერ
გონაშვილმა მაშინაც ისევე, როგორც ამ დღით, სახილოსე მასის ადების მოსამზადებელი სა-
მუშაოს წინ ტრაქტორისტები დაუსვა მანქანაზე შოფერს. ერთხელ გასწეის მინდორში, ნახეს,
ხად და როგორ პირობებში მოუხდებოდათ მუშაობა, ღამის გათევა, სადილობა, ვახშობა.

ტრაქტორები წინადაღით მიჩვევს კარვებთან, დაუყენეს, მოამზადეს, ისევ სოფელში გამოს-
წეის, რომ ხვნის დაწყებამდე კრებას დასწრებოდნენ და ადრე დღით ისევ წასულიყვნენ მინ-
დორში, რათა ერთად გაეტარა-გამოეტარებინათ გუთნები ყამირზე, მოესინჯათ მიწა და სამუ-
შაო. მექანიზატორებმა იცოდნენ, რომ გასტუმრებული წლის მოსავალს მომავლისამ უნდა აჯო-
ბოს ყველა მაჩვენებლებით.

ეს ამოცანა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმიდან გიორგი
დოლიძის დაბრუნების შემდეგ უფრო ნათელი გახდა ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობის
მექანიზატორებისათვის.

1960 წლის დასაწყისიდანვე სოფლის მეურნეობაში მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით
ახლებურად წარიმართა მუშაობა. ამიერიდან აუცილებელი შეიქნა შრომატევად სამუშაოებში
კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა. ამით შრომის ნაყოფიერება ახალ სიმაღლეზე უნდა ასუ-
ლიყო, ამიტომაც მეტად საპასუხისმგებლო შეხედურა ელვდა ბრიგადირის სწორედ ხვნის დაწყე-
ბის წინ მის თანამშრომლებთან.

— მაშ ასე დგას საკითხი? — ზემოთით იკითხა ივერიმ და თავის თავს ჩაულაპარაკა:

— ფრთხილად მომილო! რაილა ცხოვრებამ ასეთი ტვირთი მოგვიდა ზურგზე, მორი და
შნაღებებს ახლავე შეუდექი გასწი. ბიჭო, ჯერ მიწას დახედე, მერე მანქანის ყუვილი წაწილიც
გახინჯე. კბილანა ხომ არ გაცვდა სადმე. ჰანჭიკი ხომ არ მოეშვა? საწვავმა ან ავანანის სიმე-
ვის შემთხვევით მოხვედრილმა წვეთმა კედელი ხომ არსად გახვრიტა.

ლაპარაკობდა ივერი და გული საიმიტო ევსებოდა ბრიგადირს. იცოდა: ივერისათვის შრომა
ესეთივე აუცილებელი რამ იყო, როგორც ქორისათვის ფრენა, თევზისათვის ცურვა. მას უშ-
რომლად ერთი დღე არ უცხოვრია და სხვარიც ცხოვრება ვერც წარმოუდგენია. შრომა მისი
მთავარი იდეაა. გიორგის ახსოვს ამ ტრაქტორისტის ერთი სიტყვა კრებაზე. მექანიზატორებს
შორის რაღაც საქმეზე ცხარე კამათი გაჩაღდა. ყურისათვის საამოდ გაისმა ივერის ხმა: „შრომა
ჩემი ზრდილობა-ზნეობის პირველი მცენებაა“.

ამ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიმიტრი ჯანიკაშვილი მექანიზატორებს ეთათ-
ბირებოდა, ზოგს ნამუშევარს უწუნებდა, ზოგს უწონებდა.

ივერისაგან შრომის ასეთმა გაგებამ სული და გული შეუძრა გიორგი დოლიძეს. თუ აქამდე
თავისი გაზრდილი ტრაქტორისტი მხოლოდ მოსწონდა, ამის შემდეგ, როგორც მთლად მომწი-

ფეხული მოქალაქისა, კიდევაც შეეხატრა, გულის ნათესავით შეუყვარდა. ახლოს მივიდა ივერთან, ბექებზე ხელი მოხვია. თვალეში ჩახედა წამით. ახლა გიორგი ივერის მიღმა ზედავდა იმ მექანიზატორთა სახეებს, რომლებიც მან წლების მანძილზე აღზარდა, კვალიფიკაცია შესძანა და რომლებიც მთელს საქართველოში იყვნენ მოღებულნი, მოღვაწეობდნენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მაღლიან საქმეში.

ამ ფიქრებსა და მოგონებაში გართულს მანქანა კინაღამ გაეპარა. სმამალა გადასძახა:

— ივერ, საით!

— ჩალოანხევისაკენ! — იყო პასუხი. — ხამსილა, მწვანე, სასილოსე სიმინდის..

— საწვიმრის მოსხმა მაცალეთ, ბიჭებო! — დაუძახა კვლავ გიორგიმ — მეც იქით, თქვენთან მინდა წამოსვლა. აქ აბა რა გავაკეთო.

მალე ყველანი ერთად მიჰქროდნენ სახელოსნო მანქანით მინდვრებისაკენ.

კოლმეურნეობის მთავარი მექანიზატორი მის მიერ აღზრდილ ამხანაგებთან ერთად მიემგზავრებოდა მინდვრებისაკენ. გული უცემდა, ზმას ვერავის სცემდა, თავის შინაგან მღელვარებას ვერავის უმუღვენებდა, გასამუღვენებელი კი ძალიან ბევრი ჰქონდა, მექანიზატორები უდარდელად იციროდნენ და ხანდახან პარალელს შემოსაძებდნენ.

1959 წლის ღამელვს გიორგის, მეორედ მის სიცოცხლეში, დიდი საფიქრალი გაუჩნდა. — დიახ, მეორედ! ჰიბრედად კი დიდი ხნის წინათ, მაშინ, როცა ახლა სამოც წელს მიღწეული, ხანდაზმული მექანიზატორი მოზარდი ბიჭი იყო და ლითონისა — ნამგალი, ცული, ხორცის საჭერეო დანა ენახა მხოლოდ.

სიღნაღს საშუალო სკოლა ის იყო დამთავრა, შინ თამაშ-თამაშით დაბრუნდა. ოთხად მოკცული ატესტატი გულის ჯიბეში ედო. ახალგაზრდა ვაჟის სიხარული მეზობლებმაც გაცნობარეს. მოვიდნენ გოგასთან, მოულოცეს. მეზობლებს არც მკედელი ჩამორჩა, მაგრამ მას გარდა მოლოცვისა საქმეც ჰქონდა.

— შემიდეგ რას აპირებ? სულ ეგ არის შენი სწავლა? — ჰკითხა მკედელმა.

— სექტემბერში თბილისში წავალ, უმაღლეს სასწავლებელში შევალ.

— კარგი და პატროსანი — მოუწონა მკედელმა — მანამდე შენ გარდას, სამკედურში მხმებარე.

— მოვალ!

იყო გიორგის პასუხი, რომელსაც არდადეგების დროს ხან საბერველს ურწევდა, ზან სალეს ჩარხს უტრიალებდა.

— აბა, მითხარი, რა გავაკეთო? — შეეკითხა მისვლის უმაღ.

— ურო დამიკარი კვერდაკვერ. ლომონას სახნის ვეცე, თვითონ მირტყავდა ურობ, მაგრამ ჰიუარის ტყის ციხეში დასცა ის უბედური. — შეჩვილა მკედელმა სტუდენტს.

გოგაის ზმა არ ამოუღია, გაჰყვა, კვერის ცემის კვალდაკვალ, მხურვალე რკინას ურო დაუშინა.

ის დღე იყო და უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად მზა კაცი სამკედლოს ველარ მოსცოლდა. შესცქეროდა, როგორ გამოჰყავდა მეგობარ მკედელს რკინის უსახო ნაქრებიდან თოხი, ბარი, წერაქვი, ზის გუთნის სახველ-საკვეთელი, ცხენის, ხარის, კამეჩის ნალი და ჯაჭვიც კი, რომლითაც ქალები საქოსმენე ღორს თუ ჰედილას აბამდნენ. ყურებასა და მოხმარებაში შეეჩვივა რკინასთან ბრძოლას. ერთ წელიწადში დაეუფლა მხურვალე ლითონიდან ყველა სასოფლო-სამეურნეო იარაღის გამოყვანას. სამართებელიც კი გამოუქვდია, ვაზის სამუხობი და დურგლის ზელანწყობა პირებიც კარგად გამოუდიოდა.

საშუალო დამთავრებულ, ოცდობის წლის გიორგი დოლიძეს სოფელში კარგი მეოჯახე გაუცაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

1927 წელს სოფელად ტრაქტორები გაჩნდნენ. მანქანით მუშაობას შეუჩიეველი გლეხები ზენა-თესვის საქმეში ზარს, ზის გუთანს და სახრეს უფრო ენდობოდნენ. მანქანისაკენ არავინ იხედებოდა, ბევრს ახლოს მისვლისაც ერიდებოდა.

გიორგი დოლიძეს კი ტრაქტორი თვალში მოუვიდა.

იმ დღიდან ერთხელაც არ გაუგდია ზელიდან ტრაქტორის საჭე. ქვეყნის გაჩენიდან უზენელ-უთხნელი ნიადაგები და ტრამალები აითვისეს. კოლმეურნეობები ყოველწლიურად ზრდიდნენ ხათეს ფართობებს. მოსავალიც დიდი მოჰყავდათ.

„შემდეგ რაღა?“ ზნობად ეკითხებოდა გამოცდილი მექანიზატორი თავს და მეორედ მის სიცოცხლეში, სოფლის-მეურნეობაში გამოსაყენებელი მანქანების დახელოვნებულ მცოდნეს და მინდვრად შრომის მომწესრიგებელს სრულიად ახალი ამოცანები დაესხა კვლავ. ეს კანონზომიერად მოხდა, ისევე, როგორც ღამეს დღე მოსდევს ხოლმე.

პარტიამ და ხელისუფლებამ 1959 წელს მოითხოვეს მოსავლის აღების გაგრძელებული ვადები შეემცირებიათ სოფლის მეურნეობს.

მოწოდებამ ფრთა შეასხა გიორგის. ის თვითონაც ვერ შერიგებოდა მოსავლის აღების გაწეულა-გაქმვას.

პარტია მოითხოვდა ვადები ათ დღემდე დაეყვანათ. ასე შემქმდრებულ დროში პურეულის მოსავლის შენახვა მთლიანად ყველა კოლმეურნეობას უნდა მოეთავებია.

გიორგი დოლიძემ ეს დავალება ადვილად შეასრულა. მოსავლის აღების ვადა ათი დღიდან რვაწახევარ დღემდე დაიყვანა.

მექანიზატორების ამ გამარჯვებაზე აღტაცებით უამბობს მსურველს კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიმიტრი ჯანიაშვილი.

— იცით, ეს არაფერი. ვადების შემცირება კოლმეურნეებმა, დიას, ადვილად შესძლეს. ოღონდ მოულოდნელად სრულიად გაუთვალისწინებლად ახალმა მოვლენამ იჩინა თავი, სავეტომოზილო ტრანსპორტმა ვერ მოასწრო ხორბლის გადატანა შესანახ ადგილებამდე. მინდვრად დაგროვდა ოთხათასამდე ტონა მარცვალი. გადატანას გაუძლებდით, მაგრამ მოდი და ამოდენა ტვირთი აწოე, ყაბაში ჩაყარე, ქალებო, ტომრებს პირი გადაჰკერეთ, მარჯვე ბიჭებო, ასწიეთ ასკოლიანი სიმძიმე, მანქანაზე დაუდეთ, მერე ისევ გადმოიდეთ, საწყობში გაცალეთ. ვინ და რამდენი „მეკოიშვილი“ უნდა გვაჯდეს კოლმეურნეობაში თავმჯდომარეს, რომ მარცვლის ეს რამდენობა მიცდებოდნენ, სცდებოდნენ კილომეტრის მანძილზე, ბედლებში გადაიტანო. არ დაგრწვიშოს, ალაოდ არ გექცეს! მეკოიშვილი კი თურმე აგერ, შინ მყავს. ის აზროვნებს, ფიქრობს, ბოლოს ზედება რა უნდა იღონოს და შეგლის მდგომარეობას.

— გადაიტანეთ ხორბალი?

— დიას! — ადასტურებს ჯანიაშვილი. — სათქმელად ეს გრძელი და დაუჯერებელია. საქმით კი გიორგი დოლიძემ სწრაფად გადასწყვიტა. ამისათვის ერთი მოწყობილობა მოიშველია. იმ მოწყობილობას „ზერნოპულტის“ ეძახიან. მას დატვირთვა-გადმოტვირთვა სრულიად არ ეციბება. პურის და ქაქის მარცვლის გასანიავებელი, აყუდებული ბოყვივით ყელყელა და მაღლა შემდგარი მილია.

გიორგი დოლიძის მეთაურობით მექანიზატორებმა ამ სანიავებელი მილით — „ზერნოპულტით“ მარცვლის ზვადიდან მანქანის ძარაში, იქიდან საწყობში გადატუმბვა მოაწყვეს ეს მ-გნება აღმოჩენას ჰგავდა. სამათას ხუთასი ტონა ხორბალი ზელის მოუკიდებლად. ტომრებში ჩაუყრელად მოთავსდა საიმედო საწყობებში. ამითაც არ დამთავრებულა ჩვენი მონაფიქრის ისტორია.

ეს შემთხვევა, „ზერნოპულტის“ ამნაირად საქმეში გამოყენება სხვა, არანაკლებ ძნელი სამეურნეო ამოცანის გადაწყვეტის საბაზად იქცა.

— მაინც?

— გიორგის კითხეთ, მან უკეთ იცის — მოგიგებთ დიმიტრი ჯანიაშვილი.

— მოგეხსენებათ, რა მოქერილი დროა პურეულის აღება, — ჩაებმება საუბარში დოლიძე. — იზიტომ, რომ იმ დროს, მკისას, სარეველადან გასაწმენდა ბევრი სხვა კულტურაც. მე იქ მინდორში „ზერნოპულტით“ მარცვალ-გადატვირთვაზე ვმუშაობ, იქ პარალელურად სამინდის, შვსლუმზირას, საკვები ჭარბლის და ვენახების სარეველათაგან გაწმენდა მოქალბეულა. სარეველათაგან გადასარჩენია 850 ჰექტარი სიმინდი, 700 ჰექტარი შვესლუმზირა, 140 ჰექტარი საკვები ჭარბალი და ვენახები. გაწმენდა სწარმოებს კულტივატორებით, მაგრამ ნახევარზე მეტი სამუშაო მაინც თოხით ეტოდება. ერთი ჰექტარი ხსენებული კულტურის დამუშავებას დღეში, სულ ცოტა თორმეტი ოთხკაცი უნდება. ნათესები კი სამჯერ მაინც უნდა გაიწმინდოს ზაფხულის განმავლობაში სარეველათაგან.

„ზერნოპულტით“ ხორბლის დატვირთვა-გადატვირთვის განხორციელების დროს ამ კულტურების მხოლოდ მექანიზმებით, კულტივატორებით გამომარგვლის გაბედული აზრი ჩაგვესახა. ამ-ს იქით, ყველა ჩვენი იარაღს კარგად დაუვყვირდეთ, ვინ იცის რა გამოდგება თვითეულ მათგანისაგანო.

დაიბადა აზრი და გამოითქვა. მაგრამ ვინ თქვა პირველად აღარაინ იცის. ყველაზე ადრე, რა თქმა უნდა კულტივატორებს დაუვტრიალდით. მივდექით ნაფიქრის განხორციელებას.

— როგორ?

— თქვენ უთუოდ მეთოდები გაიტერესებთ.

— რა თქმა უნდა.

— ნუ იკითხავთ, არავითარი ახალი მეთოდების აღმოჩენასთან საქმე არ გვქონია. კულტივატორები შევაკეთეთ, ჩავაბარეთ ხელში დაოსტატებულ მშპარებლებს, მტკიცე დავალება მივცით ყველას გამოიყენონ მანქანა დაზოგვით და ინტენსიურად.

— და რა მოხდა?

— ნათესში თოხით ტრიალი აღარ დაგვჭირებია. სამუშაოდ ამას მაშინ მივაღწიეთ და მივხედით, როცა მესამე და უკანასკნელ კულტივაციას ვამთავრებდით.

— და გამოცდებდა შემდეგი წლისათვის შემონახვით გონებაში?



— დიახს აგრე მოვიქცეთ, წელს, 1960 წლის ზაფხულზე თოხი აღარ გვიხმარია მასიურად. სულ კულტივატორებით დავამუშავეთ ორიათასამდე ჰექტარი სიმინდი, მწესუმწირა, საკვები ჭარბალი, ვენახი. ერთი სიტყვით, შრომატევადი კულტურებიდან თოხი განვდევნეთ. ამიერიდან ჩვენ ეს იარაღი მხოლოდ გამოსახშირავად დავვირდებოდა ნათესებში.

— რა იგრძენით, როცა შთანაფიქრი განახორციელეთ?

— სამუქედლოდან ტრაქტორზე გადასვლის დღიდან. ეს მეორედ ჩემს სიცოცხლეში, იბნალ-მა შემაქცია დიდი, საქვეყნო ამოცანა. შრომატევადი კულტურებიდან თოხის განდევნა დიდი გარჯას მოითხოვდა და ჩვენ ეს გარჯა გავიღეთ. — მიუგებს ყველას გიორგი დოლიძე.

— მაშასადამე, მიაღწიეთ საწადელს?

— არა, საწადელს ალბათ მაშინ მივაღწევთ, როცა კულტივატორების ისე გამოყენებას მოვახერხებთ, რომ თოხი გამოსახშირავადაც აღარ დავვირდებოდეთ.

ჩვენი საუბრისას მანქანა, რომელიც ივერ გონაშვილმა შეუჩერა მის მასწავლებელს, ზღვა მწესუმწირისა და სიმინდის ნათესებში შესულა. ნათესის ნაპირის დანახვას ნუ ეცდებით. მოვლილი ჰირნახულის ტერიტიდან ცას რომ ხედავთ, ამითაც კმაყოფილი იყავით.

პარაულკის ნაშრომი

შირაქის ველი დიდია, ნამდვილად ისე დიდია, როგორც მასზე გაციებით იტყვიან — დიდიაო. კარაულკის მინდორი, (უთოოდ საყარაულოს მინდორი) მის მწვენი ფარდაგზე ერთი პატარა, წერტილისოდენი ნაქარგია. ამ ნაქარგზე წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას ერთი ციკქნა ნაქერი ეკუთვნის. იგი ბუთასიოდენ ჰექტარს არ აღემატება. სხვა კულტურებს შორის ორჯონიკიძელებს მასზე ასიოდენ ჰექტარი სიმინდი უთესია.

თავიდანვე, თესვის დღეებში მას გამგებობამ სახილოსე ჰირნახულის სახელი შეარქვა, ეს ამბავი მაშინვე შეიტყო ივანე ნახიბოვმა. აქი მან თავისი ტრაქტორით ყველა ასი ჰექტარი სიმინდი თვითონ დათესა. მუხლის გაჩენამდე ბარე სამჯერ გადაურ-გადმოუარა მშვენივრად ნავარგვე მინდვრის დედოფალას კულტივატორებით. ასაღებად მაშინ შეურჩია დრო, როცა ქუჩუჩომ მტვრის დაფრქვევა დაამთავრა, ტაროს უღვაში შეუქცნა, მარცვალში რძე ოდნავ შეედღა და სიმინდმა ჰირნახულის საამური სუნით ჰაერი გაჟღინთა. ივანე ნახიბოვმა ავტომობილით შემოიღარა. ნათესს. სამ, ერთმანეთს ძალიან მოშორებულ ადგილას ტაროს ბუდე შემოაგლიჯა, გამოაჩინა მწკრივებად ჩაწყობილი მარცვლები და უჩქმიტა. მეერ თავმჯდომარის, რომელიც მთაში ცხვართან გამგავრებას აპირებდა, უთხრა:

— მოსულა, მზად გახლავთ მწნილად ჩასაღებად. დილით შევდივარ ყანაში მანქანებით, რას იტყვით?

— აბა, შენ იცი, შედი, დროით მორჩი!

თითქოს დალოცა ის დიმიტრი ჯანიაშვილმა. იქვე მიუბრუნდა თავის მოადგილეს ივანე ყაზაროვს და შეეხვეწა:

— ივანე, კაცო, შენ თვითონ იცი, საქონლის საკვებზე როგორაა დამოკიდებული კოლმეურნეობის ფერმები...

— ვიცი!

— ჰოდა, რაკილა მე მთაში მივალ, აქაურობა შენ გეხმარებოდეს. მუშაეებს — მექანიზატორებია ისინი თუ რემონტის მუშები სახელოსნოში, ბოსტანში მომუშავე ქალები თუ კიდეც სხვა, ყველას ენდე და ყველას დაშხედ ხოლმე.

იმ საღამოს ივანე ნახიბოვმა მანქანით გამოიტანა საუდიდან, სიმინდის ნათესის ნაპირას გზაზე დააყენა, დილით გაახურა თუ არა ტრაქტორი, მეგობრებს გასძახა:

— ვიწყებ. თქვენაც მარჯველი! დაფუშალოთ მწნილი ჩვენი ფერმების საქონელს, გავხაროთ ზეცხოველები!

მწნილს შირაქში სილოსს ეძახიან ზუმრობით. რაღა ზუმრობით! ეს მართლაც ასეა. მას ისე ღებენ ჭურჭელში და აყრიან მარილს, რომ წვენი შეუდგეს ნაკვს, მეგრე გემრიელადაც დაიმწნას, როგორც კომბოსტოს, ჭარბალს და კიტრს ჩამწნიან ხოლმე ზამთრისათვის ჩვენი დიასახლეები. განსხვავება ჭურჭელშია. კოლმეურნეობაში ამისათვის სილოსის კოშკებია, ჩვენს ოჯახებში ქოცები, ხალმები და ზოგჯერ ქვევრი ან კასრი.

ოციოდენ წლის წინათ ქართველმა გლეხმა სილოსისა არა იცოდა რა. ახლა კი უიმისოდ არსებობაც ვერ წარმოუდგენია.

შოფერები

ივანე ნახიბოვის სიტყვას „ვიწყებ“, პირველად შოფერმა გიორგი პაპაშვილმა მოჰყრა ყურით. მაშინვე დატრიალდა, გაზ-51 მანქანას კაბინაში შეუხტა. კომბაინის გვერდით მიაგდო და არანაკლებ ომახიანად გააგონა ივანეს:

— შენზე ნაკლები ბიჭი მოგკედეს, ვანო, მზად გახლავარ.

ტრაქტორს მიჰყავს სიმინდის ამკრეფი კომბაინი. მას მხარდამხარ ნელა მისდევს სატვირთო მანქანა, რომლის ძარაშიც მოვარდნილი ღვარივით ცვივა მწვანე, ტაროიანი სიმინდის სახილოსე ნაკები. ძარაში ბილან ისმიაოღლი დგას, ნაკებს ბავავს, ტყეპნის ბოძებივით მაგარი ფეხებით.

გიორგი პაპაშვილს შემცვლელად, როცა მისი მანქანა მწვანე მასით გაივსება და ხახილოსე კოშკისაკენ წავა, ილა იაკობაშვილი ჰყავს. ერთი რომ გასწევს საყვების შესანახი კოშკისაკენ, მაშინ მეორე მიუდგება კომბაინს გვერდით, მიიღებს ძარაში ნაკებს.

სახილოსე კოშკი საყარაულოს მინდვრიდან ოცდახუთი კილომეტრით არის მოცილებული. შოფრები საათივით აწყობილად მუშაობენ. ისე დადიან, რომ კომბაინს მათი მიწეზე შეჩერება არ მოუხდება. ასე სიარული მეტად რთული და საფრთხილო სამუშაოა.

შოფრების წუხსი მუშაობით გაოცებული, გასაუბრების მოუვარული, ძარაში ნაკების მტკნელი თათარი კმაყოფილია. ის უწონებს შოფრებს საცადელს და არც თავისთავს ივიწყებს.

— ჰა, ზმაო, — გიორგი, კარგად ვასწორებ, სილოში ბილანმა?

— ასწორებ! მაგისტვის თავზე თულებს ზომ არ დაგაღამებ. ერთად ვმუშაობთ. მე და შენ.

— ეგ ბილან ისმიაოღლიმ კარგად ვისიზ! შენ ის უთხარი, ახლა ჩონ მუშაობაში, რომელი პირველი ბიჭია, შენა დუ კომბაინერი?

— ორივეც კარგი ბიჭები ვართ!

— ეგ ზმაო, არ შეიზღების. ერთი რომელიმე უთუოდ კარგას, უქოთოში ბიუო ვარს.

— მაშ სწორა გითხრა?

— თქოს, ზმა!

— ყველაზე უკეთესი „ბიჭი“ ჩვენს სამუშაოზე შეთანხმებული, ერთმანეთს დამჯერედ შეწყობილი საქმეა.

— კასი?

— კაცის შრომაც მაშინ გამოჩნდება, როცა ის შეწყობილ მუშაობაში ჩართული მის მოვალეობას თავგზიანად გაუძღვება.

— ეგ როგორ ვარს?

— კომბაინით სიმინდის აღებაში ივანე ნახიბოვი და მისი მომხმარებელი ზომ არიან კარგი ბიჭები?

— ზმობის მალღმა არიან!

— მე და ილა იაკობიშვილიც მგონია ვმუშაობთ, კომბაინის ანალებს ვეზიდებით, ჰა?!

— ზალიანაც ვმუშაობთ, უჩვენოთ ზაქმე ზახტა ეპ, ეპ, ეპ!

— რა იყო, ბილან, რა გაწუხებს?

— ალაშის გარეინილი აღმარის ბედი მაწუხებს. ერთი შეენი მეწოხელი კურბანი გამახსენდა, ზიმაო. სილი ავი დედაკასია, არაფერი ქმარს არ დაუფეროს, კურბანიც სოლს არაფერი დაუფეროს. შევლემას დედ-მამის არაფერი გაიგონოს... ზახტა, ზახტა ოუახი: ასე ლოფილა ლოღან. სადას იახში, შეთანხმებული მუშაობა არ ვარს. საქმე ზახტება და კასიც ზახტება.

გამოლაპარაკება უცნობ კოლმეურნისთან

წითელწყაროს კლდოვანი სერ-მწვერვალები მთლიანად თეთრი კირქვის უღევი სახადოებია. იგი არა ერთხელ ყოფილა გეოლოგების ყურადღების ობიექტი. მრავალჯერ გაწომეს, დაშურეს, გადახაეს ქალაღებზე. დიდი ხანია დადგინდა, რომ ამ მთაგრეხილებში აღმოჩენილი ბამბახავით თეთრი ქვა უძვირფასესი ნედლეულია ცემენტის წარმოებისთვის. ჯერჯერობით კი მას იყენებენ ადგილობრივ სამშენებლო ქვად, სწავენ კირად და ეს სამშენებლო ძაგაგებს, ასეთი წითელწყაროს კირსაწვავი ქარხნიდან ძალიან დიდი რაოდენობით გააქვთ თბილისში.

კირის ქარხნების და გორაკების მოფარებულში, ალაშნის ველის გადასახელებისაკენ, თეთრი კლდების უბეებში დიდი ხმაურ-მოძრაობაა. ღრეილებენ ექსკავატორები, დარბიან თვითმცლელი მანქანები, ნაღებების აფეთქების სმა ეხლება გორაკებს და მაშინ მიწა ძაგაგებს, ასეთი ხმაურის შემდეგ, დანგრეული გორაკებიდან ასული ნიტრო გლიცერინის გაზში შერეული თეთრი მტვერი ნამქერივით მიჰქვს ქარს. რა ხდება?

სწრაფად კეთდება მომავალი ცემენტის ქარხნის სამშენებლო მოედნისა და საცხოვრებელი უბნისაკენ მისასვლელი გზები. ეს ადგილები წითელწყაროს მადლობების იმ სიმაღლეებზე გაუფარებელივით, საიდანაც ერთის მხრივ, გამოჩნდება ახალი ქალაქი წითელწყაროსაკენ მიქცეული ფასადით, მეორე მხრივ კი ფასადი მიქცეული იქნება თვალწარმტაცი ზორნახუჯის, ალაშნის დაბლობისა და კავკასიონისაკენ.

სულ რაღაც ოთხიოდე წლის შემდეგ, ამ შვიდწლეულის ბოლომდე ხორანაუჯის ციხის კედლები ჩვენი თანამედროვე არქიტექტურის შუაგულში მოექცევა. დღეს კი ამ საოცარი ციხესიმაგრის ქონგურებიანი, გოდოლებიანი და ფრიალო კიბეებიანი კედლები თეთრი ქვის ერთ მაღალ მწვერვალზე ეულად დგანან, გაგოცებით ერთი გარემოება: როგორც ამბობენ ციხესიმაგრე მეთორმეტე საუკუნეშია ნაგები. ნეტავი რა ძალამ აწიდა იმ სიმაღლეზე ციკლოპებისათვის შესაფერი თლილი ქვები.

ციხე-სიმაგრეზე აღვიღად ვერავინ ადის. ამიტომ მის მწვერვალზე ბინა დაუდვიათ ღრთამძღვარ კავკასიონის არწივებს.

ზოგიერთი სერები ოქროსფრად ლაბალებენ, მცხუნვარე მზის სხივებში ბადეხავით გაბმულნი. ეს მირაჟი არაა. ეს მწესუმწირას უსასრულო ნათესები ჰყვავიან ყვითლად.

— აი, სად შეგხვდით, გამარჯობა! — ეუბნება ირაკლი მოლოდინი მის ნაცნობ კოლმეურნეს.

— გაგიმარჯოს!

მოსული და დამხდური შვინდის ჩრდილში სხდებიან.

როცა მუხლებს ქარი ამოადებინეს, მწესუმწირას ნათესში გადავიდნენ. კოლმეურნე ქოლგისოდენა დისკოს ხელს კიდებს, აწვდის სტუმარს.

— ინებო, ნახეთ. მარცვალმა გული დაისრულა, ერთი სიტყვით, თითონ ხედავთ, ჩინებული მოსავალია, ნანატრზე უკეთესი.

— ამ ფართობებზე სარეველა ბალახებთან ბრძოლა წელს ცუდად არ ჩაუტარებიათ და აქაურ მიწაზეც ასეთი მოსავალი გასაკვირი არაა!

— დიახ, სწორი ბრძანებაა, — ეთანხმება მდივანს კოლმეურნე. — სარეველასთან საბრძოლველად გამოიწვიე წამლებს მომავალში კიდეც ზომ არ მოიკნათ?

— რა წამალი, რა სარეველების წინააღმდეგ მეტრძოლ წამალზეა ლაპარაკი, ეს ზომ თვალწინდენი მინდვრებია და რა წამალია! — გაოცებით იკითხავთ.

სოფლის მეურნეობაში დიდი ხანი არაა ერთგვარი ქიმიკალი გავრცელდა. მას ნათესში მოაფრქვევენ, როცა ქორნახულს ბალახი წამოეჭიდება, მოერევა. ფხვნილი სწავს და ძირიანად სპობს შალფას, ბოლოკას, ნაცარქათამას, ჯიჯლაყას. არ ერჩის არც ერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურას, არ წყენს ფრინველს და ოთხფეხს.

— აქეთ სად ბრძანდებოდით? — ეკითხება მდივანი კოლმეურნეს.

— ნათესები ვნახე, მეამა!

— მერე?

— მერე ხორნახუჯის კლდეკარისაკენ ჩავედო, წყალი დავლიე. ციხეზედაც გახლდით.

— იქ რად ახვდით?

— იხე, თვალის სიერად! მაღლიდან კახ-საინგილოს გავხედე. გულს ეფონება ზოლზე ამ სანახაობით და იმაზედაც ვიფიქრე, თუ რა შესძლებიათ ჩვენ წინაპრებს. ეჰ, არ ვიცი, არ ვიცი... კაცს სანახაობის სურვილი წამოგივლის და ფეხები თავისით თუნდაც ჟაზებზე აგიყვანენ.

წიბნის მამუხბარი შირაქის მინდვრების შესახებ კარტანს

ვისაც უშუშავია ან უმოგზაურია შირაქის ტრამალზე, ის უთუოდ იცნობს აბრამ ლაპია-შვილს. წერაქთების მცირე მცოდნე იმ მინდვრებში უწიგნოდ ისევე ვერ გასძლებს, როგორც უწყლოდ. ნუ გაოცდებით, თუ წყლით სავსე კასრის გვერდით ტრამალზე მიმავალი მანქანის ძარაში წიგნებსაც იპოვით.

აბრამ ლაპიაშვილს ვერასოდეს ვერ შეხვდებით მინდორში. არიან აღაშინები, რომლებიც დაგარწმუნებენ, ეს კაცი სარაიონო ქალაქს და ხორნახუჯს არ გასცილებია. ამახ ადვილად დაიჯერებთ, როცა მას გაეცნობით. გონიერი კაცია და ფეხს რად დაიძლიოს.

აბრამი დგას შირაქის მინდვრების კართან. იქიდან სწვდება მიუწვდომელი ტრამალის ყოველ კიდე, სადაც კი კაცის ფეხი მიაღწევს. არ გეგონოთ დიდი თანამდებობის კაცია. აბრამ ლაპია-შვილი წიგნის მაღაზიის გამგეა. მაღაზია ქალაქის მთავარ ქუჩაზეა სასტუმროს, რესტორნის, სამრეწველო საქონლით მოვაჭრე მაღაზიებს შორის, ამ რანდენიმე წლის წინათ აგებული სახლის ქვედა სართულში.

ამ მაღაზიას, მის გამგესა და მუშტარზე დაწერა თავში არავის მოუვიდოდა, რომ ყოველ მათგანს რაღაც თავისებური და განსაკუთრებული ელფერი არ დაჰკრავდეს.

ავიღოთ თუნდაც მაღაზია. ასე დიდი და მშვენიერი ბინა რაიონში არც ერთ სხვა სავაჭროს და დაწესებულების არ აქვს წითელწყაროში. მაღაზია რკინიგზის სადგურიდან ხშირად იღებს ახალ წიგნებს.

— აბრამ, ჩემთვის ზომ არაფერი გეშოვება? — ეკითხება ხშირად ტრამალეში დიდი ხნით მიმავალი მწყემსი მაღაზიის გამგეს.

— შენ წიგნი გინდა?

— ზო, ღიას!

— როგორი?

— რა ვიცი, როგორი! აგერა მხედვე რა კაციც ვარ. წერა-კითხვა კარგად ვიცი და...

— მაინც, როგორი წიგნის მოთხოვნილება აქვს შენ გულს?

— ისეთი, როგორიც... რაღა დასფიცია, მასწავლის რასმე, მოწყენის დროს მთასა და მინდორში გამართობს კიდევაც.

— შენ შემო! — ეუბნება აბრამი.

ამ დროს გარეთ წვიმამ დასცხო. თუ ზამთარია, ქარმა თოვლს წამოუბერა, ქალები, ბავშვები, მორიდებული, ზრდილი მოკალაქეები იძულებულნი არიან თავი შეაფარონ სადმე. სასადილოში ან სასტუმროში ხომ არ შევლენ. როცა იციან, რომ იქვე მასობრივად წიგნის მაქება არამ ღაბიაშვილი დგას, შირაქის მინდვრების შესაღებ კართან.

ამ კაცმა თავისთვის ადგილი უპოვა ცხოვრებაში, მორთო და შეამკო იგი მისი გონების სხივით. გულის სიუფრულოთ. მან ნულარ გაიციებთ, თუ ამ პიროვნების ნაცნობობით და მეგობრობით ამაულებენ პატარა ქალაქის და შირაქის ველების მცხოვრებნი.

თავმჯდომარე კაპლანით ჯიბაში

წითელწყაროდან გზა ზემო და ქვემო ქედისაკენ შირაქის ველით მიდის. გაღვეთ ქალაქის ქუჩებს, გვერდს აუქციეთ სოფელ ჯაფარიძის და უეცრად პატარა მღაშე ტბის პირას აღმოჩნდებით. ტბის იქით გორაკს შეადგებით თუ არა, თხემიდან ტრამაღს გადახედვით. გაგოცებით ერთი გარემოება: შორს, ძალიან შორს ველზე პირდაპირ ხაზად გაწეილი ნამდვილ ხეივანს დაინახავთ.

ახლოს მისულს თვალწინ შემდეგი სანახაობა წარმოგიდგებათ: ნივზით დახუნძლული კაკლის ხეების საკმაოდ დავუკაცებელი წარგვები ჩამწყვიტებულია გზის ორივე მხარეს.

სანდახან კაკლის ალუბალი სცვლის.

ამას იქით მთელს შირაქში, რომელსაც რამდენიმე ასეული კვადრატული კილომეტრი უჭირავს, ხის ან ბუჩქის ნიშანსაც ვერსად აღმოაჩენთ.

კაკლები და ალუბლები ზუსტად გაზომილი მანძილით არიან ერთმანეთს დაცილებულნი. ამით ადვილად დაასკვნით, რომ ეს ხეივანი ადამიანის მადლიანი ხელით ნახატია.

ზომ არ იკითხავთ მხატვრის ვნაობას?

ადამიანი, რომლის სახელსაც შირაქელები ამ ხეივანს, გაშენებას უკავშირებენ, ხოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყოფილა. ერთხელ, ამ რამდენიმე წლის წინათ, გაზაფხულზე მას თავის ყანებში გამოუვლია. თავმჯდომარეს ჯიბე კაკლებით მქონია ხავსე — ბავშვებისათვის საჩუქრად მიჰქონდა თურმე. უეცრად უფიქრია, რაღა შენ წავიღო, ნოლი დღევანდელი ბაღლების ნაცვლად მათ შვლიშვილებს მივართმევ ამ საჩუქარსო. მაშინვე ჩამოჭეითებულია, ყოველი ორმოცდაათი ნაბიჯის შემდეგ თითო კაკალი ჩაუთესია ჩექმის ქუსლით მშვენიერს შავს მიწაში.

ამას ასე გეტყვიან შირაქელები. დაიფიცავენ კიდევაც, რომ ეს ხეივანი შირაქში ამ გზით წარმოიშვა. ახლა ნამდვილადაც ვთქვათ, როგორ მოხდა ყოველივე.

ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კაკლის და ალუბლის ნერგები წნორის სანერგე მეურნეობაში შეიძინა. მაშინვე გადაიტანა შირაქში. ჯაფარიძელების ყანებს შორის ზემო და ქვემო ქედში მიმავალი გზის აქეთ-იქით ნაპირებზე ჩაარგვევინა კოლმეურნეებს ყველა აგრონომების დაცვით. მეტი დიდხანს ახალგაზრდა ნერგებს რძის საწილადი ცისტერნებით სარწყავ წყალს უგზავნიდა, გოფირებული მოკლე მილით ძირებს, ფესვებს უსვებებდა. ახლა დარგულ ხეებს რწყა ალარ სჭირდებათ. მათ თავიანთ ჩრდილებში თვითონ აქვთ ტენი, სისველე და ღაზათი. ხეივანი ხუთმეტრიოდ კილომეტრის სიგრძეზე ლარივითაა გაკეპილი.

— აი ნამდვილი კაციც ის ყოფილა, ვისაც გონებაში ტრამაღზე ამ ხეივანს გაშენება დაებადა, — ამბობენ გამველები. გული მწყდება, რომ ჯერჯერობით ჯაფარიძელების მიმბაძველები არ ჩანან.

ასეთი აღტაცებით წარმოთქმული სიტყვები ჯაფარიძელ შემოქმედთ ბევრი მისდით, მაგრამ არავის გაუგონია თავმჯდომარეს ამით ეამყოს.

იგი, ვისაც კაკლები ჯიბეში ედო და ჩექმის ქუსლით თესდა შირაქის მიწაზე, ერთადერთი აზრით ხელმძღვანელობდა: დამეშვენებია და მოეხატა მისი საყვარელი მიწა. მართლაც დაამშვენა და როგორი ნახეთ, შორიდან წარმოდგენა ძნელია.



პასილ გვერამე

ოქტომბერი

შენ არ მოსულხარ იოლი გზებით,
შენ სიზმარ-ცხადში გხედავდნენ ძმები:
წინ მიგვიძლადი გაშლილი დროშით
და იმედივით გულში სახლობდი.
ჩვენ მივდიოდით ქარსა და თოვლში
და შენს ღიდებას გავიძახოდით.

თვალს აბნელებდა ბური და ნისლი,
მივუგრუნებდით დელგმით და რისხვით.
ცა ერთიანად ბოლავდა მაშინ
და ძრწოდა მიწა მტრის დამლახვრელი.
ო, იმ ღმუილა ნაღმების კვამლშიც
გზას გვინათებდა შენი სახელი.

ქარს და ქარაშოტს ეკვეთე ასე,
გამოჩნდი უშრეტ სინათლით სავესე,
შეაფრიალე დროშის კალთები
და მხარით მხარეს სიომ მოჰპერა.
ძირს ჩამოღვარე ოქროს ნათელი
ღღის და სიცოცხლის მახარობელმა.

სახნისი დახვდა ნაოძარ ზელებს,
ჩაიჩხრიალა ჭალებში ღელემ,
ყამირს გავავლეთ ახალი ხნული,
შუბლი გავხსენით ძმებმა ღვიძლებმა.
შენი შუქი და სიმშვიდე სრული
წინ წავგიძლეა და წინ მიგვიძლევა.

ხედავ, რამდენი ღუმელი ბოლავს?
ხედავ, უდნობელ რკინას და ფოლადს?

ხედავ, რას ჰქმნიან კაცის ხელები?..
... ეს ყველაფერი შენ შთაგვაგონე,
შენ დაახატე ცისარტყელები
ჩემი სამშობლო ქვეყნის მთა-გორებს.

შენ გადაწმინდე ლაქვარდის კიდე,
აი, შენს მოსელას ვესწრები კიდეც;
დღესაც სხვაგვარად გაჩაღდა კერა,
დაგვხვდა უთვლელი ჯალაბი თბილი,
და ძნებად შეკრულ სხივებით ფერავ
ჩვენს მყუდრო ეზოს, გზასა და ბილიკს.

აჰა, ილაღე მუდამდღე ლაღო,
შუქად დაადნი ბარსა და მაღლობს,
იგრძენ, კვირტების სკდომა და ჯვთქვა,
მიჰყევ ნიავექარს—შეებად მობერილს...
—ძმებო, ამქვეყნად დადიან ერთად
სიცოცხლე, სითბო და ოქტომბერი!



როსჯომა ბაქანიშვიდი

ბაქანი

ვუძღვნი რევოლუციის ვეტერანებს

1

მუხათხევს, როგორც ბაქანს, რკინიგზის ვერცერთ დავთარში ვერ იპოვით. ეს ბაქანი მუხათხეველებმა გამოიგონეს. ჩვეულებრივ აქ ორთქლმავალი წყლის დასამატებლად ჩერდება, სოფლები ამით სარგებლობენ და ყივილ-ხივლით ადიან მატარებელში.

ბაქნიდან ერთ კილომეტრზეა სოფელი. მუხათხეველებს შეიძლება ამდენი არ ევლოთ ქალაქად, მათ მახლობლად რომ რკინიგზა არ გადიოდეს.

გრძელსა და მაღალ, დაუსრულებლად აგორებულ ველებზე მუდამ ისეთი საამური დუმილია, ისეთი ღრმა სიმშვიდე, ამ მხარგანიერ გორაკებზე ისეთი წყნარი და კამკამა საღამოები იცის, რომ თითქოს აუცილებელიცაა გარინდებულ ჰაერში ზავითა და გრიალით შეიჭრას მატარებელი, რკინის ფილტვებით დაიღრიალოს, დგანდგარით გაირბინოს ლიანდაგებზე და მერე დიდხანს დასტოვოს იმ არემარეზე ძარღვებში დამშლელი მოძახილი:

ტა-დუგ-ტა-დუგ!

ტუჰ-ტუჰ-ტუჰ-ტუჰ უუუ!..

რეკს, ფოლადის ზარივით რეკს სუფთა, უსასრულო ცის დასალიერში ეს უცნაური დგრიალი, ზანზარი და წკარუნი.

ამიტომ არ გაემტყუნებთ მუხათხეველებს, რომ ასეთი ხშირი სტუმრები არიან რკინიგზის.

ამ ბაქანზე მგზავრები ყველანი ერთმანეთს იცნობენ. აქ არ არის ჩვეულებრივი წეწვა-გლეჯვა მატარებელში ჩასხდომისას.

მოვა ცქვიტი, ვერცხლის წყალივით მოუსვენარი კალოვეი, არტელში მშენებლობის ბრიგადირად რომ მუშაობს. მჭედელი სერებრიაკოვი, ამ ადგილებში ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს ჩამოსახლებული... ჩემი თანამემამულე, მუხასავით ჩადუღებული მახარაშვილი... ყველანი საქმეზე მიიჩქარიან. ერთი კასპში მიდის ცემენტის სასყიდლად, მეორე გორს გასწევს, საკონსერვო ქარხანაში შვილების სანახავად. მესამე ხაშურს — მანქანა-იარაღების საშოვნელად.

ამ მგზავრებს ბაქანზე ყოველთვის ხვდება ჩემი მეუღლე, ჩემი ბაბე. მას ყველა იცნობს. არა იმიტომ, რომ ძველი, ცნობილი მემანქანის დავით მესხის მეუღლეა, არამედ — როგორც ბაბეს.

ჩვენი სახლი სოფლიდან განცალკევებით, ზედ ბაქანთან დგას. ნაადრევად გამოსული მგზავრებიც თავს აქ აფარებენ. აედარია თუ კარგი ტაროსი, ეჩქარებათ თუ პირიქით, — ელოდებიან, მუხათხეველები უსათუოდ მოინახულებენ ჩემს კარ-მიდამოს, ჩემს ეზო-ყურეს, ჩემს ბაბეს.

სოფლამდე სულ ყანები და ბალ-ბოსტნებია. თუ მინდვრებში სამუშაო არ არის, კაცისული არ ჭაჭანებს. ამიტომ სულ სხვაა ბაქანზე დედაშვილურად მიხუტებული სახლი. ის მუხათხეველების ჭიშკარია, მათი გულისკარებია, საიდანაც ქვეყნიერების დიდ გზაზე გადიან. ჰოდა, გასაკვირი არაა ბაბესთან ასეთი ხშირი სტუმარი და ატლახებული ზღურბლი. სოფლელებს საქმელ-სანოვანე მოაქვთ, ბაბე მათ დიასახლისის მარჯვე ხელს, კეთილ ღიმილსა და ღია გულს ახვედრებს ასე, შეწყობილად ცხოვრობენ ისინი, ვინ იცის რამდენი წელიწადია.

2

მე მუხათხეველი არა ვარ. არც ჩემი წინაპრები არიან აქედან. მამაჩემი კასპელია. ობოლი ბაღი თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში მეზობელმა ჩაიყვანა და სამადლოდ ზეინკალს მიაბარა შეგირდად. უთვისტომომ პირი არ შეირცხინა და ეს ტლუ ბიჭი მალე ჩინებული ზეინკალი დადგა.

საუკუნის მიწურულაა. ქალაქად გადმოხვეწილი გლეხები მეტწილად ნაძალადეგში სახლდებიან. ლოტკინის გორაზე, ღრმა-ღელის სანახებში და ავჭალამდეც კი ალიზით შეხუხულავებული ქოხბალები გაბნეულა. ისინი შორიდან ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს მწვანე კორდებს ტალახში ამოგანგლული ბატები შესევიაო.

სახლი ზოგი წაღმა დგას და ზოგი უკუღმა. უკუღმართი ცხოვრება დანის პირივით ღესავს ადამიანებს. ისინი ერთმანეთს მშვიდად ველარ უცქერენ, სახლებსაც ზურგი შეუქცევიათ მეზობლებისათვის.

დახრამული, წვიმის წყლით ამოვსებული, გუბეებით დაჭაობებული ღელეები გაუფასვს ხდიან გოდრის წნელივით დაგრეხილ ორლობებს.

სახლებს წინ პატარა ბოსტნები აქვს, სოფელს დანატრებული გლეხები გულისტქმას ორიოდ კბილ ნივრისა და ბოლოკის დათესვით იკლავენ.

ცოტა უფრო მოხერხებულებს ქათმები და ღორები ჰყავთ. ბოსტნები შეუღობავია, საქონელი და ფრინველი თავისუფლად დანავარდობს და ნათესს აოხრებს. მოსავლის მაგიერ ჩხუბსა და დავიდარაბას იშვიათ მეზობლები. ერთი ქათ-

მის ან ორიოდ ღერ წიწმანისათვის ადამიანები დასახოცად იმეტებენ ერთმანეთს.

სახელოსნოებში ქანცისგამწყვეტ მუშაობის მერე, დაღლილ-დამაშვრალნი მოდიან შინ მოსასვენებლად, მაგრამ სახლში აბუზღუნებული და გაღანძვლილი ქალები ხვდებოდა, დამხდურნი მოსულთ აღიზიანებენ, ქალური ჭორიკანობით, სივიწროვით, ჭუჭყით, სიღუბჭირით სულშეგუბებულნი კაცებს შეაფიცებენ, წააქებენ და დაერევინებენ ერთმანეთს კარის მეზობლები, ამხანაგები — დაღუწავენ, აურდაურევენ, გაფუჭებულს ათ იმდენს დაუმეტებენ, ტანისამოსს ზედ შეაფხრენ და მერე ვითომ და გულმოფხვანილნი იმით, რომ აბუჩად აგდება, გაფუჭება და ზარალი არ „შეარჩინეს“, ხელისა და მუხლის კანკალით მიუსხდებიან წყალწყალა წვენით ძირმომალულ ჯამებს და ხვრებენ დაღლილები, ხვრებენ გაბრაზებულები, გულმოკლულები, გაუბედურებულები... მერე მაგიდაზევე იძინებენ, თავი აღარა აქვთ ჭრიჭინა ტახტამდე დამტვრეული სხეული მიიტანონ.

მამაჩემიც, რომ დავუცაცებულა და ოჯახი გაუჩენია, თავისი მეზობლების ბედის მოზიარე გამხდარა. სამ დღეში შეუხუხუთავებია ქოხი და ცოლ-შვილით იქ დასახლებულა.

მე ცეროდენა ვარ. ხელში გრძელი კეტი მიჭირავს, უბე და ჯიბეები რიყის სიბი ქვითა მაქვს გამოტენილი და არის ერთი ცემა-ტყემა უცოდველი პირუტყვისა. პატიოსნად ვასრულებ მშობლების დავალებას: მთელი დღე ღორებს ვეოშები, რათა ჩვენი შეუღლობავი ბოსტანი დავიცვა.

როცა მოსავალს ავიღებთ, მაშინ ცოტათი ვმშვიდდებით მოსახლენი. საგლეჯი და გასაწეწი აღარაფერი გვაქვს. ცარიელი შავი მიწა ყველასათვის საწყოფია. მაგრამ ღორების ჯავრს მაინც არა ვჭამთ. პატრონები ზამთრის პირს დაკლავენ და მშიერ კუჭს რამდენიმე კვირით გაიძღობენ.

შემოდგომით და ზამთრობით ბავშვები თავისუფალი ვართ. ამ დროს მივყვებით ჩვენს მამებს სახელოსნოებში ან თავად ვიპარებით და მთელი დღე რკინიგზაზე დავხეტიალობთ. პირლია შეეყურებთ ორთქლმავლებს, ვიგანგლებით ბოლსა და მტვერში, სადამოს დაღლილები, ჭუჭყიანები, მშვირები გბრუნდებით შინ და იმართება სასამართლო. გაწამებული მშობლები გვცემენ დაგვიანებისათვის, დაკარგვისათვის, ჭუჭყისათვის, შიმშილისათვის... იმიტომ რომ თავად უბედურები არიან და უფრო უბედურები ვართ ჩვენ... ჩვენ არა გვაქვს ბავშვობა, არა გვაქვს პური... სიყვარულიც კი, რაც ამ ღარიბ, დატანჯულ ოჯახებში ფეთქავს, ისე უხეში, ტლანქი და გაუჩორკნავია რომ... თუმცა სად არის დრო გრძნობებისათვის. გრძნობებს ინსტინქტები სცვლის: მოვალეობისა, შიმშილისა, სიცივისა. ადამიანები პატარავდებიან, ხურდავდებიან, ჭკნებიან და ბერდებიან უსიხარულოდ.

უღიმღამოა ჩემი ბავშვობა. ათასში ერთხელ ვინმე ონავარი გამოიტანს მოპარულ ხილსა და ბავშვები ყვირილობით ავძიძგილავდებით — რათა ერთხელ მაინც ჩავკბინოთ დამპალი ვაშლი.

ზოგი ტროყია ვირეშმაკოს, პატარების გაბიაბრუებით ერთობა. უბის ჯიბიდან აზოაცოცებს სასუსნავს და იტყვის: აბა იჭიდავეთ ან იკრივეთ, ვინც გაიმარჯვებს, ხილსაც იმას ვუწილავდებო.

ბავშვები დაუნდობლად წაგვიდებით ერთმანეთს. უმოწყალოდ ვუყაფუნებთ ცხვირ-პირში, ვამტვრევთ ხელ-ფეხს, დედის რძეს ვარწყევინებთ. ბოლოს, ვინც უფრო გამოჯვკილი ან მოხერხებულია — გაიმარჯვებს, თუმცა თავადაც ნაკლებ როდია დამტვრეული და დალილავებული. გაიმარჯვებული ხილის პატრონს სთხოვს პირობის შესრულებას. ის კი, სარგებლობს რა „გაიმარჯვებულზე“

უფრო მაგარი კბილებით და მძიმე მუშტებით, არჩენად ჩაიცინებს, ხილს უდარდელად შესასლავს, „გამარჯვებულს“ ნიშნს მოუგებს და ენას გამოუყოფს, ან სამ თითს მიაფარებს თვალებში.

ამ დროს ნატყენი და ნაცემი აღარავის ახსოვს. ეს გაბიაბრუებაა ყველაზე მეტად შეურაცხყოფელი და გულისმომკვლელი.

ხშირად ვარ ასე „გამარჯვებული“ და მერე მოტყუებული. მშვიერი, დაღლილი, ნაცემი და შერცხვენილი. გულისამაჩუყებლად ვტირი, ვზღუტუნებ ბავშვური ცრემლებით, წყენა ბალაძად ჩაგუბებია სულს, გაუკერპებია. სპეტაკი შუბლი ცხოვრების სიდუხჭირისაგან ნადრევად იღარება ნაოჭის აბლაბუდით. დაქანცული მივლასლავს შინისაგან და ცივ ქვეშაგებში აცახცახებულს კარგი სიზმარიც ვერ მინახავს ცხადში ბავშვობამოწამლულს, ასაკთან შედარებით ადრე დაქვევანებულ და დაკაცებულ ყმაწვილს.

რკინიგზელთა ცხოვრებაში თვეში ერთხელ მოჩვენებითი სიხარულის დღე გამოერევა. მაშინ ყველამ იცის ნაძალადეგში, რომ მუშებს ხელფასი აქვთ აღებუ-ლი. ამ დღეს ყველა სვამს. დათვრებიან, გამოიბრუეებიან და მერე ჩახლეჩილი, აქვითინებული ხმით მღერაინ თავთავიანთ კუთხის სიმღერას: მრავალკამიერს, მეტიფურს, კრიმანჭულს... და მონაშული თვლებით იგონებენ სოფელს, გაპარტახებულ სახლ-კარს, ორლობეს, დედ-მამის სახსენებელსა და საფლავს. მერე ამ ჟღარუნა სიმღერას ცრემლსაც მიაყოლებენ, იტირებენ, ისლუკუნებენ დიდი ბალღებივით და ბოლოს, მოღლილნი და მოცელილნი მიეგდებიან დასაძინებლად.

3

მამა წელებზე ფეხს იდგამს, რომ ოჯახი არჩინოს. სახელოსნოებში დილიდან საღამომდე მუშაობს, სხვებივით ჩხუბობს, ივინება, მღერის და ქეითინებს. ათასში ერთხელ, როცა სოფელს იგონებს, შუბლი გაეხსნება.

დროდადრო მატარებლით მცხეთამდე წავა, მაგრამ იქით, კასპისაგან ვერ გაუბეღია. იცის, სოფელში თავისიანები აღარავინაა და გაპარტახებული სახლ-კარის ნახვას ურჩევნია გაცრეცილ მესხიერებაში შემონახული ლამაზი სურათებით იცოცხლოს.

მცხეთიდან რომ არავის ჭალებს ან მტკვრის ხეობაში გადაშლილ მინდვრებს გახედავს — გულს მოეშვება. იდუმლად თითქოს რაღაც აგონდება და ტბილად ილიმება. მერე ისევ მოედლუშება სახე, სახელოსნოებში მიდის და თავაუღებლივ მუშაობს.

ვგრძნობ, მამისათვის ერთადერთი ნუგეში ვარ. რასაც აკეთებს, შავი დღისათვის ორიოდ გროშს ინახავს — ვიცი, ჩემთვის უნდა. ის ჩემით ცოცხლობს, ჩემით ხარობს. მეც, მამის ასეთი სიყვარულით და ყურადღებით ფრთებშესხმული, ვცდილობ რითაც შემიძლია დავეხმარო. განსაკუთრებით მაშინ შევდუღაბდი, როცა ერთ ცივ ზამთარს დედა ველარ გაჰყვა და პირმოტეხილი ბარით აჩაჩქნილ მიწაში ჩაყარა დაღლილი ძელები. პატარა კერამ უქალოდ მალე იგრძნო სიცივე. ეხლა ჩვენ უფრო ღარიბები და გაჭირვებულები ვართ. დედის ხელი თურმე ყველაფერს იღუმალად სითბოს აქსოვდა. იმიტომ იყო ღარიბი სუფრა ალალი და გემრიელი. ეხლა მარტო ვართ, დაობლებულები და გამწარებულები.

ნადრევად მოტყდა მამა. არც წინათ უყვარდა ბევრი საუბარი, ეხლა სულ გამოიკეტა გული. იმ გამოკეტილ გულში დარდის ჭია ჩაისვა და ის ჭია გაასუქა. თვითონ კი დღითიდღე დნება. სანამ დედა ცოცხალი იყო, მე არ მეგონა თუ მამას უყვარდა იგი. ეხლა ვატყობ, მარტოა, ძალიან მარტო.

მალე მამამ თავისთან წამიყვანა შეგირდად. მე ზეინკლობა დიდად არ მე-
ქაშნივება, გული ორთქლმავლებისაყენ მიმიწევს. ისინი ისეთი დიდები და ძლი-
ერნი არიან, რომ მგონია, თუ ორთქლმავალზე დავჯდები, ამით ჩემ სილარიბესაც
და გაჭირვებასაც მოვერევი.

მემანქანეები შორს, უცნობ ადგილებში მიდიან, იქიდან მრავალნაირი ამბე-
ბი მოაქვთ, ერთმანეთში საუბრობენ და რალაცაზე ცხარედ კამათობენ. მე ყუ-
რებადაცქვეტილი ვუსმენ. ვნატრობ მემანქანე ვიყო, ვნახო სხვა ქვეყნები, სხვა
ხალხები, გავიგო, ყველგან ასე უჭირთ თუ სადმე ბედნიერადაც ცხოვრობენ
ადამიანები.

ლამით, როცა ვიძინებ, ორთქლმავლების ქშენა მესმის. მათი ნაწყვეტ-ნა-
წყვეტი, მშვიდი შეძახილი, ხან კი მშფოთვარე, გაღაბული კივილი. ორთქლმავ-
ლები არ ლაპარაკობენ. მაგრამ მე გავიგე მათი ენა და სატკივარი. ხმაზეც ვცნობ:
აი ეს, ვანოსია, — ვამბობ ჩემთვის. ეს კირილესია, როგორ ღმუის, თითქოს
დათვი დაჭრესო! ის კი სტეფანესია, იმისი ცოლივით ანჩხლობს...

ისინიც, ორთქლმავლებიც, შორიდან მესაუბრებიან, შემომჩივიან თავიანთ
გასაჭირს. მართალია, მე ცხოვრება არანაკლებ მთელავს, მაგრამ მათი ტყვილი
მაინც რალაც სხვანაირად ხვდება გულს. მინდა რალაცით ვუშველო, მივეხმარო
და ჭრილობა დავუყუჩო. თითქოს ისინიც გრძნობენ ჩემს სურვილს. ამიტომ
ჩვენ შინაგანად, იღუმალი გამოძახილით მალე დავმეგობრდით. მე ესლა შორი-
დან არ ვუვლი მათ. ვცდილობ მათი ჭირ-ვარამი და ჩემი დარდი ერთი საერთო
მალამოთი დავამშვიდო.

4

ერთ დღეს მამამ თქვა, აუცილებლად უნდა მოვინახულო დედ-მამის საფლა-
ვი და შენც წაგიყვანო. რა მაქვს საწინააღმდეგო. მე ისე იშვიათად გავდივარ ქა-
ლაქიდან, ისე მონატრებული ვარ ნამდვილ მატარებელს, რომელიც დაშლილი და
დაღეწილი სახელოსნოებში კი არა დგას. არამედ სადგურში, და ხალხით დატ-
ვირთული მიდის შორს, უცნობ და საინტერესო ადგილას, ისე მოწყურებული
ვარ მოგზაურობას, რომ სიტყვაშეუბრუნებლად ვთანხმდები მამას.

შაბათი საღამოა. სახელოსნოებში გამოცოცხლებია. მთელი კვირის შრომით
დაღლილი მუშები კარგ ხასიათზე არიან. წინ კვირადღეა, დაისვენებენ, დაიბა-
ნენ, გამოიძინებენ...

სასურსათო მაღაზიაში, რომელიც იქვე სახელოსნოებზე მიკრულ ბაღშია,
მამამ ხელფასის ანგარიშში ზოგი რამ საჭმელი იყიდა. აბა, ხელცარიელი ხომ არ
წავალთ ამხელა გზაზე.

შემოდგომის თბილი, უქარო ამინდია. ჩამავალი მზის სხივები ოქროს ვარა-
ყად შემოხვევია მთაწმინდას. ლურჯი, სუფთა ცა ცერად გაუნათებია.

ნიავეც არ იძვრის. ქუჩები ხმაურობს. ფართოდ იღება სამიკიტნოების კარე-
ბი. მუშები სახლებში, ლუდხანებში, ბაზრებში მიიჩქარიან.

ნაძალადევი მოძრაობს, ჩუჩუნებს, მიდი-მოდის, ფაციფუცობს. ყველა რა-
ლაცას აკეთებს, სადღაც ეშურება.

ჩვენ სადგურზე ვართ. როგორც იქნა ჩამოდგა სანატრელი მატარებელი. სი-
ხარულისაგან ადგილზე ვცმუკავ, აქეთ-იქით თავმომწონედ ვიყურები, მინდა
ყველა ნაცნობ-ამხანაგმა დამინახოს, მე ხომ ნამდვილი მატარებლით მივდივარ!

ბილეთის ფული არცა გვაქვს და არც ვიმეტებთ. ორთქლმავალზე ნაცნობი
მემანქანეა. გვირჩევნია ჩვენც იქ ვიყოთ, რადგან ვაგონში შეიძლება რევიზორმა

გავეთოკოს. მამა ჩივის, რომ რკინიგზის მუშებისათვის კარგახანია გააუქმეს უფასო მგზაურობაო, ვატყობ, ესამუშება ქურდულად წასვლა.

ორთქლმავალი ვანოსია. ის მუდამ შავად ბზინავს და როყიოდ გუგუნებს. სიხარულით აკანკალებული მუხლები ძლიერ ამაქვს ვიწრო, შვეულ რკინის კიბეზე. ავღივარ და მოჯადოებულებით ვჩერდები.

ბევრი ორთქლმავალი მინახავს. მათი სამართავი მოწყობილობა თითქმის ზეპირად ვიცი. სახელოსნოებში ხშირად შეგვეცეთებია გატეხილი, გაცვეთილი თუ გახეხილი ნაწილები. ბევრჯერ დამიხეთია ბუქსები, გამიწმენდია ხუნდები, გამიბრიალებია გოგორწყვილები. გამომიხვევტია საცეცხლური და ხელი მიტყაპუნება ორთქლმავალის ვეება ქვაბზე. ავსულვარ კიბეზე. ცალი მხრით გამიბრუნია ზამბარასავით შემოჭერილ ვიწრო ხიდზე, საკვამლე და ორთქლის მილებს რომ გარს ეხვევა. გადმომიწვია სასტვენის სახელური ჩაუქპრალ ორთქლმავალზე და გულაფრიალებულს მომისმენია მკვეთრი, ხან მკვახე და ხანაც ლბილი ხმა, ჰაერს რომ აზანზარებდა და მთელ სხეულში ცხელი ჟრუანტელივით მივიღია. მრავალჯერ მინახავს ორთქლმავალი და თვალისათვის მახლობელი გამხდარა მისი თვითეული ნაწილი. მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა სახელოსნოებში. იქ ორთქლმავალი მკვდარი იყო, დაშლილი, დაღეწილი, წყლისა და ნახშირის გარეშე. იქ ვიცოდი, რადენიც არ უნდა მეჯახირა, მას ადგილიდან ვერ დავძრავდი, ბიჯს ვერ გადავადგმევინებდი. ამიტომ მართალია აღტაცებული დეტრიალებდი ხოლმე თავს, ათრთოლებულ თითებს ვუსვამდი, მაგრამ ღრმა გულში მჯეროდა, რომ ორთქლმავალი ვერ წავიდოდა. ეს გრძნობა ჩემს ოცნებას ბორკავდა, ანელებდა და ადუნებდა. მე მოძრაობა მინდოდა, ხმაური, სიცოცხლე, იქ კი — უმოძრაობა და დუმილი იყო.

ეხლა სულ სხვა რამ ხდებოდა. ჩემს წინ, ჩემს ქვევით, ჩემს გარშემო იდგა ცოცხალი ორთქლმავალი. საცეცხლურში ცეცხლი გიზგიზებდა, ქვაბში წყალი დღუდა, ორთქლი უხილავი დევის კუნთებით აწევებოდა დღუმებს, მილიდან თეთრი, თხელი ბოლი ამოდიოდა და მე ვგრძნობდი როგორი დამაბული იყო მისი თვითეული ნაწილი, როგორ თრთოდა მისი თვითეული ძარღვი დაუოკებელი მოლოდინით შეპყრობილი. ვიცოდი, ვანო აუშვებდა მუხრუჭს, დააყენებდა რევერსს, გახსნიდა რეგულატორს და ორთქლმავალიც დაიძვრებოდა ადგილიდან. ვიცოდი თვითეული მოძრაობა, რაც უნდა გაეკეთებინა მემანქანეს, მაგრამ ამისდამთხვავდავად, ისე სულისშემავგუბებლად მიფართქლებდა გული, თითქოს რაღაც არაჩვეულებრივი რამ უნდა მომხდარიყო. ამ ფიქრებმა და განცდებმა ისე გამოთქვს, რომ არც კი გამიგია როგორ დაეშვა მარჯვენა სკამზე რევერსთან ვანო, ხოლო მისმა თანაშემწემ, საცეცხლურთან ფუსფუსის მერე, თავისი ადგილი დაიკავა — ორთქლმავლის მარცხენა ფანჯარასთან. ვერ ვიგრძენი როგორ დაიძრა მატარებელი. ძლიერმა შენჯღრევამ გამომარკვია, ორთქლმავალი ნიშანსვეტს გასცდა და სვლას უმატა. მაშინვე მემანქანის თანაშემწეს მივეჩოჩდი, რადგან ვანოსი მერიდებოდა და ფანჯარაში დავიწყე ჭყეტა.

ვანო მუშაობითაა გართული. დაღლილი, გაშავებული მარჯვენა რევერსის სახელურზე გაყინულა, მე ასე მეჩვენება, თორემ ის შეუშინველად მოძრაობს, იმიტომ, რომ ასე აკვანივით მიირწევა მატარებელი. გამოცდილი მემანქანე შესანიშნავად იღებს აღმართებს, მოსახვევებში ზომიერად ხმარობს მუხრუჭს და თითქმის იშვიათად — საყვირს.

მიჰქრის მატარებელი. კუთხეში მიმჯდარი მამაჩემი რალაცაზე ღრმად ჩაფიქრებულია. მე არავის ვახსოვარ. ეს უფრო მახარებს. მინდა ამ წუთებში მხოლოდ ჩემს თავს ვეკუთვნოდე, არავინ არ მაქცევდეს ყურადღებას.

ფანჯარაში ვიყუდები. მატარებელი ვადარბის ლიანდაგიდან ლიანდაგზე. უკან მივიხედე. მწვანე, გრძელი ვაგონების კუდი არც კი ჩანს. მე კი თავში ვარ და მათ მივუძღვები. მეჩვენება, რომ ლიანდაგიდან ლიანდაგზე გადასვლისას საცაა ამოვარდება ორთქლმავლის ბორბლები ფოლადის ბილიკიდან და უნებურად თვალს ვხუჭავ. მოსახვევებში ვანო სვლას უკლებს და ეს უზარმაზარი მატარებელი, თითქოს საქალმანე ტყავი ყოფილიყოს, შეილიდვით იღუნება და ისე ლამაზად რკალავს გზას, რომ ბოლო ვაგონის კარსაც კი ვხედავ. სიხარულით ვთუხთუხებ, მაგრამ უკვე საკმაოდ მოზრდილი ვარ და ვცდილობ ჩემი აღტაცება შემჩნეველი დარჩეს. მინდა საკუთარ თავს ვეკუთვნოდე, ჩემი სიხარული მევე ჩავიტიო, როგორც პირველი აღმოჩენა, მგზავრობის პირველი ცოცხალი განცდა.

აშკალაში გავჩერდით. ყურებში რაღაც ბუბუნებს. სადგურზე ისეთი სიჩუმეა, რომ გარკვევით მესმის მემანქანის თანაშემწე როგორ უკაჟუნებს ჩაქუნს გოგორწყვილებს. ვდგავართ, მაგრამ მეჩვენება რომ ისევ ძივდევართ. ლოყები წაწოწითლებული მაქვს, ხელები ოფლით დანამული, ყელი გამშრალი. პირს ვაღებ და გრილ ჰაერს ხარბად ვისუნთქავ. ვერ ვმშვიდდები. მინდა მალე წავიდეთ. დაუსრულებლად გრძელი მეჩვენება გაჩერება. მაგრამ აგერ შემოჰკრეს ზარს, დგუმებმა ძლიერ შეისროლეს ორთქლის შადრევანი და მატარებელი კვლავ დაიძრა.

რკინიგზას გვერდით მტკვრის ხეობა მისდევს. ღამის სიბნელეში მუქი და მღვრია ჩანს წყალი. იქიდან სიგრილე და სიჩუმე მოცურავს. მგონია რომ მტკვარი არ იძვრის, ჩვენ კი თავაწყვევით მივქრით.

დიღმის მინდვრები და ვენახები ლურჯად ჩამუქებულა. მოთიბული ბალახის სუნი მოდის. ქოლგასავით დამხოზილ ცას პირველი ოქროს წინწყლები ემჩნევა. ზოგჯერ არ ჩანს. ლობლ ღამეში დროდადრო ნაბღიანი მწყემსებივით შემოალაჯებენ გორაკები. სიბნელეში ყველაფერი უცნობი, საშიში და გაურკვეველი მგონია. ბუჩქები გზისპირას ჩაკუნტულან, ჩირგვები მიწოლილან. ღამე ველზე უნამუროდ მიგორავს. ნოტიო ჰაერი გულს სიამოვნებს. მატარებლის ხმაური, რახნა, ზანზარი და კივილი იმ დიდი, უთავბოლოდ გაშლილი ველისა და სალუქი ღამის მყუდროებასთან ჟინიანი სიცოცხლის ხმაურად ისმის. აღარ მიკვირს, მემანქანეები ასეთი გამოცდილნი და მცოდნენი რომ არიან. ეს პატარა მგზავრობა ბევრის მოქმელია ჩემთვის. თითქოს თვალთ ვხედავ როგორ ვიზრდები, ვფართოვდები, ვივსებ დედამიწის უხილავი წვენი. ჩემს სანატრელ ორთქლმავალში ვზივარ და ცალი თვალი და ყური მაინც იმ მინდვრებისაკენა მაქვს.

მიწა მეზიდება, მეძახის. მინდა ვიშვირო ფეხი და კისრისტეხით გადავხტე მატარებლიდან, ლალად გავირბინო მინდორში, გულადმა გავიმოტო მხურვალე მიწაზე, შევიწოვო ნოტიო ბალახისა და მინდვრის ყვავილების სუნი.

ყველაფერი ამერია თავში. ველარ გამიგია რა მომწონს და რა მასხარებს, ამ რკინის კამეჩის დგანდგარი თუ იმ მინდვრების ნატიფი მყუდროება. მე თითქოს მათ შუა ვდგავარ, ცისა და მიწის გზასაყარზე, სიმშვიდისა და მოძრაობის გზავარდინზე. ხან იქით და ხან აქეთ, ორივესთან ცალ-ცალკე.

მატარებელი მიჰქრის, მკლავზე ახვეულ ქამანდივით ჰკეცავს გზას. სინათლის შუქზე ლიანდაგი ორი შავი, ძლიერი მკლავივით გაწოლილა. ამ მკლავებს ძალუმაღ ჩაუბლუჯავთ რკინის მატარებელი და როგორც დედა ჩვილს — ისე ეალერსებთან.

ლიანდაგს მიწის სითბო დაჰკრავს. აღამიანი მოძრაობს მაშინაც, როცა დგას. მე ვგრძნობ როგორ ჩუჩუნებს ჩემში სიცოცხლის დაუოკებელი სურვილით აძიძიძიებული თვითებული ძარღვი, მჩქეფარე სისხლი რა ღონიერად აწევბა გულს, ის კი, გული, უზაგუნებს და უზაგუნებს შეუჩერებლად.

გავიარეთ ზედაზენი, მცხეთა, ძეგვი, ქსანი... მამა, აქამდე რომ გაყუჩებული იჯდა, ახლა მალ-მალე წამოდგება და ფახჯარაში იცქირება.

დადამდა. აღარაფერი ჩანს. ირგვლივ წყვილია. უმთვარო ღამე ცივი, უცნობი და საშიში გახდა. ნიავე გაძლიერდა, ჯიუტად ეხეთქება ორთქლძაღვის კარებს, შუბლს, ფეხებთან მისისინებს, შოლტივით ტკაცუნობს ღია სარკმელში.

შავი ვეშაპი კი ღრიალებს და მიაზანზარებს მიდამოს. ვანო სულ დამუნჯდა. ძუნწად თუ გაეძრახება მამას. მე ყურადღებას არ მაქცევს. ყმაწვილთან აბა რა აქვს სალაპარაკო. მხოლოდ თანაშემწე პრიჭინებს გაუთავებლად. რაღაცა სასაცილოს ჰყვება. ჩვენ მგონი არც ერთი არ ვუსმენთ. როცა დაამთავრა, პირველმა დაიწყო სიცილი, მაგრამ ჩვენ არ ავყევით, უკმაყოფილოდ რაღაცა ჩაიდუღუნა და გაჩუმდა.

ქარი სისინებს, კუდიანივით ტრიალებს, ფრთებს აქეთ-იქით სცემს, თითქოს უნდა ჩვენც აგვიყოლიოს ამ გიჟურსა და დაუდეგარ ცეკვაში. მაგრამ არც მას რომ არ მივაქციეთ ყურადღება, ფართქალს თავი დაანება და ერთი ხმით ნალელიანად ზუზუნებს.

კავთისხევეს რომ გავცდით, მამა მოვიდა ჩემთან. მხარზე ხელი მომხვია. გამიკვირდა. არა ვარ ალერსს დაჩვეული.

შევხედე. ბნელა, მაგრამ გუმანით ვგრძნობ, უცნაურად ელვარებენ მამის თვალები. ბეჭთახ მისი გულის ბაგაბუგი მესმის. გარინდებული ვდგავარ და უკუნეთში ვიცქირები.

დაგ-დუგ-დაგ-დუგ! — ბაგუნებს გული.

ტაკ-დუგ-ტაკ-დუგ-ტაკ-დუგ! — ჰკიფს მატარებელი.

ორთქლძაღვმა სვლას უკლო. როგორც საკუთარ სხეულზე, ისე ვგრძნობ, როგორ უჭერენ მუხრუჭები ბორბლებს, როგორ ანელებს სვლას მატარებელი.

ალბათ მალე სადგურია. მეძნელება დაეთმო მატარებელი.

მაგრამ ამდენი განცდით ისე ვარ მოღლილი, მიხარია კიდევ გაჩერება.

მამამ ხელი გამიშვა. თავად გადაეყუდა ფახჯარაში.

მე მის თვალებს ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ რომ ტირის.

ნეტავ როგორია სამშობლო სოფელი, რომ მამას, ამ რკინასავით უტეხ კაცს

ატირებს?

მეც თვალები მენამება.

მატარებელი გაჩერდა. ჩვენ ჩავედით.

5

კასპი. მამის სამშობლო. ჩემი წინაპრების ნატერფალი.

თავჩაღუნული მივდივართ. ღამე სადგურზე გავათიეთ. ჯერ არ გათენებულა, რიკრაჟია.

კვირა დღეა. ხალხი ნაადრევად გამოშლილია. ზოგი ქალაქს იჩქარის, ზოგი ბაზარში.

ნასახლარი მოვინახულეთ.

შებოლილი ბუხრისპირი. წაქეუული საბძელი. ბალახი კიბეზე. შამბი დერეფანში.

ორღობეში ძველი მეზობლებით გარშემორტყმული მივდივართ.

მე თვალებდაცემებული ვიყურები აქეთ-იქით. სოფელში პირველადა ვარ.

კონკილაგამრუდებული ურემი. თავჩაქრული ცხენები. ტალახიანი ორღობე. სველი ფიჩხის კონა. ნაგვიანევი მამლის ყივილი. ყინელიანი დღე. შალ-

მოხვეული დედაკაცები. შემოდგომის ნადრევი სიცივით ცხვირგალურჯებული ბალები. ატენური ღვინით სახეტყრეცილი მამაკაცები. ყბადაულელი ჭორიკანები ყოველ გზასაყარზე. ზამთრისათვის აჭრილი ყურძნის აკიდოები სხვენზე. ნეღლი ნიგოზი. ჯერ ისევ სველი ჩურჩხელი. წიწაკიანი წყევლა. ჭიხვინი, ქოთქოთი, ჟღერტული. ჯვრებწაქცეულ საფლავებთან ღვინით სავსე ხელადის ბანცალი. ტბილი შესანდობარი. მწარე მოგონება. გათელილი ბალახი. ცვრიანი, სახელდახელოდ შეხანხლული მწვადი. სერიოზული ფოტოგრაფი სამფხა აპარატით. საქმიანად ჩაფიქრებული მედოლე სეროჟა. მედუღეკები — გიგუშა და დარჩო. ჩახლეჩილი სიმღერა. მღვდელი ღვინისაგან დალაქული ანაფორით და სალდათური ჩექმებით. შინაბერების მღვდლად ცრემლი — უფრო თავიანთ უბედურ ბედზე, ვიდრე მიცვალებულის დასატირებლად. გასათხოვრად დავისკასებული გოგონების კბილების ელვა. დაკვესებული ტალია ბიჭების ზუღა კისერია. მხრალით ჩაჭრილი, დაკოვრებული, გაშავებული თუ გაყვითლებული თითები. ოლილი ჭიქები გორულად სავსე. დეკელის ტყავი გასაშრობად სარზე გაკიდებული. მთერალი სოფელი და ფხიზელი მუხები.

პაპის საფლავთან ჩაფიქრეთ. გიგუშა აკენესებს ღუღუქს, სეროჟა ნეკი თითო ჰკენკას გაფიცებულ დოლს, დარჩო წაუშდერებს და ჩვენ ყველანი მორჩილად ვსვამთ შესანდობარს.

თამადა ილოცება:

— ჩემო ჯივრებო! თქვენი გამარჯვებისა იყოს! მტერს ნუ გაეზაროს თქვენზე. განა ღვინო მაღაპარაკებს? ამ ვაზის მადლი მინდა ვაღდეგრძელო და თქვენი ჯანი.

სეროჟა ტუშს ჩამოარაკუნებს და თამადა ისევ შესანდობარს იტყვის.

— ვინც წავიდა, გესმის! აი, ჩვენ ქვევით რო არიან. ჩვენ ზევით დავდივართ, იმათ სველი მიწა აყრიათ გულზე. მომავალი უცოცხლოს ღმერთმა. მათი დანაკლისი დღე თქვენ შეგმატო!

გიგუშა აკენესებს ღუღუქს.

ბუყბუყა დოქი ბურტყუნებს. სველი ნატუჩარი პირიდან პირზე გადადის. მუხლებში სასიამოვნო სიმსუბუქე იღვრება. მამაც დათვრა და თავგანწირვით ამბობს:

— ჯანი თქვენშია და ღვინო! ჩვენ რა ვართ, ქალაქელები. ნაყიდ ღვინოს რა მადლი აქვს? ნაყიდი ღვინო მოტყუებულ ქალსა ჰგავს. უბიწოება მან ვაზის ძირებთან დასტოვა. აი ამ ფხვიერ გორახებს, ამ მოღრუბლულ ცას, თქვენს პურისჭამას, თქვენს მართალ შესანდობარს გაუმარჯოს! განა ქალაქში რომ ვცხოვრობთ, მიწის მადლი დაგვაიწყდა? თქვენი ჭირიმე, ბიჭებო!

მამა ლუკმას ღვინოში ალბობს და ღუღუნებს:

— მიუვა ჩვენს მიცვალებულებს.

— მიუვა! — ერთხმად უდასტურებენ ყველანი.

კაცები ინთებიან. დოქი ცარიელდება. ჩვენ ვივსებით. სეროჟას ქუდი ქიასასა ჰგავს. ფული თვალებდაჭყეტილი იყურება. სეროჟა ნაძალადევად მორცხვობს. ფულს „არ აქცევს“ ყურადღებას. საქმიანად არაკუნებს ნეკს.

ვიშლებით. ვილცა სიმღერას ამბობს. არ უშლიან. „მერე რა, ახალგაზრდა!“

ლობესთან ქალები დგანან. ეზოებიდან ჩურჩხელები იცქირებიან. ბალები შორიახლო მოგვდევენ.

ისინიც ალბათ ასევე მოვლენ ჩვენს საფლავებზე, სეროჟას მოიყვანენ და შესანდობარს დალევენ...

არავინ არ გვთხოვს ღამე სოფელში გავათიოთ. სადგურზე მისვლასა და დილაშემდეგ ყურყურტს ისევ ახლა გვირჩევენია წასვლა, სამუშაოზე დაგვიანების შიში მაინც არ გვექნება. უნდა ვიჩქაროთ, თორემ ღამის მატარებელმა შეიძლება გავკასწროს.

დამდღურულივით გამოვრბივართ სოფლიდან. როგორც კი სოფლის თავში სოკოებივით ჩარიგებულ ღუქნებს გამოვცილდით, გარკვევით დავინახეთ, რომ მატარებელი დაიძრა მეტეხიდან. მოკლევადიან უნდა გადავჭრათ გზა და სანამ მატარებელი კასპის სადგურში შემოვა, ჩვენ უკვე იქ უნდა ვიყოთ.

თავაწყვეტილი მივჭრებართ. ყურთან მამის ქოშინი მესმის. აი სულ ასიოდენაბიჯილა დარჩა. აი საცაა ავცივდებით სადგურზე. მოგვეჩვენა, რომ მატარებელი არც კი გაჩერებულა სადგურში. გავედით ბაქანზე და ისიც დაიძრა.

დაჭარხლებული სულს ძლივს ვა ვითქვამ. დალაპარაკება ვერ მომიხერხებია. გული საგულეში კი არა, ყელთან სცემს.

მატარებელმა გაჰკრა და ჩვენი პირველი გაოგნების მერე ჭინკებივით დავედევნეთ.

ვატყობ ძნელია შეხტომა. მუდარის თვალით შევყურებ მამას და ვეუბნები:
— ნუ წავალთ.

— რას ამბობ, შვილო. დილით შეიძლება დაიგვიანოს მატარებელმა. გამოგვადებენ. შენც, ორივეს.

სახელოსნოებიდან გამოვდება ისეთი რამაა, რომ ეშმაკსაც უნდა მოაჯღღერებოდა. მითუმეტეს მატარებელს. ის ხომ ჩვენი ძველი ნაცნობია. იქნებ ვანო ან კირილეა, შეიძლება ფანჯარაზეც არიან გადმოყუდებული, დაგვიანახავენ და შეაწუხებენ სვლას, — ვფიქრობ და თავაღუნული მივდექ გაქცეულ შავ ვეშაპს.

მემაჩქანე გარეთ არ იცქირება. მე ხელებს ვიჭნევ. მგონი ვყვირი კიდეც. მამა მაჩერებს — ლაჩარო, რა რკინიგზელი ხარ, ეს ხომ ჩვენი მატარებელია, — მეუბნება ის.

მირბიან ვაგონები. ნეტა მართლა ჩვენია ისინი? თუ აგე, იმ ვარსკვლავებისა, დამალთანას რომ თამაშობენ შავ ღრუბლებში. თუ ჩვენია, მაშ რატომ არ ჩერდება? ეგეტ ღარიბი კაცის ბრმა ბედით რა განზე იყურება! მაგასაც უნდა გამოვეკიდო? ნეტავ სიკვდილსაც უნდა დავედევნო, თუ ის მაინც ინებებს და თავად მეახლება კარზე?

იჰ, რა სასაცილოდ ციმციმებენ ვარსკვლავები! ნეტა რას მეთამაშებიან! აგე, მგონი ენას მიყოფენ, თვალს მიპაჭუნებენ. რა უნდათ ჩემგან? მე რომ მათი ენა არ მესმის! იმათ კი ესმით ჩემი? არა, ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს ვერ გავუგებთ.

ეჰ, რა დროს ეგენია, აი გაიჭროლა ერთმა ვაგონმა, ორმა, სამმა. აქამდე ნეშინოდა. ეხლა თითქოს თავისუფლად, რაღაც უცნაური რწმენით გავრბივართ. ვიცი ადვილად შევახტები. ნაძალადეგში ვარ გაზრდილი. სადგურზეც ბევრი მიხტუნავია.

აი, მოახლოვდა კიბეც. ვისკუბე და ხელი შევავლე. კინაღამ მომიცდა. მამა მომეხმარა და ბურთივით შემისროლა ზევით. ავედი.

მამა კი მომდევს. ცდილობს გაიღიმოს, მაგრამ უხილავი ტკივილით ემანჭება სახე. ორთქლმავალმა გაივია და თითქოს ჯიბრზე სიჩქარეს უფრო მოუმატა. მამა ველარ მორბის, თავს ველარ ერევა. — ჩამოვხტები, დავრჩეთ, — ვყვირი. ხელს მიქნევს, ჩამოხტომა არ გაბედო.

ნერვიულმა ცახცახმა ამიტანა. მივხვდი, რომ მამას შეეშინდა. მაინც თავგან-

წირვით მორბის. ვიცი, თუ შეგეშინდა, არ უნდა შეახტე. შიში ცუდი საქმეა, შიში ძნელია.

კიბეს გადავეციდე და ვიცქირები. დავინახე, მამამ როგორ მოავლო კიბის სახელურს ხელი, მაგრამ სხეული ვეღარ აიტანა. რა არის ეს, მართალია თუ მეჩვენება? მატარებელი მიჰქრის, მამა კიბეს მობლაუჭებია და მოსთრევს ვაგონს.

სისხლი თავში ამივარდა. მამა მეორე ვაგონის ბოლო კიბეზეა. უნდა ვუშველო. რით? კარებს ვაბრაახუნებ. არ ვიცი, არ ესმით თუ არ მიღებენ. წუთები კი გადის.

უცბად ყვირილი გავიგონე. მამა ყვირის. ჩემი მამა!

დაყოვნება აღარ შეიძლება. კიბიდან თვალისდახამხამებამზე გადავედი ბუფერზე, ვაგონის კედელზე შევეულ კიბეს მოვეჭიდე და წამსვე სახურავზე გავჩნდი. გადარეული მივრბივარ. ქარი ისე ძლიერ მიტყვამს, ლამის გადამაგდოს. თავი აღარ მახსოვს. მესმის მამის ყვირილი და ცივი ქარის მოთქმა.

როგორც იქნა მივალწიე ვაგონის ბოლოს. იმდენი დრო აღარ არის კიბეს ღაცვე, ბუფერი გავიარო და მეორე ვაგონის კიბეზე შევცოცდე. ამიტომ ვიშვირე ფეხი და ვაგონიდან ვაგონზე გადავხტი. რალაც სასწაულმა გადამარჩინა. დაცემისას მუხლი დავკარი და შარვალი გადამეფხრიწა. წამოვიწიე. ტკივილმა გამაჯავა. ასკინკილა მივრბივარ. ფეხი ისე მტკივა, ლამის ვიღრიალო. მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ. მამის ხმა თანდათან სუსტდება. როგორც იქნა მივირბინე ვაგონის ბოლომდე. მოვდივარ მამა, მოვდივარ, — ჩავძახე და კიბეზე დავეშვი. მგონი გაიგო მამამ ჩემი ყვირილი, რადგან ზევეთ ამოიხედა. ის იყო ჩავსრიალი კიბეზე, რომ რალაცამ მომქაჩა. შარვლის ტოტი წამოსდებოდა. მტკივანი ფეხი მოეწიე, რათა შარვალი გამეგლიჯა, მაგრამ დასუსტებული და დაღლილი ვეღარ მოვერიე. სასოწარკვეთილმა მოვიხედე. მამა ორიოდ მეტრზე იყო ჩემგან. ნეტავ მოვასწრო როგორმე, ხელს მოვკიდებ და...

ხმა არ გამივია. ვიგრძენი მხოლოდ, ვაგონი თითქოს წაბორძიკდა. მივიხედე. მამა აღარ იყო კიბესთან. მივხვდი, რაც მოხდა. აქამდე თავშეკავებულმა, ესლა ისეთი დავადრიალე და ვაგონის კედელზე ისე დავარახუნე მუშტები, რომ კარი მაშინვე გააღო კონდუქტორმა* და დამიყვარა:

— რა ამბავია, რა მოხდა?..

— მამა, მამა, — ვღრიალებდი და ბორბლებს ჩავცქეროდი.

სადგურიდან ოთხას მეტრზე გააჩერეს მატარებელი. ხალხი წვილ-კივილით მირბოდა შემთხვევის ადგილისაკენ. მე მაინც ვერაფერს მასწრებდა. არ მახსოვს რამდენი ვირბინე. მგონი მთელი საუკუნე. რატომღაც მეგონა, მამა ხრამში ეგდებოდა. ამიტომ ლიანდაგზე კი არა, ბეჭობზე მივრბოდი. ჩემი ვარაუდით, როცა მამის ჩამოვარდნის ადგილს დავუახლოვდი, ისევ ლიანდაგზე ავედი. სირბილის თავი აღარა მქონდა. ძლივსლა მივლასლასებდი. უცბად რალაცას ფეხი წამოვკარი. შევჩერდი. მოვბრუნდი. დავხედე. თითები მოვუსვი. შევღრიალე და ხელი დავტაცე. მამის მკლავი იყო. გავიუებულმა ის მკლავი გულში ჩავიხუტე და წინ წავედი. ხუთიოდ ნაბიჯზე ქვიშა სველი და აზელილი დამხვდა. ვეღარ მივბედე მისვლა. შემეშინდა.

ხალხის ტალღამ მთვარეულივით მიმიყვანა. დაკუწული მამა ფერშეცვლილ ქვიშაში იყო გაგლეხილი. მხოლოდ თავი დარჩენოდა უვნებელი.

ვილაცამ ფარანი მოიტანა. მამას სახეზე დავხედე. შიშნარევი ღიმილი გამქრალიყო. თვალები ღია ჰქონდა. იმ თვალებით უცხო კაცი შემომცქეროდა და

* ძველ დროს ვაგონის გამცილებელს კონდუქტორი ერქვა.

თითქოს მსაყვედურობდა, რატომ ჩამოხვედი მატარებლიდან, სახელოსნოებში დაგაგვიანდებო.

არაფერი მითქვამს. უღონოდ ჩაიკეცე და გონება დავკარგე.

7

თვალი გავახილე. ჩემს სახლში ვარ. ჩემს ძველ, ჭრიალა ტახტზე ვწევარ. თავი ისე მაქვს დამძიმებული, მგონია ტყვია ჩაუსხამთ. საფეთქლებში რაღაც მიკაკუნებს. შავი კომპარი გულზე მწვავე მარწუხებს მიჭერს. არ ვიცი რა მოხდა. აღარაფერი აღარ მახსოვს. ვიცი მხოლოდ, რომ მამა აღარ მყავს. ჩემი მამა. ჩემი მშობელი, საწყალი, უბედური მამა.

მარტო ვარ. ოთახში ნესტისა და ობის სუნი დგას. ალბათ ასე იწყება ობლობა.

ნომბრის ცივი ღამეა. ვილაც კეთილმა ადამიანებმა მომიყვანეს აქ, ჩემს სახლში, მაგრამ ვაი რომ აქაც ვერ ვიპოვი სიმშვიდეს.

ქვეშაგებში თითქოს ჭიანჭველები დარბიან. გატეხილი ფანჯრიდან ქარა-შოტს აფთარივით შემოუყვია თათები და ყმუის. ეძაგძაგებ. სახლში დედაბოძიც არაა, რომ მას მაინც დაველაპარაკო. მარტოობა მხრავს, ხელ-ფეხს მიბორკავს და ფიქრის სახსარს მართმევს.

ღარიბ კაცს დარდის უფლება არა აქვს. შიმშილი ობლობაზე უფრო მძიმეა და ძნელად ასატანი. მალე გავდივარ ისევ სახელოსნოებში სამუშაოდ.

ზეინკლობას თავი გავანებე და საბოლოოდ გადავსახლდი დეპოში. ვანომ თავის შეგირდად ამიყვანა.

პატარა ბიჭი აღარა ვარ. დარდმა დამჯაბნა, მაგრამ ვერ გამთელა. ისევ წამოვდექი, გაჭირვებაში გაკეებული გული ისევ გავიმავრე და ბედს ქედფიცხლად გავებრძოლე.

დეპოში შედარებით თავისუფლად ვესუნთქავ. მართალია ბევრი ღამე გავტეხე, მაგრამ ყოველდღე უთენია მაინც არა ვარ ასადგომი.

იქ, სახელოსნოებში აუარება ხალხი ირევა. იქ ყველას თავისი დარდი აქვს, მაგრამ ამდენ ხალხში ეს საერთო სევდა ისეა გათქვეფილი და ზღვასავით გაღვრილი, რომ მას უკვე ადამიანური სახე დაჰკარგვია და უსახო მაჯლაჯუნად ქცეულა, მუშების ოფლიან ზურგს ზედ დასწოლია. აქ, დეპოში ეს დარდი დაქუცმაცდა, დანაწევრდა და ყველამ, მემანქანემ და მისმა შეგირდმა, ბრიგადირმა და ოსტატმა, მეისრემ და დისპეტჩერმა, ყველამ ვიცით ვის რა გვადარდებს, რა გეტკივა. ვიცით, რომ ვანოს ცოლი ძალიან ხშირად ორსულდება და ვანო საგონებელშია ჩავარდნილი. კირილეს ფეხი სტკივა, უჯოხოდ ძლივს დადის, მაგრამ ყავარჯენს მაინც არ იკარებს, რადგან დეპოდან მაშინვე გაავადებენ. მოხუც მეისრეს — ესტატეს, რძალი შინ აღარ უშვებს და ისიც ღამეს ჩიხში დაყენებულ ვაგონებში ათევს. და კიდევ ვინ იცის ვის რა სტკივა, რა აწუხებს და რა უტკირს.

მეც ჩემი დარდი და საფიქრალი მაქვს, მაგრამ მალე მუშაობამ ჩამითრია და ყველაფერი დამავიწყდა.

ჩემი მემანქანე ვანო სიტყვაძუნწი კაცია. ის არასოდეს არ მეუბნება რა როგორ გავაკეთო. მუშაობის დროს მთელი ყურადღება მისკენ უნდა მქონდეს, ხოლო თუ შეცდომა მომივა, მაშინვე უსიტყვოდ გამისწორებს, მუნჯურად დამანახევებს, როგორ უნდა გაკეთდეს რიგიანად. მეც არა ვარ დიდი ყბელი და მოლაპარაკე, ამიტომ ხანდახან მთელი დღე ისე გავა, რომ ცალ სიტყვას არ გავცე-

ლით მე და ჩემი მასწავლებელი. სამაგიეროდ ყველაფერს კარგად ვითვისებ და სულ მალე ქებასაც ვიმსახურებ.

ორი წელი დღიურ თანაშემწედ ვმუშაობ. სამ წელიწადს კვლავ ჯიბესავითა ვარ მიკვრებული ვანოზე, მაგრამ უკვე „გაფორმებული“ თანაშემწე მქვია. ოცდობრი წლისა გავხდი და ძლივს მელირსა მემანქანის რკინის ჩემოდანი* მოეცათ ჩემთვის.

ნელ-ნელა მიცურავს წლები, თანდათან თავს ვლუნავ, ვიდრეიკები და ჯანთან კისერს მძიმე ცხოვრების უღელქვეშ ვდებ.

ნაძალადევი ჩემი კბილების ფერი დაავიწყდათ მეზობლებს.

8

შუა მაისია. თბილმა, უჩვეულოდ წყალუხვმა წვიმებმა ხევი მოადიდა და ნაძალადევი ერთ ღამეს ისეთი ნიაღვარი მოვარდა, რომ სახელდახელოდ შეხუხულავეებული სახლები სულ იოლად მოგლიჯა და ბუმბულივით აათამაშა თავის მღერია ტალღებში.

ლოგინიდან პირდაპირ წყალში მოვხვდი. ერთბაშად გამოვფხიზლდი. ნიაღვარი უცხო ხილი არაა ჩვენს უბანში და არ დავხსენებულვარ. სხვა არა იყოს რა, მტკვარზე ვარ გახრდილი. მხარული მოვუსვი და მალე ნაპირზე ავბობლდი. მუხლები გადამეყვლიდა. სისხლი მდის. მცევა და მაძგაძგებს.

რალაც დაგდებული ყვირლი მესმის. არ მიკვირს, რადგან ამ ბნელ ღამეს ხევი და ნაძალადევი სავესეა ყვირილითა და წიოკობით. ყვირილი განმეორდა. მივხვდი, ვილაც ითხოვს შევლას. თვალებს ვაჟყეტ, თავს ძალას ვატან, რომ სინელებში რამე გაეპრჩო. მალე თვალი მოვკარი, ჩემვან ორმოციოდ ნაბიჯზე ვილაც იქნეს ხელებს. სიცივისაგან ისე ვძაგძაგებ, რომ სიკვდილია ჩემთვის წყალში მეორედ შესვლა, მაგრამ ის ვილაც ისე გულსმოძველად კივის, რომ საკუთარი გაჭირვება მაგიწყდება და წყალში ჩავდივარ. მიჭირს. წელან ვერ ვიგრძენ და თურმე ძალიან დაედლიღვარ. რის ვაიუშველებელით მივალწეი და იმ ვილაცს თმაში ვტაცე ხელი. როგორც კი დასახრჩობად განწირულმა მშველელი დაინახა, ორივე ხელით მკლავზე მომჭვიდა და უფრო ძლიერ აყვირდა.

ნიაღვარი მატულობს. მე მხოლოდ მარცხენა ხელი მაქვს თავისუფალი და ცხადია, ამ ცალი ხელით ორი ადამიანი ნაპირამდე ვერ მივალწევთ. ვანჯღრევ, ვუყვავებ, ხელი გამიშვი-მეთქი, ვერ ვაგებინებ. სხვა გზა არა მაქვს, მარცხენა, თავისუფალი ხელი გავიქნიე და ლოყაზე მკვანე სილა გავაწანი. მან შეჰკივლა და ორივე ხელი სახეზე იტაცა. დრო ვიხელთე, კვლავ თმაზე მოვეჭიდე და ნაპირისაკენ გამოვწეი.

რალაც მორი დავინახე. სიხარულით ავბობლდი და არაქათგამოლენული გავედინაპირზე. ისიც გავიყვანე.

ბევრი წყალი ჩაუყლაპია. სულს ძლივსა ითქვამს. ვაბრუნებ, ლოყებსა და ყურის ძირებს ვუხეღ. მალე უნდა წავიდეთ, თორემ აქ გავიყინებით. სიარულის თავი აღარა აქვს. ზურგზე ვიკიდებ და ნაცნობ მეისრის ჯიხურისაკენ მივდივარ.

მეისრე გამომეგება. ჯიხურში შეგვიყვანა. ფარანი აანთო. ჩახუთული სითბო იდგა. ამან მალე მომალონიერა. ჩემი „ტივითი“ ტახტზე დავასვენე და მე თავით დავუჯექი.

* ძველ დროს მემანქანეებს ჰქონდათ მომცრო რკინის ჩემოდნები, სადაც ინახავდნენ საჭმელს, ინტრუმენტებს, ფორმულიარებს და სხვა ტექნიკურ დოკუმენტაციას. ამ ჩემოდნით შორიდანვე შეიძლებოდა მემანქანის ცნობა. მათ გარდა ასეთი ჩემოდნის ტარების უფლება რკინიგზაზე არავის ჰქონდა.

ასე ჩამძინებოდა. ტანსაცმელი ზედ შემშრობოდა. როცა თვალი გაუახილე, უკვე დილა იყო. მიმოვიხედე. ჯიხურში მარტო ვიყავით, მე და ის, გადარჩენილი. სიბნელეში მართალია მისი სახე ვერ დავინახე, მაგრამ ვგრძნობდი ახალგაზრდა ქალი იყო. ეხლა ერთი სული მქონდა მენახა.

ჯიხურში ბნელოდა. კარი გამოვადე და ტახტისაკენ შემოვბრუნდი. სახტად დაერჩი. ტახტზე თექვსმეტობედ წლის ათქვირებული გოგო იწვა. გულისპირი ჩახეოდა და საუსე ძუძუები სანახევროდ მოუჩანდა. წითელი, ოდნავ შესიებული ტუჩები ახალ ჭრილობასავით უღვივოდა. მაღალი, თეთრი ყელი მოედერებინა და ტახტზე ისე მიწოლილიყო, რომ ერთი ადამიანი კიდევ დაეტეოდა.

დაღლილს, ნატანჯს და დაძაბულობისაგან მოთელილს ბევრი აღარ მიფიქრია, იმ მზეთუნახავს გვერდით ფრთხილად მივუწევი. არ მინდოდა გამეღვიძებინა, მერჩინა მის გვერდით გაყუჩებული ვგდებულყავ, მისი სხეულის სითბო მეგრძნო და ამ ნეტარებაში დამესვენა.

არ შევხებოვარ, მაგრამ რის ქალი იყო, რომ არ ეგრძნო ჩემი სიახლოვე. თვალები გაახილა. ერთხანს ვერ გამოერკვა სად იყო, მერე ყოველივე მოაგონდა და გაშიღმა. გული ამიჩქროდა. მზად ვიყავი ასეთი ღიმილისათვის ასჯერ გადავეარდნილიყავ წყალში და ასჯერ გადამერჩინა იგი. მერე თმაზე ხელი გადამისვა და მომიალერსა. თავს ძლივს ვიკავებდი, მხურვალე ძუძუები ჩემს შიშველ მკერდს ეგლისებოდა, წითელი, ღაღანა ტუჩები თრთოდა რაღაც ჯერ შეუცნობი მოლოდინის ნეტარებით. ხელი მოვხვიე, მთელი სხეულით ძლიერ მივიკარი და შმაგად ჩავკოცნე. მიპასუხა. მუხლებში უცბად ისეთი საოცარი სისუსტე ვიგრძენი, რომ განძრევის თავი აღარა მქონდა. ერთხელ კიდევ ვაკოცეთ ერთმანეთს. რაღაც ხმაური მომესმა. ფეხზე წამოვხტი და კედელს ავეკარი. ჯიხურში მეისრე შემოვიდა.

— რა ბედზე გადარჩი, შვილებო, — თქვა მან. — ეს რა უბედურებაა, ხალხო, ერთი კარში გაიხედეთ, რა ამბავია!

ჩვენ უსიტყვოდ გავიხედეთ და მალე ჯიხურიდანაც გავედით. ახალგაზრდობის ბრალი იყო ალბათ, რომ მასპინძლისათვის მაღლობის თქმაც კი დაგვავიწყდა.

9

ზოგი ჭირი მარგებელიაო და იმ უბედურმა ღამემ მე ბედნიერება მომიტანა. ჩემს ბაბეს შევხვდი. ისიც ჩემსავით ობოლი იყო და მალე ერთმანეთის მზე და მთვარე გავხდით. რალა ბევრი გავაგრძელო ჩვენს სიყვარულზე, ასეთი დიდი, წრფელი და ალალ სიყვარული, ჩემი ფიქრით, მარტო ღარიბებს შეუძლიათ. ჩვენ დღემდე არ მოგვებზრებია ერთმანეთი, არა იმიტომ, რომ ისევ ღარიბები და უსახლკარონი ვართ — ჩვენი სიყვარულის პირველი დღეები ისეთი მძივე და გულისდამხრავი ცხოვრებით ავზილეთ, რომ მერე ვერაფერმა ვერ შესძლო იმ დუღაბის დამსხრევვა, იმის დავიწყება და განელება.

ახლა დაღეულ, დაბერებულ ბაბეს შევცქერი და ვერაფრით ვერ დამიჯერებია, რომ ეს ნაოჭის აბლაბუდა მის ყვრიმალებზე და ღაწვებზეა გადაშლილი... თვალწინ მაინც ის ბაბე მიდგას — თექვსმეტი წლის მოსხლეთილი გოგო, ნებიერად რომ იწვა ჯიხურში. მე იმ მოგონებით ვცოცხლობ არა იმიტომ, რომ მას მერე ამხელა ცხოვრებაში სხვა სიამე და სიტკბო აღარ მახსოვს, არამედ ის პირველი კოცნა იყო ნამდვილად ცხელი და ძლიერი.

რა საჭიროა გიამბოთ მეორე დღეს რა მოხდა? ჩემი ისტორია ჩვეულებრივია იმ ძველი გვარდიელებისათვის, ჭაბუკური გზნებით რომ შევს რევოლუცია,

მის შუბლმაგარ გრდემლზე გამოიწვრთნენ, ნათელი პატიოსნებით გამოიარეს ვრცელი ცხოვრება და ასევე უცოდველნი მივიდნენ თავიანთი სიცოცხლის მწუხრთან.

რა საჭიროა ავწერო ის გაფიცვები, რომელიც ეხლა ყველა სახელმძღვანელოში სწერია. ავწერო მასობა მლაშე ტბებზე, მგზნებარე ჭაბუკი ჭრელი კაშნეთი, პირველი რევოლუციის შფოთი და დაისი, მსოფლიო ომის ცეცხლი და სისხლი, მერე თებერვალი და ოქტომბერი... მენშევიკები, საბჭოები... და ყველაფერი ის, რაც გავიარეთ ჩვენ, მამებმა. ბევრი იყვნენ კარგი ბიჭები, ძალიან ბევრი... ზოგი სოკლეს, ზოგი დასაჯეს უსამართლოდ და სამართლიანად. მე გადავრჩი და დღემდე მოვდები, არა იმიტომ, რომ ყველაზე კარგი ვიყავი, არამედ სრულიად შემთხვევით. ისე, როგორც დასაზვერად წასული რაზმიდან ამბის მომტანად მხოლოდ რამდენიმე დაბრუნდება. ასე დავბრუნდი მეც. სამამულო ომში კიდევ „გამიღობა“ ბედმა და მხოლოდ ორი მძიმე ჭრილობა მაქმარა. შემეძლო მაშინვე „პენსიაში“ გაესულიყავ, მაგრამ მე ძველი გვარდიელი ვარ და ასე იოლად არ ვტოვებ ბრძოლის ველს... ომის წინ და მერეც, აი უკვე ოცდაათი წელია მუხათხევეში ვცხოვრობ. დღეგამოშვებით ამ გზაზე მატარებელი დამყავს. აქ თვითეთლი კენჭი ნაცნობია, თვითეთლი ხე თუ ჩირგვი. ხალხს ხომ ნულარ იკითხავთ. დილას და საღამოს გავუქროლებ ჩემს სახლს. ბაბემ იცის მატარებლის გავლის დრო. გამოვა ბაქანზე და იმ ხუთიოდე წუთში, სანამ ორთქლმავლის ვეება მუცელი წყლით იესება, ხოლო მგზავრები ამით სარგებლობენ და არბი-ჩამორბიან ვაგონებზე, ჩემი ბაბე კალათით გამოიშტანს ჯერ საუზმეს და მერე სადილს. ვახშამს უკვე შინ შევექცევი ხოლმე. ასე გრძელდება აგერ ოცდაათი წელია. ჩემი მატარებელი ყოველთვის ჩერდება ბაქანზე წყლის დასამატებლად, მგზავრები სარგებლობენ რა ამით, ადი-ჩამოდიან ვაგონებში და მე ყოველთვის მეგებება კალათით ხელში ჩემი ბაბე, ახლა დამკვნარი, მოტეხილი, მაგრამ წინანდებურად სანატრელი და საყვარელი.

10

ეჰ, მეგონა ვიყავი და თურმე აღარ ვარ. მოვიდა ის დალოცვილი „მოხუცებულობის“ პენსია. ხაშურის დეპოში მითხრეს მუნდირი ჩაიცვი და „საზეიმოდ“ მორთულ-მოკაზმული მოდიო. რა მეზეიმება. ისე ვარ დაღონებული, დანა პირს არ მიხსნის. ბაბე მამხნეებს. ნაძალადევად იცინის, მაგრამ ვამჩნევ, თვალში ცრემლი უციმიციმებს. რას გამომაპარებს! ერთად დავვიღვია მწარე ცხოვრების სამსალა, ერთად გავგიწვია უღელი, ერთად გვიჭამია პური ამ გრძელი წელიწადების მანძილზე, აბა, ეხლა ცრემლს გამომაპარებს? დავჯაბნე თავი, გამოვეწყვე საზეიმოდ, მუნდირი ჩავიცი, ჩინ-მედლები დავიკიდე და ასე კედლის გაზეთივით გაპრანჭული ვზივარ მუხათხევეში, ჩემს ძველსა და საყვარელ სახლში და ველოდები. უნდა „წამიყვანონ“ თურმე. მე „იუბილარი“ ვარ, „არ მეკადრება“ ჩემი ფეხით წავიდე დეპოში, უნდა მოვიდნენ და წამიყვანონ, როგორც დავდრომილი კუტი. ბაბესაც ახალი შალის კაბა ჩაუცვამს, ჩემს წინ დამჯდარა, დაღლილი, ნაწური ხელები მუხლებზე დაუწყვია, თვალეებში შემომცქერის და ჩემსავით ელოდება.

მალე მოვიდნენ. მანქანაში ჩავესვეს და ხაშურში ჩავიყვანეს.

კლუბში მიღეთის ხალხს მოუყრია თავი. ყველაფერი ისე ბრწყინავს, თითქოს დიდი ზეიმი იყოს. თბილისიდანაც ჩამოსულა ხალხი. ყველა ჩემი ნაცნობია. მიცინიან, მოკრძალებულად გზას მითმობენ, ჯანმრთელობის ამბავს მეკითხებიან, თავს მეველებიან, თან წამდაუწუმ მეუბნებიან, დაბრძანდით, არ დაიღა-

ლოთო. რად უნდა დავბრძანდე, ხალხო! მთელი ცხოვრება ფეხზე გავატარე, ზე-ზეურად მეძინა და ვჭამდი, ამოღამებული თვალებით გავცქეროდი ბომბებითა და გუთნით გადათხრილ მინდვრებს, მუხლი არ ჩამიხრია, არ დამისვენია, და ეხლა, როცა ყველაფერი დამშია მოსული, როცა უფრო დიდ ლოდს უნდა შევეჭიდო, რადგან მომცრონი უკვე კარგახანია უკან მოვიტოვეთ, ეხლა დავბრძანდე? ჯერ არ დავღლილვარ, თავი დამანებეთ — მინდა დავიძახო, მაგრამ მცხევნია ამდენი ხალხი გავაწბილო და მეც, როგორც „ძალიან დაღლილი“, რბილ სავარძელში ვჯდები. მე სცენაზე ვარ, ბაბე დაბლა, პირველ რიგში ზის და შემომცქერის, შემომცინის თვალებით, შემომციცინებს.

სინათლე ჩააქრეს და დაიწყეს სიტყვები.

რამდენი ლაპარაკი შესძლებიათ, ხალხო!

ეს ეინა ვყოფილვარ, ბიჭებო! რევოლუციონერიო, ძველი მუშაო, ცნობილი მემანქანეო... ესაო... ისაო... იმდენს ლაპარაკობენ, რომ სირცხვილით სახეზე აღმური ამდის, ბაბეს თვალს ველარ ვუშართავ, რაღაცა ძალიან მალა შემისროლეს და ღრუბლებში დავფრინავ... მე ღრუბლებში ნაეარდს არა ვარ დაჩეული და მინდა მალე ჩამოვბობლდე მიწაზე...

მადლობა ღმერთს, გაათავეს.

ეხლა ბანკეტიო, თქვეს და წამიყვანეს. ბაბე ფეხდაფეხ მომდევს. ძველი ჩვეულებით ის ვერავის „ანდობს“ ჩემს თავს, კალათაში საჭმელი ჩაულაგებია, ილიაში ჩემი გახეხილი, პრიალა რკინის ჩემოდანი ამოუჩრია და მობაკუნობს, მობაკუნობს ჩემი ბაბე...

ბანკეტზე სულ ააბუქეს. სვამენ, მღერაინ, ცეკვავენ. ველარ გავძელი, ავდექი და გამოვედი

მივდივარ. უკან ჩემი ბაბე მობაკუნობს კალათითა და ჩემოდნით.

კარგხანს ვიარეთ. მერე ერთ ბნელ ქუჩაზე შეეჩერდით, ბაბეს ჩემოდანი გამოვართვი, ვიცი, ჩემი სამუშაო ხალათი არ დაავიწყდებოდა. ამოვიღე ის ხალათი ჩემოდნიდან და ნაჩქარევად გავიხადე ჩინ-მედლებიანი მუნდირი... არა, მე ასე ჯინჯილებით არასოდეს მივლია, მე მუშა კაცი ვარ და ნუ გეწყინებათ, ბიჭებო. ჩავიცვი სამუშაო ხალათი, ჩემოდანი ილიაში ამოვიჩარე და გზა განვაგრძე.

მივდივარ. არ მეკითხება საით დამიდვია თავი. არასოდეს არ უკითხავს ამდენი წლების მანძილზე. იცის იქ წავალ, სადაც თავად წავიდოდა ეხლა.

გავიარეთ განათებული ქუჩები, მოედანი, ხეივანი. სადგურში მივედი.

ალარ მახსოვს რამდენი ხანია აქ. სიხარულმა გამომაჩერჩეტა თუ სიბერემ? მგონი შეიღია, ჰო. ლაპლაპებენ მატარებლები. ბზინავენ ელმავლები. „თბილისი-მოსკოვი.“ „თბილისი-სოხუმი.“ „თბილისი-ბათუმი.“ ვუყურებ ელმავლებს და თითქმის პირველად ვხედავ. არა, მე ელმავლებზე არ მიმუშავია. არ ვიცი მათი მართვა. მე ჩემი სიცოცხლე ორთქლმავალზე ვიყავი. ამიტომ ცოტა არ იყოს მაკვირვებს ასეთი სიმშვიდე და სისუფთავე სადგურში. არ ქმინავს ჩემსავით გამურული ორთქლმავალი. არსად არ ყრია ქვანახშირს. საცეცხლურში არ გიზგიზებს ცეცხლი. ყველგან ახალი ტექნიკაა, თავისი სიძლიერით, სილამაზით და გარეგნული სინატიფით.

დაფიქრებული შევყურებ ელმავლებს, თვალებში ღარდი მიგუბდება.

— დაებერდით, დაძველდით, აღარავის ვუნიღვართ, — ვჩურჩულებ გაფთხრებული.

სადგურიდან გამოვედი და დეპოში დავბორიალობ. ერთი თვეა, რაც უკვე

აღარ ვმუშაობ. ჩემი ორთქლმავალი, ჩემი ძველი — № 105 — დიდი ხნის ჩამოსაწერი იყო, მაგრამ ჩემი ხათრით არ იმეტებდნენ. მე ხომ ის შვილივით მყავდა მოვლილი და ასე იოლად როგორ გადავაგდებდი. ესლა ალბათ ჯართად გადადნობენ, — ვფიქრობ და ჩიხში ვეძებ „ჩამოწერილ“ ორთქლმავლებს.

მალე მივაგენი. ძველი, ჩემსავით ნატყვიარი და დაცხრილული, სულ უკანასკნელ ჩიხში გამოუტეციათ. ფრთხილად მიეუახლოვდი, მძიმედ, ხვწმით ავედი კიბეზე. ორთქლმავალში ნესტი, სიცივე და მარტოობა დამხვდა. ასანთს გაეკარი. მკრთალი სინათლე ოდნავ ანათებს მუხრუჭს, რევერსს, რეგულატორს, საცეცხლურს. თვალი მოვკარი ბაბეს სურათს. ეს სურათი ორმოცი წელია აქ არის. ქაღალდი გაყვითლებულა, ნაპირები შემოხევიდა, დაძონძილა. მაინც ანათებენ ბაბეს თვალები... შევკრთი. ხმელი, გაშეშებული თითები მოვუთათუნე სურათს, მინდა ჩამოვხსნა, მაგრამ გადავიფიქრე. ცრემლმორეული ვათვლიერებ ირგვლივ ყველაფერს. ხელისგულებს ვუსვამ, ვეთხოვები. ჩამქრალ ორთქლმავალზე საყვირს ხმას რა ამოაღებინებს, მაგრამ ხელი მაინც ჩამოვკარი სახელურს. მის ნაცვლად იქვე, ყურისძირში მბზინავმა ელმავალმა დაიბუბუნა. ფანჯარაში გავიხედე. გაჩახახებული, კრიალა ელმავალი ჩუმი სისინით დაიძრა სადგურიდან და თან გაბრღვილებული ვაგონების გრძელი კუდი გაიყოლა. განათებული ფანჯრები და მოკიფე ნათურები გამომწვევად იცინიან, მათი ცეცხლოვანი შუქი რიგრიგობით შემოანათებს ჩემს ჩაბნელებულ ორთქლმავალში და ქრება. გაშეშებული ვდგავარ. აი ჩაიქროლა უკანასკნელმა ვაგონმა. ძლივს ჩამოვედი ორთქლმავლიდან. ბაბე იქვე მელოდება.

— აღარავის აღარ სჭირდება, — ვამბობ და მცირე ფიქრის მერე ვუმატებ. — აღარც მე ვჭირდება.

ბორბლებს ჩამოვუარე. ბანდაყებს, ხუნდებს ჩაქუჩით ვუკაკუნებ. ბუქსებს ჩაყვურებ. დახეთვა უნდა, თორემ ასე დაიფანგება.

ლიანდაგს დაეხედე და „ბაშმაკებს“ წაეწყდი. საგულდაგულოდ ჩაუწყვიათ ბორბლების ქვეშ წყვილ-წყვილი „ბაშმაკები.“ ნაწვიმარზე ისინი ჩაყანგებულა და ორთქლმავალი დაქედილსა ჰგავს, მისი ადგილიდან დაძვრაც კი აღარ შეიძლება.

— ეს რა უქნიათ, დაუბამთ? — ვიძახი გაკვირვებული. ესლა ორთქლმავლის ბოლოში მივბრუნდარ. იქაც „ბაშმაკები“ შეწყობილი.

— სადღა წავიდოდა ეს საცოდავი, — ვჩურჩულებ ხმადაკარგული, — რად უნდოდა დაბმა? — მერე თავს ვიმშვიდებ და ეშმაკურად ვიციანი. — ბებერია და მაინც ეშინიათ არ წავიდეს... ზი, ზი!..

რალაც, ჩემთვისვე გაუგებარი გრძნობით გახარებული ვიღიმები, მაგრამ წამსვე სახე მომელუშა, ბაბეს გადაეხედე და როყიოდ შეეუძახე:

— აბა ქალო, გადადი იქითა მხარეს, ეს „ბაშმაკები“ უნდა გადაეყაროთ.

— რას ამბობ დავით, რად გინდა? — გულწრფელად გაოცებულია ჩემი ბაბე.

— რატო დააბეს, სიკვდილის წინ რატო დააბეს?

— ვითომ არ იცი. გაჩერებულ ორთქლმავალს „უბაშმაკოდ“ აბა ვინ დასტოვებდა.

— შენ ყოველთვის ბევრი ჭრიჭინი გიყვარდა, ესლავე მოკიდე ხელი რომ გეუბნები, — ვუყვირი ცოლს.

ბაბეს არასოდეს არ ჰყვარებია ბევრი საუბარი, მაგრამ ესლა შემკრთალი და გაბრაზებული მაინც მიჯერებს. გადადის მეორე მხარეს და „ბაშმაკს“ ეჭიდება.

ლომი უნდა ამ სატიალეს. ბორბლები სანახევროდ ზედ შესდგომია და ცარიელი ხელით მისი გამოღება ისაა, რომ თითებით ნაკვერჩხლები ათამაშო.

ცალ მხარეს მე ვქშინავ და ცალ მხარეს ბაბე. ოფლი წურწურით ჩამოდის. ეატყობ, ბაბე დაიღალა, მაგრამ არ უნდა მაწყენინოს, ჩვენ ხომ მთელი სიცოცხლე ერთად ვწევდით უღელს...

ვუცქერი ბაბეს და ვხედავ, მის დამჭკნარ ლოყებზე კურცხალი მოგორავს. მე ოფლი მისველებს ბეჭებს. თითქოს ჯიბრზე შორიახლო ვილაცამ გაიარა და ჩაილიღინა:

ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ,

ყველა დაგიწყებს გმობასა...

— არა, არ დაუშახებ, — ვეურჩები თავს, — იტყვის მართლა ბერიკაციო... ხელები გადამეყვლიფა. ძვრაც ვერ ვუყავით „ბაშმაკებს“. ბაბემ ხელი უშვა და ლიანდაგზე ჩამოჯდა.

— რას გაჩერდი ქალო, რა პირი დაგიღია, — ცეკვირი მე.

ბაბე ადგა, მომიახლოვდა, ხელი მომხვია, დამიყვავა.

— ნუ დავით, ნუ! თავს ნუ იკლავ. არაფერი გამოვა. წავიდეთ შინ, გვიანა! მივხვდი, რომ დავიჩოქე. ბაბე ყოველთვის წინ მიმითითებდა, მამხნევებდა. ეხლა დათმობასა მთხოვს. მაშ ასეა საჭირო. დავბერდი და გზა სხვას უნდა დავუთმო.

ყელში სიმწარე მომაწვა. ისინი მაქებენ, მაღიდევენ, — ვიგონებ იუბილესა და ბანკეტს, — მე კი ეს „ბაშმაკი“ ვერ გადამიღია. — მაშ მართლა დავბერდი, ფარ-ხმალი უნდა დავყარო და სიკვდილს დაველოდო?

ნელა წამოვიმართე. მზხინავი, შავი, გრძელი ლიანდაგი ორი უშველებელი ხელივით გაწოლილა. ამ ხელებს თითქოს უნდათ მომეთათუნონ და დამეხმარონ. მე ვგრძნობ მათს იღუმალ გულისფეთქვას, მაგრამ არ მინდა ამ დახმარების მიღება. ნამდვილი ჯარისკაცები უცრემლოდ სტოვებენ ბრძოლის ველს. დაე, ახლა ჩემზე ყოჩაღებმა იომონ!

— ყოჩაღებმა? — ვკითხე საკუთარ თავს და უმაღლ შევესწორე: — არა, ახალგაზრდებმა!

მარტო ვართ სახლში მე და ჩემი ცოლი. ნამდვილი ბებრული ამინდია. სამი დღეა ჟინელღავს. მეზარება გარეთ გავიდე. ბაბე ყურადღებას არ მაცლებს. ამდენიხანი შინ არასოდეს ვყოფილვარ. ყოველ დილით ესვამ ჩაის, მერე ვსვლე-პავ მაწონს, სადილად წვენს ვხვრეპავ და ვახშმად ბაბეს ღუღუნს ვუსმენ. არ მესმის რას ლაპარაკობს. ვიცი, ჩემი გართობა უნდა, მუხათხეველების ცხოვრებას მიახმობს, შექრულამ დეკეული დაკლაო, მართა საავადმყოფოში წაიყვანესო... კიდეც რაღაცას ღუღუნებს, სასიამოვნოდ ხვდება ყურს ეს მშვიდი და უღრტვინველი ღვრინი, ძილი მერევა, მაგრამ არ მინდა ბაბეს ვაწყენინო, თავს ძალას ვატან, თვალებს ვახელ და მოჩვენებითი ყურადღებით ვუსმენ. იმდენად გამიტაცა ამ თამაშმა, რომ ცოლს საუბარი გავაწყვეტინე და ვკითხე: — მოიგო? ბაბემ შეიცხადა: მართა როგორ მოიგებდა კაცო, გააჩინა ბავშვი! ენა მოვიკენი-ტე. რა მინდა, რატომ ჩემს ქერქში არ დავეტევი, ვიჯდე გაყურსული და თავი მოვაჩვენო, რომ ვუსმენ, არა სჯობია? როგორც არ გინდა თქვი და სასიამოვნოა, დღლილი ძელები და მოთენთილი სული, წვიმიან ამინდში ცოლის უეშ-

მაკო საუბარს რომ უსმენენ. რაღაც ზიარებასავით არის, თითქოს სულიან-ხორციანა იწმინდება ადამიანი. ამ დროს, ხანდახან ჩათვლემაც კი შეიძლება, ცალი თვალთ მანძი. აი ასე, სახეზე ხელს ავიფარებ, მაგიდას ნიდაყვით დავეყრდნობი და ჩათვლემ... ბაბე მანჯღრევს, თურმე კარგახანია მძინავს. აღეკი, თავს რაზე იკლავ, ქვეშაგები გაშლილია, მოისვენეო. თვალბდახუჭული პატარა ბავშვით მივბრატუნებ საწოლისაკენ, ვიხდი და ვწევი. ძილ-ღვიძილში ვარ, მაგრამ მესმის ბაბე კიდეც ღიძხანს დაფათურობს ჩემს თავთან. მუთაქას მისწორებს, ბალიშს ნელა მჯიღს სცემს, მე ხომ აფუმფულავეებული ბალიში მიყვარს, საბანს გვერდებზე მიეცეცავს, პარიქა არ გადაიხადოო, მერე სკამს მოახრიგინებს და ზედ ჰქია წყალს დგამს. ასე აკეთებს ბაბე ყოველ ღამე, როცა შინა ვარ, პაუ, უკვე რამდენი წელიწადია. ეხლა კი ამ მზრუნველობას რაღაც დედური სითბოც მიემატა, პატარა ბალღით მანებვირებს. ეს რაღაა ხალხო, მპინავს, მაგრამ მესმის ბაბეს ღიძინი. იავენანს ხომ არ მიმღერის? არა, თავისთვის რაღაცას დუღუნებს, მგონი შვილზე და რძალზე ფიქრობს ხმამაღლა, ამ ფიქრს ჟღარუნა ღიძინთან ახვევს, ეს ღიძინი ტკბილ ბუჩქანად მელამუნება გულზე, რაღაც ზღაპრით მსუბუქ და სანატრელ დვინში ვარ წასული.

ასე გაყუჩებული და გაოგნებული მხოლოდ დამდამობითა ვარ, დღისით თვალბდაცეცებული დავდივარ და პირლია შევეყრებ ხელმარჯვე ბიჭებს, ასე დანდობილა რომ დგამენ მაღალი ძაბვის კოშკებს და საკონტაქტო ხაზი გაჰყავთ. ვიცი, დღეს თუ ხვალ ამ გზაზე ელმავალი ივლის. იმიტომ „გამოგვრეკეს“ ბებრები. რაღა დროს ჩვენი სწავლა და ახალი ხელობის „დაუფლებაა.“ აი, მერაბი კი ალბათ პირველი დაჯდება ელმავალზე, ტყუილად ხომ არ გაიარა ამდენი „კურსები...“

ელმავლები ივლიან მუხათხევზე... ეპ, სადღაა ჩემი გამურული ორთქლმავალი. მშენებლებს კბილს ვუსინჯავ, რატომღაც ავიხირო და ყველას ვეკითხები, ჩვენი ბაქანი დარჩება თუ გააუქმებენ. თუმცა ეს ხომ ნამდვილი ბაქანი არც იყო! ელმავალს კი აღარ დასჭირდება წყლის დამატება. იქნება ჩვენი ბაქანიც იმ დიდ სადგურს შეუერთონ და აქ, მუხათხევში მატარებლები აღარ გაჩერდეს? რა მესაქმება ყოველივე ამასთან, — ვუჯავრდები საკუთარ თავს. მე ხომ პენსიონერი ვარ... რატომ ვჩქარობ. ალეო და ხვალეო... დამთავრებენ ხაზს და მერე ვნახოთ.

არ ვიცი რატომ და ვერ წარმომიდგენია ჩემს ბაქანზე მატარებლები აღარ შეჩერდეს. მაშინ რატომღაც უბილეთო მგზავრს დავემსგავსებდი, რომელიც რევიზორმა შუა გზაზე ჩამოსვა და მატარებელმა კი არჩეინად განაგრძო გზა. არა, მე ასე არ მინდა. არ მინდა და გათავდა.

იქამდე კი, მთელი დღეები ბაქანზე დავბორიალობ, არ ვასვენებ მუშებს, რომელთაც საკონტაქტო ხაზი გაჰყავთ, მუხათხევლები კი მე არ მასვენებენ. მე ვარ მათთვის რკინიგზის „ცნობათა ბიურო“. მე მეკითხებიან ისინი ოცდაათი წელიწადია ყველაფერს, რაც კი რკინიგზას შეეხება და ახლა პირველი დღეებია, როცა მიჭირს პასუხის გაცემა. ვგრძნობ, სადღაც განზე დავრჩი. ცხოვრება დიდი, გრძელი მატარებელი ყოფილა, ის თავაწყვეტილი მიპქარის დედამიწაზე. ჩვენ, ადამიანები მისი მგზავრები ვართ. იმ დიდსა და გრძელ მატარებელს სადაც მოესურვება იქ ჩამოგვავაშს. მეც ჩემთვის განკუთვნილ ბაქანზე ჩამოსვლა. თვითონ კი გზა განაგრძო ღრიალითა და ქშენით, ვაითა და ვიშით. ჩვენ ჩამოვალთ და ნაღვლიანი თვლებით გავცქერით მატარებლის კუდს, რომელიც საცაა გორაკს მიეფარება. გორაკის იქით სხვა მგზავრები ავლენ, ისინიც ირაზრაზებენ ერთხანს და მერე მათაც ჩამოსვამენ. ჩამოსვამს ის, გულქვა რევიზო-

რი — სიბერე. და ასე, რიგრიგობით ყველა ადის და ჩამოდის იმ მატარებელზე. ის კი, დიდი, როხროხა, ძლიერი და მქშინავი მიჰქრის და მიღელავს, მიანგრევს მთა-ბარს, არც დრო აქვს და არც ხალისი უკან მოიხედოს. უკან რომ მოიხედოს წინ გზას ასცდება და სადმე ხევში გადაიჩეხება. ამიტომ სულ წინ და წინ უნდა იაროს. ჩემისთანა მგზავრი ბევრია, უთვალავი, და მათი ნაღველი იმ თავაწყვეტილ სრბოლასთან შედარებით სასაცილო და პაწაწინა ჩანს. ის მატარებელი არ უნდა გაჩერდეს, ჩვენ კი — ჯანდაბას! — ვამბობთ თვითული და სევდას გულში ვიკლავთ.

არ უნდა გაჩერდეს, — ასე ამბობს გონება, მაგრამ გულს რა მოეუხერხო? გულს ხომ ვერ ვუბრძანებ, ვერ დავძინებ, ჩარჩოში ვერ ჩავსვამ. გული უბაგუნებს და უბაგუნებს. სისხლი საფეთქლებში სცემს და მეკითხება დაუსრულებლად: რატომ ჩამოვედი იმ მატარებლიდან, რატომ? მერე რა, რომ მოვხუცდი... ვილა არ მოხუცებულა, მაგრამ გული ხალისით საგვს დარჩენია. დაისვენო... განა ეს დასვენებაა? ის, დიდი ზოროხა მატარებელი მინდვრებში თავაწყვეტილი მიფრინავდეს, მე კი ჩეროში ვიჯდე და მაწონი ეჭამო? მეც იქ მინდა, იქ, — გუბუბუბებ და მთელი სხეულით ვთრთი. ვიცი ეს უკვე აღარ შეიძლება და ჩემი საკუთარი უმწეობა მუხლებში მკვეთს, დაღონებული მივფარება შინ, ჩემს ბაბესთან...

12

ერთ მშვენიერ დღეს მერაბი გვეწვია ცოლ-შვილით. ბიჭი უკვე წამოჩიტული ჰყავს, ვაჟას თვალეზში მზე უცინის, ისე გვევლება თავს, თითქოს მისი საფიცარი მხოლოდ ჩვენ ვიყოთ.

მერაბი ცნობილი მემანქანეა ხაზზე. მძიმე წონის მატარებლები ისე დაჰყავს — როგორც ოცდაათი წლის წინ თავისი სამთვლიანი ველოსიპედი დაჰყავდა სიცილით, ხალისით და უღარდელად.

გუყურობ და მინდა ვიტყვო. არა, ამდენ სიხარულს ვერ დაიტევს გული. რა ვუყოთ, რომ მთლად მე არ დამემგვანა, ჩემსავით ერთი „ტელეგრაფია“ არა აქვს და ტამბურში არ ათევს ღამეებს. გორში სამოთახიანი ბინა აქვს საუკეთესო ავეჯით გაწყობილი, საღამოთი რატინის პალტოს იცვამს და ლურჯ, რბილ შლაპას იხურავს. ცოლი ჰყავს მზექალა — ენაჭიკიცია და ტკბილმოუბარი. რამდენჯერაც არ მივედი, ბეთხოვენზე და შოსტაკოვიჩზე მელაპარაკება... „მონათლებს“... მე ილიკო ქუჩხელისათვის მომისმენია, გორელი ბიჭების ჭიდაობა მინახავს... „სატიფზე“ მიმდერია. აბა, სად მე და სად ბეთხოვენი... მოკლედ, ბიჭს ოჯახი საათივით აქვს აწყობილი. ავ თვალს არ დავნახება, ისე მტრედებით არიან ჩაღულუნებული... მაგრამ რამდენიც არა მთხოვეს ჩვენთან გადმოდი და იცხოვრეო, გულმა არ გამიშვა. რა ექნა, მე ჩემი ცხოვრება სხვანაირად გაატარე. მეუბნებიან, მაშინ ქვეყანას უჭირდაო, ეხლა ხალხი კარგად ცხოვრობს, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი უნდა იყოსო. ვინ არის ამის წინააღმდეგი. რევოლუცია აბა რატომ მოვიტანეთ საკუთარი მხრებით? რევოლუცია ამათვის, ჩვენი შვილებისათვის მოხდა. ჩვენი შვილები რომ ბედნიერი ყოფილიყვნენ. მე მშვიერი ვიყავი, დაჩაგრული, ლუკმა პურისათვის ვიბრძოდი. საკმარისია. ამათ მაინც იცხოვრონ ადამიანურად.

მაგრამ მე მაინც ჩემი უძილო ღამეები მირჩევნია, ჩემი სიმყუდროვე, ჩემი ბაბე... მე აქ, ჩემს სამყაროში თავისუფალი ვარ — ხარირემივით ლალი და მყვირალა... ჩვენ ყველამ ჩვენი საქმე გავაკეთეთ. დამაცადონ, ჩემს სიბერეს თავად შეუუდგე მხარში და ბოლომდე მივიყვანო...

ერთი კვირის მერე უჩვეულო გამოცოცხლება დაეტყო მთელ ხაზს. კოშკებში რა ხანია იდგა, საკონტაქტო ხაზი გადაჭიმეს და საცდელადაც ბევრჯერ გაიარ-გამოიარეს. ღღეს კი პირველად უნდა გაეველო ხალხით დატვირთულ მატარებელს.

მიტინგი გორში დანშვნეს. მე არ წავსულვარ, მუხათხევეში ვიჯექი და მოჯადოებულებით ვმკითხოვდი, როგორ და რანაირად გაივლიდა ელმავალი ამ ძველ, შეჩვეულ და მრავალტანჯულ გზაზე. გავიგე, პირველი ელმავლის გაძლოლის პატივი მერაბისათვის მიეცათ... ნეტა ეგ იყოს კარგად, — ვთქვი ჩემთვის, — ჯანდაბას ჩემი თავი.

მთელი მუხათხევი ბაქანზე გამოიშალა. მოვიდა ვერცხლის წყალივით ცქეტი, მოუსვენარი კალთები, არტელში მშენებლობის ბრიგადირად რომ მუშაობს. მოვიდა მჭედელი სერებრიაკოვი. ჩემი თანამემამულე, კასპელი მახარაშვილი... ყველანი მოვიდნენ. ჩემი ბაბეც გამოვიდა. გულისფანქვალთ შევხედე ცოლს, რაღაცას ველოდი და ამისრულდა. ბაბეს ის ჩემი ძველი, რკინის ჩემოდანი გამოგეტანა... ვიცოდი ელმავალზე არ გამოადგებოდა და არც იკადრებდა ჩემი შვილი, მაგრამ რახან მე ასე მიყვარდა, მეგონა რომ...

მუხათხეველებს პურ-მარილი გაეშალათ, ვაშლი და ლეღვის ჩირი, არაყი, ხაზინგინები, კეთილი ღიმილი... გოგო-ბიჭებს — პირველი იები. ველოდით ყველანი, თავისებურად. მე და ბაბეს ვიცოდი რა გვინდოდა... სხვებს კი, ზოგს ყოველდღე სჭირდებოდა მატარებელი, ზოგი სავაჭროდ დდიოდა, ზოგი შვილისა და ნათესავის მოსაყითხად და ვინ იცის კიდევ ვის რა ეღო გულში და რაზე ფიქრობდა.

ვღელავდი. თმა ორთქლმავლის შავ ბოლში გამითეთრდა და არასოდეს იმდენი არ მიღლევია, რაც იმ მზიან დილას. ბაბეც ტუჩებმოკუმული იდგა და გამტკნარებული გასცქეროდა გზას.

გამოჩნდა ელმავალიც. მზის სხივებზე ლურჯად მგზინავსა და ელვარეს ვაგონების გრძელი კუდი მოსთრევდა. ორჯერ მეტი, ვიდრე მე დამყავდა ხოლმე.

მატარებლის დანახვაზე გოგო-ბიჭობამ ყიყინა დასცა. რამდენიმემ ლიანდაგზეც აირბინა, მაგრამ მოზრდილები ქეჩოში სწვდნენ და ბაქანზე დააბრუნეს.

ელმავალი სწრაფად მოდიოდა. მე ეს მაშინვე შევნიშნე. შემშურდა, სიზარტელე გითხრათ. მე ასეთი სისწრაფით არასოდეს არ მივლია. არც ბოლი იყო, არც ღვრიანი და ზანზარი. ძლიერ, მაგრამ წყნარად და ტყბილად მოსრიალებდა.

წაქცეული ვერხვი გზის მარჯვენა მხარეს კარგად მახსოვდა. მე იქ ყოველთვის დამუხრუჭებას ვიწყებდი. ვერ იქნა და ის ვერხვი ვერ გადასჭრეს. თუმცა მე ეს ერთი მხრივ მახარებდა. ბოლოსანს თვალი მატყუებდა, ხანდახან ბაქნამდე მანძილს რიგინად ვერ ვზომავედი და ეს წაქცეული ვერხვი რომ არ ყოფილიყო, ალბათ კარგად ვერ მივაყენებდი მატარებელს. მგზავრებს ლიანდაგზე უნდა ერბინათ და ისე აბობლებულიყვნენ ვაგონებში. როგორც კი ჩავუჭროლებდი ვერხვს, მუხრუჭს ვიღებდი და ჩუმად, ზოზონით შემყავდა მატარებელი ბაქანზე..

შევნიშნე, ელმავალს სისწრაფე არ დაჰკლებია. ვერხვს კარგახანია გამოსცდა. დრო იყო. რაღას უცდიდა მერაბი?

ჩემს მეტი, რა თქმა უნდა, ვერავინ ხვდებოდა და ხალხი ისევ კრიამულობდა. ბაბეს შევხედე. სახე გაფითრებოდა. მას არასოდეს არ უთქვამს, რომ იცო-

და ვერხვის სანიშნობელი და ჩემი მუხრუჭების ამბავი, მაგრამ რის ბაბე იქნებოდა, რომ ეს არა სცოდნოდა. აკი ერთხელ ველარ მოითმინა და ჩემ გასაგონად წაიჩურჩულა:

— არ გაჩერდება.

მე კი ისევ იმედი მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილი თვალისათვის ცხადი იყო მატარებელი არ გაჩერდებოდა, მე მაინც ელმავლის ძლიერ მუხრუჭებზე ვფიქრობდი, მას ნაკლები მანძილი უნდა გასაჩერებლად, აი დაუკლო კიდეც სიჩქარეს, აი ჩერდება...

ელმავალი საცაა შემოვიდოდა ბაქანზე. ვიგრძენი თვალი მატყუებდა. მატარებელი ისევ ისე მოჰქროდა.

მატარებლის სიჩქარით ავარდნილმა ქარმა ერთი ნაბიჯით უკან დამწია. ლურჯმა ელმავალმა ჩაიქროლა და მას მიჰყვა მწვანე ვაგონების რიგი. ერთი, ორი, სამი, ათი, თხუთმეტი... რა ღონიერია ეს ელმავალი — გამიელვა ფიქრმა, — რა სწრაფად მიდის...

მატარებელი არ გაჩერდა ჩემს ბაქანზე. კარგად დავინახე, ელმავალმა რომ გაიქროლა, მერაბი ფანჯარაზე გადმოეყუდა და ღიმილით დაგვიქნია ხელი. გულმა რეჩხი მიყო. თვალეებში ერთბაშად წამომებრა ცრემლები. მე და ბაბემ, თითქოსდა შეთანხმებული ვყოფილიყავით, ჩემოდანი და კალათა ძირს დავდგით, ერთმანეთს შეშინებული მივეკარით და მატარებლის შმაგ ქარში გახვეულები გავშეშდით.

მომავონდა წინაღლეების ფიქრი და წუხილი და ესლა უკვე რაღაც რწმენით ანთებულმა წავიჩურჩულე:

— ჩემისთანა მგზავრი ბევრია, შვილო! ჩვენი სისხლით და სიხარულით, ჩვენი დარდითა და ტკივილებით მოვედით აქამდე. ჩვენი ნაღველი მაგ თავაწვევით სრბოლასთან შედარებით სასაცილო და პაწაწინა ჩანს. ეგ მატარებელი არ გაჩერდეს, შვილო, ჩვენი თავი კი — ჯანდაბას! — ჩავიქვითქვითე და მეუღლეს ცრემლი რომ არ შეემჩნია, შინ შევევარი.

ჩაიქროლა მატარებელმა. ბორბლები დგანდგარებდნენ, ღიანდაგი რეკდა და ზუზუნებდა ფოლადის ზარივით. ხმა თანდათან მისუსტდა. შორს, ძალიან შორს ელმავალმა დაიბუბუნა, მერე ის ხმა ნელ-ნელა ჩაიწვა, ჩაიფერფლა და გაუჩინარდა.

მატარებელი წავიდა. დავრჩით მე და ბაბე, ჩემი ბაბე, ჩემი თექვსმეტი წლის ათქვირებული გოგო...



ავაზიკ ისააკიანი

რამენაში

არარატზე წუთის მსგავსად
დაუხედავთ საუკუნეთ,
და გაუვლიათ.

დასცემია მეხი დასად
მის ბროლის თავს დაუთრგუნველს;
და გაუვლია.

ბევრი მოდგმის თვალთა ელვა
მოხვედრია დიად მწვერვალს,
და გაუვლია.

ჯერი ახლა შენზე არის,
შენც მიაპყარ წამით თვალი,
და გაიარე.

თარგმნა ალექო შენგელიამ



ელიზე ჩაჩენი

მოგავლისაჲ

სულს შფოთიანი სიმღერები
მზისაჲნ დეენის,
სავსეა იგი
ძლიერი დენით...

და ჩემს სულს ახლა
დაეარქმევდი რადიოსადგურს,
ამაჲად რომ დგას ქვეყნისა და ხალხის
წინაშე,

არარატივით
მაღალსა და ვეეებერთელას
დაკორძებული ფესვები აქვს
მიწის წიაღში.

ამ ქარიშხლიან და მღელვარე,
ნათელ დღეებში,
მილიონის და მილიონის
გულისთქმას ვმღერი,
მომავლისაჲნ დიდი სწრაფვა, —
ეს არის ხვედრი,
ეს არის ხვედრი
დღევანდელი ჩემი სიმღერის.

აი, რად არის დღეს ჩემი ხმა
ასე ურყევი,
გამარჯვებული, პირდაპირი,
ქედმოუხრელი:
აი, რად ვდგავარ,
როგორც კოშკი ეიფელისა...
ოცდამეერთე საუკუნის

ბჰესთან და ზღურბლთან,
მარჯვენას ვაძლევ ადამიანს
ყველა ფერისას
და ცხელი მზის ქვეშ
მთელი ტანით ვმღერი და ვსუნთქავ—

დღეს ჩემი სული
სადგურივით ათენებს თეთრად,
ყველას გულეებში
აღმოდებულ სიმღერებს გზავნის
და ყველა გულის.
დიდი გულის, რომელიც ფეთქავს,
მუდამ და ყველგან
მარადისი ვარ თანამგზავრი.

ხმაურობს სული,
რადგან სულში ცეცხლი ხმაურობს,
მისი სიმღერის ნაპერწკალი
არის წითელი,
ის არასოდეს არ ყოფილა
უსიყვარულოდ,
რადგან სიცოცხლის
მარადიულ ცეცხლით ინთება.

დღეს, როცა ქვეყნად
საყვარელი ქალები ქრიან,
მე რა ვიქნები, მიწის ტრფობა
თუ ველარ შეეძელ...
ფრთებით ვატარებ
ამ ანთებულ დღეების ბრიალს
და ურჩ გრიალში მილიონთა

სიმშვიდეს ვეძებ.
სიმღერას ახალს
ქვეყანაზე აბა ვინ მოშლის,
დედამიწაზე
მხოლოდ ერთმა აზრმა შეგვყარა,
ყვითელ ტიბეტში,
ლონდონში და სანფრანცისკოში
ახალ სიმღერით გაიჰქეოს
უნდა ქვეყანა.

მაღაროებო,
ქარხნებო და სტეპებო ვრცელო,
ძმებო და დებო,
გეკითხებით მრავალის მომსწრე:
ვის უნდა ჩვენში
აღესილი სიკვდილის ცელი,
ვის უნდა სისხლით გაჟღენთილი
სიმღერა ომზე!

არავის!
რადგან ჩვენ ვართ ხალხი უდიადესი,
ახალი,
მძლავრი,
მილიონი და უთვალავი.
ჩვენ უნდა მოვმკათ
კომუნისტთა აზრის ნათესი,
რადგან დღეს სწორედ ეს აზრია
ჩვენთვის მთავარი.

ვით რკინის დისკო
ვართ ნასროლი უდიდეს ძალით,
ჩვენს ქვეყანაში
ცხოველი მზის არის სუფევა,
დედამიწაზე, მეგობრებო,
არა გვყავს ცალი
და გაუმარჯოს
დედამიწის თავისუფლებას.

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა





ახმაზიკი ღაბუნა

სოფლის მხიჯახური

ავტობუსი სოფელ მარმარიკის ცენტრში გაჩერდა დიდი, ბებერი კაცლების ქვეშ. ტოტზე ჩამოკიდებული იყო თუნუქის დაფა, რომელზედაც ყვითელი სა-
ლებავით ეწერა „ავტობუსის გაჩერება“. მეზობელი სოფლიდან ახლახანს ჩამო-
სული ხის ქვეშ ვიდექი და ვფიქრობდი, როგორ მოვეცეულიყავი. ამ დროს მა-
ღალი, ჩასკვნილი და მომდიმართვალეებიანი მამაკაცი მომიახლოვდა.

— გამარჯობათ! — მომესალმა იგი, თან გრძელ და მსხვილ ულვაშებზე
ისვამდა ხელს.

— გაგიმარჯოთ, მამილო, — თავაზიანად ვუპასუხე.

— ალბათ ავტობუსს უცდით?

— დიახ.

— იგვიანებს. მთელი ღამე თოვდა. გზა დაანამქერა. წავიდეთ ჩვენთან,
გათბები, დაისვენებ.

— გმადლობთ, მამილო.

— რისთვის მიხდი მადლობას, ვერ გამიგია?

— მიპატიებებისათვის.

მან ხელმკლავი გამიყარა, როგორც ძველმა ნაცნობმა.

— წავიდეთ, წავიდეთ. შემდეგ ერთად გავემგზავროთ ქალაქში.

— თქვენც ქალაქში მიდიხართ?

— დიახ, ქორწილში ვარ დაპატიჟებული, ცოტა შეუძლოდა ვარ, მაგრამ
მაინც უნდა წავიდე.

— ვისთან მიდიხართ?

— ფრონტელ ამხანაგთან, იგი ძმაზე უფრო ახლობელია ჩემთვის. კარგი
ადამიანია. რუშანი ჰქვია. იქნებ იცნობდნენ რუშან ნავასარდიანს?

— არა, არ ვიცნობ.

— კალატოზია. ვაჟიშვილი კი — მასწავლებელია, ვაგინაკი ჰქვია. ომის
წლებში სულ პატარა იყო. მამას გულისჯიბით დაჰქონდა მისი სურათი. ამო-
იღებდა, დახედავდა და ამოიოხრებდა. „ეჰ — ერთი ვაჟიმარჯვებდეთ და ვაგინა-
კის ქორწილს მოვესწრებოდ“ აი, აუხდა ოცნება ჩემს ძმას. დრო გადის. წავი-
დეთ ჩვენთან. ავტობუსი მოვა, ხმას გავიგონებთ. უჩემოდ მაინც არავითარ
შემთხვევაში არ წავა.

— რატომ?
— ბევრი ბარგი მაქვს. ქათმები, გოჭი, ღვინო. გევომ იცის ეს.
— გევო ვილა?
— გევო — ჩემი ნათლიამის ბარსეგის შვილიშვილია. ავტობუსის შო-ფერი.

მან ისევ მომწია მკლავზე.

— დამდე პატივი და წამოდით ჩვენთან.
— გმადლობთ, არ მინდა თქვენიანების შეწუხება.
— ჩვენები იმდენი არიან, შენ ვერც გაიგებ რომელი შეწუხდება, წავიდეთ, ხომ გავიგია ანდაზა: „სასურველი სტუმარი — სახლის სიხარულიაო“?

— მადლობელი ვარ, მაგრამ რადგანაც ავტობუსი იგვიანებს, უმჯობესია წვერს გავიპარსავ.

— შენი ნებაა. თუ წამოსვლა დააპირო, არ მოგერიდოს. აი ჩვენი სახლი, ვისაც არ უნდა ჰკითხო: ბიძია შაქარა სადა ცხოვრობსო — ყველა მოგასწავლის. ჩემს სახელზე ნუ გაგეცინება. ამბობენ, იმ წელს დავბადებულვარ, როდესაც შაქრის გასაჭირი იყო, ჰოდა, მღვდელმა ასე მომნათლა თურმე, ასე, რომ მიდიხარ ბუღბუღთან.

— ბუღბუღი ვინ არის?

— ჩვენი პარიკმახერი.

— ბუღბუღი ჰქვია?

— ნამდვილი სახელი ხნკანოსია, მაგრამ ხუმრობით ეძახიან ბუღბუღს.

— რატომ?

— მიხვალ და თავად მოგიყვება. რომც არ გინდოდეს, მაინც მოგიყვება. იცოდე ავტობუსზე არ დააგვიანო. ლაპარაკს რომ დაიწყებს, გამაგრდი, დაიწყებს მარმარიკიდან და დაამთავრებს ამერიკით. რუკას — თითს არ აშორებს, რადიოს — ყურს, მომსვლელს — თვალს.

— ეტყობა პარიკმახერი ბუღბუღი ძალზე ცნობისმოყვარე ადამიანია.

— ძალიან, — დამემოწმა შაქარა და უღვაშების გრეხით გზას გაუდგა. ავიღე ჩემი ჩემოდანი და წავედი საპარიკმახეროსაკენ, რომელიც სულ რამდენიმე ნაბიჯზე იყო. კაკლებიდან გარკვევით მოსჩანდა აბრა, რომელზედაც უზარმაზარი მაკრატელი და სამართებელი ეხატა.

ხნკანოსს სათვალეები ეკეთა და გაზეთს კითხულობდა. როგორც კი დამინახა, იმწამსვე ადგა, გაზეთი დაეცა და გვერდზე გადადო.

— დაბრძანდით.

მე დავჯექი სკამზე. მან ხელები ოდეკოლონით გაიწმინდა და თავაზიანად შემეკითხა.

— რას ინებებთ? წვერი გაგპარსოთ?

— და ცოტათი თმაც შემისწორეთ.

— სიამოვნებით. — სთქვა მან და სათვალეები სარკის გვერდით დადო.

— არ შეგეშინდეთ. სათვალეებს მხოლოდ კითხვის დროს ვხმარობ. ბოდიში, თქვენი საჩელი?

— ანუშვანია.

— ასეთი ჩვეულება მაქვს, სანამ არ გავიგებ მომსვლელის სახელს, რაღაც უხერხულად ვვარძნობ თავს, ერთი სიტყვით, მთელი მუშაობა ფუტყად ჩამივლის. ესე იგი ანუშვანია. კარგი სახელია. მე კი ხნკანოსი მქვია.

— ვიცი.

— ვინ გითხრათ?

- ძია შაქარამ.
- აა. შაქარამ. გეტყოდა. მეტი არაფერი უთქვამს?
- მითხრა.
- მაინც რა გითხრა?
- მითხრა, რომ სოფელში თქვენ ბულბულს გეძახიან.
- მარტო ჩვენს სოფელში რომ მეძახდნენ, რა უშავს, მთელს რაიონში ბულბულს მეძახიან.
- მერე და რატომ შეგარქვეს ასე?
- როგორ, შაქარას არ უთქვამს?
- არა.
- არ გითხრა და მე გეტყვი. ცოტა სიმღერა ვიცი და ხუმრობით მეძახიან ბულბულს.
- ხნკანოსი მარჯვედ, ჩვეული მოძრაობით მუშაობდა და დაბალის ხმით გა-
ნაგოძობდა:
- მომიტევეთ ამხანაგო ანუშავან, რა კეთილი საქმისთვის ჩამობრძანე-
ბულხართ ჩვენს მხარეში?
- გუშინ მეზობელ სოფელში ლექცია წავიკითხე.
- მასრუტში?
- დიახ.
- სამწუხაროა, რომ არ ვიცოდი. რის შესახებ წაიკითხეთ ლექცია?
- შეიღწლიან გეგმებზე და სომხეთის ელექტროფიკაციის ამოცანების შესახებ.
- ჩვენს რაიონულ ელექტროსადგურზედაც გქონდათ ლაპარაკი?
- რასაკვირველია.
- სამწუხაროა, სამწუხაროა, რომ არ ვიცოდი. ცოდეა გამხელილი ჯობს, ამხანაგო, ანუშავან, მე ლექციების დიდი მოყვარული ვარ, სიგიჟემდე მიყვარს ლექციების მოსმენა. ნამდვილად. განსაკუთრებით საერთაშორისო მდგომარე-
ობის შესახებ. რას იზამ — ყველას თავისი სუსტი მხარე აქვს.
- ეს შესანიშნავია. თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ ამით.
- ბოდიში, ამხანაგო ანუშავან, სამართებელი ხომ არ გაწუხებთ?
- მიგზავდი, რომ მას საუბრის თემა უნდოდა შეეცვალა. ეტყობა არ უყვარდა
შექება.
- შესანიშნავი სამართებელია.
- ეს-ესაა მოვლესე. პირდაპირ ნაპერწყმებს ყრის. ეს სამართებელი კი არა პარუნ ალ რაშიდის მახილია. ნამდვილად. ამხანაგო ანუშავან, ჩვენს სო-
ფელში არ წაიკითხავთ ლექციას?
- თქვენთან სხვა წაიკითხავს.
- იცით, ჩვენ სოფელში ჩვენი შეიღწლიანი გეგმა გვაქვს. ეს გეგმა კი არა, ნამდვილი ზღაპარია, თუ მეტი არაფერი.
- მე სარკეში ვხედავდი ხნკანის მეოცნებე სახეს. თვალები უბრწყინავდა.
- დიახ, ზღაპარია. გაოცდებით, როდესაც ახალი სოფლის გეგმას გაეცნო-
ბით. მარმარიკი — მარმარიგრად აღიქმება. კულტურის სახლი, სასტუმრო, ახა-
ლი ბაღები!.. ყველას რა ჩამომათვლევინებს. პირდაპირ სამოთხე იქნება, თუ
მეტი არა. ლამის გული სიხარულისაგან გასკდეს. რა ბედნიერებაა, ახალ ცხოვ-
რებას რომ ვხედავთ. სიმართლე უნდა გითხრა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე
გვყავს ძალიან კარგი, ოქრო აღამიანია, მეტი თუ არა. დღე და ღამ კოლმეუ-
რნეობაზე და გლეხებზე ფიქრობს. საბჭოს თავმჯდომარეზე არაფერს ვიტყვი.

მასზე მთელი რაიონი ლაპარაკობს. ჩვენი თავმჯდომარე ქალია. აი, მესმის ქალი! ატომური ენერგიაა, თუ მეტი არა. მე თვითონ, ოსტატი ხნკანოსი, ვკანკალებ მის წინაშე.

— რატომ?

— ახსნა არ შემიძლია. მებრძოლი ქალია! თავის დროზე ფრონტზეც კი იყო, გმირია. მარცხენა ხელი არა აქვს. სოფსაბჭოს მდივანი კი კაპიკად არ ღირს. ფუჭი კაკალია. მაგრამ არაფერია, ჩვენი თავმჯდომარე დღეს თუ არა ზვალ — გაისტუმრებს. მიტომაცაა იგი სანამი.

— სანამი ჰქვია?

— დიახ. კარგი თავმჯდომარე და კარგი დედაა. გაამოთ, — თქვა ოსტატმა, როდესაც პარსეა დაამთავრა.

— გმადლობთ. შეიძლება თქვენთან დავიცადო, სანამ ავტობუსი მოვა?

— სიამოვნებით. აი ინებეთ ახალი გაზეთი, ჟურნალები.

— ხელს ზომ არ შეგიშლით?

— ისე იყავით, როგორც საკუთარ სახლში.

— ეს წარწერა?

— რომელი?

— „გაიპარსე — წადი“.

— ეს „უვარგისებისთვისაა“.

— ვისთვის?

— უვარგისებისთვის. ჩვენც გვყავს რამოდენიმე ზარმაცი და უქნარა. არ მოგცილდებიან. მოვლენ. დაჯდებიან და მოყვებიან ათას სისულელეებს. აი მიყვარს. მაგალითად ოფოფ-ჟორა ნამდვილად თვალში მოსახვედრი სარეველაა.

— ვინ?

— ოფოფ-ჟორა.

— რატომ შეარქვეს ასე?

— ერთ ადგილზე ვერ ჩერდება. დღეს ერევანშია, ზვალ კიროვაკანში, ზეგ კიდევ ვინ იცის, სად. ნამდვილი ოფოფია.

— საერთოდ რას აკეთებს?

— არც გონებით მუშაობს და არც ხელით როგორც ჩვენში ამბობენ ძროხა არაა რომ გამოწველო, არც ხარია რომ შეაბა.

— რამდენი წლისაა?

— წლოვანება არ ვიცი, მაგრამ რამდენიმეჯერ დაქორწინდა და განქორწინდა კიდევ. ყოველ საღატურში საყვარელი ჰყავს. რომ შეხედდე თითქოს კინოში იღებენო. პატარა წვერი აქვს მოშვებული, წვრილი ულვაშები, ბაყენბარდები. პირში კი პრიალა ჩიბუხი.

— მშობლები თუ ჰყავს?

— უმჯობესია ცოცხლები არ იყვნენ. ისინი არიან ყველაფერში დამნაშავენი. ბავშვებიდან ბაბებში ჰყავდათ გამოხვეული, ყველა ნება-სურვილს უსრულებდნენ, მოკლედ რომ ვთქვათ, თავიც დაიღუპეს და შვილიც დაღუპეს. ახლა კი ნანობენ, მაგრამ გვიანდაა. აღამიანი პატარაობიდანვე უნდა აღზარდო სწორად.

ოსტატმა ღუმელს რამდენიმე ღერი შეშა შეუმატა, ცეცხლი გაჩაღდა.

— ზედმეტი სახელიც შესაფერისი შეარქვეს, ოფოფი.

— ახლა სადაა?

— სოფელშია. ალბათ სადმე ზის და ნარდს თამაშობს. მალე გამოგვეცხადება. მოვა, არ დაგვეკარგება. ჩემით უკმაყოფილოა, დალაქს, მეჯლანეს მეძა-



ხის. ისე ვერ შეუკეთე ბაკენბარდები, როგორც სურდა და გამიბრაზდა. გეთაყვა, მითხარით, ჩვენს სოფელს ბაკენბარდები შეეფერება? მეფის დროინდელი მოდაა. მერე და ჩვეულებაც ცუდი აქვს. უფასოდ უყვარს გაპარსვა.

— მერე და თქვენც რატომ პარსავთ უფასოდ?

— აბა რა ვიცი. ყველაფერი უფასოდ უყვარს. სოფელში ნათლობაა — დაუპატიჟებლად მივა, ნიშნობაა — იქ არის, ქორწილია და — თამადის გვერდით ზის. არავინ პატიუებს — მაინც ყველგან მიდის. თავხედი მამალივით ყველგან უნისკარტებს. არასდროს არ უმუშავნია, ჩალის ღერი არ გადაუბრუნებია, ქვა-ქვაზე არ დაუდვია. ტყე რომ დაგვეწვას, არც ამოიოხრებს, ოღონდ ბაკენბარდები არ შეეტრუსოს. აი, ძაღლიც ხსენებაზე. მოდის!..

საპარიკმახეროს კარები ხმაურით გაიღო და შემოვიდა ახალგაზრდა კაცი. წვრილი ულვაშები და ბაკენბარდები ჰქონდა. თვალში მოგხედბოდათ ფარშევანგებითა და მძიმეებით მოხატული მისი ჰალსტუხი.

იგი თავაზიანად მომესალმა, ნელა ჩამოჯდა სკამზე და გრძელ თმებზე ხელი გადაისვა.

— აბა, ოსტატო ბულბულო, ხომ არ დამგვიანებია? — დაცინვით ჰკითხა მან.

ოსტატი დუმდა.

— ჩქარა, ოსტატო ბულბულო, დაიწყე შენი ხელობა. უმჯობესია ჯერ ის მითხრა, მკრელი სამართებელი გაქვს თუ ისევ ის შაჰ-აბასის დროინდელი დაბლაგული ნამგალი.

— როგორ გითხრა, მეფისდროინდელ ბაკენბარდებს მხოლოდ შაჰის დროინდელი ნამგალი ეკუთვნის.

— ყოჩაღ, ოსტატო ბულბულო! ვიცი, ჩემი ბაკენბარდები თვალში რომ არ მოგდის.

— არცაა მოსაწონი, მოდი მოგპარსავ.

— კი მაგრამ, შენ რას გიშლის?

— რასაკვირველია მე არაფერს მიშლის, ისე უსიამოვნო შესახედავია.

— შენც ნუ უყურებ.

— შენთვის იქნება უარესი, რომ არ შევხედო — სახეს გაგიჭრი.

— როდის მოვშორდები შენისთანა დალაქებს! კარგია, დიდხანს აღარ მომიწევს ცდა.

წავს ცდა.

— ნებას დამრთავთ, გკითხოთ, საით გაგიწევიათ?

— შორს!

— ყამირზე?

— ჯერ კი არ გავგიჟებულვარ?

— შენი აზრით, ვინც ყამირზე მიდის ყველა გიჟია?

— თითქმის.

— დაფიქრდი მაინც, რა ხდება ქვეყანაზე.

— გეყოფა! უჩემოდაც იფიქრებენ ქვეყნის ბედ-ილაღზე. მე, არც მინდა ვიცოდე რა ხდება ქვეყანად.

— გაზეთებს რომ კითხულობდე — გეცოდინებოდა. აი შეხედე — ოსტატმა რუკას დაადო თითი. — ყურადღებით შეხედე.

— ეგ რა არის?

— ქვეყანა.

— რომელი ქვეყანა?

— კუბა.

— მოიცა, მოიცა, რამდენადაც მახსოვს, ყუბანი სხვა ადგილასაა.

— აი შე ჩერჩეტო! — გადაიხარხარა ოსტატმა — კუბა სულ სხვაა, ყუბანი კი სხვა. ყუბანი — ჩვენი მიწაა, კუბა კი იქაა, სადაც ამერიკაა. კარგად მიყურე.

— მერე თქვი, გიყურებ?

— გამიგონე. ახლა, როდესაც ჩვენ აქ ვსაუბრობთ და ამხანაგი ანუშევანი გვისმენს და გაოცებულია ჩვენი საუბრით, იქ — და მან ისევ რუკას დაადო თითი, — იქ ომია, სისხლი და სიკვდილი!..

ჟორამ მხრები აიჩეჩა.

— მერე და მე რა?

— მეც მაგას ვამბობ.

— ან შენ რა? მარმარიკიდან კუბამდე დიდი მანძილია.

— მაგას ნუ ამბობ. ადამიანის გული აუხნელია. აი მე, თან ვპარსავ, თან ოუკას ვუცქერი. ვუცქერი და გული მეკუმშება. რუკაზე ვხედავ ისე, როგორც კინოში. ყველაფერს, ყველაფერს ვხედავ.

— გამიგონე, — დაცინვით მიმართა ჟორამ, — თავი დაანებე ფილოსოფიას, გამორთე რადიო, თავი მტკივა.

— ახლა უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემენ.

— გამორთე!

— ხელს ნუ მიწლი! — მკაცრად უთხრა ოსტატმა — უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემენ.

— არ მსურს მოსმენა.

— შენთვის არც გადმოსცემენ.

...ოსტატმა თავი პატარა მიძღებისაკენ მიაბრუნა.

როდესაც დიქტორმა გამოაცხადა, კუბაში აჯანყებულებმა გაიმარჯვეს, ოსტატმა გაიღიმა და გახარებულმა მითხრა:

— გაიგონეთ, ამხანაგო ანუშევან? სიმართლემ გაიმარჯვა. ეს ხალხია!..

ჟორამ გაოცებით შეხედა.

— რა მოგდის ოსტატო ბუღბუღო? სიხარულით ლამის იცეკვო.

— შენ რა, არ გაგიგონია, თუ დაყრუვდი?

— არ მესმის.

— არ გაგიგონია? ჩვენებმა... ესე იგი ხალხმა გაიმარჯვა.

— მერე და შენ რა?

— ეგ როგორ? შენ უბრალოდ... რა გიწოდო, სახელიც ვერ მომინახავს.

— კუბაში ქორწილია, მარმარიკში კი დალაქი ცეკვავს! გეყოფა, ნუ გააჭია-ნურე, მორჩი პარსვას.

ოსტატმა სამართებული გვერდზე გადადო, გაიძრო ხალათი, მივიდა ლუ-მელთან და შეშის შემატება დაიწყო.

ჟორა გაოცებული უყურებდა.

— რა მოხდა?

— შენისთანებს მე აღარ ვპარსავ, — უბასუხა ოსტატმა და ლუმელის კარი მიხურა.

— ეს როგორ?

— უბრალოდ.

— ნახევარი სახე გამპარსე, მეორე ნახევარს ვილა გამპარსავს?

— ჩემი საქმე არაა.

— მომეცი საჩივრის წიგნი.

- საჩივრის წიგნი მე არა მაქვს.
 — კარგი!.. ფელეტონს დავწერ შენზე.
 — თუ გინდა, ნოტა დავწერე.
 ჟორა წამოხტა ადგილიდან, ხელები გაიქნია და იყვირა.
 — მე მოვითხოვ!
 — მოითხოვე!
 — მე მოვითხოვ! — გაიმეორა ჟორამ.
 — გაჩუმდი! — იყვირა უეცრად ოსტატმა.
 — შენ ვის უყვირი?... — გაბრაზდა ჟორა.
 — ვის და შენ.
 მე ჩავერიე მათ ლაპარაკში.
 — ამხანაგ ანუშეანის ხათრისთვის მეტს აღარაფერს ვიტყვი. წადი სანამ თავი მთელი გაქვს, თორემ საქვეყნოდ მოგჭირი თავს.
 — შენ იცი, მე ვინა ვარ? — ცხარობდა ჟორა.
 — ვიცი. ოფოფ-ჟორა ხარ. — წყნარად უპასუხა ოსტატმა.
 — კეთილი, მე შენ გაჩვენებ სეირს, საცოდავო დალაქო!
 ჟორა თითოთ დაემუქრა ოსტატს, და საპარიკმახეროდან გავარდა.
 ოსტატმა სარკესთან ჟორას ჩიბუხი შენიშნა, აიღო და კარებთან მივიდა.
 — წაიღე! — დაუყვირა მან, ჩიბუხი თოვლში ისროლა და მიუხურა კარები.
 — ღამეკარგე ავად და კარგად. გაიგონეთ, ამხანაგო ანუშეან.
 — ბინძური აღამინია.
 — ნამდვილად.
 — ხნკანოს, რა ჰქვია კუბელების მეთაურს? — იკითხა შემოსულმა გლეხმა და სარკის წინ დაჯდა.
 ოსტატმა არ უპასუხა. მუშტრის გასაპარსად ემზადებოდა.
 — მე დრო არა მაქვს. აი ამხანაგმა ანუშეანმა გიპასუხოს.
 — ფიდელ კასტრო.
 — როგორ?
 — ფიდელ კასტრო, — გავიმეორე მე.
 — კასტრო, კასტრო, — დამემოწმა ოსტატი. — ეს ამერიკელი ქოროლია. კარი გაიღო. ჟორა და ვილად მრგვალსახიანი მამაკაცი შემოვიდნენ.
 — ხნკანოს, აქ რა აყალ-მაყალი მოგივიდათ? — მშრალად შეეკითხა მრგვალსახიანი.
 ოსტატს თითქოს არ გაუგონიაო.
 — მე გეკითხები, რა მოხდა აქ? — გაბრაზებით გაიმეორა შეკითხვა შემოსულმა.
 — მე დაკავებული ვარ, ხომ ხედავთ ვპარსავ, — წყნარად, უპასუხა ოსტატმა — ეს თქვენი ნარდი კი არაა, თან ითამაშო და თან ილაპარაკო.
 — თავხედი! — აფეთქდა ჟორა. — ერთი შეხედვით როგორ ელაპარაკება სოფსაბჭოს მდივანს.
 — თავი დაანებე ყბედობას, — თქვა ოსტატმა.
 — შენ ჯერ კითხვაზე მიპასუხე, — ისევ ალაპარაკდა სოფსაბჭოს მდივანი — კაცი საბჭოში საჩივლელად მოვიდა.
 — ჩივის და — დაამაყოფილე, — ისევ წყნარად უპასუხა ხნკანოსმა.
 — რატომ გაპარსე ცალი ლოყა და მეორე კი არა?
 — ვნანობ, ის ერთი რამ გავპარსე.
 — ხნკანოს, ასეთ კილოზე ნუ მელაპარაკები.

- მე ყველას ასე ველაპარაკები. გაამოთ!
- გლეხი წამოდგა და ოსტატს ფული გადაუხადა.
- მდივანმა მრისხანედ მიმართა ოსტატს.
- დაამთავრე ჟორას გაპარსვა!
- შენ რაო, მიბრძანებ?
- არა, წინადადებას გაძლევ.
- მე არ გავპარსავ.
- გიბრძანებ.
- არ გავპარსავ! ნამდვილად.
- მე შენ გიბრძანებ სოფსაბჭოს სახელით.
- სოფსაბჭოს მე პატივს ვცემ, ამიტომ არ მინდა ასეთი ბრძანების შესრულება.
- მიზეზი?
- ყველას არ ვპარსავ. მე მიჩვევნია ბებია ცირანის თხას შევკრიპო წვერი და ოდეკოლონი დავაპკურო, ვიდრე მის ბაყენბარდებს შევახო ხელი.
- იცოდე, ინანებ!
- ნუ მემუქრები! შენც კარგად გიცნობ.
- რა გინდა მაგითი რომ თქვა?
- მეშინია, რომ გითხრა, გეწყინება.
- არ მეწყინება.
- თუკი არ გეწყინება, გეტყვი. შენი ყალბი ცნობები ვერ უშველის ჟორას.
- რაო? რა ყალბი ცნობები.
- მაგას ჰკითხე.
- თავხედი! — წაისისინა ჟორამ.
- ხმა გაიკმიდე! — ხმამაღლა იყვირა ოსტატმა.
- კარგი, მე შენ გაჩვენებ, როგორია ყალბი ცნობები, — თითოთ დაემუქრა მდივანი.
- მაგას სასამართლოში გვაჩვენებ, — სთქვა ოსტატმა და დაუმატა. როდის აქეთ გახდა ჟორა კოლმეურნე? სად ხნავდა და თესავდა? შენ თუ პატიოსანი აღამიანი ხარ, იმის ცნობა მიეცი, რომ იგი უქნარა და ოფოფია!
- დალაქო, შენს საქმეს მიხედ! — გააფთრებით იყვირა მდივანმა.
- მე რომ კარგი დალაქი ვყოფილიყავი, სანამ შენ ხმას მოგცემდი, მანამდე საკუთარი ხელი უნდა მომეჭრა.
- ჯერაც არ არის გვიან.
- არა, ახლა მოვიცდი, ამავე ხელით შენს წინააღმდეგ რომ მივცე ხმა.
- მდივანი და ჟორა გავიდნენ.
- ნახეთ, ამხანაგო ანუშვან, რა მდივანი გვყავს? იმის ნაცვლად რომ სარეველა ბალახი მოთხაროს, ფუთნის და წყალს უსხამს...
- შემოვიდა ძია შაქარა.
- მოვედი, შეგატყობინე, ავტობუსი მალე იქნება. ეს-ესაა სანამის მანქანა მოვიდა. გვეოს ხეობაში შეხედრიო. ოსტატო ბულბულო, ხომ არ აწყენინე ჩვენს სტუმარს?
- სამართებელი ისეთი მაქვს, როგორც ელვა.
- სამართებელზე არ გელაპარაკები. რამდენჯერ გადაფრინდი ამერიკაში?
- ამხანაგი ხნკანოსი შესანიშნავი მოსაუბრეა, — შევნიშნე მე.
- აბა მე წავალ, ბარგს გამოვიტან.

ძია შაქარამ სარკეში ჩაიხედა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და საპარიკმახე-როდან გავიდა.

— აი, ეს ნამდვილი გმირია! ქოროლია, თუ მეტი არა. რა არ გააკეთა, საღ არ იყო ომის დროს!.. ამის აღწერა მხოლოდ ჰორენაცს¹ თუ შეუძლია. კავკასიიდან ბერლინამდე ჩავიდა, ბერლინიდან — იაპონიის კუნძულამდე. გმირია! ნამდვილად. შეხედე ახლა იმ მდივანს და შეადარე ისინი. სხვადასხვა მთებია. მდივანი ლოთია. ტყუილად არ ამბობენ, ვინც ბევრს სვამს, არაფერი გამოუდისო.

— რატომ აირჩიეთ ასეთი კაცი მდივნად?

— თავიდან წესიერი კაცი იყო, შემდეგ მოეშვა, სმა დაიწყო, ოფოფს დაუ-მეგობრდა. კაცის საქმეს ვერ გაიგებ, ამხანაგო ანუშავან, ბოდიშს ვიხდი აურ-ზაურისათვის. ჩვენს სოფელზე ცუდ წარმოდგენას ნუ იქონიებთ. ჩამობრძანდით, როდესაც გენებოთ.

— აუცილებლად ჩამოვალ.

გაისმა მანქანის საყვირის ხმა.

— გევო მოვიდა!.. — თქვა ოსტატმა და კარებში გაიხედა.

გამოვეშვიდობე ოსტატს და გაჩერებისაკენ გავეშურე.

გზაზე გამახსენდა, რომ ჩემოდანი საპარიკმახეროში დამჩხა, უკან დავბრუნდი.

საპარიკმახეროს კარები გამოღებული იყო და რომ შევედი, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი თუ როგორ თბილოდა იქ.

ოსტატი მისჯდომოდა რუკას, ცხვირზე სათვალე დაემაგრებინა და დაძაბუ-ლი ათვალიერებდა. მას სულაც არ შეუძინევივარ. არ მინდოდა მისთვის ხელი შემეშალა, ფრთხილად ავიღე ჩემი ჩემოდანი და გარეთ გამოვედი.

...როდესაც ავტობუსი დაიძრა, საპარიკმახეროს კარებში ოსტატი გამოჩნდა იგი ხელს გვიჩვენდა და ბედნიერ მგზავრობას გვისურვებდა.

— რადგან ოსტატი ბულბული გვლოცავს, კეთილად ჩავალთ ჩვენს აღ-გილზე, — თქვა ძია შაქარამ. — ეშმაკის ხიდსაც კი კეთილად გავივლით.

— შავმა კატამაც რომ გადამირბინოს გზაზე, არ შემეშინდება, — დაუმატა გევომ და სვლას უმატა.

ტომარაში გოჭი აფხაკურდა და აჟყვირდა. ძია შაქარამ მსუბუქად მიარტყა ფეხი.

— უბილეთოდ მგზავრობ და გაჩუმდი მაინც, თორემ დაგაჯარიმებენ.

— ძია შაქარო, ეტყობა გოჭი გიჩივის.

— არა, გევო-ჯან, სიხარული აყვირებს, იცის ქორწილში მიდის სუფრის გასალამაზებლად. მერე და როგორ დაამშვენებს სუფრას პირში ბოლოკაჩირილი. როდესაც ავტობუსმა წყარო-ძეგლს ჩაუარა, ვიღაც ლამაზმა გოგომ დო-ქით წყალი მოასხურა ჩვენს ნაკვალევს².

— ეს ჩემი ქალიშვილია, სონა, — კმაყოფილებით სთქვა ძია შაქარამ და მსხვილ ულვაშებზე ხელი გადაისვა.

¹ ჰორენაცი — სომეხი ისტორიკოსია მე-5 საუკუნისა.

² წყალს მოსხურება მგზავრის გავლის შემდეგ ხალხური რწმენით ნიშნავს კეთილ მგზავრობის სურვილს.



ოვანეს შიკაზი

ღელა და ოცნება

ქსოვს ჩემი შვილის ფაჩუჩებს
ღელა, დამკნარი თითებით.
ღელა ოცნებად ქცეულა,
...ეუმზერ, ვხარობ და ვმშვიდდები.

სულ მჯერა — დედის ფიქრები
უეცრად ფრთებს რომ გაშლიდნენ,
მთელი სამყარო მტრედებით
აივსებოდა მაშინვე.

ღელა ტირის და მის ტირილს
სიცოცხლე ქვია სახელად...
სევანში წყალი კი არა
მისი ცრემლების ზღვა ღელავს.

ღელა — სითბო და სიმღერა
ლოცვად ქცეულა ერთიან,
არა კაცკელა და არშური
მისი ოცნების ღმერთია.

ვეტყვი — მაჩუქე მაგ გულის
ყლორტი იმედის წვეთივით,
რომ წუთისოფლის მწარე ხეს
დავამყნო სიბრძნე კეთილი.

რომ ბოროტება მოისპოს,
რომ არსად იყვნენ მკენესარნი...
ისხდნენ, უქსოვდნენ მომავალს
ლამაზ ფაჩუჩებს შენსავით.

•
•

ამბობენ — ღელას მოსტაცეს შვილი,
და ცეცხლზე მშვიდად დაჰფერფლეს
მერე...

მე ეს ამბავი არ დავიჯერე.

რომ აეკრიფა ფერფლი შვილისა
ღელა კოცონთან მიაგდეს მერე...
მე ეს ამბავი არ დავიჯერე.

მაგრამ ფერფლს ცრემლი ასხურა
ღელამ
და საოცრება რამ მოხდა ხალხში —
ფერფლი კვლავ ბავშვად გადიქა
უცებ...

მე დავიჯერე ყოველი მაშინ.

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა.





ჩიმა მანუჩიანი

სამშობლო ჩემო!

შენს მინდვრებში, სამშობლოო ჩემო,
ყვავილივით გავიშალო მინდა;
ტყბილი წვენიით სავსე მქონდეს ღერო,
ციდან ცვარი მეცემოდეს წმინდა.
წყაროდ ვიქცე,
გამოვიქცე, —

მოგეხვიო,
მოგეფერო, —
გაგინდლო გოროხი და ბელტი,
მზიან ღღეში ვიყო ჩერო —
არაფერი სხვა არ მინდა მეტი...
სამშობლოო ჩემო!



გინდა: მიყვარდე...
მიყვარხარ, მაგრამ, —
ეს რაღაც იმ ძველ
სიყვარულს არ გავს;
რატომ!

— დრო თურმე ყველაფერს მარხავს:
სხვა იყავ მაშინ,
სულ სხვა ხარ ახლა.

თარგმნა გივი ძნელაძემ

აკმენაჲ მუზმანიანი

ნეტა წყარო ვყოფილიყავ

ვყოფილიყავი ნეტავი წყარო,
გამოქცეული მთებიდან ბარად,
დაღლილისათვის შემესხა წყალი
და სიმღერებად მედინა მარად.

მედინა ბევრი, მედინა მთიდან,
სიმღერა მათათა წამელო ველად,

შემოხატული ყვავილთა ფრთითა —
ლაუქანცველი და ცივციველა.

შევყვარებოდი გოგონას ყველას,
შხედვები ჩემი წაღლოთ კალთით,
გაენდოთ ჩემთვის პატარა ღელვა
და სიყვარული წამელო მათი.

წამოსულიყო მთებიდან მწყემსი,
პატარა ქალის პატარა დარდით,
სიყვარულივით უღევად ვესვი
და ჩემს ნაპირზე ეპოვნა ფანდი.

ვყოფილიყავი ნეტავი წყარო,
გამოქცეული მთებიდან ბარად,
დადლილისათვის შემესხა წყალი
და სიმღერებად მედინა მარად.

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა

ოჟადია მიკოიანი



შენ წახველ, მაგრამ ჩემში არსებობ,
და რომ დასტოვე ვარდის კოკრები,
გაიშლებიან ისევ გარშემო
და მწუხარებას შემიმოკლებენ.

თუ დავლევ ღვინოს, შენ გადღეგრძელებ
და შენ იქნები ისევ ცოცხალი,
და თუ ვიტირებ ჩუმი ცრემლებით,
ჩემი ცრემლები შენ გაგიცხავენ.

რომ ზღვა ღიმილი დარჩა შენ მიღმა,
რომ გამარჯვების დიად ნადიმზე
შენ ჩაგიარა გვერდზე ზეიმმა
და ყურადღება კი ვერ აღირსე.

დიახ, შენ ცოცხლობ, ჩემში არსებობ
და შენი თბილი სუნთქვით ამავესე,
შენ იმზირები ჩემით გარშემო
და ჩემით დახვალ ამ ქვეყანაზე.

თარგმნა გივი გეგეჰკორმა





მერეა კახიძე

დაე, დღე ღამე ერთიმეორეს
მისდევდეს როგორც ალაღს ალაღი,
იყო სულ მუდამ დილა ახალი,
ცის კენწეროზე უფრო მაღალი.

სხვისი ძახილი მიჩნდეს შერისხვად
თვალეებს მითბობდეს შენი ღიმილი,
და მალვებიდეს მუდამ შენი ხმა,
ისე ვით სოფელს მამლის ყივილი.

მე მოვალ შენთან ისე, ვით თერგი
და უცოდველი, როგორც მთის წყარო,
რომ უმზეობით დამზრალმა ნერგმა
ყლორტი შენს ფესვზე ამოვიყარო.

რომ სიყვარული ჭალად ავტეხოთ,
ველარ გავიგნოთ თავი და ბოლო,
და ჩემს გულისკენ გზა საცალფეხო
ქვეყნად შენ ერთმა იცოდე მხოლოდ.

ისევ სოფელში

მე შენ გამზარდე მინდვრის ნიყვივით
ცაო მაღალო, მიწავ ზღაპრულო,
ყოველ გაზაფხულს შენსკენ მიყვივი,
რომ შენი მთების ძუძუმ მაპუროს.

მოვალ და ისევ ველებში ვივლი,
დავტვრები ნამჯის ნატიუსალით.

სად ფეხაკრევით დადის დუმილი
თითქოს ცერებზე დადის უფალი.

შენ დამავიწყებ ყველა სიმწარეს
და ჩემს ჭირვარამს გაინაწილებ,
როგორც იფეთქებს ხეზე სიმწვანე
შევეფოთლები შენს სიყმაწვილეს.

ცა კვლავ უცეცხლოდ ცეცხლში იწვება,
ისე ვით კეცი სახაჭაპურე,
და მპირდებიან სოფლის ბიჭები
ცაზე დაკიდულ ოქროს საყურეს.

დაბალულ ზეცას გააქვს ციმციმი
და ტაშფანდურა ყურში მიწივის,
და მარწმუნებენ სოფლის ქალები
რომ ეშმაკს არ აქვს თურმე წინ ცხვირი
და სიყვარული კონტა ბიჭისა
ლამაზ გოგოსთვის არის სირცხვილი.

ყოველ წელიწადს შენსკენ მიჰივი,
რომ შენმა მიწამ ნამი მაპყუროს,
და შორს გაფრენილ დედა ჩიტივით
შენსკენ ვისწრაფი საგაზაფხულოდ.

ალბათ მოკვდები ამ ხეტიალში,
ამ სიყვარულის ორომტრიალში,
როგორც მოკვდება ჩიტი ფრენაში,
და გუთნისდედა გუთნის ტრიალში.



მანუს კამინგუნი



თავი XXVII

რინალდის შემოსვლაზე გამომეღვიძა, მაგრამ არ გამომლაპარაკებია და ისევ ჩამეძინა. ჯერ კიდევ არ იყო კარგად გათენებული, რომ ტანთ ჩავეცვი და გავემგზავრე. ისე გამოვედი გარეთ, რინალდის არც გაუღვიძია.

ჩემს დღეში არ მენახა ბაინზიცა, და ახლა უცნაური მეჩვენებოდა იმ ნაპირებზე სიარული, რომელიც ადრე ავსტრიელებს ეჭირათ. ეს იყო იმის გადაღმა, სადაც მე დამჭრეს. მთის დაქანებაზე ახალი გზა გაეყვანათ და საბარგო მანქანებით იყო გაჭედილი. როცა ავივაცეთ, გამოჩნდა ნისლში გახვეული ტყე და ციცაბო მთები. ეს ტყეები ერთბაშად აიღეს და ამიტომ განადგურება აღარ მოესწრო. უფრო იქით, საცა მთები არ იფარავდა, გზა ზემოდან და გვერდებიდან ჭილობით ჰქონდათ შენიღბული. ეს გზა დანგრეულ სოფელში შედიოდა. ამის იქით უკვე ფრონტის ხაზი იწყებოდა. ირგვლევ არტილერია იყო განლაგებული. სახლები სულ დანგრეულ-დაღწეული იყო. მაგრამ ფრონტზე ყველაფერი მოეწყობიდა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე სანიშნე დაფები ჰქონდათ გამოკრული. მოგეძნენ ჯიხრ, რომელმაც ცოტაოდენი ყავა გვიშოვა, მერე კი თან გამოგვყვა და საგუშაგოები დაგვათვალისწინებინა, ხალხს შეგვახვედრა. მისგანვე გავიგე, რომ ინგლისელების მანქანები ბაინზიცას ქვემოთ მუშაობდნენ, რაზენიში. აღფრთოვანებული იყო ინგლისელებით. კანტიკუნტი სროლა არის, მაგრამ

* გავრძელება. იხ. „ცისკარი“, № 9, 10.

დაჭრილები ცოტა გვყავსო. ახლა წვიმები დაიწყო და ავადმყოფები მოგვემატებინათ. ავსტრიელებზე ამბობენ, შეტევას დაიწყებენო, მაგრამ არა მგონიაო, თქვა მან. ჩვენზედაც კი თქვეს — შეტევისთვის ემზადებინათ, მაგრამ ჯერ ერთი შენაერთიც არ გამოუგზავნიანო, ალბათ ეგვეც ტყუილიაო. საცეცხის ნაკლებობას განიცდიდნენ, და ინატრა, ნეტა გორიციაში მაინც გამაძლავო. გუშინ სადილად რა გვაჭამეს? მე ვუპასუხე, და დიდებულაო, მიიხრა. განსაკუთრებით dolce-მ¹ მოახდინა შთაბეჭდილება. დაწვრილებით არ მითქვამს, რა ნამცხვრები გვაჭამეს, მარტო ისა ვთქვი — dolce მოგვართვის-მეთქი და, ეტყობა, პურის პუდინგზე უფრო სანუკვარი რამე წარმოადგინა.

მე თუ ვიცი, საით უპირებენ გაგზავნას? მაგისი რა მოგახსენო, ოღონდ ეს კი ვიცი, რომ რამდენიმე მანქანას კაპორეტოში აგზავნიან-მეთქი. ნეტა, მე გამაგზავნიდნენო. კოპწია ქალაქი იყო და ჯინოს ძალიან მოსწონდა ირგვლივ შემოჯარული მაღალი მთები. კარგი ბიჭი იყო, ეტყობოდა, ყველას უყვარდა. ნამდვილი ჯოჯოხეთი სან გაბრიელში დატრიალდაო, თქვა მან, და კიდევ ლომოს იჭით, სადაც ცუდად წავგივიდა საქმე. ტერნოვას მთაგრეხილის გასწვრივ მთებში სულ დიდი არტილერია უდგათ ავსტრიელებს და ღამით გზებზე საშინელ ცეცხლს გვიშენენო. საზღვაო ბატარეებიც უდგათ და პირდაპირ ნერვებს მიშლისო. დაბალი ტრაექტორიით გამოიცნობო. გაიგონებ თუ არა ბათქს, იმ წუთში წივილით წამოვა. ჩვეულებრივ, ორ-ორს გამოუშვებენ თურმე ერთად, ერთმანეთის მიყოლებით, და აფეთქების შემდეგ უშველებელ ნამსხვრევებს ისვრის აქეთ-იქით. მაჩვენა კიდევ გოჯის სიმსხო, დაკბილული ლითონის ნატეხი. ბაბიტსა ჰგავდა.

— არა მგონია, ამითი რამეს გახდნენ, — მიიხრა ჯინომ, — მაგრამ მაფეთებენ კი. ისეთი ზრიალით მოდის, გეგონება, თავზე გეცემო. ჯერ დაიგრიანებს, ერთბაშად წივილი მოჰყვება და აფეთქდება კიდევ. რაღა დაჭრილი და რაღა სასიკვდილოდ დაფეთებული!

მანვე მიიხრა, რომ ჩვენს საპირისპიროდ თურმე კროატები და მაღიარები იდგნენ. ჩვენი ჯარი ჯერ კიდევ შეტევის თადარიგით იყო. ავსტრიელები რომ გადმოსულიყვნენ უცებ შეტევაზე, არც ტელეფონი გექონია, რომ შეგვეცხობინებინა და უკან დასახევიც არ იყო. პატარა მთებში, პლატოს უკან, მშვენიერი გასამაგრებელი და თავდასაცავი ადგილებია, მაგრამ არავის შეუწყუხებია თავი, რომ თავდასაცავი ზღუდეებით გაემაგრებინათ. ბაიზიცა თუ მომეწონა?

მე უფრო ვაყვადვილს მოველოდი, პლატოს მსგავსს. არც კი მიფიქრია, ასეთი დასერილ-დაგრეხილი თუ იყო.

— Alto piano-ა — თქვა ჯინომ, — piano² — არ არის!

იქიდან წამოვედით და იმ სახლის სარდაფში მივბრუნდით, სადაც მას ბინა ეჭირა. ვაკეზურციანი მთაგრეხილი, ოღნავი სიღრმეც თუ აქვს, უფრო ადვილი გასამაგრებელი მეგონა, ვიდრე პატარ-პატარა მთების ჯაჭვი. მთაში ბრძოლა სულაც არ არის ბარში ბრძოლაზე ძნელი-მეთქი, მე ვამტკიცებდი.

— მთასაც გააჩნია, — თქვა მან, — აბა ერთი სან გაბრიელს შეხედეთ.

— მართალი ხართ, — ვუთხარი მე, — მაგრამ სან გაბრიელს აღება სწორედ მაღლა გაუჭირდათ, საცა ვაკეა. ვაკეზეა მდებარეობით ადვილად ავიდნენ.

— არცთუ ისე ადვილად, — თქვა მან.

— ჰო, მაგრამ მაგასაც თავისი მიზეზი ჰქონდა, — ვუთხარი მე, — ციხე-სიმაგრე უფრო იყო, ვიდრე მთა. წლების განმავლობაში ამაგრებდნენ ავსტრიელები.

¹ ტბილული (იტალ.).

² ზეგანია, ვაკე კი არ არის.

მე ის მინდოდა მეტყვა, რომ სამხედრო ტაქტიკის თვალსაზრისით, მთაში გამაგრებას არავითარი უპირატესობა არა აქვს, რადგან ძალიან ადვილი ასაღებია. გადაადგილება-გადმოადგილების საშუალება უნდა გქონდეს, ეს კი მთაში ძნელია. ამას გარდა ზემოდან სროლაც ვერ არის ხელსაყრელი — რადგან მთიდან ტყვიას მუდამ გადაცდნენ ხოლმე. თან, ფლანგები თუ დასძარი, საუკეთესო რალები ყოველთვის უმაღლეს მწვერვალზე რჩება. მთაში ბრძოლების იმედი მაინცადამაინც არა მაქვს. ამაზე ბევრი მიფიქრია-მეთქი. შენ ერთ მთაზე გამაგრდები, ის — მეორე მთაზე, მაგრამ როცა ნამდვილი ბრძოლა დაიწყება, შენც დაბლა უნდა ჩახვიდე და ისიც.

თუკი მთაში გადის საზღვრის ხაზი, მაშინ რა უნდა ქნაო, მკითხა.

ეგ საკითხი არ დამიშუშავებია-მეთქი, ვუთხარი და ორივეს გაგვეცინა. — მაგრამ ძველად, სულ ცხვირ-პირს უნაყადნენ ავსტრიელებს ვერონას მისადგონებში, — ვთქვი მე, — ჩამოიტყუებდნენ მინდორში, და ცხვირ-პირს უნაყადნენ.

— ჰო, მაგრამ მაშინ ფრანგები ებრძოდნენ, — თქვა ჯინომ, — სხვის ტერატორიაზე კი ყოველთვის უფრო ადვილია სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტა.

— მართალია, — დავეთანხმე მეც, — საკუთარ მიწა-წყალზე ისე მეცნიერულად ვერ მოიმარჯვებ სტრატეგიას.

— რუსებმა მოიმარჯვეს, ნაპოლეონი რომ გამოიჭირეს მახეში.

— რუსებს დიდი მიწა-წყალი აქვთ. აბა იტალიაში სცადე ნაპოლეონის შეტყუება. ხელადვე ბრინდიში ამოყოფ თავს.

— საძაგელი ქალაქია. — თქვა ჯინომ, — ყოფილხარტ?

— გზად გამივლია.

— ხომ პატრიოტი ვარ, — თქვა ჯინომ, — მაგრამ ეს ბრინდიზი და ტრანტო, რა გქნა, არ მიყვარს.

— ბაინზიცა გიყვართ? — ვკითხე მე.

— წმიდა მიწაა, — მიპასუხა მან, — მაგრამ, ნეტა, მეტი კარტოფილი მოდიოდეს. აქ რომ მოვედით, ავსტრიელების დათესილი კარტოფილი დაგვზვდა.

— მართლა ცუდადა გაქვთ საკვების საქმე?

— მე პირადად ერთხელაც არ გავმძღარვარ, მაგრამ მე მაგარი მჭამელი ვარ. თუმცა შიმშილითაც არა გკვდება. ოფიცრების სასადილოც ვერაფერი შეილია. ფრონტის ხაზზე კარგად აჭმევენ, ფრონტის დამხმარე ნაწილებს კი — უფრო ცუდად. სადღაც ნამდვილად ურევენ. თავსაყარი უნდა იყოს საქმელი.

— სპეკულანტები ჰყიდიან განზე.

— ჰო, ფრონტის ბატალიონებს აძლევენ, რამდენიც უნდათ, ზურგში კი ხელმოჭერილები არიან. სულ შესანსლეს ავსტრიელების კარტოფილი, და წაბლიც გააწყვეს ტყეში. უკეთესად უნდა გვაჭმევდნენ. მაგარი მჭამელები ვართ. დარწმუნებული ვარ, სურსათი თავზე საყარად აქვთ. ჯარისკაცის დამშვევა სად გაგონილა? ვერ ამჩნევთ, როგორ მოქმედებს აზროვნებაზე.

— ასეა, — ვთქვი მე, — ომს ვერ მოგვაგებინებს ეს, წაგებით კი იქნებ წაგაგებინოს.

— წაგება-დამარცხებას ნულარ ვახსენებთ. ისედაც ბევრს ლაპარაკობენ დამარცხებაზე. რაც ზაფხულში გავაკეთეთ, როგორ შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაიყაროს.

კრინტი არ დამიძრავს. მუდამ მახსენებს ხოლმე სიტყვები — „წმიდა, დიდებული, მსხვერპლად მიტანა“, და გამოთქმა „წყალში ჩაიყაროს“. ზოგჯერ წვი-



მაში ვმდგარვართ და ისე მოგვისმენია ეს სიტყვები, ნიავს მოუტანია კარგა მანძილიდან ცალკეული წამოძახილები, ანდა დაწერილი წავიკითხავს, როცა განცხადებების გამკვერულები სხვა აფიშებზე დაატყავებდნენ ხოლმე ზევიდან. ასეა რაც თავი მასოვს, მაგრამ წმიდა ჯერაც არაფერი მინახავს; რასაც დიდებულს ეძახიან, დიდებისა არა სცხია რა და მსხვერპლად მიტანასაც ძალიან ხშირად ჩიკავოს საყასბო მოუგონებია, იმ განსხვავებით, რომ ხორცს აქ პირდაპირ მიწაში ფლავენ. რამდენია ისეთი სიტყვა, რომლის მოსმენაც უკვე გულს გირეკს და, ბოლოს და ბოლოს, ადგილის სახელწოდებებიდან ინარჩუნებენ ღირსებას. ზოგიერთ რიცხვსა თუ თარიღსაც შემორჩათ ეს ღირსება და, ადგილის სახელწოდებებთან ერთად, მათაც ადამიანურად წარმოთქვამ, ერთგვარი მნიშვნელობა აქვთ შენარჩუნებული. ისეთი განყენებული სიტყვები, როგორიცაა „დიდება, პატივი, გმირობა ანდა წმიდათაწმიდა“ — სოფლების სახელწოდებებსა, გზების ნომრებსა, მდინარეების სახელებსა, პოლკების ნომრებსა და სხვადასხვა მოვლენათა თარიღების გვერდით უკვე ბილწი გეჩვენება. ჯიწი პატრიოტი იყო და ისეთ რამეს იტყოდა ხოლმე, რომ ზოგჯერ სულ გავითიშებოდით ერთმანეთისაგან, მაგრამ თან კარგი ბიჭიც იყო და მე მესმოდა მისი პატრიოტობა. ეს პატრიოტიზმი თან დაჰყვა. ისა და პედუცი მანქანაში ჩასხდნენ და გორიცაში გაემგზავრნენ.

მთელი დღე ქარიშხალი მძვინვარებდა. ქარმა სულ დაბლა ჩამორეცხა წვიმა და ყველგან გუბეები და ტალახი დააყენა. ჩამონგრეული სახლების ბათქაშა სველი და რუხი ჩანდა. ნაშუადღევს წვიმა გადაიღო და მეორე ნომერი საგუშაგოდან დავინახე შემოდგომის განძარცული, ნაწვიმარი მიწა, მთის წვერებზე ჩამოწოლილი ღრუბლები და გზებზე გადაფარებული სველი ქილობის ღერები, რომელსაც წყალი ჩამოსწევთავდა. ერთი პირობა მზემაც გამოიხედა ჩასვლის წინ და გატიტვებული ტყე გაანათა მთაგრეხილზე. ავსტრიელებს ბევრი ზარბაზანი ედგათ ამ მთებში, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ისროდა. შეეყუჩებოდა, როგორ ერთბაშად გაიშლებოდა ცაში შრაპნელის კვამლი, დანგრეული ქოხების თავზე, ფრონტის ხაზის მახლობლად; რბილი კვამლის ქულა, შუაში ყვითლად აელვარებული. ჯერ გაელვებას მოჰყარავდი თვალს, მერე ტაცანს გაიგონებდი, ბოლოს კი კვამლის ბურთი გამოგორდებოდა და თანდათანობით გათხელდებოდა ქარში. სახლის ნანგრევებსა და გზებზე, საგუშაგოების მახლობლად, პანტაფუნტად ეყარა შრაპნელის ტყვიები, მაგრამ ის საღამოს საგუშაგოსთვის არ დაუშენიათ. ორი მანქანა დაეტვირთეთ და სველი ქილობით შენიღბულ გზას გავუყევით, მზის უკანასკნელი სხივები ქილობის ღერებში ატანდა. ღია გზაზე რომ გამოვედით, მზე უკვე ჩავიდა. გავიარეთ ღია გზა, და როცა შევეჩვიეთ და კვლავ ქილობის თაღებში შევედით, ისევ წვიმა წამოუშინა.

ღამით ქარი ამოიჭრა, ხოლო დილის სამ საათზე კოკისპირულ წვიმას თან მოჰყვა მტრის ყუმბარებიც. კროატებმა გადმოლახეს ვაკეზურგაიანი მთა და შეტევაზე გადმოვიდნენ. ბრძოლით მოიწვედნენ სიბნელესა და წვიმაში, მაგრამ მეორე საგუშაგოს დამფრთხალი კონტრიერიშით უკუიქცნენ. ყუმბარა ყუმბარაზე მოდიოდა, წვიმაში შუშხუნები სკდებოდნენ და თოფები და ტყვიამფრქვევები მთელს ფრონტზე არა ცხრებოდნენ. მეორედ აღარ წამოსულან იერიშზე, დამშვიდდა იქაურობა, და ცოტათი, რომ მიწყნარდა წვიმა და ქარი, შორს. ჩრდილოეთიდან ზარბაზნების ქუხილი ისმოდა.

დატბრელებმა იწყეს დენა საგუშაგოზე. ზოგი ჯალამბრებით მოჰყავდათ, ზოგი თვითონ მოდიოდა, ზოგსაც ველიდან დაბრუნებულები მოათრევდნენ ზურ-

გით. გალუშულები და დაფეთებულები იყვნენ. ორი მანქანა მძიმე დაჭრილებით დაფრთხილეს. ეს დაჭრილები საგუშაგოს სარდაფებში ჰყავდათ. მეორე მანქანის კარები რომ მივხურე და საკეტი გადავატრიალე, სახეზე თოვლი ვიგრძენი — წვიმა თოვლად იქცა. თოვლის ფანტელები მძიმედ ეცემოდნენ წვიმის წვეთებთან ერთად.

როცა ინათლა, ქარი ისევ ისე უბერავდა, თოვა კი შეწყვეტილიყო. რაც ითოვა, სულ გამდნარიყო სველ მიწაზე და ახლა წვიმდა. მეორედაც გადმოვიდნენ შეტევაზე, სწორედ გათენებისას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მთელი დღე ველოდით ახალ შემოტევას, მაგრამ მზის ჩასვლამდე არაფერი მომხდარა. სროლა დაიწყეს სამხრეთით, სადაც უღრანი ტყით დაფარულ მთებში ავსტრიელებს არტილერიის დიდი შენაერთებისათვის მოეყარათ თავი. ჩვენც ველოდით ცეცხლს, მაგრამ ჩვენსკენ არ ისროდნენ. ბნელდებოდა. ჩვენი ზარბაზნები სოფლის გადაღმა იდგა, მინდორზე, და მათგან გასროლილი ყუმბარების ზმუილი სასიამოვნოდ ჟღერდა.

როგორც გავიგეთ, სამხრეთითაც ვერაფერს გახდნენ. იმ დამეს აღარ გადმოსულან შეტევაზე, მაგრამ ჩრდილოეთით კი გაურღვევიათ ფრონტი. დამით შეგვატყობინეს, უკან დახევისთვის მოემზადეთ. მე კაპიტანმა მითხრა ეს საგუშაგოზე. მას კი ბრიგადიდან მიეღო ცნობა. ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონიდან დაბრუნდა და თქვა, ტყუილი ყოფილაო. ბრიგადიდან ბრძანება მოსულიყო — რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, ბაინიცი არ დასთმოთო. ფრონტის გარღვევის ამბავი ვკითხე. შტაბში ყური მოვჰკარი, თითქმის ოცდამეშვიდე არმიის კორპუსია ფრონტი გაურღვევიათ ავსტრიელებს, კაპორეტოს მიმართულებითო. ჩრდილოეთით მთელი დღე არ დამცხრალა მძვინვარე ბრძოლები.

— თუ იმ ნაბუშარებმა გამოუშვეს, ჩვენც დავანგრევენ, — თქვა მან.

— გერმანელები უტყვენ, — თქვა სამედიცინო სამსახურის ოფიცერმა, — გერმანელების ხსენება ყველას აძრწუნებდა. არასდიდებით არ გვიწოდდა გერმანელებთან შეხვედრა.

— გერმანელების თხუთმეტი დივიზია ჰყავთ იქა, — თქვა ექიმმა, — იმათ გაარღვიეს სწორედ, და ჩვენც გადაგვჭრიან.

— ბრიგადის შტაბში ამბობენ, ეს ხაზი უსათუოდ უნდა დავიცვათო. ისეთი საშინელი გარღვევა არ ყოფილაო, თქვეს, და მონტე მაჯიორედან მოყოლებული, მთების გასწვრივ, სულ უნდა გავამაგროთ ეს ხაზი.

— მაგათ საიდან გაიგეს?

— დივიზიის შტაბიდან.

— უკან დახევის ბრძანებაც დივიზიიდან იყო.

— ჩვენ პირდაპირ არმიის შტაბს ვემორჩილებით, — ვთქვი მე, — მაგრამ აქ თქვენა ხართ ჩვენი უფროსი. როცა მეტყვით, გავემგზავრები. ოღონდ კარგად გაარკვეით, რა ბრძანებაა.

— ბრძანებაა, აქ გავმავრდეთ. თქვენ დაჭრილები უნდა გადაიყვანოთ განმანაწილებელ პუნქტზე.

— ზოგჯერ განმანაწილებელი პუნქტიდან საეულე ჰოსპიტლებში გადმოგვყავს ხოლმე, — ვთქვი მე, — ესეც მითხარით — ჩემს დღეში უკან დახევა არ მინახავს — მართლა თუ უკან დახევა იქნა, ამდენი დაჭრილი როგორ გადაიყვანოთ?

— ყველას არ გადაიყვანთ. რამდენსაც მოახერხებთ, წაიყვანთ, დანარჩენს დასტოვებთ.

— მანქანებით რა უნდა წავალო?

— ჰოსპიტლის მოწყობილობა.

— კარგი, — ვთქვი მე.

მეორე ღამეს უკან დახევა დაიწყო. გავიგეთ, რომ გერმანელებსა და ავსტრიელებს ჩრდილოეთით გაერდევით ფრონტი და ახლა მთის ხეობებით ჩივიდალესა და უდინისაყენ მოიწევდნენ. უკანდახევას წესრიგით ვაწარმოებდით, წვიმაში, უხმოლ. ღამით მძიმედ ვიხვედით უკან და ვხედავდით — ამ გაქედულ გზაზე, როგორ მიდიოდა წვიმით გალუშული ჯარი, მიჰქონდათ ზარბაზნები, ცხენები ფურგონებს მიათრევდნენ, ჯორები მიჰაქჩაქებდნენ, საბარგო მანქანები მიედინებოდნენ, ფრონტის ხაზს შორდებოდნენ, იმაზე დიდი უწესრიგობა არ ყოფილა, რაც წინსვლის დროს არის ხოლმე.

ღამით საველე ჰოსპიტლების დაცლას ვშეველოდით, რომლებიც ნაკლებად დანგრეულ სოფლებში ჰქონდათ მოწყობილი, პლატოზე. დაჭრილები პლავაზე ჩაგვყავდა, მდინარის პირად. მთელი მეორე დღე კი წვიმაში დავწრიალებდით და ჰოსპიტლებისა და პლავის განმანაწილებელი პუნქტის მოწყობილობა გადაგვქონდა. გადაუღებლოვ წვიმდა და წვიმდა, და ბაინზიცის არმია, ამ ოქტომბრის წვიმაში, პლატოს ტოვებდა, მდინარესა სჭრიდა სწორედ იმ ადგილას, სადაც იმავე წლის გაზაფხულზე უდიდესი გამარჯვებები მოიპოვეს. გორიციაში მეორე დღეს ჩავედით, სამხრობისას. უკვე აღარა წვიმდა და ქალაქი თითქმის დაცარიელებული იყო. ქუჩაში რომ ჩავიარეთ, ვნახეთ, რომ ჯარისკაცთა საროსკიბოს ქალებსა სხამდნენ საბარგო მანქანაზე. შვიდი ქალი იყო — პალტოები ეცვათ, ქუდეები ეხურათ და ხელში პატარა ჩემოდნები ეჭირათ. ორი მათგანი სტიროდა. მესამე გავვეყვანა, ენა გამოგვიყო და ზევით-ქვევით დაუწყო ქიკინი. სქელი, სასვე ტუჩები და შავი თვალები ჰქონდა.

მანქანა გავჩერებინე, გადმოვედი და დიასახლისს გამოველაპარაკე. ოფიცერთა საროსკიბოს ქალები დღითივე გადაიყვანესო, მითხრა. სად წაიყვანეს? კონელიანოში. საბარგო მანქანა აიძრა. გაბუსხულტუჩებიანმა გოგომ ისევ გამოგვიყო ენა. დიასახლისმა ხელი დაგვიჭნია. ის ორი ქალი ისევ ისე ტიროდა. დანარჩენები ქალაქს ათვალიერებდნენ ცნობისმოყვარეობით. მე ჩემს მანქანაში შევბრუნდი.

— ჩვენც მაგათთან ერთად გვატარა, — თქვა ბონელომ, — მგზავრობა მაშინ იკითხეთ!

— კარგი მგზავრობა გექნება, ფიქრი ნუ გაქვს! — ვუთხარი მე.

— მგზავრობა კი არა და — ჯოჯოხეთი გვექნება.

— მეც მაგას გეუბნები, — ვთქვი მე. მოვუხვეით და ვილისკენ წავედით.

— ერთი იქ მამყოფა, ეს ჩათქვირული გოგოები რომ წამოკოტრიალდებიან და მაშინვე სკუპ-სკუპი შეიქნება!

— ვითომ მაშინვე დაიწყებენ?

— აბა რა! მეორე არმიაში ყველა იცნობს მაგ დიასახლისს.

ვილას მივადექით.

— დედა-წინამძღვარს ეძახიან, — თქვა ბონელომ, — გოგოები ახლები არიან, მაგრამ მაგას ყველა იცნობს. ეტყობა, მოიყვანეს ეს გოგოები და უკან დახევაც დაიწყო.

— მოესწრებიან.

— მეც მაგას ვამბობ, მოესწრებიან-მეთქი. მინდა ერთი მუქთად დავერიო. ძალიან ბევრს იღებენ ამ სახლებში. მთავრობა გვლელტს.

— მანქანა გვერდზე მიაყენეთ და მექანიკოსს შეამოწმებინეთ, — ვუთხარი

მე, — ზეთი გამოცვალეთ, დიფერენციალი გაუსინჯეთ, ბენზინიც ჩაასხით, და მერე ცოტათი წაიძინეთ.

— მესმის, Signor Tenente.

ვილა დაცარიელებული დაგვხვდა. რინალდოც გაჰყოლოდა ჰოსპიტალს. მედერსონალი შტაბის მანქანით წაყვანა მაიორს. ჩემთვის ბარათი დაეტოვებინათ ფანჯარაზე — მანქანა უნდა დამეტვირთა მოწყობილობით, რომელიც ვესტიბიულში იყო შეკრული, და პორდენონეში გაემგზავრებულყავი. მექანიკოსები უკვე წასულიყვნენ. გარაჟში შევბრუნდი. მანამ მე ვილას მოვივლიდი, ის ორი მანქანაც მოვიდა და შოფრები იქვე იდგნენ. ისევ წვიმას აპირებდა.

— ისე მეძინა... პლავიდან წამოსულს, სამჯერ წამოვლიმა, — თქვა პიანიმ, — რა უნდა გვაკეთოთ, Signor Tenente?

— ზეთი უნდა გამოცვალეთ, ბენზინი ჩავასხათ, მერე ჰოსპიტლის წინ დავაყენოთ მანქანები და რაც ხარახურა დაგვითვებს, დაეტვირთოთ.

— და გავსწოთ კიდეც?

— არა, ორი-სამი საათით წავიძინოთ.

— აგაშენა ღმერთმა, — თქვა ბონელომ, — თორემ საჭეზე ჩამომეძინებოდა.

— თქვენი მანქანა რა დღეშია, აიმო? — ვკითხე მე.

— არა უშავს.

— ტყაუტყი მომეცით, ზეთის გამოცვლას გიშველით.

— ნუ შესწუხდებით, Tenente — თქვა აიმომ, — რა დიდი საქმე ეგ არის. წაბრძანდით და თქვენი ბარგი ჩაალაგეთ.

— ბარგი ჩალაგებული მაქვს, — ვთქვი მე, — წავალ და გამოვიხიდავ, რაც დაუტოვებიათ. აქ რომ მორჩეთ საქმეს, მაშინვე მანქანები გამოიყვანეთ.

შესასვლელი კარების წინ დააყენეს მანქანები, და ჰოსპიტლის მოწყობილობით დაეტვირთეთ: ყველაფერი ვესტიბიულში დაეტოვებინათ. მერე მანქანები ხეების ქვეშ ჩავამწყრივეთ, წვიმაში, და ჩვენ სახლში შევედით.

— სამზარეულოში ცეცხლი დაანთეთ და ტანსაცმელი გაიშვრეთ, — ვთქვე მე.

— ტანსაცმელს რას დავექებ, — მითხრა პიანიმ, — ისე მეძინება!

— მე მაიორის საწოლზე დავიძინებ, — თქვა ბონელომ, — ბერიკაცი რომ იკუნტებოდა, მეც ისე მოვიკუნტები.

— ჩემთვის სულერთია, სადაც არ უნდა დავწვე, — თქვა პიანიმ.

— აგერ ორი საწოლია, — კარები შევალე.

— პირველად ვარ ამ ოთახში, — თქვა ბონელომ.

— ბებერი გომბეშოს ოთახია, — თქვა პიანიმ.

— თქვენ ორი დაიძინებთ აქ, — ვუთხარი მე, — მე გაგაღვიძებთ.

— თუ დროზე არ გაგვღვიძათ, ავსტრიელები გაგვაღვიძებენ, Tenente, — თქვა ბონელომ.

— გამეღვიძება, — ვუთხარი მე, — აიმო სადღაა?

— სამზარეულოში გავიდა.

— დაიძინეთ, — ვთქვი მე.

— ახლავ დავიძინებ, — თქვა პიანიმ, — მჯდომარეს მძინავს მთელი დღე-ღამის თვალეზზე ჩამომაწვეს კეფა.

— ჩექმები გაიხადე, — უთხრა ბონელომ, — აი, გომბეშოს ლოგინი.

— ფეხებზე არ მკიდია შენი გომბეშო!

პიანი ლოგინზე გაითხლარშა, ტალახიანი ჩექმები გასკიმა. თავი მკლავზე

დაასვენა. მე სამზარეულოში შევედი. აიმოს ლუმელში ცეცხლი გაეჩაღებინა და პატარა ქვაბით წყალი დაედგა.

— ცოტა სპაგეტის მოვხარშავ-მეთქი, — თქვა მან. — ახალგაღვიძებულზე მოგვშივა.

— არ გეძინებთ, ბართოლომეო?

— არც ისე. წაჰოდულდება თუ არა, მაშინვე წავალ. მანამდე ცეცხლიც ჩაქრება.

— ჯობდა დაგეძინათ, — ეუთხარი მე, — ყველსა და კონსერვს შევ-
კამდით.

— ესა სჯობია, — თქვა მან, — ცხელი საჭმელი გაახურებს ამ ჩვენს ორ
ანარქისტს. თქვენ დაიძინეთ.

— მაიორის ოთახშია საწოლი.

— ჰოდა, იქ დაიძინეთ, Tenente.

— არა, მე ჩემს ძველ ოთახში ავალ, ზემოთ. ცოტას არ დაღვეთ,
ბართოლომეო?

— წასვლის წინ იყო, Tenente ახლა რაში წამადგება!

— ამ სამ საათში თუ გაგელვიძოთ და კიდე დაძინებული მნახოთ, უსათუ-
ოდ გამაღვიძეთ. ხომ?

— საათი არა მაქვს, Tenente.

— მაიორის ოთახში კედლის საათია.

— კარგი.

გავიარე სასადილო, ვესტიბული, მარმარილოს კიბეებს ავუყევი და ჩემს
ოთახში შევედი, საცა რინალდისთან ერთად ვცხოვრობდი. გარეთ წვიმდა
ფანჯარასთან მივედი და გავიხედე. ბნელდებოდა და ქუჩაში თვალი მოგკარა
ხეების ქვეშ ჩამწკრივებულ სამ მანქანას. ხეებიდან წვიმა წვეთავდა. ციოდა და
ტოტებზე წვეთები ეკიდა. რინალდის ლოგინთან მივედი, დავწექი და ძილს
მივეცი თავი.

წასვლის წინ სამზარეულოში დავნაყრდით. აიმოს სპაგეტიში ხახვი ჩაეშუშა
და ზემოდან კონსერვის ხორცი მოეყარა. შემოვუსხედით სუფრას და ორი
ბოთლი ღვინო დავცალეთ — ჰოსპიტლის სარდაფში დაეტოვებინათ. გარეთ
ბნელოდა და ისევ წვიმდა. პიანი ისე იჯდა მაგიდასთან, რომ ჯერაც ვერ გა-
მოფხიზლებულიყო.

— შეტევას — უკანდახევა მირჩევნია — თქვა ბონელომ, — უკან დახევი-
სას ბარბერას ესვამთ ხოლმე.

— ბარბერა ახლა ჩაგვივარდა ხელში, თორემ ხვალ იქნებ წვიმის წყალიც
არ დავიწუნოთ, — თქვა აიმომ.

— ხვალ უდინში ვიქნებით, შამპანურს დავლევთ. იქ მუქთახორებია თავ-
შეყრილი. გაიღვიძე, პიანი! ხვალ უდინში შამპანურს დავლევთ!

— მღვიძავს, — თქვა პიანიმ. თეფში სპაგეტითა და ხორციტ გაივსო. —
პამიდვრის საწებელს ვერ იშოვიდი, ბართო?

— არ იყო, — მიუთო აიმომ.

— უდინში შამპანურს დავლევთ. — თქვა ბონელომ. ჰიქა ანკარა წითელი
ბარბერათი გაივსო.

— უდინში ჩასვლამდე... სხვა რამე არ ჩაგვაცეცხლონ, — თქვა პიანიმ.

— დანაყრდით, Tenente? — მკითხა აიმომ.

— ბევრი გეახელით. ბოთლი მომაწოდეთ, ბართოლომეო.

— თითო ბოთლი საგზადაც მოგვაქვს, — თქვა აიმომ.

- სულ არ გეძინათ?
- ბევრი ძილი არ მიყვარს. თვალი მოვატყუე.
- ხვალ მეფის ლოგინში გავიჭიმებით, — თქვა ბონელომ. ძალიან კაი გუნებაზე იყო.
- ხვალ იქნებ სხვა ადგილას გაიჭიმო... — მიუგო პიანიმ.
- მე დედოფალს მოუწევები, — თქვა ბონელომ. გადმოხედა, ხუმრობა როგორ მოეწონა.
- დედოფალთან არა და... იმასთან დაწვები... — მთქნარებით უთხრა პიანიმ.
- ლალატია, Tenente, — შესძახა ბონელომ, — ლალატი არ არის?
- გეყოფათ, — ვუთხარი მე, — ერთმა ბოთლმა ღვინომ როგორ გამოგასულელათ!
- გარეთ თავსხმა იყო. საათზე დავიხედე. ათისნახევარი გამხდარიყო.
- წასვლის დროა, — ვთქვი და წამოვდექი.
- ღის უნდა ჩაუჯდე მანქანაში, Tenente? — მკითხა ბონელომ.
- აიმოს. მერე თქვენ გამოგყვებით. ბოლოს პიანი. კორმინისის გზას დავადგებით.
- ვაითუ ჩამომეძინოს! — თქვა პიანიმ.
- კარგი. მე თქვენ ჩაგიჯდებით. მერე ბონელო წამოვა. მერე — აიმო.
- ეგ ყველაფერს აჯობებს, — თქვა პიანიმ, — თორემ მეყვინთება.
- ერთხანს მე დავეჯდები საჭესთან და თქვენ დაიძინეთ.
- არა. მართვით მე თვითონ ვმართავ. როცა ვიცი, გამომღვიძებელი მყავს, აღარ მეშინია.
- მე გაგადვიძებთ. სინათლეები ჩააქვრეთ, ბართო.
- ენთოს, რა, მე შენ გეტყვი, კიდეც დაგბრუნდებით აქ! — თქვა ბონელომ.
- ოთახში პატარა სუნდუკი მაქვს, — ვთქვი მე, — არ ჩამომატანინებთ, პიანი?
- ჩვენ თვითონვე ჩამოვიტანთ, — მითხრა პიანიმ, — წამო, აიღო.
- წავიდა და ბონელოც წაიყვანა. მესმოდა მათი ფეხის ხმა კიბეებზე.
- კაი ქალაქი იყო, — თქვა ბართოლომეო აიმომ. აბგაში ორი ბოთლი ღვინო და ნახევარი ყველი ჩაიღო, — ამისთანა ქალაქს ვეღარ შევხვდებით. საით ვიხეჯთ, Tenente?
- ამბობენ, ტალიამენტოსკენო. პოსპიტალი და შტაბი პორდენონეში იქნება.
- პორდენონეს ესა სჯობია.
- პორდენონეში არა ვყოფილვარ, — ვთქვი მე. — გვერდით ჩამივლია.
- ვერაფერიშვილი ქალაქია, — თქვა აიმომ.

თავი XXVIII

მივდიოდით და ვხედავდით, რომ წვიმასა და სიბნელეში გახვეული ქალაქი დაცარიელებული იყო, მხოლოდ ჯარის ნაწილები და ზარბაზნები მიედინებოდა მთავარი ქუჩით. სხვა ქუჩებშიაც შენიშნავდით კარგა ბლომად საბარგო მანქანებსა და ფურგონებს, რომლებიც შემდეგ მთავარ გზატკეცილზე გადიოდნენ. სათრიმლავ ქარხანას გავცდით და შარაგზაზე გავედით. ჯარის ნაწილები, საბარგო ავტომანქანები, ფურგონები და ზარბაზნები ერთ ფართო კოლონად მიიზღაზნებოდა. მძიმედ, მაგრამ შეუპოვრად მივემართებოდით წვიმაში, ჩვენი რადიატორი თითქმის ზედ ებჯინებოდა საბარგო მანქანას, რომელიც

მომადლოდ დაეტვრათ და ზემოდან ბრეზენტი გადაეფარებინათ. საბარგო მანქანა უცებ შეჩერდა. მთელი კოლონა შედგა. ისევ დაიძრა მანქანა, ცოტა გავიარეთ და კვლავ შეეჩერდით. ჩამოვხტი და დავწინაურდი, გზას მივიკვლევდო მანქანებსა, ფურგონებსა და ცხენის გაწუწულ ფაფრებს შორის. გზა სადღაც წინ ჩაკეტილიყო. გადავუხვიე, არხზე გადებულ საცალფეხო ფიცარზე გავედი და არხგამდინან დავუყუევი მინდორს. მალ-მალე გავხედავდი ხეებს მიღმა გზას და ვხედავდი შეჩერებულ კოლონას. ასე, ერთი მილი გავიარე. კოლონა არ იძვროდა, თუმცა გაქვავებული ტრანსპორტის იქით მიმავალ ჯარსა ვხედავდი, ჩემს მანქანებთან დავბრუნდი. ვინ იცის, იქნებ უდინში ყოფილიყო გზა ჩაკეტილი. პიანის საჭეზე ჩასძინებოდა. გვერდზე მოვუჯექი და მეც დავიძინე. რამდენიმე საათი გავიდა და წინა საბარგო მანქანის დაჭოქვის ხმა გავიგონე. გავადვიძე პიანის და ადგილიდან დავიძარით, გავიარეთ რამდენიმე იარღი და კიდევ შევჩერდით, მერე ისევ წავედით. კვლავ წვიმიდა და წვიმიდა.

ღამით კოლონა ისევ დადგა და აღარც დაძრულა. მე გადავხტი და უკან წავედი აიშოსა და ბონელის სანახადად. ბონელის საინჟინრო ნაწილის ორი სერჟანტი მოესვა გვერდზე. მე რომ მივედი, გამომეჭიმენ.

— რომელიღაც ხიდის შესაკეთებლად დაუტოვებიათ და ახლა თავიანთი შენაერთი ველარ უნახავთ, — მითხრა ბონელომ, — ავდექი და ჩავისხი.

— თუკი ბატონი ლეიტენანტი ნებას დაგვრთავს!..

— ისხედით, — ვუთხარი მე.

— ჩვენი ლეიტენანტი ამერიკელია, — თქვა ბონელომ, — არავის დაუშლის. ერთ-ერთ სერჟანტს გაეცინა. მეორემ ბონელოსა ჰკითხა — ჩრდილო თუ სამხრეთ ამერიკელი იტალიელი არისო.

— იტალიელი არ არის. ჩრდილო ამერიკელი ინგლისელია.

სერჟანტებმა თავზიანად მოისმინეს, მაგრამ როდი დაიჯერეს. მე მათ გავეცალე და აიშოსთან მივედი. ორი გოგო მოესვა გვერდზე, თვითონ კუთხეში მიმჯდარიყო და პაპიროსს აბოლებდა.

— ბართო, ბართო, — მივმართე მე. გაეცინა.

— გამოელაპარაკეთ, Tenente, — მითხრა მან, — მე მაგათი არ მესმის. ჰეი! — ბარძაყზე დაადო ხელი და მეგობრულად მოუჭირა. გოგომ კიდევ უფრო შემოიტმასნა შალი და აიშოს ხელი მოიშორა. — ჰეი! — უთხრა მან, — აბა, ტენენტეს უთხარი, რა გქვიათ, ან აქ რას აკეთებთ.

გოგომ შემომიბღვირა. მეორეს ისევ ძირს ჰქონდა დახრილი თვალები. მე რომ მიყურებდა, იმ გოგომ რაღაც თქვა დიალექტზე, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ გავიგე. ჩასუქებული, შავტუხა გოგო იყო, ასე, თექვსმეტი წლისა.

— Sorella? — ვკითხე მე და მეორე გოგოზე ვანიშნე.

— თავი დააქნია და გაიღიმა.

— ძალიან კარგი, — ვთქვი მე და მუხლზე ხელი მოვუთათუნე. ვიგრძენ, როგორ მოიკუნტა ჩემი ხელის შეხებაზე. დას ერთხელაც არ აწუწევია თავი. ერთი წლით უმცროსი იქნებოდა. აიშომ კიდევ დაადო ხელი უფროს დას ბარძაყზე და გოგომ ისევ მოიშორა. აიშომ გაუცინა.

— კარგი კაცია, — გულზე მიიღო ხელი, — კარგი კაცია, — ახლა ჩემზე ანიშნა, — ნუ შეგეშინდება.

გოგომ თვალები გადაუბრიალა. ველურ ჩიტებსა ჰგავდნენ გოგონები.

— რაღას მომყვება, თუკი არ მოვწონვარ? — იკითხა აიშომ, — ხელი დაეუ-

¹ და არის? (იტალ.).

ქნე თუ არა, იმ წუთში ჩამისხდნენ მანქანაში, — გოგოს მიუბრუნდა, — ნუ გეშინია, — უთხრა მან, — არავინ არ... — უშმაწური სიტყვა თქვა, — ან სად უნდა... — შევატყვე, რომ გოგომ ის ერთი სიტყვა გაიგო, სხვა არაფერი. დაფეთებული შესცქეროდა აიშოს. კიდევ უფრო მჭიდროდ გაეხვია შალში. — მანქანა გაჭედოდა, — განაგრძობდა აიშო, — როგორ მოვახერხებთ... სად უნდა?.. რამდენს ახსენებდა ამ სიტყვას, გოგო უფრო და უფრო იკუნტებოდა და იკუნტებოდა. მერე სულ მოიბუზა და აზლუქუნდა, ისე რომ თვალი არ მოუშორებია მისთვის. ჯერ ტუჩები აუთრთოლდა, მერე კი ცრემლები ჩამოუგორდა მსუქან ლაწვებზე. დას არც შეუხედნია, ისე მოჰკიდა ხელი, და ისხდნენ ასე. დიდმა, აღრე თვალებს რომ აბრიალებდა, ახლა ქეთინი ამოუშვა.

— ეტყობა, შევამინე, — თქვა აიშომ, — არ მიფიქრია შეშინება.

ჩანთა გადმოიღო და ორი ნაჭერი ყველი მოსჭრა. — აჰა, — უთხრა მან, — ნულარ სტირი!

უფროსმა გოგომ თავი გააქნია და ტირილი განაგრძო, უმცროსმა კი გამოართვა და ჭამა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ უმცროსმა მეორე ნაჭერი უფროსს მისცა, და ახლა ორივენი სჭამდნენ. უფროსი ისე ზლუქუნებდა ცოტ-ცოტას.

— მალე დამშვიდდება, — თქვა აიშომ.

რალაცამ გაუელვა თავში. — ქალწული ხარ? — ჰკითხა გვერდზე მჯდომს. გოგომ გამწარებით დაუქნია თავი. — ესეც ქალწულია? — დაზე მიუთითა. ორივემ დააქნიეს თავი, და უფროსმა რალაც თქვა დილაქტზე.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა ბართოლომეომ, — კეთილი და პატიოსანი.

ეტყობოდათ, ორივენი გამხნევდნენ.

იქვე დავტოვე ისინი, კუთხეში მიუყუდო აიშოსთან, და პიანის მანქანაში დავბრუნდი. ტრანსპორტი არ იძროდა, ჯარი კი მიედინებოდა და მიედინებოდა. წვიმა ისევ კოკისპირულად მოდიოდა და უცებ გავიფიქრე — რამ შეაჩერა ეს მოძრაობა, მანქანებში ელექტროგაყვანილობა ხომ არ სველდება-მეთქი. ჰკუთნთან ახლოს უფრო ის იყო, რომ ცხენებსა და ხალხს ჩამოეყვინებოდა. თუმცა რა — ქალაქშიაც რამდენჯერ ჩახერგილა გზა, როცა ყველას ღვიძავს. არა, ავტოტრანსპორტი და ფურგონებია ერთმანეთში არეული და იმისგანა გვჭირს. ვერ ეწყობიან ერთმანეთს. ეს ურმებიც რომ გამოტყვრებიან ხოლმე! კაი გოგონები კი უზის ბართოს. უკანდახვეის დროს ქალწულები გაგონილა! ნამდვილი ქალწულები არიან. ალბათ, თავგადადებული მორწმუნეებიც! ომი რომ არ იყოს, ახლა, ალბათ, ლოგინში ვიქნებოდით ყველანი. ლოგინში ვწევები. ტახტის საწოლი. ტახტივით მაგარი. ქეთრინიც დაწოლილა და ორ ზეწარში გახვეულა — ერთი ქვეშ უგია, ერთიც ზევიდან ხურავს. ნეტა რომელ გვერდზე წევს? იქნებ არცა სძინავს! იქნებ წევს და ჩემზე ფიქრობს. დაუბერე, დაუბერე, ქვენა ქარო. მართლა არ დაუბერა! მაგრამ ცოტათი კი არ წამოჟინებდა, მაგრამ წამოუშინა, მთელი ღამე იწვიმა. ხომ იცოდი, რომ ცა ფეხად წამოვიდოდა. აბა გახედე! ღმერთო, ისევ ჩემს ლოგინში ჩამაწვინა და სატრფო გულში ჩამახუტა. ჩემი საყვარელი ქეთრინი. წვიმად დაეშვას ჩემი ტკბილი ქეთრინი. დაუბერე და ისევ აქ მომგვარე. აჰა, ერთადა ვართ. ყველანი აქ არიან და ეს წვრილი წვიმა ცეცხლს რას ჩააქრობს. „ღამე მშვიდობის, ქეთრინ“, ზამთრისა ვუთხარი მე. „ტკბილად იძინე. ასე თუ ვერ მოისვენე, გადაბრუნდი, საყვარელო. ცივ-ცივ წყალს მოგიტან. მალე გათენდება კიდევ და მოისვენებ. მაგან როგორ უნდა შეწყაუხოს. სცადე, ჩემო ტკბილო, დაიძინე“.

მე სულ მეძინა, მითხრა ქეთრინმა. ძილში რაღაცას ბუტბუტებდი. ხომ კარგად ხარ?

მართლა აქა ხარ?

ვერა ხედავ! არც მიგატოვებ. რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენთვის სულ ერთია. რა კარგი ხარ, რა ტკბილი! ხომ არ მიმატოვებ ღამით, ხომ არ წახვალ?

არსადაც არ წავალ. ფეხსაც არ მოვიცვლი. როცა არ უნდა დამიძახო, შენთან გავჩნდები.

— ერთი შენი!.. — შეიკურთხა პიანიმ, — ისევ დაძინა.

— ცოტა წამთვლიმა, — ვთქვი მე. საათს დავხედე. დილის სამი საათი იყო. ხელი უკან გადავწვიე და ბარბერას ბოთლი გამოვადვრე.

— ხმაშედილა ლამაზაკობდით, — მითხრა პიანიმ.

— რაღაც მესიზმრა, ინგლისურად, — ვთქვი მე.

წვიმამ ცოტათი იკლო, ჩვენ კი ისევ მივდიოდით. გათენებამდე ერთხელ კიდევ გავეჩხირეთ. როცა ინათლა, ენახე, რომ გორაკზე ვიდექით და წინ მთელი უკანდასახევი გზა გადაჭიმულიყო, ყველაფერი გაქვავებული ჩანდა, ვარდა ქვეითი ჯარისა, რომელიც მანქანებსა და ფურგუნებს შორის მიჰყვანდა. ისევ დავიძარით, მაგრამ დღის შუქზე აშკარად გამოჩნდა, რა სისწრაფითაც მივდიოდით და მივხვდი, რომ თუკი საერთოდ იმედი გვქონდა უღინეში ჩასვლისა, საჭირო იყო მთავარი გზატკეცილიდან გადაგვეხვია და მოკლეზე მოგვეჭრა.

ღამით მთავარ კოლონას სოფლის გზებიდან გლეხებიც შემოუერთდნენ, რომელთაც ურემები საოჯახო ბარგი-ბარხანით დაეტვირთათ. ნაალებს შორის სარკეები გამოჩრილიყო და უკან ქათმები და იხვები გამოვბათ. ჩვენს წინ საკვრავი მანქანა შეენიშნე, რომელსაც პირდაპირ აწვიმდა. რაც ყველაზე უფრო ფასეულად მიაჩნდათ, ის წამოედოთ. აქა-იქ, ურემზე ქალები მოუყუქულიყვნენ და წვიმას აფარებდნენ თავს, სხვები გვერდზე მისდევდნენ ურემებს და ცდილობდნენ რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყვნენ. ძაღლებიც შემორეოდა კოლონას, და ფურგუნებს ქვეშ მიძღვნულბდნენ. გზაზე ტალახი იდგა, გზისპირა არხები წყლით გასვსებულიყო, და გზის გასწვრივ ჩამწკრივებულ ხეებს გადაღმაც მინდვრები ისე სველი და წყლით გაბუქებული იქნა, რომ გადახვევა ძნელი გასაგები იყო. ჩამოვხტი და ცოტა ფეხით გავიარე, გვერდზე გადასახვევ მარჯვე გზას ვეძებდი. ვიცოდი, რომ გზები ბევრი იყო, მაგრამ იმისთანა რაღა მინდოდა, თუკი არსად არ მიმიყვანდა. ვერ მომეგონებინა ასეთი მარჯვე გზა, რადგან მუდამ მანქანით ჩავუჭროლებდი ხოლმე და ეს გზებიც ერთმანეთსა ჰგავდნენ. ისიც აშკარა იყო, რომ ასეთ გზას თუ ვერ მივაგნებდით, ადგილზე მშვიდობით მისვლის იმედი აღარ უნდა გვქონოდა. კაცმა არ იცოდა, სად იდგნენ ამჟამად ავსტრიელები, არც ის იყო გარკვეული, თუ როგორ მიდიოდა საქმე, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ წვიმა თუ შეწყდებოდა და კოლონას თვითმფრინავები გადაუფრენდნენ თავზე, დაღუპვა არ აგცდებოდა. საკმარისი იყო, რამდენიმე შოფერი მოსცილებოდა თავის მანქანას, ან რამდენიმე ცხენი მოეკლათ, რომ გზა საბოლოოდ ჩაიხერგებოდა.

წვიმა ისე მაგრად აღარ უშენდა და ვიფიქრე, ალბათ გამოიდარებს-მეთქი. ცოტა კიდევ გავიარე და როცა ტრიალმინდერებში გაჭიმული ჩრდილოეთით მიმავალი ვიწრო გზა შეენიშნე, რომელსაც ორივე მხარეს ხეთა ცოცხალი ღობე ერტყა, გადავწყვიტე, ამ გზაზე გადახვევა აჯობებდა. პიანი გავაფრთხილე, გადაუხვევ-მეთქი და ბონელოსა და აიმოს გასაფრთხილებლად წაველი.

— თუ არსად გავიყვანა იმ გზამ, მოვბრუნდებით და ისევ კოლონას შევეუერთდებით, — ვთქვი მე.

— ამათ რა ვუყო? — მკითხა ბონელომ. ის ორი სერჟანტი ისევ იქ ჰყავდა. გაუპარსავეები იყვნენ, მაგრამ ამ დილაადრიანადაც კი მხედრული იერი ჰქონდათ.

— მანქანის ამოთრევაში გამოგვადგებიან, — ეუთხარი მე. მერე აიშოსთანაც მივედი და გავაფრთხილე, გადახვევას ვაპირებ-მეთქი.

— ამ ქალწულების მოდემას რაღა ვუყო? — მკითხა მან. გოგონებს ჩასძინებოდათ.

— ეგენი ბევრს ვერაფერს გაგიკეთებენ, — ეუთხარი მე, — სჯობს ისეთი ვინმე წამოიყვანო, მანქანას მოაწვეს და ამოგვათრევიზოს.

— ამათ ძარაში შევყრი, — თქვა აიშომ, — ადგილი ბევრია.

— თქვენი ნებაა, თუკი ვერ გემეტებათ, — მივუხე მე, — მაშინ ვინმე მხარბეჭიანი წამოიყვანე, მანქანას რომ მოაწვეს.

— ბარსელიერები, — გაიღიმა აიშომ, — ყველაზე მხარბეჭიანები ბარსელიერები არიან. უზომადენ ხოლმე ბეჭებს. ისე როგორა ბრძანდებით, Tenente?

— დიდებულად. თქვენ როგორღა ხართ?

— დიდებულად. ოღონდ ძალიან მომშივდა.

— სადმე ხომ გავიყვანს ეს გზა, გავჩერდეთ და გვამოთ.

— ფეხი როგორა გაქეთ, Tenente?

— დიდებულად. — ეუთხარი მე.

საფეხურზე ვიდექი და წინ ვიყურებოდი. დავინახე, როგორ ჩამოცილდა კოლონას პიანის მანქანა და როგორ გადაუხვია ვიწრო გზაზე, ცოცხალი ღობის გატიტვლებულ ტოტებს შორის მოსჩანდა. ბონელომაც შეუხვია და პიანის გაჰყვ, მერე აიშომაც გადაიყვანა თავისი მანქანა, და ორივე მხრიდან ხეებით შემოჯარულ ვიწრო გზას დავადექით, წინა სანმანქანებს მიჰყევით. გზა ფერმაში მიდიოდა. ჩვენ რომ მივედით, პიანისა და ბონელოს მანქანები უკვე ფერმის ეზოში იდგა. სახლი დაბალი და წაგრძელებული იყო, კარებთან ვენახის ფანჩატური ჰქონდათ მოწყობილი. ეზოში ჭა იყო და პიანი რადიატორში ჩასახსმელად წყალს იღებდა. კარგა ხანს ვიარეთ ნელი სიჩქარით და წყალი სულ ამოდულებულიყო. სახლი დაეცარიელებინათ. უკან გავხედე გზას. სახლი პატარა ბორცვზე იდგა, ტრიალ მინდორში, და ირგვლივ ყველაფერი ჩანდა. დავინახეთ გზა, ღობეები, მინდვრები და იმ გზის გაყოლებაზე ჩამწყრივებული ხეები, რომლითაც უკან დახვევა სწარმოებდა. სერჟანტებმა მთელი სახლი გადააქოთეს, გოგონებმა გაიღვიძეს და ახლა ათვალეირებდნენ ეზოს, ჭას, სახლის წინ გაჩერებულ ორ დიდ სანმანქანას, და ჭასთან მოდუსდუსე სამ შოფერს. ერთ-ერთი სერჟანტი გამოვიდა და კედლის საათი გამოიტანა.

— უკანვე შეიტანეთ! — ეუთხარი მე. გადმოხედა, სახლში შებრუნდა და უსაათოდ გამოვიდა.

— თქვენი ამხანაგი სადღაა? — ვკითხე მე.

— ფეხსადგილშია.

მანქანაში შეძერა, შეეშინდა, არ დამტოვრო.

— არ ვისაუზმოთ, Tenente? — მკითხა ბონელომ, — რამე გვეჭამა. ხელად დაენაყრდებოდით.

— როგორა გგონიათ, იქით მხარეს რომ გავჰყვეთ ამ გზას, სადმე მიგვიყვანს?

— რა თქმა უნდა.



- მამ კარგი. ვჰამოთ. — პიანი და ბონელო სახლში შევიდნენ.
- წამოდით, — უთხრა აიმომ გოგონებს. ხელი გაუწოდა მისამველებლად. უფროსმა დამ თავი გააქნია. მიტოვებულ სახლში არ ინდომეს შესვლა. ჩვენ შემოგვყურებდნენ.
- მაგათ რას გაუფებ, — თქვა აიმომ.
- ერთად შევედით სახლში. დიდი და ბნელი ჩანდა. იგრძნობოდა, რომ მიტოვებული იყო. ბონელო და პიანი სამზარეულოში გავიდნენ.
- ბევრი არაფერია შესაქმელი, — თქვა პიანი, — პირწმინდად გაუსუფთავებიან.
- ბონელო დიდ თეთრ ყველსა სჭრიდა სამზარეულოს მძიმე მაგიდაზე.
- ყველი სადღა იყო?
- სარდაფში. პიანი ღვინოსაც წააწყდა, ვაშლებსაც.
- კარგი საუზმე გამოგვიღოდა.
- მანულებით შემოწულ დიდ ღოქს პიანი ხის საცობსა ხსნიდა.
- სუნი კარგი აქვს, — თქვა მან, — რამე ჭურჭელი მონახე, ბართო. სერჟანტებიც შემოვიდნენ.
- ყველზე დაგვეწვიეთ, სერჟანტებო, — მიმართა ბონელომ.
- ბარემ წავსულიყავით, — თქვა ერთმა მათგანმა, ყველი მოკბიჩა და ღვინო მოსვა.
- წავალთ, ფიქრი ნუ გაქვს, — უთხრა ბონელომ.
- ჯარისკაცი კუჭით ცოცხლობს და კუჭით დადის, — ვთქვი მე.
- რაო? — იკითხა სერჟანტმა.
- კარგად უნდა დანაყრდე.
- ჰო, მაგრამ დროც ძვირფასია.
- ალბათ, უკვე მიირთვეს ნაბუშრებმა, — თქვა პიანი. სერჟანტებმა მას გადახედეს. დასანახად ვეზარებოდით ყველანი.
- გზა იცით? — მკითხა ერთმა მათგანმა.
- არა, — ვუპასუხე მე. ერთმანეთს შეხედეს.
- ყველაფერს აჯობებს, წავიდეთ, — თქვა პირველმა.
- მივიღვართ, — ვუთხარი მე. კიდევ დავლიე ერთი ჭიქა წითელი ღვინო. ყველისა და ვაშლის შემდეგ ძალიან გემრიელი მეჩვენა.
- ყველი წამოიღეთ, — ვთქვი მე და გარეთ გამოვედი. ბონელომ დიდი ღოქით ღვინო გამოიტანა.
- მეტისმეტად დიდია, — ვუთხარი მე. დანანებით დახედა ღოქს.
- ვიცი, — თქვა მან, — მათარები მომეცით, გავაცხებ. — მათარები გაავსო, ცოტაოდენი ღვინო ეზოში დაფენილ ქვებზე დაიღვარა. მერე ღოქი აიღო და შიგ შედგა.
- აესტრიელები კარების გაუტეხავად მიაგნებენ, — თქვა მან.
- დავიძრათ, — ვთქვი მე, — პიანი და მე წინ ვივლით. — ის ორი სერჟანტი უკვე მოსჯდომოდა გვერდში ბონელოს. გოგონები ყველსა და ვაშლს შეეცუოდნენ. აიმო თუთუნსა სწევდა. დავადექით ვიწრო გზას. უკან მოვიხედე, ჩვეს ორ მანქანასა და გლეხის სახლს გავხედე. დაბალი, კოხტა, მაგრად ნაშენი სახლი იყო, ჰასაც კოხტად ერტყა რკინის ლარტყული. წინ ვიწრო და ტალახიანი გზა გვედო, რომელსაც ორივე მხარეზე მაღალი ცოცხალი ღობე ერტყა, უკან სულ ახლოს მოგვევებოდნენ მანქანები.

თხზი XIX

შუადღისას ლაფში ჩავიფალით, ჩვენი ვარაუდით, უდინიდან ასე ათი კილომეტრის დაშორებით. წვიმამ ადრევე გადაიღო და ჩვენ სამჯერ გავიგონეთ თვითმფრინავების გუგუნი, თავზე გადაგვიქროლეს, ვუყურებდით, როგორ მიფრინავდნენ შორს, მარცხნივ, მერე კი მთავარი გაზაფხულის დაბომბვის ხმა შემოგვესმა. სასოფლო გზების ბაღეში გავებით და ბარეორჯერ დავადექით ისეთ გზას, რომელიც ჩიხით დამთავრდა, მაგრამ გავბრუნდებოდით ხოლმე, ვბოულობდით სხვა გზას და თანდათანობით ვუახლოვდებოდით უდინს. ახლა კი, ჩიხიდან უკან სვლით დაბრუნების დროს, აიშოს მანქანა ფაშარ მიწაში ჩაიფლო და ბორბლები, ერთ ადგილზე სრიალით, სულ უფრო და უფრო ღრმად წავიდა, ვიდრე თავისივე დიფერენციალს არ დაეყრდნო მანქანა. უნდა გამოგვეთხარა წინა ბორბლებისათვის მიწა, წნელები დაგვეყარა და ჯაჭვისთვის ამუწავების საშუალება მიგვეცა, თან, მანამ ამოვთრევდით, ჩვენც უნდა მოვწოდოდით. ყველანი ძირს ვიყავით და მანქანას ვუტრიალებდით. სერჟანტებმა შეათვალიერეს და ბორბლები გაუსინჯეს. მერე შებრუნდნენ და, კრინტიც არ დაუძრავთ, ისე, გზას დაადგნენ. მე გამოვედევნე.

— მობრუნდით, — გავძახე მე, — წნელები მოამტკრიეთ.

— უნდა წავიდეთ, — თქვა ერთმა მათგანმა.

— ჩქარა! — შევძახე მე, — წნელები მოამტკრიეთ.

— უნდა წავიდეთ, — თქვა ერთმა. მეორეს ხმაც არ გაუღია. წასვლას ეშუალებოდნენ, მე არც კი მიუყურებდნენ.

— გიბრძანებთ, ახლავე მობრუნდეთ და წნელები მოამტკრიეთ! ერთი სერჟანტი მობრუნდა.

— უნდა წავიდეთ. ცოტა ხანში თქვენ გზას გადაგიტრიან. რა უფლებით გვიბრძანებ? სადაური ჩვენი უფროსი ხართ!

— მე თქვენ გიბრძანებთ წნელები მოამტკრიეთ! — გავუმეორე მე. შებრუნდნენ და გზა განაგრძეს.

— შესდექით! — გავძახე. უკანაც არ მოუხედავთ, კვლავ მიჰყვებოდნენ ტალახიან გზას, რომელსაც აქეთ-იქით ცოცხალი ღობე ერტყა. — შესდექით-მეთქი, გიბრძანებთ! — ვუყვირე მე. ცოტა უფრო ააჩქარეს ფეხი. ბუდე გავხსენი, პისტოლეტი ამოვიღე და ბევრს რომ ჰიჰყინებდა, იმას დავუმიხნე, და ფეხი გამოვუშალე. ავაცილე, და ისინიც გაიქცნენ. სამჯერ ვესროლე და ერთი წააქციე. მეორე ცოცხალ ღობეს შეერია და თვალს მიეფარა. მინდორში რომ გავიდა, ხევეს გადაღმა ვესროლე. ტყვია გამოიღია და ახლა მჭიდვ ჩავდე. ამასობაში შორს წავიდა მეორე სერჟანტი და ტყვიას ვეღარ მოვუწვდენდი. თავი დაბლა დაეხარა და მინდორში გარბოდა. დაცარიელებული მჭიდის დატენა დავიწყებონელო მომიახლოვდა.

— გამიშვით, გავთავებ, — მითხრა მან. პისტოლეტი მივეცი. ქვემოთ დაუყვა გზას, სადაც საინჟინრო ნაწილის სერჟანტი ეგდო, გზის გარდამავალი, ლაფში ცხვირით ჩაფლული. ბონელო დაიხარა, პისტოლეტი თავზე დაადო და ფეხი გამოუშალა. არ გავარდა.

— საკეტი გადასწიე, — გავძახე მე. გადასწია და ორჯერ გაისროლა. მერე ფეხით დაითრია სერჟანტი და გვერდზე მიაგდო, ღობის ძირში. მობრუნდა და პისტოლეტი დამიბრუნა.

— ძალღიშვილი! — თქვა მან. სერჟანტს გაჰყურებდა. — ზომ ნახეთ, როგორ დავახალე, Tenente?

— ჩქარა წნელები შევაგროვოთ, — ვთქვი მე, — მეორეს სულაც ვერ მოვახვედრე?

— მგონი, ვერა, — მითხრა აიმომ, — შორს იყო და პისტოლეტი ვერ მიწვდებოდა.

— ნამუსგარეცხილი! — ჩაილაპარაკა პიანიმ. ბუჩქებსა და ტოტებს ვამტვრევდით. მანქანიდან ყველაფერი ვადმოვყარეთ. ბონელო მიწას უთხრიდა წინა ბორბლებს. როცა ყველაფერს მოვრჩით, აიმომ მანქანა აამუშავა და სიჩქარე ჩართო. ბორბლებმა სრიალი დაიწყო, ტალახსა და წნელების ნატეხებს ისროდა აქეთ-იქით. ბონელო და მე, რაც შეგვეძლო, ვაწვებოდით, მაინც კუნთებმა ტკაცანი არ დაიწყო. მანქანა ადგილიდან არ იძროდა.

— ცოტა უკან დასწი და მერე ერთბაშად გააქანე, ბართო, — ვუთხარი მე. უკანა სვლით დასძრა, მერე ისევ წინ გააქანა. მაგრამ ბორბლები ახლა უფრო ღრმად ჩაჯდა. ბოლოს ისევ დიფერენციალს დაეყრდნო მანქანა და ბორბლები თავისუფლად ასრიალდნენ მათ მიერვე ამოთხრილ ორმოებში. მე გავიმართე.

— ბაწრითა ვცადოთ.

— არა მგონია, რამეს გავხდეთ, Tenente. სად უნდა ჩაამწყრივო აქ მანქანები!

— მაინც ვცადოთ, — ვუთხარი მე, — სხვა საშველი აღარ არის.

პიანისა და ბონელოს მანქანების ერთ ხაზად ჩამწყრივება მარტო გზის სიგრძლივ გზაზე შეიძლებოდა. გადავბით მანქანები ერთმანეთს და დაძვრა ვცადეთ. ისევ იმავე განაკვალში სრიალებდნენ ბორბლები.

— ვერაფერი ხეირი გამოდის, — გავძახე მე, — მოეშვით.

პიანი და ბონელო თავიანთი მანქანებიდან ჩამოხტნენ და ისევ ჩვენთან მოვიდნენ. აიმომ ჩამოვიდა. გოგონები ყორეზე ჩამომსხდარიყვნენ, ორმოციოდე იარდის დაშორებით.

— რას იტყვი, Tenente? — იკითხა ბონელომ.

— ცოტათი გამოვუთხაროთ და ისევ წნელებითა ვცადოთ, — ვთქვი მე. გზას გავხედე. სულ ჩემი ბრალი იყო. მე შემოვჩიხე აქ. მზე თითქმის გამოძვრა ღრუბლებიდან. სერჟანტის გვაში იქვე ღობის ძირას ევდო.

— მაგისი მაზარა და ლაბადა ამოვუდოთ, — ვთქვი მე. ბონელო მოსატანად გაემართა. მე წნელები მოვამტვრიე, აიმომ და პიანიმ მიწა შემოუთხარეს ბორბლებს. ლაბადა გავჭერი, შუაზე გავფხრიწე და ბორბლებს ამოვუდევით ტალახში. მერე წნელები დავაყარე. მოვაშაღეთ ყველაფერი, აიმომ მანქანაში შეძვრა და დაქოქა. ბორბლები დატრიალდნენ, ჩვენ, რაც შეგვეძლო, ვაწვებოდით და ვაწვევბოდით უკანიდან. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ.

— ოჰ, ამისი... — ვთქვი მე, — ისეთი ზომ არაფერი გრჩება მანქანაში, ბართო?

აიმომ ძარაში შეძვრა ბონელოსთან ერთად, ჩამოიტანეს ყველი, ორი ბოთლი ღვინო და ლაბადა. ბონელო საჭეს მიუჯდა და სერჟანტის მაზარის ჯიბეებს დაუწყო ჩხრეკა.

— გადავდე ერთი ეს მაზარა, — შევძახე მე, — ბართოს ქალწულებს რა უნდა ვუყოთ?

— ძარაში ჩასხდნენ, — თქვა პიანიმ, — შორს მაინც ვერ წავალთ, ეტყობა. სანმანქანის უკანა კარი გავალე.

— აბა, — მივმართე მე, — ჩასხედით.

გოგონები აძვრნენ და კუთხეში მიიყუდნენ. ეტყობოდა, სროლას აინუნშიაც არ აგდებდნენ. უკან მოვიხედე. სერჟანტი იქვე ევდო, გრძელსახელოებიანი.

მუშაობის პერანგი ეცვა. პიანის მოგუჯეკი გვერდში და დავიძარი. მინდორის გადაჭრა დავაპირეთ. როცა მინდორს მიაღება გზა, ჩამოვხტი და მანქანებს წინ გავეძეხი. აქედან გასვლას თუ მოვახერხებდით, გადაღმა უკვე გზა იყო. ვერ მოვახერხეთ გადასვლა. მიწა სულ წყლით იყო გაბუჟებული. ბორბლები ლაფში ჩაეფლო და საბოლოოდ გაგვეჭედა მანქანები. ჩამოვხტი და ფეხით გავსწიეთ უდინისაკენ. მანქანები მინდორში დავტოვეთ.

როცა გავედით გზაზე, რომელიც მთავარ გზატკეცილს უერთდებოდა, მე გოგონები გავახედე იქითენ.

— იქ წადით, — ვუთხარი მე, — იქ ხალხია.

შემომხედეს. საფულე ამოვიღე და ათ-ათი ლირა მივეცი. — იქ წადით, — ვუთხარი მე და ხელით ვანიშნე, — მეგობრები! თქვენთანები!

გაგებით ვერაფერი გაიგეს, მაგრამ ფული მაგრად ჩაბლუჯეს და გზას გაუდგინა. თან უკან იხედებოდნენ, თითქოს ეშინოდათ, ფული ისევ არ წაგვართვასო. მე მათ შევეყურებდი, შალი მაგრად შემოეხვიათ ტანზე და მიდიოდნენ, ზოგჯერ შიშით გამოგვხედავდნენ ხოლმე. შოფრები იცინოდნენ.

— მე რამდენსა მომცემ, Tenente, იქით რომ წავიდე? — მკითხა ბონელომ.

— თუ გაბმა უწერიათ, ბარემ ხალხში გაებან, — ვთქვი მე.

— ორსი ლირა მომეცი და პირდაპირ ავსტრიაში წავალ. — თქვა ბონელო.

— წავართმევ, — უთხრა პიანიმ.

— იქნებ საშველი დაადგეს ომის გათავებას, — თქვა აიმომ.

რაც ძალი და ღონე გვექონდა, სწრაფად მივდიოდით. მზე ღრუბლებიდან გამოჰყვებოდა ლამობდა. გზისპირას თუთის ხეები იყო ჩამწკრივებული. ხეებს იქით რომ გავიხედე, მინდორში ჩვენი ორი მანქანა დავინახე. პიანიმაც მიიხედა.

— გზის გაყვანა გახდება საჭირო მაგათ გამოსათრევად, — თქვა მან.

— ერთი, ველოსიპედები მოგვცა და მეტი არა მინდა რა, — თქვა ბონელომ.

— ამერიკაშიაც დადიან ველოსიპედებით? — იკითხა აიმომ.

— უწინ დადიოდნენ.

— აქ კარგი რამეა, — თქვა აიმომ, — დიდებულია ველოსიპედი.

— ისერიან? — ვკითხე მე. მომეყურა, თითქოს სადღაც შორს ისროდნენ.

— არ ვიცი, — მითხრა აიმომ. დააყურადა.

— მგონი ისერიან, — ვთქვი მე.

— ყველაზე ადრე კავალერია გამოჩნდება, — თქვა პიანიმ.

— არა მგონია, კავალერია ჰყავდეთ.

— ღმერთმა გისმინოს, — მიუგო ბონელომ, — ვერაფრად ნებიტნავენ, შუბი მატაკოს ვიღაც მ... კავალერისტმა.

— მარჯვედ კი მორატყით იმ სერჟანტს, Tenente, — თქვა პიანიმ. ჩქარი ნაბიჯით მივდიოდით.

— მე ჩავაძალე, — თქვა ბონელომ, — ჯერაც არავინ მომეკლა ომში, და ჩემი დღე და მოსწრება იმას ვნატრობდი, ერთი სერჟანტი მომაკვლევინა-მეთქი.

— რაღა იმის მოკვლა და რაღა დაბუღებული კრუხისა, — უთხრა პიანიმ, — მაინცდამაინც სწრაფად ვერ მიჰქროდა, შენ რომ მოჰკალი.

— მერე რა მოხდა. ეგ ისეთი საქმეა, რომ მუდამ მემახსოვრება. ხომ ჩავაძალე მ... სერჟანტი!

— მღვდელს რაღას ეტყვი აღსარებაზე? — ჰკითხა აიმომ.

— პირდაპირ გეტყვი „მაკურთხე, მამო, რამეთუ სერჟანტი მოვკალ მე“. ყველას გაეცინა.

— ეგ ხომ ანარქისტია, — თქვა პიანიმ, — ეკლესიაში რა უნდა!

— პიანიც ანარქისტია, — თქვა ბონელომ.
 — მართლა ანარქისტები ხართ? — ვკითხე მე.
 — არა, Tenente, სოციალისტები ვართ. ჩვენ ყველანი იმოლიდანა ვართ.
 — არასოდეს არა ყოფილხართ იქა?
 — არა.
 — ღვთის მადლმა, დიდებული ადგილია, Tenente, ომი რომ გათავდება, ჩამოდით და კაი რამეებს გაჩვენებთ.
 — ყველანი სოციალისტები ხართ, იქა?
 — სუყველანი.
 — კარგი ქალაქია?
 — საუცხოო. მაგისტანა მეორეს ვერ ნახავთ.
 — როგორ გახდით სოციალისტები?
 — ყველანი სოციალისტები ვართ. დიდიან-პატარიანა. სოციალისტებად გავჩნდით.
 — ჩამოდით, Tenente, და თქვენც გაგასოციალისტებთ.
 ცოტა უფრო წინ, გზა მარცხნივ უხვევდა, აქ იყო პატარა გორაკი და ქვის გალავნით შემოღობილი ვაშლის ბაღი. აღმართს რომ შევედევით დადუმდნენ. ერთმწყრივად მივდიოდით და ვცდილობდით, ჩქარა გვევლო.

თავი XXX

უფრო მოგვიანებით ჩვენ გავედით გზაზე, რომელიც მდინარესა სჭრიდა. მთელს გზაზე, ზედ ხილამდე, მიტოვებული საბარგო მანქანებისა და ფურგონების გრძელი მწკრივი იყო გადაჭიმული. კაცის ჭკანება არა სჩანდა. მდინარე მოდიდებულყოფი, ხიდი კი შუა ადგილას ჩაენგრიათ. ქვის თალი მდინარეში ჩაწოლილიყო და ზევიდან მღვრიე წყალი გადასდიოდა. ნაპირს შევპყევით, გადასასვლელ ადგილს ვეძებდით. ვიცოდით, რომ ზემოთ, სადღაც, რკინიგზის ხიდი იყო და იმედი მქონდა, იქ გადავიდოდით. ბილიკი სველი და ტალახიანი იყო. ჯარის ნაწილები არ გამოჩენილა, მიტოვებულ მანქანებს და ქონებასლა ვხედავდით. მდინარის გაყოლებაზე არავინ და არაფერი არ ჩანდა, გალუმპული ბუჩქნარი და ტალახი იყო მხოლოდ. ავპყევით ნაპირს და ბოლოს რკინიგზის ხიდსა ვკიდეთ თვალი.

— რა ლამაზი ხილია! — თქვა აიმომ. ეს იყო თითქმის ამომშრალ მდინარეზე გადებული გრძელი რკინის ხიდი.

— ვიჩქაროთ და გადავიდეთ, მანამ აუფეთქებიათ, — ვთქვი მე.

— სადღა ამფეთქებელი, — თქვა პიანიმ, — ყველა წავიდა.

— დანაღმული იქნება, — თქვა ბონელომ, — პირველი თქვენ გადადით, Tenente.

— ანარქისტს დამიხედეთ! — თქვა აიმომ, — პირველად სწორედ ეგ გაუშვით.

— მე წავალ, — ვთქვი მე, — ისე არ დანაღმავდნენ, რომ ერთი კაცის სიძიმემ ააფეთქოს.

— ხომ ხედავ, — თქვა პიანიმ, — ჭკუაც ამას ქვია! შენ რატომ არა გაქეა, ანარქისტო, ჭკუა?

— ჭკუა რომ მქონდეს, აქაც არ ვიქნებოდი.

— ეს კი კარგად გამოუვიდა, Tenente, — თქვა აიმომ.

— კარგი იყო, — ვთქვი მე. უკვე მივაღწეით ხილს. ცა კვლავ ღრუბლებით დაიფარა და წამოჩინებულა. გრძელი და მყარი ჩანდა ხილი. მიწაყრილზე ავ-
ცოცდით.

— თითო-თითოდ გავიდეთ, — ვთქვი მე და ხიდზე შევდგი ფეხი. ყურად-
ღებით ვათვალიერებდი განძელებსა და რელსებს, იქნებ მავთულს ან ნალმის
რაიმე ნიშანს წავაწყდე-მეთქი. მაგრამ არაფერი დამინახავს. დაბლა, განძელებს
შორის, მღვრიე და სწრაფი მდინარე მოსჩანდა. წინ, სველი მინდვრების გადაღმა,
წვიმაში გახვეული უდინი დავინახე. მანამ ხილს გავივლიდი, უკან მოვიხედე.
ცოტა ზემოთ კიდევ ერთი ხილი მოსჩანდა. ტალახისფერმა მანქანამ გაიარა. იმ
ხილს მაღალი მოაჯირები ჰქონდა და როგორც კი შევარდა მანქანა, ხელაღვე
დამიძალა. მაგრამ მე მაინც ვხედავდი შოფრის, შოფრის გვერდზე მჯდომისა და
უკანა სავარძელში მსხდომი ორი კაცის თავებს. გერმანული ჩაჩქანები ეხურათ.
მანქანამ ხილი გადასჭრა და ხეებსა და გზაზე მიტოვებულ ტრანსპორტს მიეფარა.
მე ხელი დავუქნიე აიშოს, რომელიც უკვე ხიდზე იდგა, და დანარჩენებს —
წამოდით-მეთქი. დაბლა ჩავინაცვლე და მიწაყრილის ძირში დავჯექი. აიშოც
ჩამომყვა.

— მანქანა დაინახე? — ვკითხე მე.

— არა. თქვენ გიყურებდით.

— ზემოთა ხიდზე გერმანელთა შტაბის მანქანამ გაიარა.

— შტაბის მანქანამ?

— ჰო.

— ო, ღვთისმშობელო!

სხვებიც შემოგვიერთდნენ და მიწაყრილის ძირში მოვიკალათეთ, ტალახში.
თან ზემოთ ვიყურებოდით და ვხედავდით ხეებს, თხრილსა და გზას.

— ვითომ, გადავჭერს, Tenente?

— ვერ გეტყვით. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ გერმანელთა საშტაბო მანქა-
ნამ ჩაიარა.

— უქეფოთ ზომ არა ხარ, Tenente. თავბრუ ზომ არ დაგეხვათ?

— ნუ ლაზღანდარობ, ბონელო.

— რა იქნება, რომ დავლიოთ?! — თქვა პიანიმ, — გადაჭრილები თუ ვართ,
დავლიოთ მაინც. — მათარა მოიხსნა და საცობი მოაძრო.

— შეხეთ, შეხეთ! — წამოიძახა აიშომ და გზისკენ გაგვახედა. ქვის მოაჯირს
ზემოთ გერმანული ჩაჩქანები მოსჩანდა. წინ გადახრილიყვნენ და თითქმის ზე-
ბუნებრივის სისწრაფით მიცურავდნენ. ხილს რომ გასცდნენ, მთელი ტანით გა-
მოჩნდნენ. ველოსიპედისტთა რაზმები იყო. პირველი ორის სახე გავარჩიე. და-
ქლაქა, ჯანიანი ბიჭები ჩანდნენ. ჩაჩქანი შუბლზე ჩამოფხატოდათ და ცოტათი
სახესაც უფარავდათ. კარაბინები ველოსიპედებზე დაემაგრებინათ. ქამრებზე
ხელყუმბარები ჰქონდათ ჩამოკონწიალებული, ტარით დაბლა. ჩაჩქანები და რუ-
ხი ტანსაცმელი სულ დასველებოდათ და ლაღად მიდიოდნენ, თანაც წინ და გვე-
რდებზე იყურებოდნენ. თავში ორი იყო, მერე ოთხი, მერე ისევ ორი, მერე თით-
ქმის მთელი ღუფინი, რასაც კიდევ ერთი ღუფინი მიჰყვებოდა და მერე ერთა,
განცალკევებით. ერთმანეთში არ ლაპარაკობდნენ, თუმცა რა — მდინარე ისე
ხმაურობდა, რომ ჩვენც მაინც ვერ გავიგონებდით. თვალს მიეფარენ.

— წმიდაო მარია! — წარმოსთქვა აიშომ.

— გერმანელები იყვნენ, — თქვა პიანიმ, — ავსტრიელები არ ყოფილან.

— რატომ არავინ არ შეაჩერა? — ვთქვი მე, — ხილი რად არ ააფეთქეს?
ტყვიამფრქვევები რატომ არ უდგათ მიწაყრილთან?

— ამას ჩვენ გვეუბნებით, Tenente! — მითხრა ბონელომ.

გული ყელში მომებჯინა.

— ნუთუ სულ დაგიდა ხალხი! ქვემოთ პატარა ბოგირი ააფეთქეს, აქ კი მთავარ გზატკეცილზე დაუტოვეს ხიდი. სად გადაიკარგენ? ნუთუ შეჩერებასაც აღარ ცდილობენ!

— ჩვენ გვეუბნებით, Tenente! — მითხრა ბონელომ. დაეჩუმდი. მე რაში მეკითხებოდა. ჩემი საქმე მარტო ის იყო — პორდენონეში ჩავსულიყავი და სამი სანიტარული მანქანა ჩამეყვანა. ეს ვერ მოვახერხე. ახლა კი ისლა დამრჩენოდა — როგორმე პორდენონემდე ჩამელწია. მაგრამ, ეტყობა, უდინშიაც ვერ ჩავალწევ. ჯანდაბას, თუ ვერ ჩავალწევ! იმასლა უნდა ვეცადო, რომ ჩუმად ვიყო და როგორმე თავი არ მოვაკვლევი, ან ტყვედ არ ჩავვარდე.

— არ გახსენი ეს მათარა? — ვკითხე პიანის. გადმომაწოდა. კარგა ბევრი მოგსვი, — წავიდეთ ბარემ, — ეთქვი მე, — თუმცა საჩქაროც არაფერია. ხომ არ მოგშვიდათ?

— აქ გაჩერება არ იქნება, — თქვა ბონელომ.

— კეთილი და პატიოსანი. წავიდეთ.

— ასე ვიაროთ, თვალს მოფარებული?

— სჯობს ზევით-ზევით ვიაროთ. ხომ შეიძლება, ამ ხიდზედაც გამოიარონ! თავზე რომ მოგვექცნენ, მანამ ჩვენ დავინახავთ, უარესი იქნება.

ლიანდაგს გავჰყევით. აქეთაც და იქითაც სველი მინდვრები იყო გადაქიმული. წინ, მინდვრის გაღალმა უდინის გორაკი მოსჩანდა. გორაკზე, ციხის აქეთ-იქით, სახურავები გადაშლილიყო. სამრეკლო და საათის კოშკიც მოსჩანდა. მინდვრები სულ თუთის ხეებით იყო გადაჭრელებული. ცოტა რომ გავიარეთ, რკინიგზა აეყარათ. განძელებიც დაეთხარათ და მიწაყრილის ძირში დაეყარათ.

— ჩადით, ჩადით! — შესძახა აიმომ. მიწაყრილის ვასწვრივ ჩავსრიალდით. ველოსიპედისტების მეორე რაზმი მიდიოდა გზაზე. მიწაყრილის კიდიდან გავხედე და ვნახე, რომ ჩაიარეს.

— დავგინახეს, მაგრამ მაინც ჩაიარეს, — თქვა აიმომ.

— ამოგვხოცავენ, Tenente, — თქვა ბონელომ.

— მაგათ ჩვენ არ ვჭირდებით, — ვუთხარი მე, — რაღაც სხვას გამოსდევნებიან, უეცრად თუ წამოგვადგენ თავზე, შენ მაშინ იკითხე.

— მე მაინც დაბლა ვარჩედი, მოფარებული ვიქნებით, — თქვა ბონელომ.

— შენი ნებაა. ჩვენ კი რკინიგზას გავჰყევით.

— როგორა გგონიათ, ვითომ გავალწევთ? — მკითხა აიმომ.

— რაღა თქმა უნდა. ჯერ ცოტანი არიან. შელამებისას მივალთ.

— იმ შტაბის მანქანას რაღა უნდოდა?

— უფალმა უწყის, — ვთქვი მე, მივჰყევოდით რკინიგზას, ბონელომ დაბლა, ტალახში სიარული სცადა, მაგრამ ისევ შემოგვიერთდა. რკინიგზა ახლა გზატკეცილს შორდებოდა და სამხრეთით უხვევდა... ამიტომ ველარ ვხედავდით, გზაზე რა ხდებოდა. არხზე გადებული ხიდი ჩაენგრათ და, როგორც იქნა, ხომინჯებზე გადაჰყვრილ. წინიდან სროლის ხმა მოდიოდა. არხს რომ გავსცდით, ისევ ზევით ავედით. ახლა უკვე პირდაპირ ქალაქისაკენ მიემართებოდა ჩავარდნილ მინდვრებში გაჭრილი გზა. წინ სხვა რკინიგზის ხაზიც გამოჩნდა. ჩრდილოეთით — მთავარი გზატკეცილი იყო, რომელზედაც ველოსიპედისტებმა ჩაიარეს, სამხრეთით — ორი მხრიდან ხეებით გადმოხურული ვიწრო გზა. ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა სამხრეთით წავსულიყავით და ისე შემოგვევლო ქალაქისათვის, მერე სასოფლო გზით კამპოფორმიოში მივიდოდით, ხოლო იქიდან მთავა-

რი გზატკეცილით — ტაგლიამენტოში. ამრიგად, პატარ-პატარა გზებით შემოვუ-
ვლიდით უდინს, ხოლო უკანდახევის მთავარ გზას გვერდს ავუქცევდით. აქ,
მინდორ-მინდორ, პატარა გზები ბლომად მეგულებოდა. მიწაყრილიდან დაბლა
დაღეშეი.

— წავიდეთ, — ეთქვი მე. პატარა გზას გავჰყვებით და ქალაქს სამხრეთით
მოვექცევით-მეთქი, ვიფიქრე. სხვებიც დაეშენენ. უცებ სასოფლო გზიდან გვეს-
როლეს. ტყვია მიწაყრილის ტალახში შეიჭრა.

— დაიხიეთ! — შევძახე მე. ისევ მიწაყრილზე დავიწყე აბობლება ტალახში.
შოფრები ჩემს ზემოთ იყვნენ. რაც ძალი და ღონე მჭონდა გავქანდი და თავზე
მოვექეცი მიწაყრილს. ხშირი ბუჩქნარიდან კიდევ წამოვიდა ორი ტყვია, და აი-
წო, რომელიც რელსებზე გადიოდა, შეტოკდა, დაბარბაცდა და პირქვე ჩაემხო.
მეორე მხრიდან გადავითრიეთ და ზურგზე დავასვენეთ. — თავი მალა დაუჭი-
რეთ, — ეთქვი მე. პიანიმ შეაბრუნა. მიწაყრილის დაქანებაზე დავაწვინეთ, ფე-
ხებით დაბლა. ყოველ ამოსუნთქვაზე სისხლს აღებინებდა. გარს შემოვებვით
და სამივენი ჩავცუტყდით იმ წვიმაში. ტყვია კისერში მოხვედროდა. ზევით წა-
მოსულიყო და მარჯვენა თვალის უბეში გამოსულიყო. მანამ მე სისხლის შეჩე-
რებას ვცდილობდი, მოკვდა კიდევ. პიანიმ თავი მიწაზე დაასვენა, პირისაზე ჯა-
ლაშით მოუწმინდა და მიატოვა.

— ძალღიშვით! — გამოცრა მან.

— გერმანელები არ ყოფილან, — ეთქვი მე, — იქ გერმანელებს რა უნდათ!

— იტალიელები! — ისე წარმოსთქვა ეს სიტყვა პიანიმ, თითქოს იგინებო.
— Italiani! — ბონელოს არაფერი უთქვამს. აიშოს ეჯდა გვერდში, მაგრამ არ
უყურებდა. აიშოს ქული მიწაყრილზე დაგორებულიყო, პიანიმ აიღო და სახეზე
დააფარა. მერე მათარა მოიხსნა.

— არ დაღევ? — ბონელოს გაუწოდა მათარა.

— არა, — მიუგო ბონელომ. ახლა მე მომიბრუნდა: — სულ რკინიგზაზე
სიარულის ბრალია — ყველა ჩვენგანს შეიძლებოდა ეს დამართოდა.

— არა, — მე ვუპასუხე, — რკინიგზიდან რომ გადავუხვიეთ მინდვრისკენ,
სწორედ იმის გამო მოხდა.

ბონელომ თავი გააქნია, — აიშო მოჰკლეს, — თქვა მან, — ახლა ვისი ჯე-
რია, Tenente საით წავიდეთ ახლა?

— იტალიელებმა მოჰკლეს, — ეთქვი მე, — გერმანელები არ ყოფილან.

— გერმანელები რომ ყოფილიყვნენ, სულ ამოგვყელტდნენ, — ეთქვა
ბონელომ.

— იტალიელებისა გერმანელებზე უფრო უნდა გვეშინოდეს ახლა, — ეთქვი
მე, — არვიგარდს ყველაფერი აფრთხობს. გერმანელებმა ის მაინც იცინან, რას
აკეთებენ.

— თქვენ მართალს ამბობთ, Tenente, — ეთქვა ბონელომ.

— ახლა საით წავიდეთ? — იკითხა პიანიმ.

— მანამ დაბნელებოდეს, სჯობს სადმე გავწვეთ. სამხრეთისაკენ თუ მო-
ვახერხეთ გასვლა, აღარაფერი გვიჭირს.

— აიღებენ და ერთიანად ამოგვყუყვენ, რათა პირველი გასროლა გაამარ-
თლონ, — ეთქვა ბონელომ, — საალალებოდ ვერ გავიხდი საქმეს.

— რამდენადაც კი შეიძლება, უდინს მივუახლოვდეთ და დაღამებამდე სად-
მე შევაფართოთ თავი, მერე კი სიბნელეში წავალთ.

— მაშ წავიდეთ ბარემ, — ეთქვა ბონელომ.

მიწაყრილის ჩრდილოეთით დავეშვი. უკან მოვიხედე. აიშო ტალახში ეგ-

დო, მიწაყრილის კუთხეში. სულ დალეულიყო. ხელები გვერდების გაყოლებაზე ჰქონდა ჩაშვებული, სახევეებში გახვეული წვივები და ტალახიანი ჩექმები გაეჭიმა, ჭული სახეს უფარავდა. ძალიან მკედარი ჩანდა. წვიმდა. იშვიათად თუ ვინმე შემითვისებია ცხოვრებაში აიმოსავით, მისი ქალაღები ჯიბეში მედო და ოჯახისათვის უნდა შემეტყობინებინა. წინ, მინდორზე, ხეებში ჩამჯდარი ფერმა გამოჩნდა. სახლს სათავსოებიც ჰქონდა მიშენებული. მეორე სართულის გასწვრივ სვეტებზე დაბჯენილი აივანი მიედგათ.

— ჯობს ცალ-ცალკე ვიაროთ, ერთმანეთისაგან ცოტა დაშორებით — თქვი მე, — წინ მე წავალ.

ფერმისაკენ გაესწიე. მინდორში ბილიკი იყო გაკვალული.

მიედლიოდი მინდორში და არ ვიცოდი, როდის მესროდენ — ან ეზოში აღმართული ხეებიდან და ან თვით სახლიდან. სახლს გავუპირდაპირე. მშვენიერად გზედავდი ყველაფერს. მეორე სართულის აივანი პირდაპირ საბძელს უერთდებოდა და სვეტებში თივა გამოქრილიყო. ეზო ქვებით იყო მოკირწყლული, ხეებიდან წვიმა წვეთავდა. ეზოში დიდი, ცარიელი ორთავა იდგა, ხელნა მალა აშეკრილიყო, წვიმაში. გადაკვერი ეზო და აივნის ქვეშ გადავიყუდრე. კარი ღია იყო და სახლში შევედი. ბონელო და პიანიც შემომყვნენ. სახლში ბნელოდა. სამზარეულოში გავედი. დიდ, ღია ბუხარში ნაცარი ეყარა. ნაცარს ზემოთ ქვაბები ეკიდა, მაგრამ ცარიელები იყო. მივიხედ-მოვიხედე, საჭმელი არაფერი ჩანდა.

— საბძელში დავიკადლოთ, — ვთქვი მე, — რას იტყვი, პიანი, საჭმელს ვერაფერს იპოვნი და ვერ მოგვიტან იქა?

— წავალ, მოვებნძი.

— მეც მივეხმარები, — თქვა ბონელომ.

— კარგი, წადით, მე კიდეც მალა ავალ და საბძელს დავათვალიერებ, — კუთხარი მე. ქვის კიბეს წავაწყდი, რომელიც პირდაპირ საბძელში მიდიოდა. გომურიდან სიმშრალის სუნი გამოდიოდა, რაც განსაკუთრებით სასიამოვნო იყო წვიმაში. საქონელი აღარსად ჩანდა, ეტყობოდა, წასვლის წინ გაერეკათ. საბძელი ნახევრად გამოვსებული იყო თივით. ჰერს ორი ფანჯარა ჰქონდა დატანებული. ერთი ფიცრებით ახოეჭედნათ, მეორე კი — ჩრდილოეთით გამოჭრილი ვიწრო სარკმელი — სამერცხული იყო. კედლიდან გომურში ღარი ეშვებოდა — რითაც საქონელს თივას უყრიდნენ ბაგაში. ერთ კუთხეში კოჭები გადაეჯვარედინებიათ და ურმებით მოტანილი თივა აქედან შემოჰქონდათ ხოლმე. მესმოდა სახურავიდან წვიმის ხმა, თივის სუნს ვიყნოსავდი, ხოლო დაბლა რომ დავეშვი, გომურში ხმელი ნეხვის სასიამოვნო სუნი მომივიდა. ერთ ფიცარს თუ მოგლეჯდი, სამხრეთის ფანჯარიდან მთელი ეზო ხელის გულივით ჩანდა. მეორე ფანჯარა, ჩრდილოეთით, მინდორს გადაჰყურებდა. უცებ კიბე რომ გაუქმებულიყო, ორივე ფანჯრიდან შეგვეძლო სახურავზე გასვლა და იქიდან ეზოში დავეშვა, ან არა და პირდაპირ ღარით ჩავცურდებოდით. დიდი საბძელი იყო და ვინმეს ხმა რომ გაგვეგონა, თივაში დავიმალებოდით. საიმედო ადგილი ჩანდა. უსათუოდ გავალწევდით სამხრეთით, სროლა რომ არ აეტეხნათ. შეუძლებელია, აქ გერმანელები ყოფილიყვნენ. ისინი ჩრდილოეთიდან მოიწივენ, ჩივიდალეს გზით. სამხრეთიდან ვერ შემოაღწევდნენ. იტალიელები უფრო საშიშარნი გახდნენ. დაფეთებული არიან და რასაც კი მოჰკრავენ თვალს, მაშინვე სროლას აუტეხენ. წუხელ, უკან დახევის დროს, ყური მოვჰკარით — ჩრდილოეთით უკან დახეულებს იტალიურ ფორმაში გამოწყობილი გერმანელებიც შეერივნო. მე არ დამიჯერია. ამისთანა რამეებს სულ იგონებენ ხოლმე ომის დროს. მტერი სჩადის ამას. აბა იმას კი არ გეტყვიან, ვილაკამ გერმანული სამხედრო

ფორმა ჩაიცვა ჯარში არევ-დარევის შესატანად. იქნებ ეგეც ხდებოდეს, მაგრამ ასეთი ხმები ძნელად ვრცელდება. არა მგონია, გერმანელებს ეს გაეკეთებინოთ. დარწმუნებული ვარ, არც გაუკეთებიათ. ანკი რად სჭირდებოდათ ჩვენი უკანდახეული ჯარის არევ-დარევა: ჯარის სიმრავლე და გზების სიმცირე იწვევს ამას, და გერმანელები რაღათ გვინდოდა, ისედაც არეულ-დარეული იყო ყველაფერი. მაგრამ მაინც შეიძლებოდა, გერმანელები გვონებოდით და დავეხვრიტეთ. აიმაო ხომ მოჰკლეს! თივას სასიამოვნო სუნი აქვს და საბძელში რომ წევხარ თივის ბულულებზე, ეს განვლილი წლები თითქოს სულაც გამჭრალანო. ვკოტრილობდით ხოლმე თივაზე, რაღაცას ვყებდობდით და ნელთოფათი ბელურებსა ვხოცავდით, რომლებიც კედლის ძვიდზე ჩამოსკუპდებოდნენ. ზედ საბძლის სახურავთან. საბძელიც გაქრა, და ერთ წელიწადს სულ გასჩენეს მათოთი, ნატყევარზე მხოლოდ ძირკვები, ხმელი ტოტები და ფიჩხილა დარჩა. უკან ვერ დაბრუნდები. თუ წინაც არ წახვდი, რა მოხდება? მილანში დაბრუნებას ველარ ეღირსები. თუ დაბრუნდი მილანში, მაშინ რაღა მოხდება? ჩრდილოეთით, უდინისაკენ, სროლის ხმა ისმოდა. ტყვიამფრქვევის კაკანს ვარჩევდი. ზარბაზნებს არ ისროდნენ. ეს თავისთავად რაღაცის ნიშანი იყო. ალბათ ჯარის ნაწილები გამოიყვანეს ქუჩაში. დაბლა გადავიხედე და ბინდბუნდში პიანი გავარჩიე, ილიებში გრძელი ძეხვი, რაღაცანიჩი ქილა და ორი ბოთლი ღვინო ამოეჩარა.

— ამოდი, — ჩაქძახე მე, — აგერ, კიბე. — მერე გამახსენდა, შველა დასჭირდება-მეთქი, და მეც დაბლა დავეშვი. თივაში წოლით თავბრუ დამხსმოდა. თითქმის წამძინებოდა კიდევ.

— ბონელო სადღა?

— ახლავე გეტყვით, — მიპასუხა პიანი. კიბეს ავუყევით. ძეხვი და ღვინო თივაზე დავაწყვით. პიანიმ კორპსაძრობიანი დანა ამოიღო და ღვინის ბოთლი გახსნა.

— სანთლით დაუბეჭდავთ. — თქვა მან. — კარგი უნდა იყოს. — გაიღიმა.

— ბონელო რა იქნა?

პიანიმ შემომხედა.

— წავიდა, Tenente, — მითხრა მან, — ტყვედ დავნებდებიო.

ხმა არ გამიღია.

— დაგვხოცავენო, ეშინოდა.

ხელში ღვინის ბოთლი მეჭირა და ხმას არ ვიღებდი.

— საერთოდ არ გვიყვარს ჩვენ ომი, Tenente.

— შენ რატომღა არ წახვდი? — ვკითხე მე.

— თქვენი მიტოვება დამენანა.

— საით წავიდა?

— წავიდა კი, და საით წავიდა, არ ვიცი, Tenente.

— რა გაეწყობა, — ეთქვი მე: — ძეხვს არ დასჭირ?

პიანიმ ბინდბუნდში შემომხედა.

— უკვე დავეჭერი, მანამ ვლაპარაკობდით, — მითხრა მან. დავსხედით თივაზე და ძეხვსა და ღვინოს შევქექეთ. ღვინო, ეტყობა, საქორწილოდ ჰქონდათ გადანახული. სიძველისაგან ფერიც დაჰკარგოდა.

— შენ ამ ფანჯარაში იყურე, ლუიჯი, — მივმართე მე, — მე კიდევ მეორე ფანჯარასთან მივალ.

ღვინოს ცალ-ცალკე ბოთლიდან ვსვამდით. ჩემი ბოთლი ავიდე, ვიწრო სარკმელთან მივედი, წამოვწექი და სველ მინდორს გადავხედე. ვერ ვიტყვი, რის

დანახვას მოველოდი, მაგრამ მინდვრების, გატიტვებული თუთის ხეებისა და წვიმის მეტი არაფერი ჩანდა. ღვინოს ვსვამდი, მაგრამ გუნება მაინც ვერ გამო-
მისწორა. ძალიან დიდხანს შეენახათ და ფერიც დაჰკარგოდა და გემოც. გარეთ
ბნელდებოდა. სწრაფად წამოვიდა წყველი. წვიმიანი და ბნელი ღამე იქნებო-
და. რაღა აზრი ჰქონდა სიბნელეში ცქერას, ავდექი და პიანისკენ გადავინაცლე-
პიანი გაშხლართულიყო და ეძინა. არ გამოიღვიძებია, ერთხანს ისე მოუუჯგეჟ
გვერდში. ზორბა ბიჭი იყო და მაგრად ეძინა. ცოტა ხნის შემდეგ გავაღვიძე და
გზას გავუღვიძეთ.

ძალიან უცნაური ღამე იყო. არ ვიცი რას მოველოდი — სიკვდილს, ალბათ,
სროლას, სიბნელეში სირბილს... მაგრამ არაფერი მომხდარა. მიწას გავეკარი
თხრილის პირას, მთავარ გზატკეცილთან და გერმანელთა ბატალიონების გავლას
ველოდი. როცა ჩაიარეს, გზა გადავჭერით და ჩრდილოეთით გავემართეთ.
ორჯერ თითქმის ზედ წავადექით წვიმაში გერმანელებს, მაგრამ ვერ შეგვინშნეს.
ისე შემოვუარეთ ჩრდილოეთიდან ქალაქს, რომ ერთი იტალიელიც არ გვინახავს,
მალე მთავარ გზაზე უკანდახეულებს შევუერთდით და მთელი ღამე ტაგლიამენ-
ტოს მიმართულებით მივიდიოდით. ვერც კი წარმომედგინა, რა გიგანტური იყო
ეს უკან დახევა. მთელი ქვეყანა დამძულიყო, არმიასთან ერთად. მთელი ღამე
გიაგრეთ, ტრანსპორტს გავუსწარი. ფეხი მტეხდა, დაღლილი ვიყავი, მაგრამ
მაინც არ შეგვინელებია ნაბიჯი. რა სისულელე მოუვიდა ბონელოს, რომ ტყვედ
ჩაეარდა გადასწყვიტა. არავითარი საშიშროება არ ყოფილა. ისე ჩავუარეთ
ორივე არმიას, რომ არაფერი შეგვმთხვევია. აიმა რომ არ მოეკლათ, ისეთი წარ-
მოდგენა გვექნებოდა, თითქოს არც არასოდეს ყოფილიყოს საშიშროება. არა-
ვის უხლია ხელი, რკინიგზას რომ მოეპყებოდით, სააშკარაოზე, მოულოდნელად
და უაზროდ მოვიდა სიკვდილი. ნეტა, ბონელო სად არის-მეთქი, ვფიქრობდი.

— როგორა ხართ, Tenente — მკითხა პიანიმ.

ტრანსპორტითა და ჯარით გაჭედილი გზის კიდეს მივპყებოდით.

— მშვენივრად.

— დამქანცა ამ სიარულმა.

— ჰო, მაგრამ, მაგის მეტი საქმე არაფერი გვაქვს. არაფერი არ გვაწუხებს.

— რა სისულელე მოუვიდა ბონელოს!

— მართლაც სისულელე მოუვიდა.

— ახლა რას უბრძობ.

— არ ვიცი.

— ხომ ვერ გაამყდვენბთ, ტყვედ ჩავარდო?

— არ ვიცი.

— საქმე ისაა, რომ, ომი თუ გაგრძელდა, ოჯახს დაადგება ცუდი დღე.

— ომი არ გაგრძელდება, — თქვა ვიღაც ჯარისკაცმა, — ჩვენც შინ მივ-
დივართ. ომი გათავდა.

— ყველა შინ მიდის.

— ყველანი შინ მივდივართ.

— წავიდეთ, Tenente, — მითხრა პიანიმ. უნდოდა გასცლოდა ამათ.

— ტენენტო? ვინ არის ტენენტ? A basso gli ufficiali! ძირს ოფიცრები!
პიანიმ ხელი მომკიდა. — ჯობს, სახელი დაგიძახოთ, — მითხრა მან, — რა-
მე არ აგიტეხონ. მოჰკლეს კიდევ რამდენიმე ოფიცერი. — დავწინაურდით.

— ისეთ პატაკს არ შევადგენ, ოჯახი რომ დაუსაჯონ, — განვაგრძე
დაწყებული საუბარი.

— ომი თუ გათავდა, მაშინ სულ ერთია, — თქვა პიანიმ, — მაგრამ არა მჯერა ომის დამთავრება. მაგას ვინ ელირსება!

— მაგასაც მალე გავიგებთ, — ვთქვი მე.

— არა მჯერა ომის დამთავრება. ყველას ასე ჰგონია, მაგრამ მე არა მჯერა.

— Viva la Pace! ¹ — იყვირა ერთმა ჯარისკაცმა, — ჩვენ შინ მივდივართ.

— ნეტა მართლა შინ წავიდოდეთ! — თქვა პიანიმ, — არ გინდათ შინ დაბრუნება?

— როგორ არ მინდა.

— მაგას ვერ ველირსებით. არა მგონია, გათავებულყოფს.

— Andiamo a casa! ² — იყვირა ჯარისკაცმა.

— თოფებსა ყრიან, — თქვა პიანიმ, — იხსნიან და სიარულშივე ყრიან, მერე კი ყვირიან.

— ცუდსა შერებიან. არ უნდა მოიშორონ თოფები.

— თოფები თუ გადაყარეთ, ველარ გვაომებენო, ფიქრობენ.

სიბნელეში და წვიმაში მივჰყვებოდით გზის კიდე და ვხედავდით, რომ ბევრს ისევ ისე ჰქონდა თოფი გადაკიდებული. ლაბადებს ზემოდან ულაყლაყებდათ.

— რომელი ბრიგადაა? — დაიძახა ოფიცერმა.

— Brigata di Pace! — გასძახა ვილაცამ, — მშვიდობის ბრიგადა! — ოფიცერს ხმა არ გაუღია.

— რაო? რაო, ოფიცერმა?

— ძირს ოფიცერები! Viva la Pace!

— ცოტა აუჩქარეთ, — მითხრა პიანიმ. ტრანსპორტში გაჰყვით ორ ინგლისურ სანიტარულ მანქანას აუჩქარიე გვერდი.

— გორიციდან არიან, — თქვა პიანიმ, — ვიცნობ მაგ მანქანებს.

— ჩვენთვის გამოუსწრიათ.

— ჩვენზე ადრე წამოვიდნენ.

— ნეტა, შოფრები სად არიან?

— წინ იქნებიან.

— გერმანელები უდინის მისადგომებთან შეჩერდნენ, — ვთქვი მე, — მდინარის გადალახვა მოგვიწევს.

— ნამდვილად, — თქვა პიანიმ, — იმიტომაც გამბობ, ომი გაგრძელდება მეტი.

— გერმანელებს კიდევ უფრო წინ შეეძლოთ წამოსვლა, — ვთქვი მე, — ნეტა, რას უდგანან.

— რა ვიცი; საერთოდ, ამ ომს ასავალ-დასავალი ვერ გავუგე.

— ალბათ, ალაღს ელოდებიან.

— რა მოგახსენოთ, — თქვა პიანიმ. მარტოდ დარჩენილი, გაცილებით უფრო თავზიანი გახდა. სხვები რომ ჰყავდა გვერდში, უწმაწური ლაპარაკი იცოდა.

— ცოლშვილიანი ხარ, ლუიჯი?

— აკი იცით, რომ ცოლშვილიანი ვარ.

— იმიტომ არ დანებდი ტყვედ?

— ნაწილობრივ, იმიტომაც. თქვენ ცოლშვილიანი ხართ, Tenente?

¹ გაუმარჯოს მშვიდობას! (იტალ.).

² შინისაკენ.

— არა.

— არც ბონელო.

— ყველაფერს ამით ვერ ახსნი, მაგრამ, ასე მგონია, რომ დაოჯახებულ კაცს უფრო ეჩქარება ცოლთან დაბრუნება, — ვთქვი მე. ცოლებზე ლაპარაკმა გამახალისა.

— მართალია.

— ფეხი როგორა გაქვთ?

— კაი გვარიანად მტეხს.

ჯერ კიდევ არ იყო გათენებული, ტაგლიამენტოს სანაპიროს რომ მივადექით და ადიდებულ მდინარეს ქვემოთ დავუყევით, ხილისაყენ, რომელზედაც ჯარის გადაყვანა სწარმოებდა.

— ამ მდინარეზე კარგად უნდა გამაგრდნენ, — თქვა პიანიმ. სიბნელეში მდინარე ძალიან ადიდებული ჩანდა. წყალი ბოხოქრობდა და კალაპოტიც გაგანიერებულიყო. ხის ხიდი თითქმის სამი მეოთხედი მილის სიგრძისა იყო და მდინარე, რომელიც სხვა დროს სადღაც დაბლა, ქვის ფართო კალაპოტში ვიწროდ მიიკვლევდა გზას, ახლა ლამის ხის კოჭებსა სცემდა. დავუყევით მდინარის ნაპირს და მერე ჯვაროს შევერიეთ, რომელიც ხიდზე გადიოდა. ბრბოში გაჭედვით დიდი ძლიერ მივჩანჩალებდით, ზემოდან გვაწვიმდა, ქვემოთ კი, სულ რამდენიმე გოჯით დაბლა აქოთქოთებულ მდინარეს ხე და მიწა მიჰქონდა. ზედ ცხვიოწინ ყუმბარებით გატენილი ყუთი ჩაატარეს, მე თავი გვერდზე მქონდა შოლრეცილი და მდინარეს ვუყურებდი. ახლა, როცა იძულებული გავხდი სხვისი ნაბიჯისთვის ამეწყო ფეხი საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. დიდი გამოცოცხლება არ ყოფილა ხიდზე. ნეტა რა ამბავი დატრიალდება, დღისით რომ თვითმფრინავიდან ყუმბარა გადმოაგდონ-მეთქი.

— პიანი, — გავძახე მე.

— აქა ვარ, Tenente, — ამ ჰყელტაში ცოტათი წინ წასულიყო. კაციშვილი ხმას არ იღებდა. ყველა იმას ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა გადასულიყო და სხვაზე არც არაფერზე ფიქრობდა. თითქმის გაღმა ვიყავით. ხადის თავში, ზედ გადასასვლელთან, აქეთ-იქით, ოფიცრები და კარაბინერები იდგნენ და ფანრებს ატრიალებდნენ. ცის ფონზე მათი სილუეტები შავად იკვეთებოდა. როცა მივუახლოვდით, შევნიშნე, რომ ერთმა ოფიცერმა კოლონაში ვილაცახე ანიშნა. კარაბინერი მივარდა და მკლავში ხელი ჩასჭიდა იმ კაცს. გზიდან გადაიყვანა. თითქმის გავუპირდაპირდით მათ. ოფიცრები ყველას გულმოდგინედ ათვალიერებდნენ კოლონაში, ზოგჯერ ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ, ხან წინ გამოვიდოდნენ, რათა ვინმესთვის სახეში მიენათეზინათ ფანარი. მანამ გავუპირდაპირდებოდით, კიდევ წაიყვანეს ვილაც. მე ვხედავდი ამ კაცს. პოდპოლკოზნიკი იყო. ფანარი რომ მიანათეს, მკლავზე ვარსკვლავები შევნიშნე. ჭალარათმიანი, დაბალ-დაბალი, ჩასუქებული კაცი იყო. კარაბინერმა გვერდზე გაათრია, ოფიცრებს უკან. როცა გავუპირდაპირდით, შევნიშნე, რომ ორი კაცი მე მომშტერებოდა. მერე ერთ-ერთმა ხელი მომაშვირა და კარაბინერს გადაულაპარაკა. კარაბინერი ჩემკენ წამოვიდა, ბრბოში გზა გამოიკვლია, მომადგა და ქეჩოში მწვდა.

— რა მოგივიდათ? — შევეყირე და სახეში ვდრუხე. ქუდი ჩამოფხატოდა, ულვაშები ზემოთ ჰქონდა აზნეკილი და დაწვებზე სისხლი სწევთავდა. კიდევ ჩაყვინთა ვილაცამ ბრბოში და ჩემკენ წამოვიდა.

— რა მოგივიდათ? — ვკითხე მე. ხმა არ გამცა. ხელსაყრელ მომენტს უცდიდა, რომ გავეჩაჩე. ხელი წელისკენ გავაცურე, რათა პისტოლეტი ამოყელო.

მეორემ უკნიდან დამიჭირა ხელი და ისე მალა ამიქაჩა, ლამის ამომიგდო. იმას რომ მოვუბრუნდი, ახლა პირველმა მომხვია კისერზე ხელი. წვივებზე წიხლები დავუშინე და მარცხენა მუხლი ზედ ფენთხში ამოვჭკარი.

— მიახვრიტე თუ გაგიძალიანდეს! — გავიგონე ვილაცის ხმა.

— გამაგებინეთ, რა მოხდა? — ვცადე დაყვირება, მაგრამ ხმა აღარ მომყვა. ამასობაში გზიდან გადამიყვანეს.

— მიახვრიტე, თუ გაგიძალიანდეს! — თქვა ოფიცერმა, — აქეთ გამოიყვანეთ.

— ვინა ხართ?

— მალე გაიგებთ.

— ვინა ხართ?

— საველე პოლიცია, — მიპასუხა მეორე ოფიცერმა.

— რაღა ეს აეროპლანები მომისიეთ, პირდაპირ მთხოვდით — წამოდით.

არაფერი უპასუხნიათ. ანკი რა უნდა ეთქვათ. საველე პოლიცია იყო.

— ეგეც სხვებს შეუერთეთ, — თქვა პირველმა ოფიცერმა, — ხომ ხედავთ. იტალიურს აქცენტით გამოთქვამს.

— შენზე უხეიროდ მაინც არ ვლაპარაკობ, შე... — მივხალე მე.

— ეგეც სხვებს შეუერთეთ, — თქვა პირველმა ოფიცერმა.

ოფიცერების მწკრივს უკან გამატარეს, გზიდან გადამახვევინეს და წყლის პირას გამიყვანეს, საცა ხალხი ჰყავდათ შექუჩებული. იმათკენ რომ გავემართეთ, სროლის ხმა გაისმა. დავინახე როგორ დააკვესა ცეცხლმა და ბათქიცი გავიგონე. ჩვენც იმ ხალხს შევუერთდით. ოთხი ოფიცერი ჩამწკრივებულყო და წინ ვილაც კაცი ედგათ, რომელსაც თითო კარაბინერი ამოსდგომოდა აქეთ-იქით. იქვე ხალხის ერთი ჯგუფი იდგა, კარაბინერებით გარშემორტყმული. ოთხი სხვა კარაბინერი დამკითხავ ოფიცერთა მახლობლად კარაბინერებს დაჰყრდნობოდა. ფართოქუდიანი კარაბინერები იყვნენ. ორმა, მე რომ გამქაჩეს, ახლა ხელი მკრეს და დაკითხვის მომლოდინე ხალხთან მიმაგდეს. იმ კაცს შევხვედე, ვის დაკითხვასაც აწარმოებდნენ. სწორედ ის პატარა, ჭადრაბიანი, ჩასუქებული პოდპოლკოვნიკი იყო, წელან კოლონიდან რომ გამოიყვანეს. დამკითხავი ოფიცერები დიდის ფორმალობით, გულცივობითა და თავდაპერილობით ირჯებოდნენ, სწორედ ისე, როგორც იტალიელებს შეჰფერიოთ, რომლებიც თვითონ კი ესგრიან, ზოლო იმას აღარ ფიქრობენ, ვაითუ ჩვენც გვესროლონ.

— თქვენი ბრიგადა?

უთხრა.

— პოლკი?

უთხრა.

— თქვენს პოლკთან რატომ არა ხართ?

ეგეც უთხრა.

— არ იცით, რომ ოფიცერი თავის ნაწილს არ უნდა მოშორდეს?

იცოდა.

მორჩა დაკითხვას. ახლა მეორე ოფიცერმა დაიწყო.

— თქვენი და თქვენისთანების ბრალია, რომ ბარბაროსები სამშობლოს წმინდა მიწა-წყალზე შემოგვეჭრენ.

— მომიტევეთ... — დაიწყო პოდპოლკოვნიკმა.

— თქვენისთანა მოღალატეებმა დაგვაკარგვინეს გამარჯვების ნაყოფი.

— ოდესმე უკანდახევა თუ შეგხვდრიათ? — ჰკითხა პოდპოლკოვნიკმა.

— იტალიისათვის უცხო უნდა იყოს უკანდახევა.

წვიმაში ვიდექით და ამას ვისმენდით. ჩვენ ოფიცრებს შევჰყურებდით სახეში, პატიმარი კი ჩვენს წინ იდგა, ოდნავ განზე.

— დახვრეტას თუ მიპირებთ, — მიმართა პოდპოლკოვნიკმა, — ბარემ დამხვრითეთ, მეტს ნულარაფერს მკითხავთ. ეს სულელური დაკითხვაა. — პირველი გადასახა. ოფიცრებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს. ერთმა ოფიცრმა ბლოკნოტში ჩაიწერა რაღაც.

— მიატოვა თავისი ნაწილი, დაიხვრეტოს! — თქვა მან.

ორმა კარაბინერმა მდინარის ნაპირას გაიყვანა პოდპოლკოვნიკი. მიდიოდა ქუდმოხდილი ბერიაკი წვიმაში, და აქეთ-იქით კარაბინერები ამოსდგომოდა. როგორ ესროლეს არ შემიხედავს, ბათქი კი გავიგონე. ახლა სხვა გამოიყვანეს დასაკითხად. ესეც თავის ნაწილს ჩამოშორებული ოფიცერი იყო. თავისგამართლების ნებაც არ მისცეს. ტირილი მორთო, როცა განაჩენი წაუკითხეს ბლოკნოტის ფურცელზე, ხოლო როცა იმას ხვრეტდნენ, ოფიცრებს უკვე სხვა გამოეყვანათ დასაკითხად. ასე შვრებოდნენ ხოლმე, სიკვდილმისჯილს არც კი აცლიდნენ სიკვდილს — ახალი გამოჰყავდათ. აშკარა იყო, არაფერი გამოვიდოდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა — დაკითხვისათვის დამეცადა, თუ ახლავე ვცდილიყავი გაქცევას. ბევრი ჩიჩინი აღარ უნდოდა, რომ მე ვიყავი იტალიურ ფორმაში ჩაცმული გერმანელი! აკი ვხედავდი, როგორ მუშაობდა მათი ტვინი, თუკი ჰქონდათ საერთოდ ტვინი, ან თუ ამუშავებდნენ ამ ტვინს. სულ ყმაწვილი კაცები იყვნენ და სამშობლოს ხსენისათვის იღვწოდნენ. მეორე არმიას ხელმეორედ ადგენ-აყალიბებდნენ ტავლიამენტოს გაღმა. თავიანთ ნაწილებს ჩამოშორებულ მიმორებსა და უფრო მაღალი ხარისხის ოფიცრებს იქვე ხვრეტდნენ. ასევე განუკითხავად უსწორდებოდნენ იტალიურ მუნდირში ჩაცმულ გერმანელ ავიატორებსაც. იმათ ფოლადის ჩაჩქანები ეხურათ. ჩვენგან მხოლოდ ორსა ჰქონდა ფოლადის ჩაჩქანი. ზოგი კარაბინერიც ასეთ ჩაჩქანს ატარებდა. დანარჩენ კარაბინერებს ფართოფარფლებიანი ქუდეები ეხურათ. მიტომაც ვეძახდით აეროპლანებს. წვიმაში ვიდექით, და დასაკითხავადა და დასახვრეტად თითო-თითო გავჰყავდით. აქამდე ვინც კი დაკითხეს, ერთიც არ გადარჩენია დახვრეტას. დამკითხველები ძალიან ერთფეხლად იცავდნენ სასტიკ კანონს და ადამიანებს სიკვდილით უმასპინძლებოდნენ, ოღონდ ისე რომ საკუთარ თავს ოდნავადაც არ იგდებდნენ საფრთხეში. ახლა სასაზღვრო ჯარების პოლკოვნიკის დაკითხვა სწორმოებდა. ის იყო, სამი ოფიცერი კიდევ შემოგვიმატეს.

— სად იდგა თქვენი პოლკი?

კარაბინერებს გადავხედე. ისინი ახალმოსულებს მიშტერებოდნენ. დანარჩენები პოლკოვნიკს შესცქეროდნენ. უცებ თავი ჩავეჩინდრე, ორ გუშაგს შორის გავიძურწე და, თავჩალუნულმა, მდინარისაკენ გავჰყურებულე. ზედ ნაპირთან რაღაცას წამოვდე ფეხი და წყალში მოვადინე ზღართან. წყალი ძალიან ცივი იყო და სანამ შემეძლო, შიგვე დავრჩი. ვიგრძენი, როგორ დამატრიალეს ტალღებმა, მაგრამ ვიდრე არ გავიფიქრე, მეტს ვეღარ გავუძლებ-მეთქი, თავი აღარ ამომიყვია. ერთის წუთით ამოვყურყუმელავდი, ჰაერი ჩაველაპე და ისევ ჩავეშვი. ჩექმებითა და ტანსაცმლით დამძიმებულს, აღარ გამძნელებია წყალში გაჩერება. მეორედ რომ ამოვიყურყუმელავე, იქვე კუნძსა ვკიდე თვალი, იქითვე გავცურე და ხელი მოვჭიდე. თავი კუნძს მოვაფარე და აღარც გამომიხედნია. აღარ მინდოდა ნაპირისკენ გახედვა. რომ გავიქეცი, მაშინვე ასტეხეს სროლა და პირველად რომ ამოვიყურყუმელავე, ისევ ისროდნენ. წყლის ზედაპირთან ახლოს რომ ვიყავი ამოტივტივებული, მაშინაც მესმოდა სროლის ხმა. ახლა აღარ ისროდნენ. კუნძი ირწეოდა და მე ცალი ხელი მქონდა ჩავლებული. ნაპირისკენ გავიხედე.

მომეჩვენა, თითქოს ძალიან სწრაფად ვშორდებოდი. მდინარეზე ხეები ტივტივებდნენ. წყალი ძალიან ცივი იყო. ბუჩქნარით დაფარულ კუნძულს ჩავუქროლე. ორივე ხელი ჩავჭიდე კუნძს და მივპყევი. ნაპირი უკვე აღარც ჩანდა.

თავი XXXI

როცა მდინარე სწრაფად მიდის, ვეღარც კი გრძნობ, რამდენი ხანი ხარ წყალში. თითქოს დიდი დრო გასულაო, სინამდვილეში კი იქნებ სულ ცოტა ხანს გაველოს. წყალი ცივი იყო, თანაც ადიდებული. რაც კი რამ ადიდების დროს ნაპირებიდან ჩამოურეცხა, ახლა სულ ამოტივტივებული მოჰქონდა. ბედი ჩემი, რომ მძიმე კუნძს ჩავჭიდე ხელი! ვიწვექი ყინულოვით ცივ წყალში, ნიკაპი ხეზე მჭონდა დადებული, და ვცდილობდი, რაც შეიძლება მსუბუქად დავყრდნობოდი ხელებს. მეშინოდა, კრუნჩხვა არ მომიაროს-მეთქი და ნაპირზე გარიყვას ენატრობდი. სულ კლავკნით მივექანებოდით თავქვე. უკვე ისე ინათლა, რომ ნაპირზე ბუჩქნარს ვარჩევდი. წინ ბუჩქნარით დაფარული კუნძული გამოჩნდა და დინება ნაპირისაკენ წაგვიღო. ერთი პირობა ვიფიქრე, ჩექმებსა და ტანსაცმელს გავიხდი და ნაპირზე როგორმე ცურვით გაჟალ-მეთქი, მაგრამ ისევ გადავიფიქრე. ერთის წამითაც არ გადამიწყვეტია იმედი, რომ როდესმე ნაპირს მივაღწევდი, და ჩექმები რომ გამეხადა, მერე ფეხშიშველი ცუდ დღეში აღმოვჩნდებოდი. როგორმე მესტრემდე უნდა მიმეღწია.

შევნიშნე, რომ ნაპირი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა, მერე შორს წავიდა, მერე ისევ მოახლოვდა. ახლა უფრო ნელა მივცურავდით. ნაპირი სულ ახლოს მოვიდა. ტირიფის ბუჩქზე ყველა რტოს გაარჩევდი. კუნძი მძიმედ შემოტრიალდა, ასე რომ ზურგი შევაქციე ნაპირს, და მივხვდი, რომ მორევში შევეცურეთ. ნელ-ნელა ვტრიალებდით. ისევ რომ დავინახე ნაპირი, და თანაც უფრო ახლოს, ცალი ხელი გავითავისუფლე და ვცადე, ფეხების დახმარებით, კუნძი ნაპირისკენ მიმეცურებინა. მაგრამ ოდნავაც კი ვერ დავძარი. შემეშინდა, მორევმა სიღრმეში არ ჩავვითრიოს-მეთქი, ის ერთი ხელი არც გამეშვია ისე, ფეხები შევატრიალე და კუნძს მივაბჯინე, მერე წიხლი ვკარი და ნაპირისკენ გავვარდი. ბუჩქებს იქვე ვხედავდი, მაგრამ ვერც ინერციის ძალამ, ვერც იმან, რომ, რაც ძალი და ღონე მჭონდა, ხელებს ვუსვამდი, ვერ მიშველა, და დინებამ ისევ მომიტაცა. სულ ამ ჩექმების გამო უნდა დავიხრჩო-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ჩავყვინთე და გამწარებით მოვუსვი და მოვუსვი ხელები, ხოლო როცა მაღლა ავიხედე, ენახე, რომ ნაპირი ჩემკენ დაძრულიყო, და მანამ არ მივაღწევი, ცურვა არც შემინელებია, მიუხედავად იმისა, რომ დამძიმებული ფეხები უკან მეწეოდა. ტირიფის ბუჩქს წავატანე ხელი, მაგრამ ტანის ასაზიდად ძალა აღარ მეყო. ვიცოდი, რომ აღარ დავიხრჩობოდი. კუნძზე ჩაფრენილი რომ ვიყავი, ერთხელაც არ მიფიქრია, ვაითუ დავიხრჩო-მეთქი. ზედმეტი დაძაბულობისაგან გულგვამი ამომიტრიალდა, ვიყავი ბუჩქზე ხელებჩაფრენილი და ვიცდიდი. ცოტა რომ მოვსულიერდი, ბუჩქისკენ მივიწეი და ისევ შევისევნე, მკლავები ბუჩქზე მჭონდა შემოვლებული და ხელები — ტოტებზე მაგრად ჩაჭიდებული. მერე ნელნელა ავცოდი, ბუჩქს ავცდი და ნაპირზე ავედი. მიწაზე გავითხლარე და მდინარისა და წვიმის ხმაურიდა მესმოდა.

ცოტა ხნის შემდეგ წამოვდექი და ნაპირს დავუყევი. ვიცოდი, რომ ლატისანამდი ხიდი არ იქნებოდა. ახლა ალბათ სან ვიტოს პირდაპირ უნდა ვყოფილიყავი. რა ვიღონო-მეთქი, ფიქრს მივეცი თავი. იქვე არხი შევნიშნე, რომელიც მდინარეს ერთვოდა. იმ არხისაკენ გავემართე. აქამდე არავისთვის არ მომეკრა თვალი. ჩამოვჯექი თხრილის პირას ბუჩქთან, ჩექმები წავიძვრე და წყალი გა-

მოვასხი. მერე ტუნიკი გავიხადე, უბის ჯიბიდან საფულე გამოვიღე, რომელშიც სულ მთლად დამბალი საბუთები და ფული მეწყო, და ტუნიკი გავწურე. მერე შარვალი გავიხადე და ისიც გავწურე, პერანგიცა და ქვედა საცვალის გავწურე. ტანზე ხელები ვიტყაბუნე, კარგად დავიზილე და ისევ ჩავიცვი. ქული დამ-
კარგოდა.

მანამ ტუნიკს ჩავიცვამდი, სახელოზე ვარსკვლავები დავიჭერი და ფულთან ერთად უბის ჯიბეში ჩავიდე. ფული დამბალი იყო, მაგრამ არ დახეულიყო. დავთვალე. სამი ათას ლირაზე ცოტა მეტი აღმოჩნდა. სველი ტანსაცმელი ტანზე მიმეწება და ხელების ქნევას მოეპყევი, რომ სისხლი უფრო სწრაფად ამემოძრა-
ვებინა. მატყლის საცვლები მეცა და, თუ ვიმოძრავე, არ გავცივდებო-მეთქი, გადავწყვიტე. პისტოლენი გზაში ჩამომართვეს და ბუდე ტუნიკის ქვეშ მო-
ვიქციე. ლაბადა არა მქონია და წვიმაში მციოდა. თხრილის ნაპირს შევპყევი. უკვე კარგად გათენდა და ირგვლივ ნესტი, ქანტი და მოწყენილობა სუფევდა. მინდვრები განძარცული და სველი იყო. შორს, მინდვრის გადაღმა სამრეკლო
გამოჩნდა. გზაზე გამოვედი. ჩემკენ მომავალი ქვეითი ჯარის ნაწილები დავი-
ნახე. მე კოჭლობით გადავედი გზის პირას და ისე ჩამიარეს, რომ არც შემოუ-
ხედნიათ. მეტყვიამფრქვევეთა განაყოფი იყო და მდინარისაკენ მიემართებო-
დნენ. მე გზა განვაგრძე.

იმ დღეს ვენეციის ველი გავიარე. ისედაც ჩავარდნილი ადგილია, ხოლო
წვიმაში კიდევ უფრო ჩარეცხილი ჩანდა. ზღვისკენ უხვად შეხედები მღაშე
ჰყანტობებს, გზებს კი იშვიათად გადაეყრები. მდინარის შესართავებს მიჰყვებიან
ეს გზები და, ველის გადაჭრას თუ განიზრახავ, თხრილისპირ გაკვალულ ბილი-
კებს უნდა გაჰყვე. მე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მივემართებოდი და ორი
რკინიგზის ხაზი და მრავალი გზა გადავკვეთე, ბოლოს კი ერთმა ბილიკმა მიმიყენა
რკინიგზას, რომელიც ჰყანტობს ირგვლივ უღლიდა. ის იყო ვენეცია-ტრიესტის
შემაერთებელი მთავარი ხაზი, მაღალი, მყარი მიწაყრილი, კარგად გამაგრებული
ვაკისი და ორლიანდაგიანი გზა. ცოტა ქვემოთ საგუშაგო სადგური მოსჩანდა და
გავარჩიე კიდევ გუშაგი ჯარისკაცები. წინ ხიდს შენიშნავდი, მდინარეზე, რო-
მელიც პირდაპირ ჰყანტობში შედიოდა. ხიდზედაც დავინახე გუშაგი. ჩრდილოე-
თით რომ მივემართებოდი, შორიდან მოვჰკარი თვალი ამ ხაზზე მატარებელს,
რომელიც ტრიალ მინდორში კარგად გამოჩნდა, და მაშინვე გამოიღვა, იქნებ
პორტოგრაფიდან მომავალმა მატარებელმაც გამოიაროს-მეთქი. გუშაგებს გა-
დავხედე და მიწაყრილის დაფერდებაზე გავწეკი, ისე რომ ორივე ლიანდაგსა
ვხედავდი. ხიდის გუშაგი ცოტათი ჩემკენ გამოჰყვა ლიანდაგს, მერე შეტრიალდა
და უკანვე გაბრუნდა, ხიდისკენ. ვიწეკი მშვიდი და მატარებელს ველოდი. შო-
რიდან რომ მატარებელს ვკიდვ თვალი, ისე გრძელი იყო, ორთქლმავალი
ძლივს მიათრევდა, და გული მომეცა, შევახტები-მეთქი. ლოდინით გული რომ
გაღამელდა და ლამის იმედიც გადავიწყვიტე, უცებ მატარებელი დავინახე. რაც
უფრო ახლოვდებოდა ორთქლმავალი, თანდათანობით დიდდებოდა და დიდდებო-
და. ხიდის გუშაგს გავხედე. გამოღმა იყო, ოღონდ ლიანდაგს იქით. ასე რომ, მა-
ტარებლის ჩავლის დროს მოფარებული იქნებოდა. თვალს არ ვაშორებდი მოახ-
ლოებულ ორთქლმავალს. მიმედ ქმინავდა. შევინაშნე, რომ ბევრი ვაგონი ება.
ვიცოდი, მატარებელზედაც იქნებოდნენ გუშაგები, და მინდოდა დამენახა, სად
იყვნენ, მაგრამ თვითონ ჩასაფრებული ვიყავი და ვერ მოვახერხე. ორთქლმავალი
თითქმის გამიპირდაპირდა. ამ ვაკეზედაც კი საშინლად ქოთქოთებდა და ქში-
ნავდა. როცა ჩამიარა და მემანქანე ველარ დამინახავდა, წამოვდეკი და მიმავალ
ვაგონებს მივეუახლოვდი. კიდევ რომ ყოფილიყვნენ გუშაგები, ნაკლებ საეჭვოდ

მოვეჩვენებოდი ზედ ლიანდაგთან მდგარი. რამდენიმე დახურულმა საბარგო ვაგონმა ჩამიქროლა. მერე ბრეზენტი გადახურული დაბალი, ღია ვაგონი გამოჩნდა, რასაც აქ გონდოლებს ეძახიან. ვაცალე მანამ სულ არ ჩამივლიდა, უკანა კარების სახელურს ჩავეჭიდე და ტანი ავზიდე. ბუფერზე გავცოცდი და გონდოლისა და შემდეგი დიდი საბარგო ვაგონის შორის მოვთავსდი, ჯახარიღზე. არავის დავუნახავარ-მეთქი, გავიფიქრე, სახელურს ხელი ჩავჭიდე და ჩავჯექი, ფეხები ქუროს მივაბჯინე. თითქმის გავუპირდაპირდით ღიძს. ახლალე გამახსენდა გუშაგი. როცა ჩავიარეთ, შემომხედა. ბავშვი იყო, ჩაჩქანი ჩამოფხატოდა. მე ზიზლით გადავხედე და მანაც თავი მიაბრუნა. მატარებლის თანამშრომელი ვეგონე.

ჩავიარეთ. ისევ შეწუხებული ჩანდა, ახლა სხვა ვაგონებს შეპყურებდა, და მეც გადავიხედე, ბრეზენტი როგორ არის-მეთქი დამაგრებული. რგოლები ჰქონდა დატანებული და ბოლოებში ბაწრით იყო მიკრული. დანა ამოვიღე, ბაწარი გადავჭერი და ხელი შევაცურე. რაღაც მაგარი მომხდლა, წვიმით დასველებული. თავი წამოვწიე და წინ გავიხედე. დიდ საბარგო ვაგონში გუშაგი დავინახე, მაგრამ ის წინ იყოტრებოდა. სახელურს ხელი ეუშვი და ბრეზენტის ქვეშ შევცურდი. შუბლი რაღაცას დაეკარი, საშინლად გამამწარა, სახეზე სისხლი ვიგრძენი. მაგრამ მაინც შევძვერი და გავწეკი. მერე მივბრუნდი და ისევ დავამაგრე ბრეზენტი.

ზარბაზნებში აღმოვჩნდი. ზეთისა და ბენზინის სასიამოვნო სუნი იდგა. ვიწეკი და ვისმენდი ბრეზენტზე წვიმის ტყაპუნს, ბორბლების დაგდაგს. გარედან მკრთალი სინათლე აღწევდა, მე ვიწეკი და ზარბაზნებს შევპყურებდი. თავთა-გიანთი ბრეზენტის შალითები ეკრათ. ალბათ მესამე არმიისაა-მეთქი, გავიფიქრე. შუბლზე კოპი დამაჯდა; გავისუსე, რომ სისხლი შემდეგებოდა. მერე მიმხმარი სისხლი მოვიწმინდე, ოღონდ განაკაწრზე არ მომივამს ხელი. აღარ მტკიოდა. ცხვირსახოცი არა მქონია, მაგრამ ხელის ცეცებით ვატყობდი სად მქონდა მიმხმარი სისხლი, და ბრეზენტიდან ჩამონაწვეთი წყლით ვიწმენდი, მერე სახელოთი შევიმშრალე. არ მინდოდა, ვინმეს საეჭვო მოეჩვენებოდი. მესტრეში ჩასვლამდე უნდა ავბარგებულყოფი, რადგან ვიცოდი, რომ ზარბაზნებს მოაკითხავდნენ. სად იყო დასაკარგი ან დასავიწყებელი ზარბაზნები! ძალივით მშოიოდა.

თავი XXXII

ვიწეკი ბრეზენტგადაფარებული საბარგო ვაგონის ფიცრულ იატაკზე, ზარბაზნების გვერდით, და ერთიანად გალუმბულს, საშინლად მტკიოდა და მშოიოდა. ბოლოს გადავბრუნდი და მუცელზე დავწეკი, თავი მკლავებზე დავასვენე. მუხლი დამიბუცდა, მაგრამ საყვედური არ მეთქმოდა. ვალენტინიმ ჩინებულად შეასრულა თავისი საქმე. მისი მუხლით გამოვიარე ამოდენა გზა და ტაგლიამენტოც მისივე მუხლით გამოვცურე. მისი მუხლი ითქმოდა, აბა რა! ჩემი—მეორე მუხლი იყო. რას არ გიხიბანეკებენ ექიმები და მერე უკვე შენი აღარც არის სხეული. თავი მე მეკუთვნოდა, მთელი შიგნეულობაც, მუცლის ღრუში რაც კი რამ არის. ჰოი, როგორ მიწაწალებდა მუცელი! ვგრძნობდი, როგორ მიტრიალებდა შიგნით ყველაფერი. თავი მე მეკუთვნოდა, მაგრამ რის მაქნისი იყო, ვერაფერს ფიქრობდა. ერთადერთი — მოგონებისთვის. და მოგონებითაც ბევრს ვერაფერს იგონებდა.

შემეძლო ქეთრინი მომეგონებინა, მაგრამ ისეთი მოგონება, როცა დარწმუნებული არ ვიყავი — მოვახერხებდი თუ არა კვლავ ნახვას, ვიცოდი, რომ ჰქონიდან შემშლიდა. ვცდილობდი, არ მეფიქრა მასზე, ცოტას ვფიქრობდი, ვაგონის ნელ რწევასა და ბორბლების გუგუნს ვაყოლებდი მასზე ფიქრს. ბრეზენტში მკრთალი სინათლე ატანს, მე კი ქეთრინთან ერთად ვაგონის ფიცრულ იატაკზე ვწევარ. ძნელია, ვაგონის მაგარ იატაკზე იწვე, არაფერს ფიქრობდე, და გრძნო-

ბდე მხოლოდ... წევხარ ამდენი ხნის დაშორებული, ერთიანად გალუმპული, ხან-
დახან იატაკის ფიცარი შეყანყალდება, გული ჩაწყვეტილი გაქვს, მარტოკა გდი-
ხარ — სველი პერანგია გეწებება ტანზე და ცოლის მაგივრად ფიცრებს ჩაჰკო-
ნებიხარ.

როგორ შეიძლება გიყვარდეს გადახსნილი საბარგო ვაგონის იატაკი ან შა-
ლითებში გახვეული ზარბაზნები, რომელთაც გაზეთილი ლითონის სუნი ასდით,
ანდა წვიმით გაუღენთილი ბრეზენტი... თუმცა ძალიან სასიამოვნო კია ზარბაზ-
ნების გვერდით წოლა, ბრეზენტქვეშ. შენ სულ სხვა გიყვარს, და იმას ახლა
ვერც კი წარმოიდგენ შენს გვერდით. ძალიან მკაფიოდ და ცივად გეჩვენება ყვე-
ლაფერი შენს ირგვლივ. ცივად იმდენად არა, რამდენადაც მკაფიოდ და უაზროდ.
მუცელზე გათხლარშულხარ და უაზროდ გაგიშტერებია თვალები, გულში კი
მოწმე გახდი, როგორ იხედა ერთი არმია უკან და როგორ მოიწვედა მეორე წინ.
მანქანები და ჯარისკაცები დაჰკარგე, როგორც ნოქარი შთაანთქმევინებს ხოლმე
ლუქანს ცეცხლს. ნოქარს დახვეული მანცა აქვს ღუქანი. ამ საქმეს დაუძვე-
რი. აღარავითარი ვალდებულება არ გაწევს. თუ ხანძრის შემდეგ ნოქარებს ღუ-
ქანშივე დახვრეტენ იმ აქცენტის გამო, რითაც ისინი მთელი თავიანთი დღე და
მოსწრება ლაპარაკობდნენ, ღუქნის აღდგენის შემდეგ იმ ნოქარებს დახლში რაღა
გააჩერებს! სხვა სამუშაო უნდა ეძიონ, თუკი მოიპოვება სხვა რაიმე სამუშაო,
და პოლიციაც თუ არ გაჰქაჩავს.

გაგულისება და მოვალეობის გრძნობა მდინარემ ჩამორეცხა. თუმცა ეს
გრძნობა მაშინ ჩავედა, როცა კარაბინერმა ქეჩოში ჩამავლო ხელი. ძალიან მინ-
დოდა, გამეხადა მუწდირი, მიუხედავად იმისა, რომ გააჩვენებდა მხარეებს არა-
ფრად არ ვადებდი. მართალია, ვარსკვლავები დავიძვერე, მაგრამ ასე უფრო
ვამჯობინე და მიიტომე. პატივი სულაც არ გამხსენებია მაშინ. არც ისინი შემიძუ-
ლებია. ეს იყო, რომ მოვრჩი ყველაფერს. ღმერთმა ყველას ხელი მოუშარათო.
მათში კარგებიც ბევრი ერია, მამაცებიც, დინჯებიცა და ჭკვიანებიც, ასე რომ
კეთილი სურვილები ალალი იყო მათთვის. მაგრამ მე რაღას მიეკითხება ეს ამბე-
ბა, ნეტა ეს ოხერი მატარებელი მივიდეს ბარემ მესტრეში, რომ შევჭამო რამე
და ფიქრები მოვიშორო. ფიქრის მოშორება კი უსათუოდ მინდოდა.

პიანი ამბავს მიიტანდა, დახვრიტესო. დახვრეტილებს ჯიბეებს უჩხრეცდნენ
ხოლმე და საბუთები ამოჰქონდათ. ჩემს საბუთებს ვერ ჩიავდებდნენ. იქნებ
დახრჩობილად გამომაცხადეს. ნეტა შტატებში როგორ ჩაიტანენ ჩემს ამბავს!
გარდაიცვალა ჭრილობებისა და სხვადასხვა მიზეზების გამო. ღმერთო, როგორ
მომშვიდა. ნეტა ჩვენს მღვდელს რა მოუვიდა! ან რინაღდის! ალბათ პორდენო-
ნეშია. იქიდანაც თუ არ დაიხიეს. მორჩა, ველარ ვნახავ მეტად. ველარავის ვნა-
ხავ იმათგან. ის დრო წავიდა. არა მგონია სიფილისი ჰქონდეს. თუმცა დროზე
თუ მიუსწარი, არც ისეთი საშინელი სენი ყოფილა, როგორც ამბობენ. მაგრამ
თვითონ ძალიან შეწუხებული იყო. მე კი არ შეეწუხდებოდი, ეს რომ შემყრო-
და?! ვინ არ შეწუხდებოდა!

ფიქრისათვის არა ვყოფილვარ გაჩენილი. ჭამისთვის გაეჩენილვარ. ასეა, მე
და ჩემმა ღმერთმა. ჭამე, სვი და ქეთრინთან დაიძინე. იქნებ ამაღამაც ეღირსო.
არა, ეს შეუძლებელია. ხვალ საღამოს კი შეიძლება. კარგი ვახშამი, ზეწრები, და
აღარსადაც არ წახვალ უიმისოთ. წასვლა კი ძალიან მალე მოგვიწევს. ისიც წამო-
ვა. ვიცი, რომ წამოვა. როდის წავალთ? ამას დაფიქრება უნდა. ბნელდებოდა.
ვიწეკი და ვფიქრობდი, როდის წავალთ-მეთქი. წასასვლელს რა გამოლევს!

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ
(გაგრძელება იქნება)





შოთა ნიჟნიანიძე

ახალი ღექსები

*
*

ჩვენი პატარა მდინარეები
მორბიან მინდორ-ველად,
მოიჩქარიან, მოიმღერიან
ოდელა-დელი-დელა.

ჩვენი პატარა მდინარეები
მორბიან მინდორ-ველად,
მოკისკისებენ, მოიმღერიან:
ოდელა-დელი-დელა.

ჩამოირბენენ გზებს კორდებიანს,
ჩამოირბენენ მთებს და
რიონს კალთაში უგორდებიან,
როგორც შვილები ღელას.

ჩამოირბენენ გზებს კორდებიანს,
ჩამოირბენენ მთებს და
რიონს კალთაში უგორდებიან,
როგორც შვილები ღელას...

ჩვენი პატარა მდინარეები
პატარა წისქვილები...
სადაც არ უნდა ვიყო ამ ქვეყნად,
სულ თქვენსკენ ვიცქირები.

*
*

გამთენიიდან თქორავს და თქორავს,
და იქერცლება მზე ქერეჭივით...

ჩვენი პატარა ხიდე-ბონდები,
პატარა ვენახები...
სიკვდილის შემდეგ კიდევ მოვკვდები,
თქვენ თუ არ მენახებით.

ფერდობებიდან ხევში ეცემა
მზით გაჟანგული ფოთლის ჩანჩქერი,
იქ ბუხრებიდან ამოდის კვამლი
მიიწეწება კვამლი ზმორებით,
თითქო ქარს მიაქვს თივა-ბულულ
მიტოვებული ბუდეებიდან.
რას ჩურჩულებენ ნეტა ჯოთოლები?

ჩვენი პატარა ოდა-სახლები,
ყანებში შესულები...
დამმარხვენ... კიდევ დავიმარხები.
თქვენ თუ არ გესტუმრებით.

ყველგან ზვრებია, ყველგან მდელია,
ყველგან მთებია კუშტი,
ეს ერთი მუჭა საქართველოა —
მტრისთვის შეკრული მუშტი...

ზურგზე მოგდებულ სოველი ფიჩხით,
ქამარში გაჩრილ ნისკარტა წალდით,
გაღმა ბოგირზე შედგება გლეხი,
წყალს გადახედავს ქვემოთ ღელეში:

წისქვილს ეხვევა ფოთლების მუშლი,
აგერ იხევი ჩამდგარან წყალში
და ირეცხავენ ყვითელ კალოშებს
თანდაყოლილებს გაჩენის დღიდან,
და დაფხვილი ბებერი ბია,
ბია კომშების ყვითელ ცურებით
აფორთხებულა დაშლილ ყორეზე
წვერებცანცარა მაკე თხასავით.

ყველგან: განგრეულ ღობე-ყორეში
დაშლიგინებენ სხვათა ღორები
კულ-ბურბუმელა,
ნესგურ დინგებით,
სამკუთხედიან უღლიანები.

გზა გაკიდულა მთების ჩანგალზე
უზარმაზარი თევზის ზურგივით...

შუკებში ყვირის ბროწეულების,
სველი ანწლების და ჭინჭრის სუნი.

მე კი როგოთი მოსვრილ თითებით
თუთუნს გავახვევ და გავაბოლებ.
მაქვს ქალაქელის უზრუნველობა
და იმერეთის სტუმრის ხალისი.

კარგია გარეთ თქორში გამოსვლა,
თითქოს შედიხარ ბუნების ფიქრში,
სადღაც გარჩენილ კენტი წაბლისთვის
ქვის სროლა, მთელ დღეს უქმად
მოცდენა,

ბოლოს რის ცოდვა-ვაი-ვაგლახით
ძირს ჩამოგდება და გახარება.

ქვაზე გაჩეჩქვა, თითების დასვრა,
ეს მაშინ როცა ოდაში სხვენზე
გაქვს დარჩეული თხილი და წაბლი,
რამდენიც გინდა, როგორიც გინდა!

სოფელში დადის ჭყინტი სიმინდის,
ანწლის არაყის და სოკოს სუნი,

გამთენიიდან თქორავს და თქორავს,
ვსვამ შემოდგომის შუშხუნა ჰაერს...
მყუდროებაა მაინც როგორი?
გარინდება მაინც როგორი!

შემოდგომა ჰგავს ერთ დიდ საღამოს
ერთ დიდ სიჩუმეს და დასვენებას...

გამთენიიდან თქორავს და თქორავს...

*
*

წუხდი: იქნება წვიმა ისეთი
ეგება დეღამ არც გამიშვასო...
ჩემთან თავსხმაში მოკისკისებდი,
— არაფერია, არა მიშავსო...

თუ გახსოვს, ხშირად გალოდინებდი,
გეკარგებოდა მოსვლის იმედი;
მე კი შორიდან გითვალთვალედი,
ტუჩებს სიბრაზით როგორ იკვნეტდი.

მე მახარებდა შენი ჩივილი,
შენი ბუზლუნი და საყვედური.
ჩრდილში ხეებთან იდექ ჩრდილივით,
მართლაც ჩრდილივით ჩემი ერთგული.

ხან შემხაროდი, შემეძღურტულებდი,
როგორც საკუთარ ბუდეს მერცხალი,
ხანაც დარდიანს გამისტუმრებდი
რალაც უთქმელი ეჭვით შემწყყალი.

ვცდილობდით და-ძმად მოვჩვენებოდით
სუყველა უცხოხს... მაგრამ ერთხელაც
ვინმე ნაცნობს რომ შევჩეხებოდით,
გაიღიმებდა მრავლისმეტყველად.

ისევ ისე აქვს შენს ხმას სურნელი,
ისევ ისეთი მოგაქვს ხალისი,
ისევ იმგვარად ხარ სასურველი
ჩემი ოჯახის დიასახლისი.

განა მიყვარხარ ეხლა ნაკლებად,
ჩემი ოჯახის პატარა იავ...
ისევ კი გული მეთანადრება,
წეყვარებული რომ აღარ გქვია...

ჩემი სოფლის სიმღერებიდან

1.

მთელი ჩემი მეზობლობა
ავკაცობას ვერიდებ.
უმეზობლოდ უმტერ-მოყვროდ
ნუმც მაცოცხლა ერთი დღე.

მაგრამ ჩვენი მეზობლობა
აიშალა მარტის თვეს
თქვენ ბოსტნიდან გადმოდენილ
ფეხმოტეხილ ბატისთვის.

სულ კარგი ვთქვათ ერთმანეთზე
რა წახდება კარგის თქმით,
გაგონილა წაკიდება
საზიარო კაცლისთვის?

ერთი ანჩხლი გოგო მიყვარს
ჩემი დღე და მოსწრება —
მთელი ჩემი სიყვარული,
მთელი ჩემი ოცნება.

კი სცოდნია სიყვარული
მართლა გადასარევი —
ერთ კვირას რომ არ გამოვჩნდე
ჩამოხმება სარივით.

მე მთვრალი ვარ სიყვარულით
მე მთვრალი ვარ სიმღერით,
მე მთვრალი ვარ სილამაზით
მიწის ფერით, მზის ფერით.

მე მთვრალი ვარ, ვერ ვფხიზლდები
მადლი ქენით — მიშველეთ
ან სიმღერა მათქმევინეთ,
ან გული გამიჩერეთ!

არ იქნება არ ვმღეროდე,
მე გული მაქვს იმხელა,

ხომ იცით რომ ბევრს არ მოსწონს
მთვრალი კაცის სიმღერა.

ამიტომაც ჩუმაღ ვმღერი,
არ გავყვირი სხვასავით,
თავს არავის არ გაბეზრებთ
და ნურც ჭკუას მასწავლით.

მაინც ჩემი უკვდავება
ერთი კოჭლი ლექსია,
ჩემთვის ვმღერი სულ უბრალოდ,
ასე უკეთესია...

2.

*
* *

— ბონდოა, თნები გადააბი,
ფოთოლა ჭიშკარში შემოუშვი
გაჩუმდი, ძაღლო, რას გააბი,
შე სამგლევე, ნუ ხარ ბაიყუში.

ბონდოა, ღორი გადადენე,
ბოჩოლას ჩალა დოუყარე,
ბონდოა, წისქვილში გამეგზავნე
ბაბუას გული გოუხარე.

თალიკო, გავარდი, შემოგევლე,
გობიდან ლობიო გადაწურე,
არიქა, ჭუკები შემოდენე,
არიქა, ბოჩოლა დაარწყულე...

არც რწმენა, არც სული, არც ზღაპარი
წარსულთან ღობეა გაღობილი.
ბებია თვალს იწმენდს თავსაუარით.
ბაბუა თოხზეა დაყრდნობილი.

გაწუხებს როგორც ანაცერი,
ხმები რომ ხსოვნას აუკუნებს,
ეს — მოგონებებით ამაცრემლებს
ღობეზე მომდგარი საუკუნე...



მეუაჩე ბაგჩიუკი

თქმულება ზღვაზე, მშლვაურებსა და მფრინავ ჰოდანდრელებს

მოგისმენია თქმულება ვალგალისა¹... ზღვაზე დაძრწიან ვიკინგები, სკრეკინგები დაძრწიან ზღვაზე. ნელა გროვდება აფრებში ქარი და მეომრების თვალწინ იშლება ჯერუხილავი ნაპირები, ჯერხელუხლები, ყველაფერია ვალგალაში: ბრძოლა, სიკვდილიც და უკვდავებაც, და ბრძოლის ველზე მკვდრებს ეძებენ ვალკირიები² და კვამლის ღრუბლებს მოარღვევენ ფრთების შრიალით და ქარივით ნაზი ხელბით სულებს შველიან წამოდგომაში. და მიფრინავენ სულები ცისკენ და უსხდებიან გაშლილ მაგიდას, სავსეს ხორავით, ღვინით და თაფლით. და ესალმება ოდინი³ სულებს. აქვეა ყვავი, გარინდული ოდინის ტახტზე, აქვეა მგელიც, გაშორილი მაგიდის ჩრდილში, ქვევით შლამია, კლდეებია და ნავეები, ზევით ოდინი და მეომრები. და თუ ყურეში შემოდის გემი, ოდინი დგება და მეომრებიც სავსე თასებით ესალმებიან ზღვიდან მოსულებს. ვალკირიები უკრავენ ბუკებს და აღიდგენენ მამაც ზღვაოსნებს. და იმართება დიდი ნადიმი. ქვევით ღრეობენ მუზღვაურები, ზევით სულები ღრეობენ გმირთა. და ყველას სჯერა, რომ მარადია: ვალგალა, ქართა ღმერთი და ყვავი... რომ მარადია: ზღვაც და კლდეებიც და ფრინველებიც.

გაგაგონით თქვენ ეს ამბავი, მონადირეო და მოგზაურნო. აყოლილეთ ტაცუნა აფრებს ან ბალახებში ჩასაფრებულნო!

მგოსან სვენის ნამზობიდან

*

შეჩერებულა ქვეყნის ტრიალი
ქარში გაფანტულ ნოტის ფურცლებით,
შორს სალამურის სული წყრიალებს
მარად ცოცხალი, მარად უცვლელი...

აი, საყვირიც! მისი ხმა თალებს
აწყდება, როგორც დიდი ფრინველი,
ეს ვაგნერია, ზღვასავით ლაღი,
ზღვასავით მძლავრი და საკვირველი.

¹ ვალგალა — ოდინის სასახლე, სადაც სიკვდილის შემდეგ გადადიან ბრძოლაში დაღუპულ გმირთა სულები.

² ვალკირიები — ქალღმერთები, მეომარი ქალწულები, რომლებიც მართავდნენ ბრძოლის მსვლელობას, ხოლო ბრძოლის შემდეგ დაღუპულთაგან არჩევდნენ უმამაცესთ ვალგალაში წასაყვანად.

³ ოდინი — სკანდინავიურ მითოლოგიაში — უზენაესი ღვთაება, ქართა ღმერთი, ვიკინგები თვლიდნენ მას, აგრეთვე, ომის ღმერთად, ზღვაოსნობისა და ვაჭრობის მფარველად.

სიმღერა ზღვასა და ცაზე

ეხეთქებიან ტალღები ნაპირს,
ეხეთქებიან და ემსხვრებიან —
შლამით, მარილით და ნიჟარებით
და გრილი სილით დაფარულ ნაპირს.
შიშინებს ქაფი, დუღს და შიშინებს
და იქვე დგანან ძველი კლდეები, —
გამოფიტული და დამრეცილი,
ოღონდ ყველაზე მაგარს და მაღალს
თავს ახვევია სველი ღრუბლები
და მზეზე ბრწყინავს კირად ქცეული.
ფრინველის ღინღლი და თევზის
ქერცლი.

ზევით კი ცაა, რუხი და მძიმე
და მხოლოდ ცაში, მხოლოდ ამ ცაში
კვლავ არაფერი შეცვლილა თითქოს:
იგივე ყვავი ზის მუხის ტახტზე
და ისუფთავებს სისხლიან ნისკარტს
და გაშოტილა იგივე მგელი
მაგიდის ჩრდილში, და მაგიდაზე
დაძრწიან ლუდით სავსე თასები.
ისევ გრძელდება ცაში ღრეობა
და ქერში ფეხით დაკიდულ ტახტს
ლოკავს მაღალი და მძლავრი ცეცხლი.
ისევ გრძელდება ცაში ღრეობა
და დაჩეხილი მუზარადები
ნაკვერჩხლებით ბრწყინავენ ბნელში
და უკვე ბევრჯერ გადატანილი
ფილტვებში ღმუის ავი გრივალი
და გაურანდავ მაგიდის ირგვლივ,
მუცელგადმოყრილ დოქების ირგვლივ
სხედან გმირები, ვით ბრაზიანი
და ვით ბრინჯაოს კიბორჩხალები
და ლუდით ჩხუბის ჟინზე მოსულნი
აჟღარუნებენ ჟანგიან აბჯრებს.
და ირგვლივ ბორავს მჭახე სიმღერა,
მჭახე გინება და მძიმე მუშტით
კეფაჩაღწილ მაგიდის კენესა.
ხოლო ღრუბლებში კრთება ციავი,
კრთება და ელავს, ვით ანარეკლი
გაპრიალებულ მუზარადების,
მძიმე ფარების და მახვილების.

სიმღერა მელქაშურებზე

ხოლო ნისლიან ნაპირის გასწვრივ
დგანან ნაევები და ტალღა არწევს
გალუმპულ ნიჩბებს და თევზის
ქერცლით
მგზინავ კალათებს და გასაშრობად
გაკიდულ ბადეს აწვალებს ქარი.
უცებ შეკრთება და აღელდება
წყალი მთვლემარე და ტყვიისფერი
და ვირთევზების თამამი ჯოგი
ნაპირისაკენ წამოვა ნელო.
და თოლიები ფრთების დგაფუნით
აირევიან ნაცრისფერ ცაში.
საღდაც იელვებს დელფინის ზურგი.
დაიჭიმება კუნთი და თოკი
და იალქნების მძლავრი ტკაცუნით
გაშორდებიან ნაევები ნაპირს.
ასე უბრალოდ და უხმაუროდ
ცვლიან თევზისფერ დღეებს დღეები.
იგივე ბადე შრიალებს ქარში.
მთვარეში ელავს იგივე რიყე,
გაბრუებული ბადის შრიალით.
მაგრამ დაირღვა მშვიდი დღეების
ერთფეროვანი და გრძელი რიგიც
და შემოფრინდა ყურეში გემი
გადაზნექილი და გაწეწილი.
კენესოდა გემი და მოარხვედა
ქალის მკერდით გაბერილ აფრებს.
უცებ ჯაჭვებმა გაიყლარუნეს,
გაიყლარუნეს და მძიმე ღუზა
გადაისროლეს წყალში ხარხარით,
და საზარელი მეზღვაურები
გემის მოაჯირს მოაწყდნენ ერთად
და გადმოცივიდნენ ახალ ნაპირზე
გარუჯულები მშითა და ქარით.
მათ დიდ თვალებში ხტოდნენ სხივები
და ხოჭოები ბზინავდნენ თითქოს
და ქრილობებით დაჩეხილ ყბებზე
შემოხელოდათ უხეში წვერი.
არა, ისინი დროს არ კარგავდნენ
და ღამით ვინმე მეთევზის კართან
ქარი ახშობდა ქურდულ ნაბიჯებს
და შეკაგებულ ჩურჩულს და სიცილს.
ველარ უძლებდა მხურვალე საწოლს
მეთევზის ცოლი და მთელი ტანით

გახტებოდა გათვლილ სარკმელს.
მერე კი ფრთხილად აღებდა კარებს
და აფხიზლებდა ჩათვლილ წყვედიან
ურდულისა და კარის კრიალი.
ქარი კი, ყველა შეყვარებულის,
ყველა მუსუსის და ყველა მრუშის
ერთგული მცველი, ფაფუკი თოვლით
შლიდა ნაკვალევს და ხარხარებდა.
მაგრამ დუქანში ტყდებოდა ჩხუბი
და მოფრინავდა ჩექმის ყელიდან
ლურჯთვალა დანა და ფიცრის პერი
იჩენებოდა ცხელი ტყეებით.
იმდრე, მთვრალა, და, ლაღო სისხლო,
იხმარულე და იხმარულე!

უკვე დასრულდა: ტალღებზე რწევა,
თოქებზე ცოცვა და წოწილი
და უმშვიდესი ხმა კაპიტანის...
წინ კი მაცდური სივრცეა ისევ,
გადათვლილი ჭაღარა ქაფით,
ისევ ბარბაცი მერყევი ფიცრებზე
და ისევ ხმელი წვიმა და პური
და უმშვიდესი ხმა კაპიტანის...

III

სიმღერა კაპიტანზე

სად არ ყოფილან ჩვენი ბებრები,
რა არ უნახავთ ამ ქვეყანაზე,
მათ, გიბრალტარის მშით

გარუჯულებს,

თმებს უწეწავდათ ასამის ქარი
და აყრუებდათ ათენის ზვირთი.
და აი, ახლა დუქანში სხედან
კმაყოფილები, მედიდურები,
გაულაჯიან ფეხები ფართოდ
და დაკოჭრებულ ხელისგულებზე
დაუბჯენიათ უხეში ყბები.
და საუბრობენ უცნაურ გემზე,
გახეივლები თოთუნის ბოლში.
და სწორედ მაშინ, როდესაც ითქვა
პირველი სიტყვა უცნაურ გემზე,
გაიჭრიალა დუქანის კარებმა
და შემოვარდა დუქანში ქარი,
თოვლის ნამქერი და ზღვის გუგუნი.
და კაპიტანი უცნაურ გემის
მოხუცებს უცებ წაადგათ თავზე

გარემოცული თოვლით და ქარით,
გამოხვეული ძველ საწვიმარში,
უზარმაზარი და გაწეხილი.

მას შემუშებულ ყბებზე ჟანგივით
შემოტმასნოდა მწითური წვერი
და უბრწყინავდა მკაცრი თვალები.

IV

სიმღერა ვარდსა და ხომალდზე

აი, რა უთხრეს ბებრებმა სტუმარს
და აი, სტუმარის ბრძნული პასუხიც.

— წადი! ბლავიან შენს წინ გაშლილი
თვალუწვდენელი და სხვისი ზღვები.

შლეგი მესაჰის ბრალია მხოლოდ
და ვარსკვლავების მაცდური შუქის,
აქ რომ მოცურდნენ შენი აფრები.

— წადი! გუგუნებს ველური ზვირთი
და ეხეთქება გაქაფულ კლდეებს.

აფრებში ისევ გროვდება ქარი
და ტალღაც ისევ აწევა კიჩოს,
წინ კი ზღვებია: ათრთოლებული,

აღელვებული და აღგზნებული.
მან საწვიმარი მოიხსნა მშვიდად,

გაშალა ხელი და ატაკუნდა
წითელი ვარდი სველ მაგიდაზე...

და სუნი, როგორც ნაზი ღრუბელი,
ავიდა მაღლა და დატრიალდა

საკმევლის სუნი,
მძიმე და მძაფრი.

და დაინახეს ბებრებმა უცებ,
როგორ აღელდა და ახმაურდა
ზღვა პირმოკრული შიშინა ქაფით

და ვარსკვლავები აცურდნენ ზევით,
აცურდნენ ზანტად და მედიდურად

და მომხიზვლელად განლაგდნენ ცაზე.
და მოტივტივე სუნში და ორთქლში

უცხო ქალაქი გამოჩნდა უცებ,
როგორც ქრელი და დიდი ფრინველი

სილაზე გაწეა და გაირინდა,
გაშალა ბოლო და გადაფინა

ფერადი ფრთები და გრძელი ყელი
ჩრდილს შეათარა და დაასვენა.

ღრუბლები ზანტად მისდევდნენ
ღრუბლებს,

დგებოდა ტალღა და ვარსკვლავები

შეშინებულნი ცვივოდნენ ზღვაში
 და უფრო მკვეთრად ჩანდა თანდათან
 პატარა ფანჯრის ფუღურო ჩარჩო,
 დამპალი დირე და მაგიდაზე
 მიმოფანტული ძველი ჭურჭელი,
 და როცა დაცხრა ნაზი სურნელი,
 ალერსიანი და მოფარფატე, —
 ხმელ ნამცეცებში და ლუდის ქაფში
 ღონემიხდილი ესვენა ვარდი,
 დავიწყებული და დაფურცვლილი.
 და მძიმე ფეხის ახალი კვალი
 დაღივით აჩნდა დუქნის იატაკს.
 ხოლო სარკმელში ჩანდა ნაპირი
 და უზარმაზარ აკენის მაგვარი
 ზომალდი თრთოდა და კრიალებდა.
 და ჩანდა, როგორ აზიდეს კიბე,
 ალაყაფს როგორ მოაწყდა ხალხი
 და ალაყაფის დიდი ბოძები
 როგორ შეირხნენ და შეტორტმანდნენ,
 ქაფიდან როგორ ამოძვრა ჯაჭვი
 და დაეხვია გასიბულ მორზე
 და ბოლოს, როგორ მოათრია
 გემბანზე ხელებგაშლილი ლუზა...
 და იალქნებმა ზღაპრულ ფრთებივით
 იფეთქეს უცებ და მთელი ძალით
 მიაწვა ქარი გაშლილ იალქნებს.
 და ნელი რხევით, ნელი ცახცახით
 დაიძრა გემი და აგუგუნდა.
 გადაიზნიქნენ ანძები ქარში,
 ფიცრები შეკრთნენ და აკრაჭუნდნენ,
 თოკი ათრთოლდა და დაიჭიმა.
 არ შეუშინდე, ზომალდო, ზვირთებს,

არ შეუშინდე! ხედავ შენს ზემოთ
 ღრუბლები დაფრთხნენ და
 დაიფანტნენ,
 ცა კი სავსეა, პირამდე სავსე:
 ელვით, კივილით და თქარა-თქურით,
 და მეომრები ღმუიან ბნელში
 და ჩამოფხატულ მუზარადებზე
 თრთიან ფოჩვები და პრელი ფრთები...
 ჟღარუნობს ფარი და სქელ ქარქაშში
 ბორგავს მახვილი და შუბის წვერი
 სუსხიან ქარში ბასრდება უფრო.
 გესმის, ყრანტალებს ბებერი ყვავი.
 და მგლის ყმული ედება სივრცეს!
 ოხ, მერიქიფევე, რომელ კასრიდან
 გვასვი ქაფქაფა და გიჟი ლუდი.
 ის ახლაც დაძრწის ჩვენს სხეულებში:
 გვიჩქარებს გულებს, გვითუთქავს
 შიგანს
 და სისხლს გვიხელებს... თვითონ კი
 ისევ
 ხმაჩაზღეჩილი რაღაცას მღერის.
 მიჰქრის, მიფრინავს ზღვაზე ზომალდი
 და შავი ჩვარი აწყდება ანძებს
 და ჩვარზე თავის ქალა ხატია
 და თავის ქალაც ხარხარებს თითქოს.
 აფრებში — ქარი, ღრუბლებში —
 დროშა
 და პოლარული ალაყაფები
 გაიხსნებიან თქვენს შესახვედრად.
 ტალღების იქით მზე ესვენება
 და ატლანტიკის მძაფრი მარჩლით
 გაჟღენთილია მღელვარე წყალი...

თარგმნა ოთარ ჭილაძემ



ადექსანდრ ბოჭი

სამაგიერო

„სამაგიეროს მიზლვა ახალგაზრდობა“
იბსენი

შესავალი

არ ვგვრძნობ რა საჭიროებას და არც ხალისი მაქვს დაეამთავრო რევოლუციური წინათ-გარძნობით აღსავსე პოემა იმ წლებში, როცა რევოლუცია უკვე მომხდარია, მინდა მას წაუშმ-ღვარო ბოლო თავის მონახაზი*, მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ დაიბადა პოემა, რა მიზეზებმა წარმოშვეს იგი, საიდან გაჩნდა მისი რიტმი.

საინტერესოა და უსარგებლო არ იქნება არც ჩემთვის და არც სხვებისთვის, მოვიგონო საკუთარი ნაწარმოების ისტორია; მით უმეტეს, რომ ჩვენ, ჩვენი საუკუნის უბედნიერეს თუ უუბედურეს შვილებს მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე უნდა გვახსოვდეს: ჩვენი კუთვნილი წლები მკვეთრად შეღებილი ჩვენთვის და ვაი, რომ მათი დავიწყება არც შეიძლება. ისინი შვლებილია მეტისმეტად წარუშლელად, ისე, რომ თვითთელი ციფრი სისხლით დაწერილი გვეჩვენება. ჩვენ არ ძალგვიძს დავივიწყოთ ეს თარიღები, ისინი აღბეჭდილია ჩვენს საკუთარ სახეებზე.

პოემა „სამაგიერო“ 1910 წელს ჩავიფიქრე და 1914 წელს მოგზაზე მისი ძირითადი ნაკე-თები. რა დრო იყო ეს დრო, 1910 წელი—კომისარევესკაიას, ვრუბელისა და ტოლსტოის სიკვდი-ლის წელი. კომისარევესკაიასთან ერთად მოკვდა ლირიკული ნოტა სცენაზე. ვრუბელთან ერ-თად — მხატვრის უდიდესი პირადი სამყარო, წრესგადასული სიჯიუტე, სიგიჟემდე დაუცხრო-მელი ძიება. ტოლსტოისთან ერთად მოკვდა ადამიანური სათნოება — ბრძნული ადამიანურობა. შემდეგ, 1910 წელი ესაა წელი სიმბოლიზმის კრიზისისა, რაზედაც ასე ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ მაშინ როგორც თვით სიმბოლისტების, ისე მათ მოწინააღმდეგეთა ბანაკშიც. ამ წელს მკაფიოდ გამოჩვენდა მიმართულებანი: აკმერში, ეგოფუტურიზმი და ფუტურეზმის პირველი საწყისები, რომლებმაც სიმბოლიზმის და აგრეთვე ერთმანეთის მიმართაც მტრული პოზიცია დაიკავეს, პირველი მთვანის ლოზუნგი იყო — ადამიანი, მაგრამ უკვე რაღაც სხვა-გვარი ადამიანი, ყოველივე ადამიანურს მოკლებული რაღაც, „პირველქმნილი ადამი“. 1911 წლის ზამთარი აღსავსე იყო ღრმა შინაგანი მამაცური დაძაბულობითა და თრთოლვით მე მახსოვს ღამდამოებით საუბრები, რომელთაგანაც პირველად წამოიზარდა ხელოვნების, ცხოვ-რებისა და პოლიტიკის განუყოფლობისა და შეურწყმელობის შეგნება, აზრი, რომელსაც აღ-

* შესავალი დაიწერა მესამე თავის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

ბათ მძლავრი გარეგანი ბიძგები აღვიძებდა, ერთდროულად აცაუნებდა ყველა კარბზე, უკვე აღარ კმაყოფილდებოდა რა ყველაფრის ერთად შერწყმით, რაც იოლი და შესაძლებელი იყო ქეშმარიტად მისტიკურ ბინდში წლებისა, რომლებიც წინ უძღოდნენ პირველ რევოლუციას, და აგრეთვე არა ქეშმარიტი მისტიკური გამოფხიზლების ქაშა, რომელიც რევოლუციის შემდეგ დადგა.

სწორედ მამაციური სული სძლევდა: ყველაფრის შეურწყმელობისა და განუყოფლობის ტრავიკულ შეგნებას, რაც გამოიხატა შერიგების მსურველთა და შეურიგებელთა წინააღმდეგობაში. გარკვევით ისმოდა ჩრდილოური, მაკარი ხმა სტრინდბერგისა, რომელსაც სულ ერთი წლის სიცოცხლეა დარჩენოდა. უკვე იგრძნობოდა წვის, რკინისა და სისხლის სუნი. 1911 წლის გაზაფხულზე პ. ნ. მილიუკოვმა წაიკითხა ფრიალ საინტერესო ლექცია — „შეიარაღებული მსოფლიო და შეიარაღების შემცირება“.

მოსკოვის ერთ-ერთი გაზეთში გამოჩნდა წინასწარმეტყველური სტატია — „დიდი ომის მოახლოება“. კიევში მოხდა ანდრეი იუშინსკის მკვლელობა და წამოიჭრა ებრაელების მიერ ქრისტიანული სისხლის გამოყენების საითხი. ამავე წლის უჩვეულოდ ცხელ ზაფხულში, როცა ძირფესვიანად იწვოდა ბალახი, ლონდონში რკინიგზელმა მუშებმა მოახდინეს გრანდიოზული გაფიცვები, ხმელთაშუა ზღვაში გათამაშდა ლირსშესანიშნავი ეპიზოდი „პანტერა — აგადირა“.

ჩემთვის ამ მოვლენებთან განუყრელადაა დაკავშირებული ფრანგული ჰიდაობის განვიტარება პეტერბურგის ციხეებში, რომლის მიმართაც დიდ ინტერესს იჩენდა ზარავალთსიანი ბრბო. მოჰიდავთა შორის იყვნენ ქეშმარიტი ხელოვანნი. მე არასოდეს არ დამეოფყდებოდა უგვანო, მძიმე წონის რუსის ჰიდილი პოლანდიელთან, რომლის კუთხოვანი სისტემა სრულქმნილი, იშვიათი სილამაზის მუსიკალურ ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

სწორედ ამ წელს, როგორც იქნა, ჩვენში განსაკუთრებულ მოღად იქცა ავიაიცია. ჩვენ ყველას გვახსოვს ლამაზი სააერო მარყუტეების მწყრები, თავდაყირა გაფრენები, უნიჭო თუ ნიჭიერი მფრინავების ჩამოვარდნა და სიკვდილი.

და ბოლოს, შემოდგომაზე კიევში მოკლეს სტოლინინი, რაც იმას მოასწავებდა, რომ ნახევრადანაზღერებისა და ნახევრადმოხელეთა ხელიდან ქვეყნის მართვა-გამგებლობა საბოლოოდ გადავიდოდა პოლიტიკის დეპარტამენტის ხელში. ამ ფაქტებს, ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებულთ, ჩემთვის ერთი მუსიკალური აზრი აქვთ.

მე მიეჩევი ცხოვრების ყველა დარგიდან ამოვკრიბო და შევადარო ერთმანეთს ფაქტები, რომლებიც კი მისაწვდომია ჩემი გონებისათვის მოცემულ მომენტში და მწამს, რომ ეს ფაქტები ერთად ყოველთვის შექმნიან ერთ მუსიკალურ ნაკადს.

მე ვფიქრობ, რომ უმარტევისა გამოხატველი იმ ეპოქის რიტმისა, როცა ქვეყანა, რეუგონარი ამბების მოლოდინში, ენერგიულად და გვეშაზომიერად ანეითარებდა თავის ფიზიკურ, პოლიტიკურ და საზღვრო კუნთებს, იყო იამბი. შეიძლება ამიტომ მეც, კახანია იამბის მათრახით დევნილი, დავენბდი მის მკერძზე ტალღას, უფრო დიდი ხნის მანძილზე.

მამინე მე მომიხდა დიდი პოემის დაწყება სათაურით „სამაგიერო“. მისი გეგმა წარმოადგენილი მქონდა კონცენტრული წრეების სახით, რომლებიც თანდათან ვიწროვდებოდნენ და ეცწროვდებოდნენ; და ყველაზე პატარა, უკიდურესობამდე შევიწროებული წრე, კვლავ თავისი დამოუკიდებელი ცხოვრებით იწყებდა ცხოვრებას, არღვევდა და აღართოვებდა გარემოს და თავის მხრივ პერიფერიაზე მოქმედებდა. ასეთი იყო ცხოვრება ქარგისა, რომელიც ჩემს შეგნებაში იხატებოდა და რომლის სიტყვაში გაცხადებასაც მხოლოდ ახლა ვცდილობ. მამინე კი ეს უპირატესად არსებობდა მხოლოდ მუსიკალურ და კუნთოვან შეგნებაში. კუნთოვან შეგნებაზე მე ტყუილად არ ვლაპარაკობ, რადგან იმეამად პოემის ყველა დეტალის მოძრაობა და განვითარება ჩემთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული კუნთოვანი სისტემის განვითარებასთან. ხელებით სისტემატურად მუშაობისას კუნთები პირველად სწორედ ხელზე ვითარდება, ეგრეთწოდებული ორთოიანი კუნთები. შემდეგ თანდათანობით უფრო წმინდა, ნატიფი და თხელი კუნთების ქსელი მკერდზე და ზურგზე — ბეჭებზე. აი კუნთების ასეთი რიტმული და თანდათანობითი ზრდა უნდა შეადგენდეს მთელი პოემის რიტმს, მისი ძირითადი თემაც და იდეაც ამასთან არის დაკავშირებული. პოემის თემა არის მოდგმის ერთიანი ჯაქვის რგოლების განვითარება. ყოველი მოდგმის ცალკეული შთამომავალი ვითარდება მათთვის განკუთვნილ ზღვრამდე და შემდეგ კვლავ გარემომცველი მსოფლიო წრის მიერ ინთქმებიან. მაგრამ ყოველ თაობაში მწიფეს და იხატება რაღაც ახალი, რაღაც უფრო მახვილი — დაუსრულებელი დაკარგვის, პირადი ტრავმების, ცხოვრებაში წარუმატებლობის, დაცემის და სხვ. და ბოლოს იმ დაუსრულებელი მაღალი თვისებების დაკარგვის ფასად, რომლებიც თავის დროზე საუკეთესო აღმასებებით ციმციმდნენ კაცობრიობის გვირგვინებში, (როგორც მავალითად, ჰუმანური თვისებები, სათნოება, დაუძრავი პატიოსნება, მაღალი ზნეობა და სხვანი). ერთი სიტყვით, მსოფლიო მორვეი

თავის ძაბრში თითქმის მთლიანად იწოვს კაცს, პიროვნებისაგან კვალიც აღარ რჩება და, თუ მაინც განაგრძობს არსებობას, ხდება ამოუხსნელი, ხეიბარი და დასაზიზრებელი. იყო კაცი და აღარ არის კაცი; დარჩა საზოგადოარი, დამკვნარი ხორცი და დამპალი სული, მაგრამ თესლი დათესილია და შემდგომ პირმშოში იზრდება ახალი, უფრო შეუღრეველი, და ბოლოს უკანასკნელ პირმშოში ეს ახალი და შეუღრეველი საგრძნობლად იწყებს ზემოქმედებას გარემო წრეზე.

ამგვარად, მოდგმა, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა ისტორიის შურისგება, გარემოცვა, ეპოქები, თავის მხრივ იწყებს სამაგიეროს მიზღვას. უკანასკნელ პირმშოს უნარი შესწევს დაიწყოს ღრენა და ლომისებურა ბრძლენვა. იგი მზადაა თავისი პატარა, აღამიანური ხელი ჩასკიდოს იმ ბორბალს, რომლითაც კაცობრიობას ისტორია მოძრაობს, და შეიძლება კდევ ჩასკიდოს.

რა ხდება შემდეგ? არ ვიცი და არასოდეს არ ვიცოდი, შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ მთელი ეს კონცეპცია ჩემში პროგრესის სხვადასხვა თეორიებისაღმი მზარდი სიძულვილის წნევის ქვეშ აღმოცენდა. ასეთი იდეა მე მინდა ჩავაქსოვო ჩემს „Rougon—Macquar“-ებში მცირე მასშტაბით, რუსული მოდგმის მცირე ნაწილში, რომელიც რუსული ყოფის პირობებში ცხოვრობს, „ორი-სამი რგოლი და უკვე ჩანს ბნელი ქვეყნის ანდერძი; კატასტროფისა და დაცემის გზით „Rougon—Macquar“-ები თანდათან თავისუფლდება რუსული თავადაზნაურული „Education sentimentale-საგან¹“ „ნახშირი იქცევა ალმასად“, რუსეთი ახალ ამერიკად ახალ და არა ძველ ამერიკად.

პოემა უნდა შემდგარიყო პროლოგისა, სამი საკმაოდ დიდი თავისა და ეპილოგისაგან. განასაზღვრულია, რომ ყოველ თავში მსოფლიო მნიშვნელობის ამბები იიწეროს. ეს ფაქტები შეადგენენ პოემის ფონს.

პირველი თავი ვითარდება გასული საუკუნის 70-იანი წლების ფონზე, რუსეთ-თურქეთის ომისა და ნაოლდოვოლური მოძრაობის ფონზე, განათლებულ ლიბერალურ ოჯახში. ამ ოჯახს მოეკლნა, ვინმე „დემონი“, ინდივიდუალიზმის პირველი მერცხალი, კაცი, რომელიც ბაიონის გავს რაღაც არამიწერი მისწრაფებებით, მიდრეკილებებით, მაგრამ დაილუნგებული საუკუნის ავადმყოფობისაგან, რომელიც დაიწყო fin de siecle².

მეორე დღუმთავრებელი თავი, — შესავლის გამოკლებით, რომლის მოქმედებაც უნდა განვითარებულიყო XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, უნდა მიძღვნიდა ამ „დემონის“ შვილს, მისი ბოზობარი მისწრაფებებისა და ავადმყოფური უმიდლობის მემკვიდრეს, ჩვენი საუკუნის გრძნობადაკარგულ შვილს. ესეც მხოლოდ ერთი რგოლია მოდგმის გრძელი ჯაჭვისა. როგორც ჩანს, მისგანაც არაფერი დარჩება, გარდა სამყაროში გაფანტული ცეცხლის ნაპერწყლებისა, გარდა ვენებიან და ცოდვიან ღამით რომელიღაც უცხო ეროვნების სათუთი და წყნარი გოგონას ლოგინში მის მიერ ჩავლებული თესლისა.

მესამე თავში აღწერილია, როგორ დაასრულა სიცოცხლე მამამ, რა მოუვიდა ყოფილ ბრწყინვალე „დემონს“, რა უფსკრულში ჩავარდა ეს ოდესღაც ნათელი კაცი. პოემის მოქმედება აქამდე რუსეთის დედაქალაქში ვითარდებოდა, ახლა გადადის ვარშავაში, რომელიც პირველად „რუსეთის გარეუბნად“ გვეჩვენებოდა, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს მოწოდებული იყო ეთამაშა რაღაც მესიანური როლი, დაკავშირებული ღვთისაგან დავიწყებული და ტანჯული ვარშავის ბედთან. აქ, მამის ახალ საფლავზე. მთავრდება ცხოვრების გზა და განვითარება შვილისა, რომელიც ადვილს უთმობს მესამე რგოლს, — ასევე მალა მფრინავ და რაბდა დამკვებულ შთამომავლობას. ეპილოგში უნდა გამოჩნდებოდა ჩივილი ბავშვი, რომელიც ხელში უჭირავს და ნანას უმღერის დამოქილი, უბრალო დედა, — სადღაც პოლონეთის თვალუწვდენელ და წყეულ მინდვრებში დაკარგული, რომელიც ყველამ დაივიწყა, რომელსაც აოავინ და არაფერი აღარ ახსოვს. მაგრამ ის ნანას უმღერის და მკერდით კვებავს შვილს და ბავშვი იზრდება, ის უკვე იწყებს თამაშს და დედის ნათქვამის მიხედვით იმეორებს სიტყვებს: „და მეც წაეალ ჯარისკაცებთან შესახედრად, და მეც გადავვებები მათ ხიშტებს... და შენთვის, ჩემო თავისუფლებავ, შავ ეშაფორტზე ავალ“.

აი, ჩემის აზრით აღამიანის ცხოვრების წრე ზღვრამდე შევიწროებული, გრძელი ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი, წრე, რომელიც ბოლოს თვითონ იწყებს გაბერებას, დაწოლას გარემოზე,

¹ გრძნობიერი აღზრდისაგან.

² საუკუნის ბოლოს.

პერიფერიაზე. აი მოდგმის შთამომავლობა, რომელმაც ბოლოს შეიძლება ხელი ჩასჭიდოს კაცობრიობის ისტორიის მამოძრავებელ ბორბალს.

მთელს პოემას ლეიტმოტივად უნდა გასდევდეს „სამაგიერო“. ლეიტმოტივი არის მასშტაბი, ცეკვა, რომელიც თავისი ფრთებით ატარებდა რუსეთის ტახტზე, რუსულ და პარიზულ მეჯლისებზე მეოცნებე მარინას. პირველ თავში ეს მუსიკა მსუბუქად ისმის პეტერბურგის რომელიღაც ბინის ფანჯრიდან, ყრუ 70-იან წლებში. მეორე თავში ცეკვა ქუხს მეჯლისზე და ერწყმის ოფიცერთა დეზების ხმას, ცნობილი Veuve cliquot 1-ის fin de siecle შამპანურის ქაფის მსგავსად. უფრო ყრუა ბოშური, აპუხტინის წლები. ბოლოს, მესამე თავში მასშტაბი ღრიალებს, ის ქუერს ქარბუქში, რომელიც ღამით თავზე გადაუვლის ვარშავას, პოლონეთის თოვლით დაფარულ სამყურა ბალახის მიწდგრებს. მასში უკვე მკაფიოდ ქუერს სამაგიეროს ხმა.

ივლისი 1919

პროლოგი

ცხოვრება არის დაუსაბამო —
ჩაგვსაფრებია შემთხვევა უხმოდ,
ღმერთი ხან უღვთოდ გვაწამებს
მწუხრით,
ხან გაგვინათებს მრუმე საღამოს.

შენ კი, მხატვრო, უნდა გესმოდეს,
ნათელს უკუნი საიდან ერთვის,
სად სამოთხეა, სად ჯოჯოხეთი!
შენ გაქვს საზომი მკაცრი ესოდენ.

გაზომე დინჯად — რასაც კი უცქერ,
რომ გაგვინათო, შუქი მოგვეფინო,
წაშალე შავი ლაქა და უცებ —
შენ დაინახე ღამაჲ მსოფლიოს.

გაარჩევ ბნელს და ნათელს
რგოლებად, —
რასაც ბილწი ან უბიწო ჰქვია —
ოღონდაც მიწვდეს, და მიწვდეს გვიან,
სული მხურვალე, ცივი გონება.

ზიგფრიდი მახვილს აწრთობს დახრილი,
მახვილზე ცეცხლმა გადაიარა, —
სწრაფად ჩაუშვებს წყალში იარაღს...
და გაშადდება უცებ მახვილი,

გმირის ხელები არ ისვენებენ,
ზიგფრიდს ნოტუნგი რიხით გასძახის,
დარტყმა, — დაეცა ფეხქვეშ ცახცახით
მიმე ჯაუჯა და ფარისეველი.

მახვილის მკედელს მხდალს ვერ
იხილავთ,
მეც უმწეო ვარ, მონა თქვენსავით,
მაგრამ სიბრძნის და ჭკუის მთესავი —
წარმოშობილი მტერისგან, თიხისგან.

სამყაროს მზერამ სენი შემყარა,
გმირმა გმირობა ველარ აჩვენა, —
ხალხმა შებოჭა მისი მარჯვენა
და ცეცხლის სვეტი ადგას ქვეყანას.

თვითნებურ კანონს აშკარად მალავს
ყოველი გული, ყოველი აზრი,
ევროპას თავზე ურჩხული აზის,
ხახამშრალი აფეთებს თვალებს.

ვინ დასცემს მახვილს — უწყის
არავინ, —
და როგორც წინათ ჩვენი სხეული
შემოსილია ნისლით წყეულით,
იქ ხანძარია გულშემშარავი.

ჰანგი მიჰყვება ჰანგის მაგალითს,
ვიღაცა ბრბოში ღრიალებს მუდამ...
ბროკავი მის თავს მეფეს ლანგარით
მიართმევს — მეფეს სისხლი
მოწყურდა.

იქ ეშაფოტზე თავი დატოვა,
აქ მისი ლექსის ლანძღავს მიმხეღენ,

¹ კლიკოს ქვრივი — შამპანური ღვინოების მწარმოებელი ფირმის მფლობელი საფრანგეთში.

არ მეშინია, — თუმცა მარტო ვარ,
მის ლექსებს მაინც გულით ვიმღერებ.

თქვენ არ განაგებთ ხვალინდელ დილას,
ვერ დამადუმოთ მხნე და ძლიერი,
იყოს საყდარი ყრუ, ცარიელი,
ეძინოს მოძღვარს, წირვამდე

ფრთხილად

გავივლი საზღვარს, შევალბე კარებს,
სტოვასთან, — სადაც სინათლე
ბრწყინავს,

ვილოცებ, უცებ გადვიხდი წირვას
და მერე ჩუმად გავიპარები.

გწამს განთიადი, როგორც ცხონება,
მიკუთხებ გზები რწმენის ნიშანი,
ნება მიბოძე ჩემი ცხოვრების
ერთი ფურცელი გადაგიშალო.

გაუწყებ მართალს, დაე იცოდე —
გავიმხელია რაიც არასდროს,
შენს ნათელ სახეს უნდა გავანდო,
რომ ამა ქვეყნად არის სიცოცხლე.

გულეში ბოღმა დულს საშინელი,
იღვიძებს ქვეყნად თავისუფლება
და ხალხის სულის არის სუფევა,
ძალიან გვანან მამებს შეილები —

ჯიშის ნაწყვეტი — სულით მაღალი,
სულ ორი-სამი რგოლი და მერე —
ამ ანდერძს იტყვის ქვეყანა ძველი:
მოდის ჯილაგი ახალ-ახალი,

დაარბევს წყვდიადს, მოსპობს,
ილაშქრებს,
ალმასად აქცევს უბრალო ნახშირს,
იგი წამოდგა შრომის წიაღში,
მედგრად წარსდგება ქვეყნის წინაშე, —

ამას მომავლის დღენი გვიაშობს.
ფეთქავს ცხოვრება, გამოიდარებს,
ალმასი ბრწყინავს შორეთიდანაც,
ამსხვრიე ქვები ჩემო იამბო.

პირველი თავი

ხანა მრისხანე, სასტიკი, მკაცრი —
შენ მეცხრამეტე ხარ საუკუნე,
ლამის წყვდიადში ჩააგდე კაცი.
აწამებს ფიქრი და გზა უკუნი.

და ხარ დროება მარად წყეული,
გადაუფარავს სივრცე უკუნეთს,
უსისხლო სულის, სუსტი სხეულის,
უმწეო თხოვნის ხარ საუკუნე.

წემოგყვა ქამის ნისლი და მტვერი,
საღლაც შორიდან შეუქი მოგტირის,
ხარ საუკუნე თავების მტვრევის
და ეკონომიური დოქტრინის.

კონგრესების და ფედერაციების,
სუფრაზე ლამაზ-ლამაზი ფრაზის,
აქციების და ობლიგაციების,
კოტაოდენი ქკუის და აზრის.

სამართლიანი არ ხარ დროება,
ხარ საუკუნე ჩლუნგი გონების,
უშნო ქალების, სასტუმროების,
არც რეკამია, არც სალონები.

ბურჟოებს არგე მთელი დოვლათი,
(უწმინდურება არ ბოლოვდება),
რომელთაც ძმობის ნიშნით მონათლეს
ბილწი საქმენი და ბოროტება.

ადამიანი იყო ეული,
არც ქალაქები, არც მანქანები, —
მხოლოდ „ცხოვრება“ უმტკივნეულოდ
ანუგეშებდა რალაც განგებით.
მარიონეტებს ყველა ქვეყნების —
ვინაც მართავდა ჭკუით, გეგმითა, —
იგი ჯდოროდა საქმეს შეგნებით
და ჰუმანიზმი ფეხზე ეკიდა.

მყარლმა ბურჟუსმა (ღმერთმა ინება)
მოკლა ნაყოფი, სული გაფლითა,
და ანგელოსი ლანძღვა-გინებით
თითქოს გაგვშორდა, სათოაც გაფრინდა.
იქ აგვარებენ ჭკუით, შანსებით —

სისხლიან დავას, მუქარას, რისხვას,
იქ ქვეშეხედა ჩაკეტეს გზები,
გაჰირდა მტერთან პირისპირ მისვლა.
გმირობას ჯაბნის დღეს თავხედობა,

გსიქოზით გვემა მთელი ძალების,
გამეფდა ქვეყნად ფუჭი ყბედობა,
აღალს მიათრევს რაზმი წვალებით.
რომ მიაღწიოს უწმინდურ მიზანს —

ინტენდანტების შტაბი იძვრება,
დასძახებს ბუკი —

რქა როლანდისა,
და ჩაფხუტები გამოიცვლება.
ამ საუკუნეს წყევლიდნენ, დღესაც
წყევლიან ზიზღით, კვლავ დაწყევლიან,
(ვით მოვიშორეთ ნაღველი, კვნესა).
ის რბილად აგებს, ძილი ძნელია.

დგას საუკუნე მეოცე — უფრო
გამძლდა ყოფა, აღზევდა დარდი,
ლამის ქვეყანას მთლად დაეუფლოს
ლიუციფერის წყეული ლანდი.

ხანძრების ბოლი ასულა ცამდე,
(ბოლო ნიშანი ავი დღეების),
და კომეტების მრისხანე ლანდი
დაიძრა ციდან, სივრცეს შეება.

მესინის უღვთო განადგურება,
(სტიქიურ ძალას არ ეშველება),
აქ მანქანები მუდამ უღევად
სჭედენ დაღუპვას და შეჩვენებას.

წარსული სუსხის კვლავ გამძაფრება,
რწმენის გაქრობა აწ სამუდამოდ,
და თვითმფრინავის ერთხელ გაფრენა
უცხო მხარეში, სადღაც უდაბნოდ.

ცხოვრებისადმი გესლი, ალერსი,
სამშობლოსადმი ტრფობა და ზიზღი...
მოგველის დღენი უუარესი...
გვიქადის უღვთოდ დაღვრილი სისხლი:

ენების დაშლას, საზღვრების მოშლას,
გაოგნებას და არ დაზავებას,

ამბოხებათა საოცარ დროჟამს,
ჯერეთ არნახულ შფოთს და ვაებას.

ადამიანო, ფოლადის ღრიალს —
ველარ უშველე და ვერც შევლოდი,
შენს თვალწინ იწვის სივრცენი ღია
და სულში დენთის ბოლი შემოღის.

რას ღრიალებენ ეს მანქანები,
ან პროპელერი მძლე გაქანებით
რატომ მიაპობს სივრცეებს ზემოთ,
ახლა მომყევი, მკითხველო ჩემო, —

ჩრდილოეთისკენ, — ჟინეთს
წყევლით —

დგას იგი ახლაც განუკურნებლად.
მიწურა ძველმა საუკუნემა —
შემოდგომა სამოცდაცამეტის.
დუღს ევროპაში შრომა დიადი,
აქ სევდიანი დგას განთიადი,
უყურებს ჭაობს, შიშით შეკრთება,
და იმავე წლის შუა სექტემბერს —
გულუხვობს მზე და სივრცეებს ავსებს.
სად მიდის ხალხი დილაადრიან —
და საზღვრებამდე გასროლილ გზაზე
ვაშას ძახილი მედგარდ გაღიარს.
და ბალკანეთის გაღაღმა მხარეს —
პოლიციის და ხალხის ღრიალი,
აურზაური, გინება მწარე,
ქალაქის ბჭესთან, სადაც ბრჭყვიალებს,
ნოვოდევიჩის ტაძრის სვეტები
(ძველი ტაძარი მკაცრი იერით),
სასაკლაო და სიცარიელე,
მოსკოვის ახლოს დგას კარეტები,
ხალხის კედელი მწყრალი თვალებით,
ეტლების რიგი — (ეტლიც დასაქმეს.)
ჩაბალახები და სულთანები,
დედოფალი და დიდი სასახლე.
წინ ჩაუარა გულჩვილ დედოფალს
მტვერში გასვრილმა ღიღმა არმიამ,
არმია იგი ბედს მიენდობა,
უცხო მიწაზე, სადღაც გზავნიან.
მიდის რომ ცეცხლი შეუთნოს

ცარგვალს,
რომ ომის რისხვა გადაიტანოს,
ახლახან იდგა ბანაკი ცარგრადს...

უცხო ენა და უცხო მიდამო.
უკან დაბრუნება თვალ ნისლიანი
მთა ბალკანების (რა ომი ელის)
კრილობა მწვანე და სისხლიანი,
მტერი ცბიერი და ღონიერი;
პავლოველები, გრენადერები,
მტერიან შარაგზას მიჰყვება ჯარი.
რუხი მკერდები, სახე მღვრების,
მკერდებზე წმინდა გიორგის ჯვარი.
ათასეული მათი დაშალეს,
სისხლის ლაქები როდის მოშრება.
თავდახრილები დგანან მასვრალნი,
ქვეშ დაფხრეწილი დიდი დროშების.
ბოლო მოეღო ცეცხლს და ქარიშხალს,
შეწყდა, მინელდა ტყვიის თარეში,
სხე დაბრუნდნენ მშობელ მხარეში,
და მიაშურა ყველამ თავის ხალხს.
როგორ შეხვდება ხალხი მშობელი,
ვინაც ქართველს არ მოერიდა,
ღე მოგონება სისხლის, ომების
ქარმა წარიღოს ამიერიდან.
დაბრუნებისას, ზეიმის დილას —
მათ არაფერი ემახსოვრებათ,
არც ჯარისკაცის უღვთო სიკვდილი,
არც ჯარისკაცის მწარე ცხოვრება,
არც ღამე გლოვის, არც ღამე დარდის,
არც თვალზე ცრემლი — ანკარა მძივი,
არც საშინელი სიკვდილის ლანდი
არც საწოლები მუნჯი და ცივი,
ღამე არი თუ ბნელი დღე არი —
ტყვიების სტვენა ყოველ ცისმარე,
კოცონის ცეცხლი, ნაღმის ღრიალი
შიშშილი, დაღლა, მწარე სიზმარი.
შიში — გმარცხდებით თუ არ

გმარცხდებით.

შუღლი, ლალატი და არ დანდობა,
შტაბის „ხალხის“ და ჯარისკაცების
და ოინები ინტენდანტების,
იქნებ რაც მოხდა, გონებას შერჩეს,
ქიფით ყველა გულს დაიოსებს,
მათ ნაირნაირს ეტყვიან „რეჩებს“.
ესერიან ვარდებს და პაპიროსებს,
მათი საქმენი წმინდაა რადგან,
იომებს ბევრი დღითაც, ღამითაც,
შეხედეთ, ხიშტზე თვითეულ მათგანს
წამოუგია კონა ყვავილთა.

მეთაურების მოუძღვით გუნდი,
მოაქეთ სახელი შეურცხვენელი,
შვენიის ყვავილი გატრეცილ მუნდირს
და მოსართავეს მათი ცხენების.
ჯარი ყაზარმებს უახლოვდება,
წყვდიადი ფარავს ზეცის კაბადონს.
ზოგი იცინის, ზოგი ღონდება,
ზოგს ეჩქარება ცეკვა გამართოს...
დაიპყრობს ლამაზს ჯარისკაცურად,
ილაპარაკებს უმისამართოდ,
შეათამაშებს უღვაშს მაცდურად,
რომ დამცირებულს აკლოს სიამე,
უცხო ილეთით გაისრიალებს,
და გაჯავრდება ვილაც ძალიან,
იქნებ ეს ხალხი ჭკუიანია?
და იცის მათი საქმის სიმძიმე,
დიდების ზღვაში რად ჩაიძირენ.
ამხელა რწმენა რა მიზნით ახლავთ,
ყველა ოფიცრის თვალებში ახლა
ომების შავი ლანდი ციმციმებს.
მათ მიწიერი ცეცხლი აქეზებს,
და თუ უშველის იგი უშველის,
უცხო ცხოვრებამ ყველას სახეზე
დაასვა დაღი აწ წარუშლელი.
ისინი ცეცხლმა ვერ შეაშინა,
ერთხმად ამბობენ ახლა ყველანი:
ვით იდგა ცეცხლში თეთრი რაშითა
შეუღრეკელი, მხნე ღენერალი.
იდგა ქარცეცხლში თავგამეტებით,
მტრისთვის დაცინეაც არ დაუკლია,
როგორ ავარდნენ ცეცხლის სვეტები,
როგორ მოედო ბოლი ღუზნიაკს.
ვით მომაკვდავი გულში იკრავდა
ღროშას — ისე, რომ ჭირდა წართმევაც,
ივით პოლკოვნიკმა როგორ იკადრა
მთებში ზარბაზნის ხელით წათრევა,
როგორ დაუფრთხა მეფეს მერანი
ხიშტით დაკლული როცა დალანდა,
ვერ დააკავა ჰუნე ვერავინ,
მეფე ხელებით სახეს მალავდა.
ასეა, ფრონტზე რა არ მოგელის,
დიდიც, პატარაც იქ სულ ერთია,
ვინც ომში იყო ყველამ ერთიან —
იგმა ტანჯვა განუზომელი,
ყველას ასწორებს ბედი, რომელიც
ნიშნავს მსოფლიო უბედურებას,

ეს მოვლენებიც ასე ირევა,
იგი ბედს რატომ დამედურება,
ვინაც ამ საქმეს იწყებს პირველად.
ბრალი უძლურის, — ვერ გამხსნევდება,
ხელისუფლება ჩქარობს და უნდა —
გადააქციოს ყველა მხედრებად,
მაჩანჩალასაც სული ჩაუდგას.

და ოინები ვთვალთ სულელთა,
ჩვენ ეს, მკითხველო, არ შეგვიძლია,
ჩვენ ერთად მოვხვდით

უსაქმურებთან —

ამტყარებენ და ველარ იძვრიან.
გადაგვაიწყა ზეიმმა მალე
დღე გუშინდელი, ტანჯვა, იარა.
გვურის უღმობელი სინათლე თვალებს
გამოგვაყრუა ვაშას გრიალმა,
და ვითომ მხოლოდ ლხინი ეხებათ.
რა არხეინად დააბიჯებენ,
გზებს ამტვერებენ ტლანქი ფეხებით.
როგორც პატარა ქუჩის ბიჭები.
დგას შემოდგომა პეტერბურგს ახლა,
და აქ საქმეზე ზრუნავს არაგინ,
შეხეთ, ოჯახის უფროსი მალა
შესაუბებულა ბოძზე ფარანით.
მეუღლე უხმობს, რისხვით აღივსო.
შენც არ მომიკვდე — უთხრა რაც უნდა.
ეგებ პასუხი მაინც აღირსოს —
ფეხებზე ქოლგა მოუტაცუნა.
ვერაფერს გრძნობს და ვერც

გამატყუნებ.

ხალხის სიცილი წუთით არ ცხრება,
იგი ყურებსაც არ აბარტყუნებს,
ეშმაკი კარგად ხედავს, რაც ხდება.
მიდიან... ყურში-გზო იღვრება,
კი არ იშლება ხალხი — პირიქით.
მიდის მერწყული, უკან მიჰყვება
სველი ბილიკი სირბილ-სირბილით.
შლანგი მოუშვა ვანკამ სასწრაფოდ.
ჩანს ქუჩა ქუჩით გადასერილი,
წყალი შეესხა ვილაც ქალბატონს,
მორბის ხალხი, რომ ნახოს სეირი.
(უსტვენს დარაჯი გულგასენილი).
ეკიპაჟები სწრაფად დადიან,
მეტლემ ლაგამს მარჯვედ მოზიდა.
იქ-ყაზარმებში შეხვდნენ განთიადს,

ის ჩამოვიდა უკვე ბრძოლიდან.
დაშლისას ყველა რაღაცას ელის,
დიდი ზეიმით შეხვდნენ მეომრებს,
დგას ფეხზე დედაქალაქი მთელი,
ვაშას ზედიზედ იმეორებენ.
რიგები რიგებს ზედიზედ მისდევს
და არეშარეს ფეხქვეშ იგებენ,
გაივლის ერთი, ისევ და ისევ —
ზედიზედ მისდევს რიგებს რიგები.
არ დაბრუნდება რიგი ჩაველილი,
შენი ნაცნობი გაჰყვა რომელსაც,
მზემ ჩამავალმა სხივების ჭავლი
მალალ სარკმელზე უცებ მოლესა.
შენ ალბათ მალე სარკმელის იქით
იპოვი ნიშანს და არა გიშავს,
მაგრამ არ იცი, რას ნიშნავს იგი
და რა ფასი აქვს აშნაირ ნიშანს.
ვერ გაიხსენო რამე მცირედით,
დაგლის ფიქრები სულის მღევრები,
სხვებივით ბნელში ჩაიძირები
და ხალხის ტალღას აედევნები.
იარე, ვარამს გულში ჩაფრენილს
ვერვინ უშველის, — რა დაგიმალო,
გზადაგზა ყველა და ყველაფერი
უბრად ჩაგვივლის, ადამიანო.
ათასნაირი გაწუხებს ფიქრი,
აზრად არ მოგდის, დაზაფრებულო,
რომ შეიძლება ამ კედლებს იქით
შენი ბედია ჩასაფრებული.
(ჭკუა რომ გქონდეს, ასე უაზროდ
ამ ფირებს გულში როდი ჩაიტან,
წამოწევიბოდი შენ ტროტუარზე,
დაივიწყებდი ცოლშვილს, ჩაიდანს).
და ვარსკვლავებმა მუზა იპოვეს,
ბნელა, ფარდები დაუშვეს მალლით,
გაქედლილა ოთახი ხალხით,
ჩუმად და ფრთხილად მუსაიფობენ.
ლაპარაკობენ და იხლართება —
ყველა სიტყვაში ნალველი, სევდა,
გაოგნებულნი ბნელაში სხედან,
არც ეჩქარებათ შუქის ანთება.
სახეებს შთანთქავს ღამე ნებისად,
მოდის უკუნი რა გამკაცრებით,
ბნელი რიგები ჩანს აჩრდილების
ვილაც ქალების, მამაკაცების,
რა საეჭვოა მათი გუჟმანი!

შეხედეთ! ლანდი ჯრთილად იხრება,
შედის დუმილით ყველა სტუმარი
და ნადირივით მიმოიხედავს.
ვილაც ანათებს პაპიროსითა, —
გამოჩნდა ქალი რამ სიფრიფანა,
მაღალ შუბლს თმებით ველარ იფარავს,
ქერა წარბები მკაცრად მოზიდა.
და იყურება მზერადაზნული,
ფიქრი იღუმალ რომ გაახელოს.
შავი სამოსი, თეთრი საყელო,
ტანი გამხდარი, სახე ბავშვური.
შორით გაიჭრენ თვალი მისანი,
თითქოს დალანდეს რალაც თვალებმა,
და ამ მზერაში დაიმალება
ნაღველთან ერთად დიდი მიზანიც.
ელოდებიან სტუმარს მდუმარედ,
— აწყრილდება ზარი მრავალჯერ,
და გაიღება კარი უმაღვე,
სტუმარი ზღურბლზე გადმოალაჯებს.
ახოვანი და ბრგე ვაჟკაცია.
მოვიდა, ლელვა მოჰყვა ქუჩიდან,
უცხოელივით უცხოდ აცვია,
ხელში შლიაპა შნოზე უჭირავს.
მრეში თვალები ღამეს სერავენ,
თვალები მკაცრი, თვალები მწველი
და ნაპოლეონს მიუგავს წვერი,
სახე აქვს მრგვალი, მოუსვენარი.
შავთმიანი და დიდთავიანი —
ლამაზიკ არი, უშნოც სტუმარი,
აწუხებს ფიქრი რამ იღუმალი,

და რა ქნას ზაფრა ვით დაიამოს.
და ახლა ხალხი არის მდუმარე,
ორი სიტყვა და სტუმარი რიდით,
შავით მოსილი ზავშვისკენ მიდის,
და ბავშვს ეხვევა უდასასრულოდ,
მისთა ბავთა ღიმილი მოსავს,
ეტყვის: „გილოცავ მშვიდობით
მოსვლას,

ჩემო სოფიო, ლევის ასულო.
ისევ ბრძოლა და ისევ გოდება“. —
ფიქრმა უჩინომ არ მოუსვენა —
და თეთრი შუბლი მოულოდნელად
ორმა ნაოქმა გადაუსერა,
დაღამებისას ლოთმა რუსებმა
ლეინოში რომი გადაურიეს,
და ნაპერწკლებმა, როგორც ურიონ —
გადაუარეს სავსე ფიალებს.
ხიშტების წვერზე ალი ფრიალებს,
(ალი ავარდა რა გამალებით)
და ნაპერწკლებმა გადაიარეს,
ალმა დაუვსო ყველას თვალები.
ისროდა ცეცხლი ნათელს იმხელას —
ღამე უკუნი ველარ გამაგრდა,
უცებ გაისმა ტკბილი სიმღერა,
ძველი სიმღერა ჰაიდამაკთა.
თითქოს ქორწილის ქამი მოვიდა
და ქარიშხალი აღარ ელოდეთ,
თვალები აღარ თრთოდა გლოვითა
და არხეინად დიდხანს მღეროდნენ.

თარგმნა ფილიპე ბერიძემ

(გაგრძელება იქნება)



ნოზა ზედიძე ლუკინიან სინსაძე

ოქტომბრის რევოლუცია და გლეხთა მოძრაობა საქართველოში

1917 წელს რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში. დღემდე ბურჟუაზიულ-მემარტული დიქტატურა, შეიქმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მტკიცე ბასტიონად იქცა.

ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მან დედაშიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლუატაცია, არამედ იმაშიც, რომ მან მძლავრად შეარყია კაპიტალიზმის კოლონიური სისტემა, დასაწყისი მისცა მის სრულ რღვევას. რუსეთის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის რევოლუციური ბრძოლა ძალაუფლებისათვის, ახალი საზოგადოების შექმნისათვის ყოველთვის და ყველგან ახდენდა უდიდეს გამარჯვოლუციურებელ გავლენას ჩაგრულთა მილიონებზე და გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის ათანებდა მათ. ოქტომბრის რევოლუციამ არსებულ სიმალღეზე აიყვანა საერთაშორისო მუშათა რევოლუციური მოძრაობა და განსაკუთრებით აამოძრავა მეფის რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ჩაგრული ხალხები, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ბატონობის ქვეშ მოექცნენ.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში ძალაუფლება ბურჟუაზიამ და მემარტულ თავდაზნაურობამ ჩაიგდო ხელთ. შეიქმნა ბურჟუა-

ზიულ ნაციონალისტური მთავრობა. მენშევიკებმა საქართველო მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს, დაეკავშირდნენ უცხოელ იმპერიალისტებს, რომელთა დახმარებითაც სისხლში ახშობდნენ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი საქართველოს „დამოუკიდებლობის“ შესახებ წერდა: „...თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“.

მენშევიკურ ხელისუფლებას არსებითი ცვლილება არ შეუტანია გლეხთა მდგომარეობაში. მათ მიერ გატარებული აგრარული რეფორმის შემდეგ მიწების უმეტესი ნაწილი მემამულეებისა და კულაკების ხელში დარჩა. საქართველოს მშრომელი გლეხობა კვლავ დიდ სიღიწროვას განიცდიდა. ამიტომ იყო რომ მენშევიკების ბატონობის წლებში საქართველოში გლეხთა მოძრაობა არ შეწყვეტილა. გლეხთა გამოსვლები მენშევიკების პოლიტიკის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ოქტომბრამდე დაიწყო. დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის ფილიალს — „ოზაკომს“ საადგილ-მამულო კომისიის პირველსავე სხდომებზე მოუხდა გლეხთა მიერ მემამულეთა მიწების დატაცების საკითხის განხილვა.



ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. მუშათა მოძრაობის გავლენის შედეგად, აგრეთვე ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების დახმარებით საქართველოს მშრომელი გლეხობა მასობრივად თავისუფლდება ესერ-მენშევიკური პარტიების გავლენისაგან და იარაღით ხელში გამოდის მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ.

გლეხთა პირველი სერიოზული გამოსვლა მოხდა 1918 წლის თებერვლის დამლევი ლეჩხუმში, აჯანყებამ, რომელიც 23 თებერვალს დაიწყო, მარტის ბოლო რიცხვებამდე გასტანა. აჯანყებულებმა აიღეს სამაზრო ცენტრი — ცაგერი და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. 1918 წლის მარტის მეორე ნახევარში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა სამეგრელოში. ნოქალაქევის, ბანძისა და მარტვილის რაიონში 1000 კაცისაგან შემდგარი რაზმი თითქმის ერთი თვის განმავლობაში უმკლავდებოდა მენშევიკური მთავრობის ჯარებს. ასეთივე რაზმები მოქმედებდნენ ზუგდიდის მახრამშიც. აპრილის დამლევის აჯანყება დაიწყო აფხაზეთში, აჯანყებულმა აფხაზმა მუშებმა და ღარიბმა გლეხებმა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

1918 წლის ივლისში მენშევიკური გაზეთი „სოციალ-დემოკრატია“ იძულებული იყო ელიარებინა, რომ საქართველოს თითქმის ნახევარი სახალხო აჯანყების ხანძარში იყო გახვეული. ამ დროისათვის გლეხთა აჯანყების ალში გაეხვია სენაკის, ზუგდიდის, რაჭის, ლეჩხუმის, შორაპნის, ღუშეთის, ბორჩალოს, გორის და სხვა მაზრები. განსაკუთრებით მწვევე ხასიათი მიიღო გლეხთა ბრძოლამ ღუშეთისა და შორაპნის მაზრაში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

1918 წლის გლეხთა აჯანყებები, მიუხედავად თავისი შეუპოვარი ხასიათისა, მარცხით დამთავრდა, რადგან მას აკლდა სათანადო ორგანიზებულობა და ერთიანი ხელმძღვანელობა.

მომზადების მასშტაბით, მასობრიობითა და პარტიული ხელმძღვანელობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს გლეხთა შეიარაღებული აჯანყებები 1919 წელს. ამ დროისათვის საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები საკმაოდ განმტკიცდნენ და შეძლეს ხელში აეღოთ გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ზრდა გურიაში, სადაც მთელ რიგ სოფლებში პარტიული უჯრედები შეიქმნა. 1919 წლის 5 ივლისს გურულმა ბოლშევიკებმა ოზურგეთის მაზრაში ხელნაწერი ეურნალი „კომუნისტი“ გამოუშვეს.

1919 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველოს ყველა მაზრაში პარტიული კონფერენციები მოეწყო, რომლებმაც პარტიული ორგანიზაციების აჯანყებისათვის მზადყოფნის

საკითხი განიხილეს. კონფერენციებმა ცხადყო, რომ აჯანყებას ერთსულრვნად დაუჭერდა მხარს სოფლის მთელი რევოლუციური გლეხობა.

1919 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში შედგა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ განზრახული შეიარაღებული აჯანყება ნოემბერში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორე წლისთავის დღესასწაულის დღეებში დაწყებულიყო.

განზრახული იყო აჯანყების დაწყება სამხედრო რევოლუციური შტაბის ხელმძღვანელობით თბილისში, საიდანაც ის გავრცელდებოდა საქართველოს ქალაქებსა და მაზრებში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარებისათვის, მათ მაინც ვერ შეძლეს დასახული მიზნის განხორციელება. მენშევიკებმა საყოველთაო აჯანყების დაწყების წინ რამდენიმე დღით ადრე დააპატიმრეს აჯანყების პარტიული და სამხედრო ხელმძღვანელობა. ყოველივე ამის გამო, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა აჯანყების გადადება, მაგრამ ოზურგეთისა და მთელი რიგი მაზრების პარტიულმა ორგანიზაციებმა გვიან გაიგეს ეს გადაწყვეტილება და აჯანყება დანიშნულ დროზე დაიწყო. მასობრივ აჯანყებას ჰქონდა ადგილი ჩოხატაურში, ლანჩხუთში, ხაშურში, ახალქალაქში, მეჯვრისხევში და სხვა ადგილებში.

ჩოხატაურელმა აჯანყებულმა გლეხებმა შეერთებული ძალებით აიღეს რაიონული ცენტრი, დაიკავეს ფოსტარ-ტელეგრაფი, გვარდიის შტაბი, მილიციისა და ერობის სამმართველოები, იარაღის საწყობი, დაიწყეს საბჭოთა ორგანოების არჩენები. ჩოხატაურში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

1919 წლის გლეხთა აჯანყებანი მენშევიკებმა სისხლში ჩაახშვეს, მაგრამ მიუხედავად დამარცხებისა, მას საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისა და რევოლუციური მასებისათვის უარცხად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მასობრივ გაბრუნებებს ჰქონდა ადგილი სამხრეთ ოსეთში. აჯანყებული მშრომელი ოსი გლეხობა ქართველ გლეხობასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებისათვის მეტბოძოთა პირველ რიგებში იყო. აქ გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელობა „გლეხთა რევოლუციური კავშირი“, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წლის აგვისტოში შეიქმნა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით.

ასევე შეუპოვრად იბრძოდნენ ქართველ გლეხები არსებული ხელაუფლების წინააღმდეგ 1920—21 წლებში.

საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძ-

რაობის ანალიზი ნათელს ხდის, რომ საქართველოს გლეხობამ უღრესად დიდი, გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, ამის მიზეზი იყო საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი: საქართველოს გლეხთა ძირითადი მასის პროლეტარული და ნახევარპროლეტარული მდგომარეობა, გლეხობის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები და გლეხობის შემადგენლობის „რევოლუციური გაჯანსაღება“ იმპერიალისტური ომის წლებში. ეს გასაგებია, პროლეტარული რევოლუციის ბედი აგრეთვე ქვეყანაში დამოკიდებულია გლეხთა ძირითადი მასის პოზიციებზე.

მიუხედავად იმისა, რომ გლეხთა აჯანყებანი 1918—1921 წლებში სხვადასხვა დროს და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხდებოდა, ძირითადად საერთო იყო მათი გამოშვები მიზეზები და გლეხთა რევოლუციური მოთხოვნები.

უწინარეს ყოვლია მშრომელი გლეხობა მოითხოვდა მიწის საკითხის რევოლუციურად გადაჭრას. აგრეთვე საკითხის მოუგვარებლობა იყო ძირითადი მიზეზი, რომელიც აიძულებდა გლეხობას იარაღი აღეშარათა ჯერ თვითმპყრობელობის, ხოლო შემდეგ მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ.

მენშევიკები საქართველოს გლეხობას მიწის საკითხის დამფუძნებელი კრების მიერ გადაჭრის დაპირებებით ჰკეზავდნენ, მაგრამ რევოლუციური გლეხობა პრაქტიკულად თვით შეუდგა მიწის საკითხის გადაჭრას. მათ ფაქტობრივად გააუმჯობესეს დროებით ვალდებულებითი ურთიერთობა და ხიზნობის ინსტიტუტი. ამიერკავკასიის კომისარიატი, სადაც წამყვან როლს ქართველი მენშევიკები ასრულებდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ გახდა იძულებული დაედასტურებინა დროებითვალდებულ გლეხთა გამოსასყიდი გადასახადისა და ხიზნობის გაუქმება.

ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის დეკემბრის დეკრეტის „სახაზინო, ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიული პირებისა და კერძომფლობელური მიწების საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ“, არაფერს აძლევდა მშრომელ გლეხობას. დეკრეტის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მიწის ნაწილი გადასულიყო საადგილმამულო კომიტეტებისა და ერობების განკარგულებაში მიწის მუშათა შორის გასანაწილებლად. საადგილმამულო კომიტეტებს მთავრობის წარმომადგენლები ნიშნავდნენ, ხოლო ერობები იმ დროს საქართველოში არც არსებობდა. შემდეგ ამიერკავკასიის სეიმის აგრარული კომისია იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მენშევიკური დეკრეტი მიწების შესახებ დაქტორულად ჰქალაქდნენ დარჩა.

მენშევიკური მთავრობის უღმერთი აგრარული კანონი ხელუხლებლად სტოვებდა სოფლად მიწაზე კერძო საკუთრებას და აკანონებდა ექსპლოატაციას, რადგან იგი მიწის მფლობელს საკუთრებაში უტოვებდა მიწის იმ რაოდენობას, რაც მაშინდელი ტექნიკის პირობებში ყოველად შეუძლებელი იყო ერთი კაცის მიერ დამუშავებულყო.

გლეხობას არ სჯეროდა დროებითი მთავრობის აგრარული რეფორმისა. მთავრობის ოფიციაში „საქართველოს რესპუბლიკა“ 1920 წლის იანვარში სწოდა, რომ აგრარული ურთიერთობის მომწესრიგებელ კომისიის დიდი დამაკოლმებანი ელბებდა წინ. უმთავრესი კი ის, რომ ხალხს არ სჯერა მიწების გადასვლა მათ ხელში და გულგრილად უყურებენ ამ საქმეს. მენშევიკები აშკარად ეწეოდნენ მიწით სპეკულაციას. მათ გამოსცეს კანონი გლეხობისათვის მიწისა და ინვენტარის განსაზღვრული რაოდენობის მიყიდვის შესახებ. ესეც ფაქტობრივად საკანონმდებლო ვარჯიშობა იყო მხოლოდ. ამა რა მიწის შექმნა შეეძლო ისედაც გადატყვევებულ გლეხს?

ამრიგად, მენშევიკების პარტია აგრარულ საკითხში კალეტების აგრარული პროგრამის იქით არ წასულა.

საქართველოს გლეხობის ბრძოლა მიწისათვის სავსებით შეუსაბამებოდა ბოლშევიკების პარტიის აგრარულ პროგრამას. ქართველი ბოლშევიკები ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ სოფლად ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების ლიკვიდაციისათვის. გაზეთი „კავკასიის რაზონი“ ჯერ კიდევ 1917 წლის 19 მარტს წერდა, რომ „საბიროა ახლაც წამოვაცენოთ ღარიბი გლეხების უაღრესად არსებითი მოთხოვნა და მოვითხოვოთ მემამულეთა მიწების დაუყოვნებელი კონფისკაცია“.

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გლეხთა ინტერესების შესაბამისად მიწის საკითხის გადაჭრა უდიდეს გამარვეოლუციურბე-ელ გავლენას ახდენდა საქართველოს სოფელზე. ქართველი გლეხი ნათლად ხედავდა, რომ მხოლოდ რევოლუციური გზით შესძლებდა მიწის მიღებას. ამიტომ ისინი თვით იღებენ ხელში მიწის საკითხის გადაჭრას. საჩხერის აჯანყებულ გლეხთა მიერ შექმნილი რევკომის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება 1918 წლის ივნისში მემამულეთა მიწების კონფისკაცია და გლეხებისათვის მათი გადაცემა იყო. მიწის საკითხის რევოლუციურად გადაწყვეტას მოითხოვდნენ აჯანყებულთა სამხრეთ-ოსეთელი ღარიბი გლეხები 1918 წლის გაზაფხულზე. ასეთივე მოთხოვნებს აყენებდნენ აჯანყებული გლეხები სხვა მხარეებშიც.

ბოლშევიკური ორგანიზაციები, ხელმძღვანელობდნენ რა გლეხთა აგრარულ მოძრაობას, შე-

გნებულ და ორგანიზებულ ხასიათს აძლევდნენ მას. გლეხთა მოძრაობა პირველ ხანებში სტიქიური ბრძოლებიდან გადაიზარდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ორგანიზებულ პოლიტიკურ ბრძოლაში, ჩამოყალიბებული ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებით, თავისი კლასობრივი ამოცანებისა და როლის შეგნებისა და გათვალისწინებით.

მენშევიკების ბატონობის რამდენიმე თვის განმავლობაში გლეხობა დარწმუნდა, რომ მათგან მიწის ვერ მიიღებდა. ამიტომ იგი ეკონომიური ხასიათის მოთხოვნებიდან 1918 წლის გაზაფხულიდან ძირითადად პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებზე გადადის და პირველ რიგში საბჭოების ხელისუფლების დამყარებას მოითხოვს. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველთავე დღეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიწის შესახებ დეკრეტის გამოქვეყნებამ და ცხოვრებაში გატარებამ დაარწმუნა საქართველოს გლეხობა, რომ მიწის ისინი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირობებში მიიღებდნენ.

მენშევიკების მთავრობა ყოველგვარ ზომას მიმართავდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ავტორიტეტის შესაღავდად. მიიღეს რა თებერვლის რევოლუციის შემდეგ საბჭოებში დეპუტატთა ადგილების უმრავლესობა, მენშევიკების პარტიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები მიჰყავდა პოლიტიკურ თვითმკვლელობისაკენ.

ისევ როგორც რუსეთში, ორხელისუფლებიანობა დამყარდა საქართველოშიც. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გვერდით შეიქმნა დროებითი მთავრობის ხელისუფლების ორგანო — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი. ეს იყო ბურჟუაზიისა და მემშეველების ხელისუფლება, წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული ლიქტატურისა, რომელიც საბჭოების სახით არსებობდა. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში შემთანხმებულური პარტიები საკმაო ხანს სარგებლობდნენ დიდი გავლენით და ორხელისუფლებიანობა აქ იმეკეთარს ხასიათს არ ატარებდა, როგორც ეს პეტროგრადში, რევოლუციური რუსეთის ცენტრში იყო.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გვერდით ქალაქიდან სოფლად გასული მუშებისა და ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა ინიციატივით საქართველოში იქმნებოდა გლეხთა დეპუტატების საბჭოებიც.

ძირეული გლეხთა დეპუტატების საბჭოები უფრო რევოლუციური შემადგენლობისანი იყვნენ, ვიდრე სახაზინო და საგუბერნიო გლეხთა დეპუტატების საბჭოები, სადაც ესერ-მენშევი-

კები იყვნენ მოკალათებულნი და თავიანთი შემთანხმებელი პოლიტიკით ხელს უშლიდნენ სოფლად რევოლუციური გლეხობის ორგანიზაციას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში მენშევიკების გათიშველი მუშაობის შედეგად სოფლად გლეხთა დეპუტატების საბჭოები იშვიათად იქმნებოდნენ. სოფლის ოფიციალური ხელისუფლება უმეტესად აღმასრულებელი კომიტეტების ხელში იყო, ის იყო მენშევიკური ხელისუფლების საყრდენი, მისი ადგილობრივი ძირეული პოლიტიკური დაწესებულება.

აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად მენშევიკები დუა-უ-სთან საბჭოების უპირისპირედნენ ერობებს, როგორც ადგილობრივ თვითმმართველობის ადმინისტრაციულ ერთეულებს.

მენშევიკებმა ერობებს ხელი ჩასჭიდეს მხოლოდ მაშინ, როცა მუშათა და მშრომელ გლეხთა მასებმა ქალაქად და სოფლად დეპუტატთა საბჭოების ხელისუფლების შექმნის მოთხოვნა წამოაყენეს. მენშევიკური დადგენილება ერობების შექმნის შესახებ მიღებული იქნა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლს 25 ნოემბერს, საბჭოების ავტორიტეტის ზრდას შიშით.

ერობები არ სარგებლობდნენ მშრომელთა მასების მხარდაჭერით. ამას ადისტურებს ერობების საარჩევნო მასალების მონაცემები. მუშები და ღარიბი გლეხები ბოიკოტს უცხადებდნენ ერობებს, არ თვლიდნენ მას თავიანთ ხელისუფლებად, არ ღებულობდნენ მონაწილეობას მის არჩევნებში. შორაპნის მაზრაში ერობების არჩევნებში ამომარჩეველთა მხოლოდ 10%-ზე ცოტა მერე ღებულობდა მონაწილეობას, დუშეთის მაზრაში — 26,5 პროცენტი, სიღნაღის მაზრაში — 23, 17 პროცენტი.

საქართველოს რევოლუციური გლეხობა ზურგს აქცევდა რა მენშევიკურ ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, გარკვეულად მოითხოვდა გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნას სოფლად. ზუგდიდის მაზრის სოფელ წალენჯიხაში ჩატარებულმა 15 საზოგადოების დელეგატთა და ყოფილ ჯარისკაცთა გაერთიანებულმა კრებამ რევოლუციური გლეხობის სახელით მოითხოვა, რომ გლეხთა დეპუტატების საბჭოები შექმნილიყო მთელს მაზრაში, გაუქმებულიყო აღმასრულებელი კომიტეტები და ყველა მათი ფუნქციები გლეხთა დეპუტატების საბჭოებს გადაეცემოდათ. ასეთივე მოთხოვნები გამოჰქონდათ მშრომელ გლეხებს საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

გლეხობასთან ერთად დეპუტატთა საბჭოების შექმნასა და მისთვის მთელი ძალაუფლების გადაცემას მოითხოვდნენ ქართველი ჯარისკაცები. მე-7 ქართული პოლკის ჯარისკაცებმა ერთ-ერთ თავიანთ მიტინგზე 1918 წლის თებერვალში წამოაყენეს მოთხოვნა, რომ გაუქმებულიყო ეროვნული საბჭოები და ამიერკავკა-

სიის კომისარიატი და მთელი ძალუფლება გადაეცემა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. ადგილებზე დეპუტატთა საბჭოების შექმნისა და საბჭოთა ხელისუფლების შექმნის მოთხოვნით გამოვიდნენ აგრეთვე გორში და ფოთში განლაგებული ქართული პოლკების ჯარისკაცები.

გლეხობა არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ მოთხოვნების წამოყენებით. აჯანყებული გლეხები პირველ შესაძლებლობისთანავე აშკარდებდნენ ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლებას. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში ახალი ძალით ჩაიდებოდა და ყველა მხარეს ედებოდა.

საქართველოს გლეხობის რევოლუციური მოთხოვნები მიწისა და საბჭოთა ხელისუფლების შესახებ უშუალოდ უკავშირდებოდა საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამოკიდებულების საკითხს. გლეხობა უარყოფითად შეხვდა იმ ფაქტს, რომ მენშევიკებმა საქართველო ჩამოშორეს რუსეთს.

ოქტომბრის რევოლუციამდე ქართული მენშევიკები წინააღმდეგნი იყვნენ ავტონომიისა და აბრკოდნენ ცენტრალისტური ხელისუფლების დასაცავად. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მათ აჩქარებით დაიწყეს თავიანთი შეხედულებათა გადასინჯვა ნაციონალურ საკითხში. ისინი თანხმობას აცხადებდნენ არა თუ დამოკიდებულებაზე, არამედ ფაქტობრივ დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიურ მდგომარეობაზეც კი, ოღონდ საბჭოთა რუსეთთან კავშირი გაეწყვიტათ. რუსეთისაგან ჩამოშორებას მენშევიკები თვლიდნენ დროებით მოვლენად ცენტრში „კანონიერი“ ხელისუფლების აღდგენამდე.

ქართული მენშევიკების მიერ საქართველოს „დამოუკიდებლობაზე“ ეტრის აღებამ ხელი შეუწყო კონტრრევოლუციური ბლოკის განმტკიცებას. ქართველ ნაციონალისტებს ფაქტობრივად სადავო აღარადერი ჰქონდათ მენშევიკურ პარტიასთან ნაციონალური საკითხის „გადწყვეტილი“ დარგში.

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალურმა მსვლელობამ, საბჭოთა ხელისუფლების პირველმა რევოლუციურმა ღონისძიებებმა, რომლებსაც მშრომელი მილიონები უჭერდნენ მხარს, და დამფუძნებელი კრების იდეის გაკონტრბამ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები აიძულა დადგომოდნენ რუსეთისაგან ჩამოშორების გზას. შეიქმნა რუსეთისაგან დამოუკიდებელი ამიერკავკასიის სემი, ხოლო შემდეგ ისიც დაიშალა და 1918 წლის მაისში შეიქმნა საქართველოს „დამოუკიდებელი დემოკრატიული“ რესპუბლიკა.

საქართველოს მშრომელი გლეხობა უცხოელი

ინტერვენტების სახით კოლონიზატორებსა და თავადაზნაურული პრივილეგიების აშკარა დამცველებს ხელადა. მათ წინააღმდეგ რევოლუციური გლეხობის ბრძოლა არ შეუწყვეტია, მით უმეტეს რომ იგი ემთხვეოდა ბრძოლას რუსეთთან კავშირის აღდგენისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. მშრომელი გლეხობა ხელადა, რომ მათი ეროვნული და კლასობრივი ინტერესები დაცვაყოფილდებოდა მხოლოდ რუსეთის მუშებთან და გლეხებთან კავშირში ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით. ამიტომ რევოლუციურ რუსეთთან კავშირის აღდგენა მშრომელი გლეხობის პრინციპული მოთხოვნა იყო.

აჯანყებული ლეჩხუმელები დაეინებით მოთხოვნდნენ საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღდგენას. „სენიმა“ ისიეროს, ჩვენ კი რუსეთს არ ჩამოვშორდებით! — აცხადებდნენ ისინი. „ჩვენ პირველი ნომრის მთავრობა (ე. ი. მენშევიკური მთავრობა) არ გვინდა. მან ჩვენ რუსეთს ჩამოგვაშორა, მით დაღუპავს გვიპირობს“ — ასეთი იყო აჯანყებული სამხრელო გლეხების პასუხი მენშევიკების მთავრობისადმი. სოფელ არგუეთის, კობოლუის, ლიჩის და სხვ. სოფლების გლეხებმა შირაზის მაზრის კომისარს ოდიციალურად აცნობეს, რომ იარაღს არ ჩააბარებდნენ და სამხედრო სამსახურში არ გავიდოდნენ მანამ, სანამ „კავკასია რუსეთს არ შეუერთდებოდა“.

ასევე რუსეთთან კავშირის აღდგენას მოითხოვდნენ აჯანყებული გლეხები სამხრეთ ოსეთში და საქართველოს სხვა კუთხეებში.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ საკითხი მიწის შესახებ, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის და რუსეთისაგან ჩამოშორების წინააღმდეგ წარმოადგენდა ძირითად მოთხოვნათა იმ ჯგუფს, რომლითაც გამოიღოდა საქართველოს რევოლუციური გლეხობა მენშევიკების ბატონობის წლებში. მშრომელ გლეხთა ეს მოთხოვნები განსაზღვრავდნენ მოძრაობის შინაარსსა და მიზანდასახულობას. ბერძენაშვილ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურში გადაზრდის მთელი პერიოდისათვის. ცხოვრების სინამდვილთი ნაკარნახევი ეს მოთხოვნები საეხებით ემთხვეოდნენ ბოლშევიკების პარტიის პროგრამულ დებულებებს აგრარულ საკითხში, შეესაბამებოდნენ მის სტრატეგიულ-ტაქტიკურ ღონისძიებებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ამათ განსაზღვრა გლეხთა მოძრაობისადმი ბოლშევიკების ხელმძღვანელობა, ხოლო ამ უკანასკნელმა რევოლუციური მოძრაობის წარმატება.

მაგრამ მშრომელ გლეხთა რევოლუციური მოძრაობა არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ამ მოთხოვნების წამოყენებით. ცხადია, გლეხთა მოძრაობის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში

საერთო წარმომშობ მიზნებთან ერთად კონკრეტული თავისებური პირობები და მიზნებიც ახასიათებდა ხოლმე, რასაც არ შეიძლებოდა ასახვა არ ეპოვა. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ეროვნული საკითხი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ.

იმისთვის, რომ კლასობრივი ბრძოლის საკითხები უკანა პლანზე გადაწიოთ, მენშევიკები მიმართავდნენ ეროვნული შუღლის გამწვავების ცნობილ ხერხს. მაშინ როცა ოსი ღარიბი გლეხობა ქართველ გლეხებთან ერთად იარაღით ხელში იბრძოდა მიწის საკითხის რევოლუციური გზით გადაჭრისათვის, მენშევიკები ქართველ გლეხობას ჩაავრუნებდნენ, თითქოს ოსები მიზნად ისახავდნენ ქართველი გლეხებისათვის მიწის წართმევას. მაგრამ მენშევიკებმა ვერ შესძლეს ქართველი და ოსი ღარიბი გლეხების ურთიერთ დაპირისპირება. ქართველი და ოსი ღარიბი გლეხობა მენშევიკების ბატონობის მთელ მანძილზე მტკიცე რევოლუციური კავშირითა და სოლიდარობის დიდი გრძნობით გამოდიოდნენ საერთო კლასობრივი მტრის — ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობის წინააღმდეგ.

ხალხებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გამწვავება და ძარცვა-გლეჯვა ხელს უშლიდა ავიტყავასიის ეკონომიკურად მძლიანი რაიონის ცალკეულ მხარეებს შორის სასაქონლო გაცვლის ურთიერთობას, შლიდა სამეურნეო ცხოვრებას ქვეყანაში, აძლიერებდა სასურსათო კრიზისსა და ანარქიას. ეს კი ნიადაგს აღვივებდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი გამწვავებისათვის.

გლეხთა რევოლუციური ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ გამოხატულებას პოულობდა გლეხთა მასობრივ „ყაჩაღობაში“. „ყაჩაღობა“ მენშევიკების ბატონობის დროს სერიოზულ ყურადღებას იქცევს. ეს იყო სოციალური მოვლენა. „ყაჩაღი“ უწინარეს ყოვლისა მუშაობდა გლეხი იყო და არა ძარცვა-გლეჯით დაინტერესებული დეკლასირებული ელემენტი.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა მეფის ხელისუფლება დაეხო, „ყაჩაღობა-ავაჩაოება“ თითქმის შეწყდა, მაგრამ მის შემდეგ, რაც გლეხობამ დაინახა, რომ სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებითი ცვლილება არ მოხდა, რომ კვლავ პაჭირო იყო ბრძოლა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ — ტყეში გასვლის შემთხვევებში არაჩვეულებრივად ამატა, მენშევიკები პრესაში თუ სიტყვიერ გამოცხადებაში მუშაობდა გლეხებს ყაჩაღებად ნათლავდნენ, მათ კანონგარეშე აცხადებდნენ და გლეხთა მდგომარეობის გაუარესებას, სოფლად დამსჯელი რაზმების თარეშს „ყაჩაღობას“ უკა-

ვშირებდნენ. ამით მუშაობდა გლეხთა წინააღმდეგ შრომელ გლეხთა მასის ამხედრებას ცდილობდნენ. მაგრამ პირიქით ხდებოდა. გლეხობა „ყაჩაღობაში“ თავიანთი ინტერესების დამცველებს ხელაღდა და მათ ეხმარებოდა. ისინი ყარგალ ხელადნენ, რომ მენშევიკების მთავრობა ყაჩაღებად ნათლავდა „პოლიტიკურად არასამართლო“ ხალხს, რომლებიც იძულებულნი იყვნენ ტყისათვის შეფარებინათ თავი და იქიდან ებრძოლათ მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს ყაჩაღთა თარეში და ავაჩაოება კი არა, სამოქალაქო ომის გამოვლინების თავისებური ფორმა იყო.

საქართველოს შრომელი გლეხობა მენშევიკების ბატონობის სამი წლის მანძილზე საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ისინი მიწისა, თავისუფლებისა და ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვებას მხოლოდ მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიიღწევდნენ. ქართველი გლეხობის ბრძოლა სულ უფრო ორგანიზებულ ხასიათს ღებულობდა და 1920 წლის დამლევსა და 1921 წლის დასაწყისში იგი სავსებით მზად იყო მუშათა კლასთან ერთად წარმატებით გამოსულიყო გადამწყვეტ ბრძოლაში პარტიის მიერ დასახული საბრძოლო ამოცანების განხორციელებისათვის.

ითვალისწინებდა რა ხელსაყრელ საშინაო და საგარეო ვითარებას, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ 1921 წლის დასაწყისში მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების გატარების შესახებ და დანიშნა აჯანყების ვადა. შეიარაღებული აჯანყება, რომელიც თანმიმდევრულად იყო მომზადებული, დაიწყო 11 თებერვალს დამით ლორის რაიონში და სწრაფად მოედო გორის, დუშეთის, რაჭის, ლეჩხუმის და სხვა მხარეებს. აჯანყებულებს უთანასწორო ბრძოლა უხდებოდა მენშევიკურ ჯარებთან და მათ მოკავშირე ინტერვენტებთან. საქართველოს რევკომმა, რომელიც აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა შექმნეს იმ დღეებში, დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთის მთავრობას. საბჭოთა მთავრობა დაუყოვნებლივ გამოცხადებდა რევკომის მიმართვის და წითელი არმიის ნაწილები გამოგზავნა აჯანყებული მუშებისა და გლეხების დასახმარებლად.

1921 წლის 25 თებერვალს აჯანყებულმა ქართველმა მუშებმა და გლეხებმა, წითელი არმიის დახმარებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს მენშევიკების ბატონობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა.

ნიკა აპიაშვილი

პაპუკები ღარჩნენ მარად!

როგორც პაპური მრავალშანიძე...

ახალგაზრდები ვიქნებით მუდამ,
ჩვენ არასოდეს არ მოგხუცდებით...
ა. ლ. ს. ა. ი. ა.

I

— რომელი პოეტის ლექსიც არ უნდა აიღო, ყველა ერთნაირი როდია. მაგრამ ის, რაც ბევრს დაუწერია, შეუთხზავს და მას ახალი სიტყვა ჰგონია, მანამდე ვინმეს უკვე უთქვამს ასეთი თუ არა, ამის მსგავსი და მინაგვარი მაინც. ამ შემთხვევაში დიდი და პატარა ნიჭი სულ ერთია, როცა ჩემთვის უცნობ და უცხო პოეტის წიგნს გადავშლი, ვეძებ რაიმე ახალს, ჯერ ართქმულს, მაგრამ აქამდის ვერ ვიპოვე ისეთი რამ, რაც სხვათაზე ასე თუ ისე არ წამყვითხა. აი ეს კი აუცილებლად მინდა იყოს ქართულად. არც ერთ ჩემგან წაკითხულ ლექსს არა ჰგავს...

ასე ელაპარაკებოდა ლადო ასათიანი ალიოშა საჯაიას „ჩვენი თაობის“ რედაქციაში და გადაეშალა ქურნალ „ინტერნაციონალნაია ლიტერატურის“ ნომერი, სადაც დაბეჭდილი იყო ბაირონის თანამედროვე პოეტის რობერტ სოუთის (1774 — 1843) ლექსი „ლოდორის ჩანჩქერი“.

— ასეთი რამ რატომ არ უნდა გვექონდეს ქართულად? შენ ხომ კარგად იცი ინგლისური ენა? გადმოთარგმნე. რა იქნება! ჩემთვის სთარგმნე, — თითქმის ხეყწით ეუბნებოდა ლადო.

ალიოშამ წაკითხა ლექსი და უთხრა:

— მართლაც კარგია და ორიგინალურადაა დაწერილი. რადგან ასე მოგწონს, თვითონვე სთარგმნე, აი ამ რუსული ტექსტიდან. მართო ინგლისურის ცოდნაზე ხომ არაა აქ საქმე, — მერე ქურნალიდან ის ფურცელი ამოხია, მოჰკეცა და დაწკარავდა წააწერა:

მოდო, აბა, სთარგმნე, ლადო,
ვით ერთვიან წყლები ლადორს,
თუ გინდა, რომ სახინკლში
პას-ქაბაბი გიწილადონ!

II

იმ ლექსს ლადო დიღხანს აწვალებდა და თვითონაც წუხდა: — ევრაფერი მოგუხერხე. შესატყვისების ძებნაში გამიჭირვა საქმე, ამდენი „მჭუხარე“ და „ჩხრაილი“ როგორ გამოვნახო.

დიდი ჯახირის შემდეგ სოუთის ლექსმა ქართულად ასეთი სახე მიიღო:

ლოდორის ჩანჩქერი

ვით ერთვიან წყლები ლადორს?
ჩხრაილით,
გრაილით,
მჩქეფარედ,
მღელკარედ,

* გაგრძელება. „ცისკარი“, № 5, 6, 7, 8, 9, 10.

გუგუნით,
ლულუნით,
ქუხილით,
ლუღილით,
თქრიალით,
ტრიალით,
ჩქაფანით,
დგაფანით,
ფიცხად, რიალით,
ცქვითად, ღრიალით,
რიხით და მქუხარედ,
ხმაურით, მქეპარედ
ღმუილით, ქაფქაფით, რუხრუხით,
ხტუნვით და კუნტრუხით, ბუხბუხით,
ბრღღუნვით და ქოთქოთით, ქაჭანით,
ალერსით, რიხით და გრგვინით,
ღრტვინით და კისკისით, ღუღუნით,
ბუტბუტით, კამკამით, ბუზღუნით,
მკვირცხლად და ცქრიალით, ხტომა და ჩქერებით,
ფერთაცვლით, ქროლვით, შმაგად და ბგერებით,
ტორტმანით, გრუხუნით, ზათქით და დგანდგარით,
ჩუხჩუხით, თამაშით, მსხერევეთ და თქართქართ,
ფოფინით, ხუილით, კაშკაშით, ქლარუნით,
ქშენით და შრიალით, ლაწანით, წკარუნით,
ქრიალით, წრიალით, ლივლივით, ზრიალით,
შებტომით, შეფრენით, ურჩად და ხრიალით,
შფოთით და გნისით, კლაცხით და გორებით,
ქრქოლით და კანკალით, რუქრუქით, ქროლვით,
სულ წინსვლით და სწრაფმდინარეობით
მოჭრის გიჟმაჟი, ლაღად მოგორავს, —
ასე ერთგვან მქეფარე წყლები
პირმოკამამე, ფეხმარდ ლოდორას!

— რუსულ თარგმანში ოცდაშვიდი სტრიქონია, შენ ოცდაჩვიდმეტი გამოგვსვლია. ათი ზედმეტი სტრიქონი სად გამოჩნდა, — ზემოთხსენებულ ეთხრა ალიოშამ, როცა ეს თარგმანი წაიკითხა. — რატომ ხარ გაუგებარი და ხარბი ყველაფერში?

— ღრთზე შევიკავე თავი, თორემ ბარე ორმოცამეტი ავიყვანდიო, — სიცილით ეუბნებოდა ლადო. — განა რა შეიცვლებოდა! უფრო ადიდდებოდა ის შენი ლოდორია თუ ლადო, — სადაა არც კი ვიცი. მგონი, ისეთი პატარა მდინარე იყოს, ამდენი ვაი-უშველვებელი და გრიალ-გრიალი არც კი ჩაეტოვოს შიგ. მაგრამ ლექსი ძალიან კარგია. ისე, ჩემთვის ეთარგმნე. ნამდვილი სიმფონიაა. ასეთი ლექსის ავტორს ჩვენი პოეტიკით შეუძლია თქვას: „ისე ემაღლები ყოველ სტრიქონში, როგორც კახური მრავალემაფიერა“.

ალიოშამ ხელახლა გადაიკითხა ლექსი. ხელნაწერი მოეკცა და ზედ წააწერა: „თარგმანი ესე, ასათიანური, შესანახად ჩაბარდეს ჩვენს მდივან-ნიკას. წამკითხველო, ერთსა გთხოვ მხოლოდ: ვინაიდან არ სიამოვნებს ყურსა ჩვენსა, ნურც შენ ითნიებ რითმებს: „მქუხარედ — მქეპარედ“ და ასე შემდეგ“

III

ამ თარგმანის კითხვის დროს შემოვიდა მირზა გელოვანი და თქვა:

— ეტყობა, ლექსი ძალზე თავისებურადაა დაწერილი. თარგმანზე თავს ვიკავებ, რადგან ინგლისური არ ვიცი და დედანს არ ვიცნობ. ახლა მოითხოვენი იდეალურ თარგმანს. არც ერთი თარგმანი იდეალური არ იქნება, თუ წინათ არ იყოს ის დედნიდან თარგმნილი რამდენიმეჯერ. ყველა კარგ მთარგმნელს წინაპრები ყავდა. ახლა ყველა თარგმანის, ვინც რუსეთში რამდენიმე წელი დაჰყო და საუველმურო რუსული იცის, ან უცხო ენათა ინსტიტუტი დაამთავრა, მთარგმნელობს. ამან ფული იცის და შემწახველი სალაროს წინაყის გასქელება. მაჩაბელი, ავალიშვილი, ყიფშიძე, მაჭავარიანები და სხვა ჩვენი სახელოვანი მთარგმნელები ფულისთვის კი არ

თარგმნიდნენ, არამედ ქართული ენის გამდიდრებისათვის. წინათ ამბობდნენ: პროზის მთარგმნელი ავტორის მონაა, ხოლო ლექსისა — ტყუეაო. ახლანდელი მთარგმნელები ყაჩაღები არიან. ავტორს კეტს დასცხებენ თავპირში და კბილებს ჩაამტრევენ.

— ალბათ, მეც კეტი დავცხე თავში იმ სუთნის, არა? — გაეცინა ლადოს. — მისეული კონსტრუქცია ხომ დავიცავი და თუ კარგი არ გამოვიდა, დასაბუთებლად ხომ არ მინდა?

— არ ვიცი, მაგრამ თარგმანებზე აი რა წარმოდგენისა ვარ, — ღიმილით წარმოთქვა მირზამ და გვიჩვენა ქალალზე დაწერილი:

თარგმანის გამართლება

პერვეოდჩიკის მიერ

ჩემთვის ლექსის თარგმანები

ისე არის მკრთალი,

როგორც ორჯერ ნაქმარები

ქალი.

მე ქალწულის შერთვის ფიჭრი

არ მაქვს — ახალს არ ვქმნი..

მე ქერივს ვძებნე, — ესე იგი

ვთარგმნი!

— ეს რას ნიშნავს? როგორ უნდა გაეგოთ? — ჩაეკითხა ალიოშა საჯაიო.

— როგორც გინდოდეს, — მიუგო მირზამ. — მთავარია, იცოდეს ავტორის ენა, კარგად წაითხო დედანი. ამ თარგმანში ზოგიერთი სიტყვა ყურს ეჩოთიერება და მოინახება ტლანქი რთმებიც.

— მაგას ჯერჯერობით დიდ ყურადღებას ვერ ვაქცევ, — ჩაილაპარაკა ლადოს. — მე მინდა აზრი გამოვთქვა. ფორმა მიძნელებდა. „კოლხიდაში“ მაქვს „საწერ-კალამი — წარფელი სალამი“, ყველაზე გაცეცილი რითმები, რაც კი ოდესმე დაწერილა, მაგრამ მაინც თავის ადგილას ზის და არც ისე საჩივროა. ხელს არაფერს უშლის. ეს ლექსი თავის გასართობად ვთარგმნე. თუმცა წერა თავის გასართობად როდი მინდა. შემღერება და ვიმღერებო, რომ ამბობს ზოგიერთი, მარტო ამღერებს სურვილი არ კმარა. მწერლობა და პოეტობა ადვილი მეგონა. 16-17 წლის ბავშვს. ვატყობ, რთული საქმეა. მარტო კარგი ხმა, შემოძახილი და კრიმინალური არ მეყოფა. „კოლხიდაში“ ვივარჯიშე მხოლოდ. პოემა არ გამოვიდა. აქა-იქ ლექსს არა უშავდა რა. იმ ეტაპზე, რაც შემეძლო, არაფერი დამიკლია. მაგრამდე გამაყრტიტეს, თუმცა ის კრიტიკა ჩასაფრებელი კაცის ქირქილი და გამოხედობა იყო. იმ კაცის ქებაც არ მიამეზობა. ვინც გიყვარს, იმისგან ლანძღვაც კარგია. თუ მეღირსა და თავს მოვესწარი, იქნებ მოვახერხო დაოსტატება...

ლადო ასათიანის „კრწანისის ყაჯაჩოები“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „სარწყული“, ლეჩხუმური ციკლი, „სასაფლაო“, „ნადირობის შემდეგ“ უკვე ნამდვილი ოსტატის დაწერილი ლექსებია. „გულბათი ჭაჭაქაძეში“ ყოველ სტრიქონში გამოცდილი მხატვრის ფუნჯით დახატული სურათია.

IV

რომ არ გამომჩნეს, აქვე დაუძენ: ამ მშვენიერ ლექსში არის ასეთი სტრიქონები:

„მაშინ გულბათი ჭაჭაქაძე გაღიროა,

გაღიროა როგორც ერთხელ შედან ჭილაძე,

და იერიში მიიტანა წვრილ კინჭილაზე...“

ბევრისთვის გაუგებარია, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები და ან ვინ იყო შედან ჭილაძე. არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერაში“ მოხსენებულია „ერთი დიდებული, რომელიც ისე გამოჩენილი იყო სმაში, რომ მისი სახელი მთელს ირანშიც გავრცელდა. მისი ქება თვით ირანის ხელმწიფის შაჰ-სუფის ყურამდის მივიდა. ამ ხელმწიფემ კაცი გამოუგზავნა და. დიანს და შემოუთვალა, რომ გაცივებ შენს“ სამთავროში ასეთი გამოჩენილი მსმელი გუოლია და ვთხოვ გამოგიზავნოო. დადიანმა დაუყოვნებლივ გაატანა იგი სპარსეთში შაჰის ახალგაზრდა საცოლეს, რომელიც იყო ათაბაგის სახლის შვილი და ის იყო მიემგზავრებოდა ირანში... შაჰი ერთობად მოხარული იყო, რადგან მოუვიდა ახალგაზრდა ცოლი და შესანიშნავი მსმელიც. ქორწილის გამო მრავალი წვეულება იყო, სადაც მუდამ პატივობდნენ შედან ჭილაძეს, ეს იყო მსმელის სახელი და გვარი. ამან იქაც ისახელა თავი და ყველას სჯობნიდა სმაში... ამის

გამოჯილდოს იღებდა: ხან ნაჭედი ოქროთი მოწყობილ უნავი, ხან მდიდრულ კაბას სისამურის ტყავის სარჩულით, ხან ოქროთი და ძვირფასი ქვებით შემკულ თოფს და ხან მრავალ საჩუქარს, რომელსაც უხვი შაპი აძლევდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით შაპმა მოინდომა მასთან სმაში შებმა და იქამდე სვა, ვიდრე არ დასსეულდა და სული არ განუტევა. ჰილდე კი საჩუქრებით გამდიდრებული სამშობლოში დაბრუნდა.

ლადომ გამოიყენა წიგნიდან ამოკითხული ამბავი და გულბათი ქავევადე შეადარა ძველ სამეგრელოს განთქმულ მძელს — შედას ჰილდე.

საერთოდ, როგორც ყველა ახალგაზრდა მწერალს ჩვევია, და ეს აუცილებელიცაა პირველ ხანებში, ლადომც ძლიერ გავლენას ახდენდა წიგნების (უმთავრესად ისტორიულის) კითხვისას მიღებული შთაბეჭდილებები და ხანდახან პირდაპირ შეჰქონდა ნაწარმოებში უშუალოდ მწიგნობრული ხასიათის ესა თუ ის ნაცნობი ეპიზოდი, გამოთქმა ან მთელი სახე. მაგალითად, როცა, 1939 წელს, ჯარში გაიწვიეს, გზაზე საკითხავად, სხვა წიგნებს შორის, წაიღო ვასილ ბარნოვის „ხაზართა სარძლოც“. ამ რომანის გავლენითაა ნათქვამი სტრიქონები ოსტროვოვსკიდან ანიკო ვანაძისამდე გამოგზავნილ „ანდერჰში“:

იყავი მუდამ შეუშინარი,
აწყვოსთან ერთად გწამდეს წარსული,
და მოკვდი ისე, როგორც შეშანი,
მოწამე არჩილ მეფის ასული.

მამულები და ჰორაციო სანაპიროზე

I

მარჯანიშვილის თეატრში ვნახეთ ვიქტორ გაბესკირიას „მათი ამბავი“. მართლაც რომ დიდი ამბავი შეიქნა: მაყურებელს ძლიერ მოეწონა პიესა და მსახიობთა თამაში, იყო გაუთავებელი ტაში, აღტაცების ყოინა, სიხარული და შეძახილები. ავტორი დიდხანს არ გაუშვიათ.

მერე, როცა ხალხი დაიშალა, სექტაკლზე დამსწრე ამხანაგები ტროლეიბუსს გაყვნენ. ლადო ასათიანა ფეხით წასვლა ამჯობინა. ხილამდე მივაცილე და გამობრუნებას ვპირბედი. ამ დროს სანაპიროს ბნელი ქუჩიდან (ის ქუჩა უშანგი ჩხეიძის სახელობისაა) ორი შავოსანი ლანდი გამოვიდა და ნელნელა დაადგა მთვარიტ განათებულ ვერის ხილს. ხიდი მაშინ ძალიან ვიწრო იყო და არც ეს ახლანდელი ელექტროლამპიონები იდგა ზედ.

როგორც კი მათ სახეებს სინათლე დაეცა, მაშინვე ვიცანით: ერთი უშანგი იყო და მეორე — მისი განუყრელი მეგობარი დღეით ჩხეიძე.

ისეთი მთვარიანი ღამე იყო, პოეტები ხობდას რომ ასხამენ, როგორც იცის თბილისის ზამთარხმელმა: ქვეყანას რომ შეაყვარებს აღამიანს და სიციოცხლის გახანგრძლივებას და უკვდავებას მოანატრებს დიდსა და მცირეს. მართლაც ვერცხლის უხილავი ძაფებით ედებოდა მთვარის შუქი ელექტრომავთლებსა და ნორჩი ჰადრების ტოტებს.

ხიდი ვადაიარეს და მარჯვნივ ნაბორნალისკენ ჩაუხვიეს. შეუმჩნევლად, ფეხაკრფით აივლენით შორიახლოს.

II

ლადოს სულ ენატრებოდა, ერთხელ მაინც მოეკრა თვალი ან სცენაზე გამოსული ენახა უშანგი ჩხეიძე.

ზხოლოდ 1937 წლის შემოდგომაზე ვნახეთ იგი ქუთაისში. ერთ დღეს სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ სადღაპარში იჯდა სარკის წინ და გრძელ-გრძელ თითებში ანთებული პაპიროსი ეკირა. როცა კარებში ბონდო კეშელავი გამოჩნდა, უშანგიმ სარკიდან თვლი ჩაუკრა მას, გაუღიმა და, ვალიკო-დალაქვა გაპარსვა რომ მოათავა და თეთრი ზეწარი მოაძრო, მთელი ტანით წამოიმართა, ბონდოს მიეხალისა, მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— წუხელ რადიოთი მოვიმინე შენი ლექსები. მიაშა. გახსოვს ქუთაისი კოტეს დროს? ზომ არ დაეხერხილთ ჯერ? ამაღამ თეატრში მოდი. ერთ მოთხრობას ვკითხულობ.

იმ საღამოს, სხვა მსახიობებთან ერთად, მართლაც გამოვიდა სცენაზე და მის ნახვას მოწყურებულ ქუთათურ საზოგადოებას წაუკითხა უიარაღოს „მამელუკის“ რამდენიმე ნაწყვეტი: პარტეზში ვისხედით და ვუცქეროდით მისი ღამაზე თვლების ციმბისა და ფოფინს, მათ არ მოკლებოდით წინანდებური ელვარება. საყვლოგახსნილი თეთრი პერანგი ნაცრისფერ შარვალში ჰქონდა ჩატანებული, ცალ ხელში წიგნი ეკირა და ხანდახან მეორე ხელს გადაისვამდა

წააბიწებულ მკლავზე. გვესმოდა მჭეპარე და ტბილი ხმა — კვლავინდებურად რომ რეკა ზარივით:

„სხვა რაღა უნდა მიქოს ნილოსმა? პაპას ვერ მიქებს დიდებულს და პაპის პაპას ჩინებულს! მე არც კი ვიცი, ვინა ვარ, სადაურც ვარ, მხოლოდ ვიცი, რომ მამელტეი ვარ! ხმალი ჩემი — დედამამა ჩემი, მკლავი ჩემი — სიმტკიცეა ჩემი! თქვენთან, ძმებო, შეურყევლად კავშირი, გამარჯვება ჩემი!“ — კითხულობდა ის მგზნებარედ და ომახიანად.

— პამლეტისა და ურიელის როლებში კი მინდოდა მენახა, — ჩაგვჩურჩულა ლადომ. — ნეტავი თქვენ, ყველაფერი ვინახავთ, რაც მას უთამაშნია. პირადად იცნობთ და გისაუბრნიათ კიდევ მასთან...

III

და ახლა, ამ მთვარიანში, მოულოდნელი იყო უშანგის გამოჩენა. სეირნობდა ის — ნორჩი ქაღრების ძირას და მხარდამხარ მოყვებოდა გრძელხალტრომხურული დავით ჩხეიძე. ჩვენ ყურს შორიდან წვდებოდა მათი ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი, ყრუ ბუტბუტი და სიცილი. თვითონვე აჩრდილებივით ხის ჩრდილებში მიმომაჯვალნი, როგორ ჰგავდნენ იმ დამეს ორივენი აჩრდილის კვალის მძებნელ პამლეტსა და პორაციოს! რამდენჯერ ყოფილან ასე, მუდამ განუყრელნი — სცენაზე — ელსინორის ციხე-დარბაზის ახლო-მახლო. ასე გვეგონა, საცა გაისმებოდა პამლეტის შეტახილი: „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“.

ერთხანს ისეირნეს და, როცა დაბრუნდნენ, კვლავ უკან გავეყვიით. გააშვამებული ზილიდან სანაპირო ქუჩაზე მოუხვეეს და სიბნელეში ლანდებივითვე გაუჩინარდნენ...

— ახლა შინ დაბრუნდი, — მითხრა ლადომ, — მარტო მინდა ვიარო და ვეფიქრო ამ შეხვედრაზე, ფეხით წავალო. — მეტი აღარაფერი უთქვამს, შებრუნდა და წავიდა. კარგა ხანს ჩანდა მისი გრძელი ლანდი, იგი ხან გაივლებოდა გაჩათებულ ტროტუარზე, ხან მიიმალებოდა ბნელში და შემდეგ სულ გაქრა ელბაქიძის დაღმართის ასახვევში.

IV

ოცდაათიან წლებში წამოზრდილ ახალგაზრდობას აღარ უნახავს უშანგი ჩხეიძე არც სცენაზე, არც ცხოვრებაში. ხანდაშეულობის დაღმართთან მდგარი მისი თაობის აღამიანებიც კი იშვიათად ხედავდნენ და ხედებოდნენ მას. იცოდნენ მხოლოდ, რომ ის ცხოვრობდა აქვე, მათ გვირდო, — თბილისში, ტრიალბადა მეგობარ-ნაცნობთა ძლიერ ვიწრო წრეში, წერდა ის ტორიულ დრამას, მოგონებებს, წერილებსა და ლექსებს, და ხანდახან სევდანარევი სიამოვნებით უსმენდნენ რადიოთი მის ვაკეკატერ ტბილქართულს...

— რა იქნება, ერთ ღღეს გაგებდით, ავდგეთ და მივიღეთ მასთან, — იტყოდნენ ხანდახან ლადო და ალიოზა, — გავიცნოთ, ვესაუბროთ, ეთხოვით, ერთხელ მაინც გვანახოს თავი სცენაზე — სულ ერთია: პამლეტი, ურიელი, იაგო, ყვარყვარე თუ რაც იქნება, — ოღონდ კი ვნახოთ და გაიხიაროთ. ნუთუ ეწყინება და არ გაუხარდება ახალგაზრდობის ნახვა?

მაგრამ თქმა ერთი იყო და ამის გამბედაობა არც ერთს არ გააჩნდა. ერიდებოდნენ, თანაც მეტიხრობადაც კი თვლიდნენ ასეთ სურვილს.

ჩვენთაობელთა წრიდან მხოლოდ ანდრო თევზაძე და ლადო ავალნიან დაუახლოვდნენ მას. უკანასკნელ წლებში ლადო ავალნიან ხშირად ესტუმრებოდა უშანგის ბინაზე, და ბევრი კარგი ამბავი დარჩა მას მოსაგონარად. ხოლო ანდრო თევზაძემ უდიდესი სიყვარულით იმუშავა ამ დიდი ქართული მსახიობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღსაწერად და კარგი ბიოგრაფიცი შეადგინა. მანერა შეკრბა და ცალკე წიგნად გამოსცა უშანგის გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი მოგონებები და წერილები. მრავალი მოსიყვარულე მკითხველი ჰყავს ამ წიგნებს და დაწვრილებით ეცნობა ჩვენი თეატრის გამოჩენილი მოღვაწის ცხოვრებასა და თვალსაჩინო შემკვიდრებას.

V

ღიკემბრის ერთ შზიან და მეტად თბილ ღღეს კი, რუსთაიელის პაროსპექტის გაგლით, დიდუბისაკენ დიმიტრი უზარმაზარი პროცესია. მთელი ქუჩის სიგრძე-სიგანზე გაზაფხულის ნიაღვარი. ერთ მოდებული ახალგაზრდობა აზიერთებოდა მიიგრანებოდა სულ წინ და წინ, და მიაქილებოდა უშანგის ცხედარს. ახლა ყველამ დაინახა იგი: იწვა პირახდილ გრძელ კუბოში ახოვანი, შავილ მოსილი და... მიტყეული სხიით. ძირდაცვენილ უამრავ შემოდგომურ ფოთლებს შრიალშრიალით ზემოდან ეცემოდა სიტყვები:

„რად არ მემულება ეგ სხეული ესრეთ მაგარი,
რად არ გადნება და ცის ნამად რად არ იქცევა!..
ესეცა ენახეთ... ის მკვდარია...“

კუბოში მდებარე უშანგის გულიდან ეღერდნენ, რეკდნენ და მოჩურჩულებდნენ ეს სიტყვები ყველას გასაგონად და შეძღვე მათ იმეორებდნენ, ერთმანეთს გადასცემდნენ და ავლავ აგრძელებდნენ ხელოვნათა სახლიდან უკანასკნელ საგანმდის სახლის თავებიდან და ჰადრებიდან გადმომდგარი და თავგადმოყოფილი რადიორეპროდუქტორები.

ბევრი პირველად ზედვდა იმ დღეს უშანგის, თურმე, იქვე, მის გვერდში მცხოვრებმა და მოქმედს... ზოგიერთს, ალბათ, მაშინ გაახსენდა, რომ მართლაც ცხოვრობდა ასეთი კაცი...

ახლაგარდა მსახიობთა საიმედო მხარესა და მკლავებზე დასვენებულ-დაყრდნობილი უშანგი კი, საყვარელ თეატრთა კარიბჭეებთან გამოსათხოვრად სვენებ-სვენებით, მიუყვებოდა უკანასკნელ გზას.

...იმ ძნელსა და უცნობ მხარეს,

სადით არც ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება“.

და უმარავი ხალხის ნაბიჯით აშრიალებულ ფოთოლთა ჩურჩულში კვლავ გაისმოდა, თუ როგორ მორიდებით ეკამათებოდა ურიელი თავის მოძღვარს დე სილვა — შალვა ლამბაშიძის და უნახესი გრძნობებით აღძრული მიმართავდა სულზე უტბებს იედითს—გერციოს. ანდა როგორი შიშით, ჯაფით, კენესით და ეჭვით შლიდა და აფენდა ჰამლეტი თბილისის ქუჩებში ყოფნა-არ-ყოფნის საკითხავ და ამომხსნელ ჯადოსნურ სიტყვებს, რომ

„...მიძინებით გათავდება ის გულის ქენჯნა

და ათასი სხვა ბუნებრივი უკუღმართობა,

რაიც ზორცმესხმულ ადამიანს წილად ზედმოაქ“

თითქმის ეს იყო უკანასკნელი სინახავი ელსინორის დიდ დარბაზში, როცა, ფორტინბრასის ბრძანებით, იქიდან გაჰქონდათ ელვარე უბებებით ზეწავილი ლევეარდოვან ფარზე მდებარე ჰამლეტის უსულო გეამი, — როგორც გვინახავს მარჯანიშვილის დადგმით რუსთაველის თეატრში. და როგორც მაშინ — ყოველთვის, ახლაც ძვირფასი მეგობრის კუბოს თავჩაქისდრული მიყვებოდა მისი განუყრელი ჰორაციო — დავით ჩხეიძე. ალბათ, ახლაც ისე იმეორებდა გულდათუთქული:

ჩაქრა ლამპარი დიდებულ!

მშვიდობით, პრინცო!

ივ თეთრ საუდართან...

I

წინათ, ზამთრის პირას ან ბოლოს, თბილისში განუწყვეტლად ჰქროდა ცივი ქარი. გამგელებული დათარეშობდა იგი — განსაკუთრებით — განაიბრა უბნებსა და ქუჩებში, და გამვლელებს, მეტადრე ხიდებზე, უძნელდებოდათ გაელა ქარიანობის გამო.

მაშინ არ იყო ასფალტიანი ქუჩები და არც ახლა მოდამი ასე შემოსული დახურული ფერად-ფერადი სათვალევები. ოღრო-ჩოდრო ქუჩათა უბნში დაგროვილ მტვერსა და ზვინჯს ხვეტავდა გაკაპსებული ქარი, დააყენებდა საშინელ ბუღსა და კორიანტელს, ჯიქურ დაეტაკებოდა ზურგში იმ მტერისაგან დაბრმავებულ ადამიანებს და ისინიც, კარგი ცერულის მოკეცვებით, თითის წვერებზე შემდგარნი, მიფირფილებდნენ ხიდის ერთი თავიდან ბოლოში. ახლა ქარს ძალა დაეკარგა თბილისში. უხვმა გამწვანებამ და უამრავმა ნარგავმა უშველა ქალქს...

11

ყოველთვის, როცა მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე თეთრ საუდართან გაივლი, მომაგონდება გვიანი შემოდგომის, თითქმის ზამთრის პირის ერთი საღამო:

ცივა, ქარი ქრის.

იმ საყდრის უკან, პატარა საყამნესთან, ქარყინვაში ზის ძირას მხარეთმცოდნე არხენად წამოწოლილა პოეტი ტერენტი გრანელი. თავშიშველია. უკან გადაჯარცნილი თმა ქალოით გაუშლია. აცეცია წელშეშობილი გრძელი ნაცრისფერი ხალათი, კოჭებს ზემოთ დამოკლებული ვიწრო ტოტებიანი შარვალი, შავადშეღებილი ტილოს ფეხსაცმელები... საერთოდ რაღაც ჩინური ფორმის მსგავსი სამოსი. პაპიროსს აბოლებს. ცალი ხელი თავქვეშ ამოუღვია.

დამინახა, წამოიწია და ხელი დამიქნია:

— ეჰეი, ლორთქიფანიძე, ჩამოდი აქ, თუ კაცი ხარ!

არ ვიცი, რატომ მომმართა ამ გვარით. კარგად არ მიცნობდა, მაგრამ ისე კი იცოდა, სად ვმუშაობდი. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში დაჰყვებოდა ხანდახან პოეტ ფრიდონ ნაროუშვილს. რამდენიმეჯერ მოვიდა გენო ქელბაქიანთან, რომელიც მაშინ იმ რედაქციის მუშაკი იყო და დიდ დახმარებას უწყევდა ტერენტის.

— ჩამოდი აქ, — მეძახოდა ის, — ჩემთან, ამ მწვანეზე წამოწექ და ვისაუბროთ. ჩემსაგვით იქნები და იოცნებებ მუდამ. ოცნებას რა სჯობია. ვუყუროთ ამ ცას, პირაღმა წამოწოლილი, რაღაც მოვიმინებზე და წასვლა დავაპირე. წამოდგა, კვლავ ხელი დამიქნია და გადმოძახა:

— მოიცადე, სად მიდიხარ?

საყდრის ლაფაროში ჩაყრილი ხმელ-ხმელი ფოთლები ამოკრიფა, პეშვი აივსო, რკინის მესერს მოადგა და გამოიწოდა. თან სადღაც, ჩემს იქით, იყურებოდა ანთებული თვალებით და ნალვლიანად ლაპარაკობდა:

— აი, ეს ყუთიფულ-ყუთიფული ფოთლები ვიყავი მე. ტიფით ავად გავხდი და ამ ბეოლის ფოთლებს დავემსგავსე. ასე გაეყუთილდი, და ძირს დამყარა ქარიშხალმა. ახლა აქა ვარ. მოდი, მწვანეზე წამოწექ.

„მწვანე“ კი არსად ჩანდა. მარტოდენ ქვეები იყო ამოჩრილი და მათ გარშემო შრიალ-შრიალით ატრიალებდა ქარი ხმელ-ხმელ და ჩაყვითლებულ ფოთლებს.

— არ გცივა-მეთქი, — შევეკითხე და მისი თხელი ხალათი შევათვალე. ცხვირი და ტუჩები სიცოცხისაგან გალიგვებოდა.

— შევეჩვიეო, — მითხრა და კვლავ მომმართა: — წამოწექ ამ მწვანე მდელივზე, ჩემსავით იქნები, მეოცნებე ყუთიფული ფოთლო.

შემდეგ ჩაიკინა, ფოთლები მიმოაბნია და ქარს გაატანა. ხის ტოტიდან საღვარეში რომელიღაც ჩიტი ჩახტა და გავოგმანდა. ჩიტს ხელი აუქნია და „აქშაო“ შეუძახა. ფართოდ ჩამოხეული ცალი სახელო იდაყვამდე ჩამოეშვა, ქარმა ყურთმაჯივით აუფრიალა იგი და ლურჯი ნარმის პერანგი გამოუჩინა.

ხელი ჩამოვართვი. არ გამოიშვა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა:

— რა მიგჩქარება! მე აქ უნდა დავესახლო. კარგი ადგილია, მარტო ვიქნები და ხელს არავინ შემიშლის ოცნებაშიო. მალე თოვლი მოვა, მშრალი თოვლი. თოვლის ფანტელებს უნდა გავყვე. როგორ მიყვარს თოვლის ფართო-ფართო ფანტელები. — უცბად გაახსენდა: — გინდა, ლექსს გაჩქებ. ბევრი ლექსი მაქვს.

საყდრის კართან აიტუზა, ჯვარზე გაკრულ ქრისტესავით გაშალა ხელები, თავი მაღლა ასწია და მხვს მიამტერა ქუთუთიამოწითლებული მოწყურული თვალები. ცოტა ხნით იდგა ასე და რაღაც სიტყვებს ჩურჩულებდა. შემდეგ გულჯიბიდან ფანქრის ნატეხი ამოიღო, დაწერა და „ტემის“ კოლოფზე წააწერა ლექსი:

ჩ ი ტ ი

მზე ისევ გაჩნდა,
დღე ასე მიდის,
და უცებ დაჯდა
მიწაზე ჩიტი.
გავყურებ ქუჩებს,
დღე ასე მიდის.
დაჯდა და უცებ
აფრინდა ჩიტი.

წერის დროს შეენიშნა: ძალზე ნაზი ხელები ჰქონდა და შესამჩნევად წამოზრდილი სუფთა ფრჩხილები.

— წაიღე, თუ კაცი ხარ, ნუ დაკარგავო, — მითხრა. — თუ გინდა ასეთებს აუარებელს დავწერ. ახლა კი მშვიდობით... მშვიდობით იარე. კარგად გვენახოს ერთმანეთით, უთხრა ერთმა ბრამ მეორეს, — თქვა ეს და ჩაიღმა.

მერე პირაღმა გაწვა ხის ძირას ქვებზე და ჩემთვის ყურადღება აღარ მოუქცევია. მუხლი მუხლზე შემოიღო და კვლავ პაპიროსი გააბოლა.

ეს იყო დიდი ხნის წინათ. ოციანი წლების ბოლოს.

1939 წლის თებერვლის ერთ საღამოს, საყდართან რომ გავიარეთ, იმ შეხვედრის ამბავი ზოგუევი ლადო ასათიანსა და მირზა გელოვანს. ახლაც ისეთივე ქარი ქროდა და ბარაქიანად თოვდა. ღებოთ-ფებოთ ფანტელები აცეცოდა ადგილს, ტერენტი რომ იყო პირალმა წამოწოლილი და ნატრობდა გაყოლოდა იმ ფანტელებს. იგი უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. ახლა ეს ფანტელები მის სამარეს ეყრებოდა პეტრეპაულეს სასაფლაოზე...

იმ კვირაში ლადო კვლავ ამოვიდა ჩემთან. დაღონებული იყო: საყდართან გამოვიარე და ტერენტი და მისი ლეკები გამახსენდა, ვერ მოვისვენე და გზადაგზა ლეკი გამოვთქვიო. ჯერ ზეპირად წარმოთქვა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, და შემდეგ მთლიანად ჩამიწერა რვეულში. ლადო იგონებდა ზამთრის საღამოს, თეთრი საყდრის კარებთან მდგარ, სიცოცხლისგან გაფითრულ ტერენტის, რომელსაც ასე აურია გზები ავადმყოფობამ. თეთრხალათიანი პოეტი დგას თოვასა და ქარში დამკნარი, ფერდაკარგული ფოთოლივით ცახცახებს. მგზავრები კი მშვიდად მიმოდიან და მას არაფერს აქცევენ ყურადღებას...

— ასეთი ლეკი ჯერ არ დამიწერია, — თითქოს ბოდიშობდა ლადო. — მეტისმეტად ნაღვლიანია, მაგრამ ეს ხომ ტერენტი გრანელზეა, ძალიან შემეცოდა, სხვაგვარად დაწერა არ შემეძლოო.

ზარკვლამისნაშაღ გზაზე...

მე თქვენ გიგონებთ კრძალვით და რილით,
აქვენს მშვენიერ ხმას, ქართულის მალღობს...

მ ი რ ზ ა გ ე ლ ო ვ ა ნ ი .

I

„...მსხმოიარე ვაშლის ქვეშ. მშვიდად ღვავს სულს ასი წლის ზერი პაპა. გულზელი დაუკრეფია. ხანდახან მძიმე-მძიმედ გაახელს მიღუღლ თვალს და ხედავს: ვარშემო მშვიდადღე დგას მთელი მისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობა — ლოყებდავლაქა, მკლავლინიერი და მუხლმავარი, ბრეკ ვეკაცები; იქვე, ბალახებში დატყრილებენ ცეროდენა ბიჭუნები. კაშკაშებს და ელავს მცხენეარე მზე, დახუნძლულ ხეხილთა ტოტეხიდან წყდება და ძირს მოცეცხა მწიფე ნაყოფი, ხოლო თვალმისწიერამდე შრიალშიაღლით ღელავს და ტალღა-ტალღად ბიბინებს მზეკა-ზანდაკრული ჯეჯილის ლურჯი, სულ ლურჯი ზღვა...“

„...მყუდრო ძილს მისცემია სოფელი. საყვარელ გოგონასთან პეიმანიდან დაბრუნებულნი ტანკენარი და შაიტუხა ვასილი თავდავიწყებით ცეკვავს მარტოლმარტო უკაცრიელ თემშარაზე. ცეკვავს კაკაჩია მთვარიტ განათებულ მინდორზე, ზეებქვეშ, ღობის ძირებში. ცეკვავს, ხარობს და ზეიმობს — საყვარელს, ახალ ცხოვრებას, ხვალ, მისი მეთაურობით, სოფლის გლეხეკობაც ჩაებმება ამ ახალი ცხოვრების ფერხელში... და სწორედ მაშინ მიწვდა მუხანათი მტრის ტყეია და ჩააქრო მისი მჩქეფარე სიცოცხლე...“

„...დიდჯი მღელვარებით, ზეიადი ნაბიჯებით მიემართება სოფლის გზაზე პროცესია. მეგობრებს მალა, მალა აუწყევით კუბო. ხეთა ტოტეხი ფრთხილად ელამუნებიან კუბოში მღებარე ვასილის სახეს, ნიაგი ალერსით უვარცხნის ქოჩორს. ისმის დიდებული მშეპარე სიმღერა და, თითქოს ამ ამაღლებული საზეიმო პიშნის ხმებს სულ მალა და მალა აუტყორცნიან ცხედარი, — მალღდება იგი ადამიანთა თავებს ზემოთ, უსწორდება უღრან ტყესავით მიმდგარ მსესუშხირების ტერვს. გუგუნებს სიმღერა და ახმინავს ყვივით თავთავებით დაყურსული ყანების თვალწილენ სივრცეს. მოკლულის სახეს დასთამაშებს ზედნიერებას ღიმილი, ცეკვის დროს მოთულოდნელი სიკვდილით რომ შეეყინა ბავჯე. უცერად იქეპებს, წამოვა თქეში და წყნის გრილი წვეთები აღმასებრ ციმციმებენ ვაშლებზე, ვასილის შუბლსა და სახეზე. პროცესია კი მიემართება დიხჯად, ზეიადდ, და კვლავ გუგუნებს დიადი სიმღერა...“

„...უფლად დარწმინს მკელლი ტრამალზე. წყველა-კრულით გაუტრბის სიმღერის ომხიან ხმებს, არ იცის, სად დაემლოს მას, სად გადაიკარგოს. პირზე დუქმორეული ცდილობს მატლივით ჩაძვრეს ნახნავ მიწაში, გიფი ხარივით ბუღრაობს ხნულში და ანთხევს ვესლსა და შხამს ერთ პატარა ქიხიხაში კი, ამ დროს, საშინელი კივილით იატკავე ეცემა ვასილის დედა. სახე დამანვეია, ფრჩხილებით მიწას ფხოვნის... ის მშობიარეა, მოკლულ ვასილს ახალი ძმა უნდა შესძინოს...“

ასეთია წარმტაცი კადრები ალექსანდრე დოვენკოს „მიწიდან“. „მიწა“ საბჭოთა კინოს ერთ-ერთი საუკეთესო, ორიგინალური და პოეტური ფილმი. ესაა ბუნებრივი და სიცოცხლის უკვდავების დიდებული ჰიმნი: ვერავითარი ძალა ვერ შეიჭრება ცხოვრების უმძლავრეს წინსვრბოლას, სიკვდილი უკვდავებაა, თუ სიცოცხლეს მომავლისთვის გასწირავს.

II

მერამდენჯერ გვეჩვენება ნახული კინოხელოვნების ეს მაღალმატერული ქმნილება, როცა 1939 წლის შემოდგომაზე ერთხელ კიდევ დავესწარი მის დემონსტრაციას! არც ერთ მანამდე ჩვენგან ნახულ კინოსურათს არ ჰგავდა იგი. სენსის დამთავრების შემდეგ, ლაღო და ალიოშა ღიჯანს ყოყმანობდნენ: იქნებ, შევებრუნდეთ და კიდევ ვნახოთ. მაგრამ უკვე გვიან იყო და პროსპექტზე გამოვედით.

ბესიკის ქუჩასთან შემოგზვდნენ ალექო შენგელია, მირზა გელოვანი, გაბრიელ ჯაბუშანური, ვახტანგ ბუფუელი და სხვები. ალექსი ოჩიაურის ოჯახიდან მოდიოდნენ. ცოტა ხანს ვისაუბრეთ, შემდეგ მათგან მართო მირზა შემოგვიერთდა და გზა განვაგრძეთ.

ერთი ხის ჩრდილში თეთრსამოსიანი გალაციონის ლანდი შევინიშნეთ. მარმარილოს სვეტილი იდგა აღმართული და მხარგამოილი, როგორც მთელი მისი პოეზია. თავაწეული ოპერის თეატრს გაჟუვებდა, რალაცას ჩურჩულებდა და თითოთოროლა გამვლელთა ყურადღებას იპყრობდა. ოდნავ შეზარხოშებული ჩანდა; და სწორედ აქ ამ დროს იყო კარგი გალაციონი.

მირზა და ალიოშა დაწინაურდნენ და შორიასლო მორიდებით შედგნენ. გალაციონი ბევრჯერ ყოფილა „ჩვენი თაობის“ რედაქციაში და კარგად იცნობდა სამივეს. ახლა მალე შეამჩნია ისინი და სიცილ-სიცილით მობრუნდა მათკენ:

— ო... ო... ნორჩ-ნორჩ კალმოსნებს ვახლავარ! — დაიწყო მან. — ჩემი ოქრობიკები, ჩემი ქორდა პოეტები! სად ყოფილხართ? რა გინახავთ? თქვენი ლექსები დღეს გაზეთში წვეიკიხთ, ძალიან მომწონს, ძალიან... ერთობ საინტერესოა. უყურე შენ? ახალგაზრდების ლექსები... ახალგაზრდებიც სწერენ ლექსებს! ხე, ხე, ხე! საოცნებოა, საოცნებო!

III

იმ დღეს არც ერთ გაზეთში არ ყოფილა დაბეჭდილი ახალგაზრდების ლექსები. მხოლოდ გამოვიდა ჩვენი ჟურნალის მე-9 ნომერი, სადაც მოთავსებული იყო ალექსანდრე საჯაიას „ქუზილი“, რევაზ მარგვიანის რამდენიმე ლექსი, ლაღო ასათიანის „გეა-ფშაველას ნამშობი“, მირზა გელოვანის „უბის წიგნიდან“, ლაღო ავალიანის „უკვდავი ჰიმნი“, ალექო შენგელიას „ნიჟარაზე ამოკითხული“, იოსებ ნონეშვილის „მოდო ნახე“, გიორგი ნაფტეგარიძის ორი ლექსი და სხვ.

გალაციონს, ალბათ, შეეშალა და ჟურნალის ნაცვლად დასახელა გაზეთი, თორემ ის ძალიან კარგი მკითხველი იყო და ამ მხრივ საგანგებოდ გამოიჩინოდა ზოგიერთი მწერლისაგან.

ალიოშა მოკრძალებით მიესალმა და მიმართა:

— როგორ ბრძანდებით, ბატონო გალაციონ?

გალაციონმა წარბები შეჰყარა, განიერ კუთხოვები აახამხამა. ალიოშას გადმოხედა და უთხრა:

— ვეროთ, ვწე-ერთ ლექსებს — ცამ ქუხილი დაიწყო ის არავის უნდა, მაგრამ არ შევშინდებით...

უფროსებთან ყოველთვის მორიდებული, მაგრამ ახლა ხალისიან გუნებაზე მყოფი მირზა, სწრაფად მიუახლოვდა მას, გულზე ეამბორა და ხელებს და შუბლს ბოკაბოტით წაეტანა:

— აი ამ ხელმა დასწერა „მე და ლამე“, ამ გულში შთაისახა „მთაწმინდის მთიარე“, ამ შუბლიდან გადმოიღვრა „ლურჯა ცხენების“ ჯადოსნური სიტყვები. — შესაბამა მან.

გალაციონმა ბავშვურად დაიმორცხვა, მირზა საკონტენტად არ მოუშვა და ოქროს ქოჩორზე ხელი გადაუსვა. ლიბრ სინათლეზე ჩანდა, თუ როგორ შეეფაქა მას ფერმკრთალი სახე.

— ო-ო, გილდია? — ლილილით უთხრა მირზას. — ლურჯა ცხენები, ჩემი ლურჯა ცხენები... ერთობ ეფერებოდა რომ ეგონათ. იცი, ძამიკო, ეს დეკლენტობაო, სიმბოლისტებს მოჰპარათ და კიდევ... ვინ იცის, რა არ მოჩამახეს! რა უჭირდა მოსაპარავი თქვენს გალაციონს? ეს ქართულია. წმინდა ქართული! ავთანდილი როგორ ცხენზე იჯდა, არ იცით? ლურჯაზე! პატარა კახს ლურჯა ცხენი ჰყავდა. ბარათაშვილის მერანოც, მკონი, ლურჯა იქნებოდა. და, ზომ გახსოვთ, ჩვენმა არსენამაც ლურჯა ცხენი რომ გააჰყენ-გამოაჰყენა? მათ მოვპარე და მიგზამე. მეტი რალა გინდამ? განა არსენა და ბარათაშვილი დეკლენტები იყვნენ? ან კიდევ ერეკლე მეორე და ავთანდილი — სიმბოლისტები? როგორ იტყვი, თქვენი?

ტუჩებზე ხელი მისი-მოისვია (მამინ გრძელ წვერს არ ატარებდა), გაზონი გადათელა, ცახცახ შემოუარა და ბუჩქებიდან გადმოვიძახა:

— იაღონი მამინ მოკვდეს. ოღეს ვარდმან იდამჰნაროს! ვენაცელო რუსთაველს და გაუ-მარჯოს ამ რუსთაველის პრისიპექტს... ესაა ვარსკვლავთსავალი გზა! შენ მირზა გქვია, არა?

— ღიახ, ბატონო?

— მირზა... მირზა, — ორჯერ ძლივს გასაგონად ჩაიდუღუნა გალაკტიონმა. — მირზა არაბულია. სიტყვის თავში „ბატონის“ ნიშნავს, ბოლოში „ბატონიშვილის“. სვანი ხარ, ხო? — ჩაეკითხა მირზას.

— წარმოშობით კი. ისე თიანეთელი.

— დედ-მამა ცოცხალია?

— ცოცხალია.

— შენს გარდა თუ ჰყავს შვილები.

— ერთი ვაჟი და ორი ქალი.

— შეხედე შენ, — წამოიძახა გალაკტიონმა, — საოცნებოა, საოცნებო! სვანეთი, თიანეთი... მთების შვილი, მირზა... ბატონიშვილი... — ახლა თავისთვის იმეორებდა იგი და აღარავის ამჩნევდა გარშემო. მერე თითქოს გამოფხიზლდა და კვლავ მირზას მიმართა: — ლექსი, ლექსი... სწერეთ ლექსები, კარგი ლექსები! სულის ამოხდომამდე სწერეთ და სწერეთ! ყველაზე მთავარია, სათქმელი არ დაგელოთ და გქონდეთ საკუთარი სამყარო, რომელიც არაფრით ჰგავდეს ნამდვილს, მაგრამ რეალური კი იყოს... ესაა პარადოქსი ან წინააღმდეგობა დიალექტიკური, მაგრამ ესაა ჩემი შემოქმედების საიდუმლოება. თქვენი ლექსის სტრიქონებში ტელეგრაფის მავთულივით განუწყვეტლივ უნდა გუგუნებდეს ცხოვრება...

IV

ამბობდა ამას გალაკტიონი და თითქოს გულში მღეროდა ოდნავ გასაგონად. დუღუნებდა და სიტყვებს ტუჩ-კბილებს გარეთ არ უშვებდა. მისი ინტონაციისა და მიმიკის, ან კილოს გადმოცემა და აღწერა ძლიერ ძნელია. მომავალი თაობა თანადამსწრის აღწერით ევრაფრით ვერ აღიღგენს, თუ როგორ იტყუოდა რომელიმე სიტყვას ან როგორ წარმოთქვამდა გრძელ-გრძელ ფრაზებს გალაკტიონი, ან რას უშვებოდა სახესა და თვალებს, როგორ გამოიყურებოდა ლექსის კითხვისას ანდა უბრალო საუბრის დროს. ვისაც იგი არ უნახავს, სხვისი აღწერითა და ნამბობით ამას ვერ წარმოიდგენს...

— ყველაზე დიდი გენია ფანტაზიაა, — განაგრძობდა იგი. — ფანტაზიის მერანზე მჯდარი ყველგან იმოგზაურებ...

შემდეგ ახლოს მოიწია, მირზას მხარზე ხელი დაადო და ჩუმად, ნახევრადგასარჩევ-გასაგონად, თითქმის ლუღლუღით წასჩურჩულა:

თუ ხარ ლეიძილი, რაღა არს ძილი?
თუ ხარ სიმამღრე, რა არს შიმშილი?
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?
იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!

ეს ჩვენი დავით გურამიშვილია, ლექებმა რომ დაატყვევეს ლამისყანაში და მერე ფხოველს იანგარა მოჰგვარეს მოენდ... მესწარფა სევდის ლახვარიო, ამბობს ერთგან...

უკანასკნელი სიტყვები ხმამაღლა წამოიძახა და კვლავ შემოუარა ცაცხეს.

— პოეზია და პოეტობა, ძამიკოებო, — ისევ ჩურჩულთ ამბობდა იგი, — გატანაბურთივითაა. აბა, პე, აბა, პე, ვინ მიიტანს ლელოზე! ვინ მივა პირველი. ეს შეჯიბრება მხოლოდ თანაბარ მეტოქესთან, ტოლებთან ერთად. თუ უკან დავარდნილები მოგსდევენ და მაშინ გაასწარი ყველას, ეს რა ბიჭობაა, ან რა საინტერესო! პირველობა არავის არ უნდა დაუთმო. ხანდახან ისიც კარგია, ჰადრაქში რომ იციან. ორნი პირველ ადგილს ვაიყოფენ: ისიც ფალავანი, შენც ფალავანი. განა ილია და აკაკი ხელს უშლიდნენ ერთმანეთს?...

V

ჯერ არ გვენახა გალაკტიონი ასე ალაპარაკებული. ერთ ადგილას ვერ დგებოდა. ხშირ-ხშირად გადალაჯებდა გაზონებში, რომელიმე ხეს გარს შემოუვლიდა და ჩამიპლებოდა ტუიას ბუჩქებში. ღიღინებდა და სულ ლექსებით ლაპარაკობდა.

— ძამიკო, გამიგონე, — უთხრა მან ალიოშას, —

ერთხელ მეც ვიყავ შენებრ ლამაზი,
მაგრამ არ ვიყავ შენსავით ნაზი...

— ეს ერთი ძველი მოლექსისაა. რომელია, არ მახსოვს. აბა, გამოვიცნოთ, ვისია: მამია გურიელის? არა! ცახელის? არა! ჭალადიდელის? არც იმისო, არც იმისო? გეყავდა ასეთი პოეტები. ერთობ საინტერესოა.

ლადო ასათიანს ხელი გამოუწოდა, ფილაქანზე გადმოვიდა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა, მაგრამ ისე, რომ კვლავ ძნელი გასარჩევი იყო, მღეროდა თუ ისე უბრალოდ, წარმოთქამდა სიტყვებსა და ბგერებს: ზოგ სიტყვას ხმადაბლა წამოიძახებდა, დანარჩენს ღიღინ-ღუღუნით მიჰყოლებდა:

როტმილდის ჭონება მე,
შექსპირის გონება მე,
ყველაზე უფროსობა,
შენი კი მონება მე.
შევიარდნისა ფრენა მე,
ბულბულისა ენა მე,
და შენგამო, შენგან მე
ტბილი ცრემლის დენა მე.
სხვა ვინატრო რაღა მე?
რაღა დღე და რა ღამე?
როცა შენმა სიმორემ
გული დამიღადა მე!

ეს აკაკის „ნატვრაა“. ნატვრა ჰქვია ამ ლექსს. უკეთეს რას ინატრებს პოეტის გული...

— ახლა რაღას იტყვი? — შესძახა ლადომ, გამოუსხლტა გალაკტიონს და მაგრად ჩამავლო ხელში ხელი, — ახლაც არ დამიჯერებთ, რომ ეს ლექსი აკაკისაა? იქნებ გააგებინოთ რამე, ბატონო გალაკტიონ, ამ ურწმუნოებს, თორემ სული ამომაძვრეს დაიცივით...

VI

ამ ლექსს ხშირად ღიღინებდა ლადო ქუთაისში ყოფნისას. ამბობდა, აკაკის ლექსიაო, ჩემს ნათესავ ქალს თვითონ ჩაუწერა აკაკიმ ალბომშიო. მანამდე დაბეჭდილი არსად უნახავთ და ამიტომაც ყურადღება არ მიაქციეს ლადოს ნათქვამს.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ 1938 წლის 17 აგვისტოს ნომერში ლადომ გამოაქვეყნა ნინო ორბელიანის ერთ-ერთი დაუბეჭდავი ლექსი შენიშვნით: „პელაგია ჩიქოვანი-ასათიანის სახლს ხშირად ესტუმრებოდნენ ცნობილი ქართველი პოეტები და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის რამდენიმეჯერ აკაკიც ყოფილა სტუმრად. აჰ, გარდა ნინო ორბელიანის ლექსისა, ალბომნად აკაკის დაუბეჭდავი ლექსიც“.

ლადოს უნდოდა აკაკის ამ ლექსის დაბეჭდვაც, მაგრამ იმ ხანებში ავტოგრაფი ხელთ არ ჰქონდა და ისე კი არ დაუჯერეს. ახლა კი, გალაკტიონმა რომ წარმოთქვა იგი, გასაგები გახდა ლადოს სიხარული.

ამჟამად „ნატვრა“ დაბეჭდილია აკაკის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-3 ტომში.

VII

თქორი წამოვიდა. ხის ქვეშ გადავიწვიეთ. წვრილად ჟინქვლავდა. მაღლა ფოთლებიდან ჩამონადენი მსხვილმსხვილი წვეთები კახა-კუხით ეცემოდნენ უფრო დაბლა მყოფ ფოთლებს, და შემდეგ აღწევდნენ ჩვენამდის.

გალაკტიონმა ცაცხვის რტო შეარხია, წვიმის წვეთები დაეპყრა მის სახეს და ალმასის ცვარებით აუციაფა ორდენი.

— წელს სულ წვიმს და წვიმს, — ჩაილაპარაკა მან. — რა ხანია მყინვარწყვერისთვის არ მომიკრავს თვალი ვერის ხიდიდან, სულ ნისლი აქვს მოხვეული.

მერე მხრები შემოქმენა, ცალი თვალი მოხუტა, მარცხენა ლოყა ისე შეათამაშა და ააცაცა-ხა, თითქოს მთელ ტანში იმ წვიმის სიგრილემ დაჰკრა და ჭრეოლად დაუარაო, — და ხმის კანკალით წარმოთქვა:

ველნი მწვანობენ,
ჩიტნი ხარობენ,
მთანი ღვარობენ,
ცვარნი ცვარობენ...

და თვეისთვის ჩაილაპარაკა:

— ვაჟა ჩემი ოცნებაა! ვაჟა ღმერთია! ეს ოთხი სტრიქონი მას ეკუთვნის.

VIII

ერთხანს დედა თავაწეული. თვალებს ახამხამებდა და რაღაცას ჩურჩულებდა. უცბად გან-
ზე გადგა, კვლავ გადათელა ხარგავები, შემოუარა ერთ ნორა ცაცხვს, ალერსით ხელები მოხვია
მის აშოლტილ ტანს და ჩაიდუღუნა:

— აბა! შემოხედეთ, რა ტანკენარია! რა ლამაზია! ვინახავ ვერის ხიდის თავში სახელგამ-
თან, სამინალად მახინჯი ბეოლა? აბა, ის არის, რაც არის! ნამდვილი დემონიური ხე! ამას კი
არა ჰგავს...

სანამ მტკვრის სანაპირო გაკეთდებოდა, ხიდის თავში იდგა ერთი დიდი თუთის ხე, უცნა-
ურად გაბარჯილი-ბოლებიანი, იდგა ის ზედ მტკვარზე გადამხობილი და მთელი მისი ტანი და
ტოტები მართლაც არაბუნებრივი სანახავი იყო.

IX

შემდეგ მე მომიბრუნდა.

— ჩემი ოქრონიკა, ახალი რა ამბებია? ეს რა გიჭირავს ხელში? ახალი ნომერია? რომელი
გამოვიდა ახლა?

— მეცხრე, ბატონო...

— შემდეგი რომელი იქნება?

— მეათე...

— უუუუ შენ, მეათე! მერე მეთერთმეტე, შემდეგ მეთორმეტე და ასე შემდეგ. თქვენ
რას დაგიფერთ ახალსა და კარგს? უნდა სწეროთ, უნდა სწეროთ... რედკოლეგიის სხდომებს
თუ იწვევთ დროზე? „მნათობში“ რედკოლეგიის სხდომები ყოველთვის იმართება, ვესწრები.
ერთობ სანტერესოა. „მნათობი“ ჩემი დაარსებულისა. ყველა ჩემი ლექსი თითქმის იქ დამიბეჭ-
დია. ერთხელ ასი ლექსი ერთად მოვათავსე ერთ ნომერში. ვინ ჩაიდინა ასეთი საქმე კიდევ?
მხოლოდ თქვენმა გალაკტიონმა. არ ვიცი, არ ვიცი... მდაა! ახლა რომ „ჩვენი თაობის“ რედაქ-
ციაა, იმ ოთახში რამდენიმე წელს ვცხოვრობდი. ეს უნდა აღინიშნოს: მოაწყო სტენდი ან
სტეკა მსგავსი საიშვიათო რამ... ეს თქვენი მოვალეობაა! „მნათობში“ უკვე აწყობენ, — ხუმრობ-
და გალაკტიონი.

ხამალაი ლაპარაკი სულ შეწყვიტა და ჩურჩულში გადავიდა. თითქოს ჩვენთან აღარ იყო
და ვერც გაემჩნეოდა. ბოლოს გამოერკვა, მხრები შეარხია და იდუმალი ხმით ჩაგვეკითხა:

— ხომ გასაოცარია? არა? ვანა თქვენ არ გაცეცხთ მუდამ ერთ ადგილას მდგომარე ხე,
მეუჩერებლად მსრბოლი მდინარე, მოსიარულე ცხოველი, მოლაპარაკე ადამიანი, ვარსკვლავე-
ბიანი ცა და კიდევ რამდენი და რამდენი რამ?... აბა შეხედეთ; ხე სულ დგას, მდინარე მიდის,
არავის ჯავრი არა აქვს. ხე უფრო ეგოისტია თუ მდინარე?

ისევ დადუმდა, ფეხის თამაშით გაიარა რამდენიმე მეტრი მანძილი, უცბად შემოტრიალდა
და შესძახა:

— „მარსელიოზა!“ რიუდის ქანდაკება ეტუალის ტრიუმფალურ თაღზე... რუჟე დე ლილი...
დელეკლოუზი და ლუიზა მიშელი რომ მღეროდნენ პარიზის ქუჩებში... პერ-ლაშეზ, პერ-ლაშეზ!..
იმეორებდა ის დუდუნით და ეს სიტყვები არ შორდებოდნენ მათ აღმომთქმელ ბავეს,
ისევ ბრუნდებოდნენ და იხიზნებოდნენ კბილთა გვირგვინებს მიღმა.

— ძამიკობო, იწყება მსოფლიო ომი. ევროპას გადაეფარა მისი შავი აჩრდილი. პიტლერი
უახლოვდება პარიზს. მალე გადაიღებს ფოტოსურათს ეიფელის კოშკის ფონზე. დაეცემა პარი-
ზი, ჩემი პარიზი! რა ქნას მამინ თქვენმა გალაკტიონმა? თქვენ, რალას იზამთ, ოქრობივებო? —
მიმართა მან ახალგაზრდა პოეტებს.

— ჩვენ ჯერში მივდივართ, — უთხრა მირზამ, — მე და ლადო უკვე გაწეული ვართ და,
აღბათ, საცაა მალე გამოვცხადებენო.

— ყოჩაღ, აბა, ჰე, თქვენ იცით, — უთხრა მათ გალაკტიონმა. — წადით, წადით, და თუ
ბრძოლებში მიიღებთ მონაწილეობას, თქვენს ბიოგრაფიაზე პოემებს დასწერენ...

— მანამდე კი თქვენზე დაეწერეთ კარგ ლექსებს, ჩემო ბატონო, — უთხრა ლადომ და მირ-
ზას გადახედა.

უკვე შუალამე იყო. ქვემო მხრიდან ნელი ნაბიჯით გვიახლოვდებოდნენ ვიქტორ გაბესკირია
და შალვა კაშმაძე. ვიქტორი მოგვესალმა და იქვე შემხედრ ნათესავსა თუ ნაცნობს დაემგზავრა.
შალვა ჩვენიძე მოვიდა, გალაკტიონს მკლავში ხელი გამოდო და გვითხრა: ყმაწვილებო, ახლა მე
დამითმეთ გალაკტიონიო, და ჭუკუჭყით და ნელი ნაბიჯით გაუყენენ რუსთაველის ძეგლისკენ.

წასვლამდე გალაკტიონმა ხელი გააშვებინა შალვა კაშმაძეს, ისევ მობრუნდა ჩვენთან და
ჩაიდილინა:

გული მქონდა, სული მქონდა, ფული არა,
მაგრამ მაინც ვიცინოდი გულიანად!
რას ჰგავდა მაშინ მისი სახე? „ლომს, ვეფხეს, ზღვას, კუნძულს“, თუ...
შედარებები შორს წაგვიყვანს!

X

იმ კვირაში ლადომ მოიტანა ლექსი „გალაქტიონს“ და ზედაქციაში წაიკითხა. ალიოშამ თვალი ჩაგვიკრა: მას ლადოს გაგულისება უნდოდა და თითოეული სტრიქონის წაკითხვისას „არ ვარგაო“ გაიძახოდა. ლადო მართლა გაბრაზდა, ნაწერი დაკმეტუნა და გახევას უპირებდა. ძლივს გამოვგლიჯე ხელიდან.

ლექსს არა უშავდა, მაგრამ გალაქტიონის ღირსი და შესაფერი რომ ვერ იყო, ამას ლადო თვითონაც ხედებოდა და, მგონი, ამან უფრო გააბრაზა.

— არ გამოვიდა კარგი, როგორც მე მინდოდა, — თქვა მან, — მაგრამ ახლა მაგას ველარ გადავაცემებ. სხვა დროს ვცდი და მეორეს დავწერ. გალაქტიონი უფრო ღიძის ღირსია. ის დიდი, დიდი...

ეს ლექსი მაშინ არსად დაბეჭდილა. მხოლოდ შემდეგ შევიდა 1960 წელს გამოცემულ კრებულში („ჩემი ქვეყნის ოქროყანა“). ის აღსანიშნავია, როგორც გალაქტიონთან იმდამინდელი შეხვედრის ფაქტი.

მირზას მანამდე (1938 წ.) ჰქონდა ერთი ლექსი გალაქტიონზე და ომში ყოფნისას (1943 წ.) დაუწერია კიდევ თექვსმეტსტრიქონიანი მეორე ლექსიც. ისინი ახლაც ამშვენებენ მირზა გელოვანის წიგნებს.

ალიოშა საჯაიბი კი არაფერი დაწერა. გალაქტიონზე ასე ადვილად ვერ დავწერო, ამბობდა. და ეს საქმე მომავლისთვის გადადო.

(გაგრძელება იქნება)



დენა შენგელია

დღა-მეა

ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის „დღა-ენას“ ხელში პირველად აიღებს და მთელ სამყაროს უცებ სხვაგვარად დაინახავს, სულ სხვანაირად გაიაზრებს. მართლაც, იმ პირველ სიხარულს რა დაგვაფიწყებს — ამ წიგნის ვარდისფერ ყდაზე დახატული ბულბულის ჰიკიკი ერთ დროს ტყილად რომ გავიგონეთ და ხელი ერთბაშად დაეფარეთ, უცაბედად არ გაფრინდესო. რა დაგვაფიწყებს იმ პირველ თრთოლვას, როცა მინდორ-მინდორ ლაღად წარბენსა და მდინარეში ნაცელქარნალქაჯარებს კაკლის წენგოთი ჩაშავებული სალოკი თითი პირველ ქართულ სიტყვისთვის აცაბადად გაგვიყოლებია და „იოო“ ამოგვიკითხავს.

ეს საკვირველი პატარა სიტყვა ქართველ ხალხს თითქმის იმიტომ შეუქმნია, რომ მის ნაღვამობას ქართული ანბანის მართლაც ზღაპრული ცხრაკლიტულის პირველი კარი ფრთხილად შეეღო და სიხარულით წამოეძახა: აი იაო! ამ ფრთხის გარდა ყოველ ახლად შესწავილლ ასოს შემდეგ ქვეყანა თითქმის განივრდებოდა და მით ცოდნას თანდათან ვეუფლებოდით. თუ ერთი ასო ცხენის ნალს გავდა, მეორე ჩიტის თვალს გვაგონებდა, მესამე ტარკაუჭიან პინჯილას ანდა ზღოთაგამოსკენილ გოგონას და ყოველ მათგანს რამე ნახატი ამშვენებდა: ია, ზე, თითი... ბოლოს ეს რიგი ასო-ნახატთა იმიოთ თავდებოდა, რომ მახეში გაბმული ჩიტი ხეზე ეკიდა და ფრთხალებდა.

ია — ამ ორბგეროვან და ისიც ხმოვან ასოთა წალმა-უეულმა დალაგებით პირველი სიტყვა და მასთან ერთად პირველი ფრაზა ქართულ გენიას იმთავითვე თითქმის იაკობ გოგებაშვი-

ლის „დღა-ენისთვის“ შეუქმნია. რამდენი ფიქრი, რამდენი ჩხრეკა და რუღუნება იყო საჭირო, რომ ქართული სიტყვის ამოუწურავ საგანძურში ჩვენ დიდ იაკობს სწორედ ეს სიტყვა დაეძებნა და სიხარულით ჩვენი გული ასე აევსო. ამ პატარა იის სურნელი არის ის სურნელი, ყოველ ქართველ კაცს რომ აკაცებს და სამარის კარამდე აუმღვრეველად მიჰყვება.

ამ პაწია სიტყვის ასეთი ქვრადობის და უდიდესი შესაძლებლობის გასნა განა ასე ადვილი იყო? ანის და ინის გადალაგება-გადმოლაგებით ჩვენმა მეორე მამამ პირველი ფრაზა ისე უნაყოლოდ და უზერებლად შეადგინა, რომ მისი დაიწყება არასგზით არ შეგვიძლია. და ეს ადვილი რომ არ იყო, ამას თუნდ ისიც აღასტურებს, — მის ძიებას გოგებაშვილმა თერთმეტი წელი მოაწლო. 1865 წელს გამოცემულ „ქართულ ანბანის“ შემდეგ ქართველი ბავშვის სულისკეთების ეგეთი ცოდნით და მხატვრული ტაქტით შესრულებული „დღა-ენა“ მხოლოდ 1876 წელს გამოქვეყნდა. განა იაკობ გოგებაშვილის თავდადებული ბრძოლა ქართული ენის ღირსებისათვის და მისი პრესტიჟის ასე დაცვა შევხველ ცარიზმის ძნელბედობის დროს ადვილი იყო? და თუ ქართველებს ჩვენი მეოხით, კაცურ კაცობით დღეს თავი მოგვაქვს, ამ დიდ საქმეში დიდ ილიასა და აკაკის თანაბრად ღვაწლი იაკობ გოგებაშვილსაც მიუძღვის და ამ ამავის დაიწყება არ შეიძლება. დღევანდელი ქართული ენის ის მოქნილობა, ის ქვრადობა და ასეთი შესაძლებლობა, ის მომზიბლავი სიმარტივე, დიდი სიღრმე და ხალხურობა ჩვენი იაკობ გოგებაშვილის წყალობაც არის. თავის უბადლო სახელმძღვანელობით, მინიატურულ მოთხრობე-

ბით და პედაგოგურ-პედაგოგიური წერილებით წელითა მანძილზე ის მტკიცედ იდგა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების სადარჯოზე.

იაკობ გოგებაშვილის ერთ აქამდე უცნობ წერილში, კიევიდან მეგობრისთვის 1863 წელს რომ მოუწერია, ნათლად ირკვევა, ილია ქავე-ქავეის პირველ ჟურნალს ის როგორ აუღელვებია. მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში დაბრუნებას ის ჯერჯერობით არ აპირებდა, ახალთაობის დაბადების სიხარულსა და ბრძოლის ძინს ისე გაუტაცნია, რომ ბარგი საჩქაროდ გამოუკრავს და სამშობლოში წამოსულა.

ორი წელიც და, თავის ჩამოსვლა საქართველოში გოგებაშვილს იმით აღუნიშნავს, რომ პირველი „ქართული ანბანი“ გამოუქვეყნებია. თერთმეტი წელიც და, „დედა-ენა“ გამოუცია. და, თუ ქართველი კაცი აქამდე მტერსა და დუშმანს „ვეფხისტყაოსნით“ იგერიებდა, ამერიიდან მეორე ხელში მას „დედა-ენა“ ეპირა და თავის ნამუსსა და კაცურ კაცობას იმით იცავდა. ლიხვის პირას ხალისიანად აედურტულბულ ფშანებითა და ბუღბუღების ყუფა-გალობით დაყრუბულ მწიურებიან-გორბურებიან პატარა, ღარიბ ვაიიანში ჩვენი იაკობ გოგებაშვილი 1840 წელს თითქმის იმიტომ დაბადებულა, რომ ქართველი ხალხის სახედ-ნიეროდ ეს დიდებული წიგნი შეექმნა.

შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარია, ბოლოს კიევის აკადემია და აი, ისევ თბილისი. დიდი რუსი პედაგოგის უშინსისა და დემოკრატი-რევოლუციონერ ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის იდეებით გატაცებულმა იაკობმა პედაგოგიური მოღვაწეობა სწორედ იმ სასწავლებელში, სემინარიაში, დაიწყო, სადაც ერთ დროს თვითონ სწავლობდა. სამშობლო-სადმი უსაზღვრო სიყვარულს, მშრომელი ხალხის თანაგრძნობასა და მოწინავე იდეებს ბავშვებს იგი აქ უნერგავდა, გულს ჰუმანისტურ-პატრიოტული იდეებით უხუტებდა. ბერის სამოსში გადაცმულ მეფის ქანდაკებებს ყოველზევ ეს ტყუაში როდი მოსდიოდათ და დროს უტყდინენ. ეს დროც ბოლოს ავი დაუღდა. გოგებაშვილის ავადმყოფობით მათ სარფიანად ისარგებლეს და ლოგინად ჩავარდნილი კაცის მოღვაწეობის ჩხრეკა დაიწყეს. მათი კანდიერება იქამდეც მივიდა, რომ მისი სახელის შესაბალოვად ფულადი ანგარიშგებაც შეამოწმეს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ. ავადმყოფობით გაღატაკი გოგებაშვილი ამ უღივრობამ და ძალადობამ იმდენად შეურაცხყო, რომ ლოგინიდან ადგა თუ არა, სასოწარ-კვეთილბაში ჩავარდნილი მტკარაში გადავარდა. რა საკვირველი თანხედენა! იცით, დახრობას მერე ვინ გადაარჩინა? მისი გულითადი მეგობრის, გამოჩენილი პედაგოგის ნიკო ცხე-

დაძის ძმამ. შემთხვევით ამ დროს ჩამოვლილი ცხევაძეც წყალში გადავარდნილ კაცს თან გადაჰყვა და, ნაპირზე რომ გამოიყვანა, მაშინ დაინახა, დაღუპვას ვინც გადაერჩინა.

გოგებაშვილმა ის დიდი ფიცი, ფიცი, რომ სახელმწიფო სამსახურში, რაც უნდა გასტყრებოდა, არ შესულიყო, მაშინ დასდო. თავის თავისთვის ამ მხრივ ყველა გზები რომ სამუდამოდ მოეპრა, დიბლომი, ცენზი და ყველა საჭირო საბუთები ცეცხლში შეჰყარა. იაკობ გოგებაშვილი ამასაც არ დასჯერდა. მან უარი თქვა არა მხოლოდ სამსახურებრივ კარიერაზე, არამედ პირად ბედნიერებაზედაც, — ისე მოკვდა, რომ ოჯახს არ მოჰკიდებია. მისი ოჯახი საქართველო იყო, ხოლო შვილი — ქართველი ხალხის მომავალი. მეოლი თავისი გრძნობა-გონება და სინოცხელი მან ქართველ ბავშვების აღზრდა-განვითარებას შეაღია. მის საღმერთებელ ქართველი ხალხის საზიზღარ მტრებზე შერიბ ბოლოს იმით იძია, რომ უადრესად პატრიოტული „დედა-ენა“ ასე ბრწყინვალედ შეადგინა. მშობლიურ ენის იმ პირველკარის გასაღებშიც, პატარა „ია“ იაკობ გოგებაშვილმა მაშინ იპოვა და მას აქეთ არის, ლურჯთვალა მის ასე ნაზი და მორცხვი სურნელი ბავშვო-ზითგანვე ტბილად რომ მოგადევს და ვერ ვეიწყებთ: ამ პატარა „იის“ დაიწყება ჩვენი ბავშვობის დაიწყება იქნებოდა.

ვინ იცის, იაკობ გოგებაშვილს გული როგორ უტრთოდა, როცა ჩვენი პაწია ინი და ანი ორი მძივის ნატეხივებით პირველად ასე რომ დალაგა და „ია“ გამოვიდა. მერე მას გვერდით უფრო საოცრად შებრუნებული, იმავე ანით და ინიტ შედგენილი მეორე სიტყვაც გვერდით მოუსვა და სიხარულით წამოვიძახებთ: „აი იაო!“

მერე? ასო ასოს ემატებოდა და ყოველი ახალი ასოს შესწავლით ჩვენი ცოდნა მდინარესაყით მატულობდა და იმ ოკეანეს გარღვევალად გუაზლოვდებოდით და ბოლოს ავი შევერთეთ კიდეც, ქართული ენა რომ ეწოდება.

მერე? მერე? „თხა და გიგო“, „პატარა ალექსი“, „ნუეის სკოლა“ თავისი ანით და ბანით, რეგიმ მთასა მყვირალი, „ტორილა“ და მდელი, ყაყაიხსა სიწითლითა რომ დაუშვინებია, და ვინ მოთელის იმ პაწია, წარბაცე ლექსებასა და მოთხრობებს, არაქებსა და სასაუბროებს, ზღაპრებსა და ენის გასატეხებს, ანდაზებსა და გამოკანებს, გულში მას აქეთ წარუშლელად რომ აღგებეჭვია.

რა ტყის შრილი და წყაროს ჩუხჩუხი, რა ბიბინი ნიავისა და ყანაში ავარდნილ გვალვის ზუზუნი მოგვესმის ხოლმე, ამ ვარდისფერ წიგნს რომ ვიგონებთ. ავარ, არ გესმის, სოფლის ბოლოში წაფერდილ-ჩაფეხვილი წისკილი როგორ გულჩახვეულად ხმაურობს და რა ხა-



ლისიანი ქრიაშული აუტეხიათ ღარის წყალში მოკუშმალავე მზემოკიდებულ ტიტლიასა ბავე-შეგებს? არ გესმით, როგორ გადი-გამოდის გუ-თანხი ხნულში, როგორი ეშხით ატაკუნებს შოლტს გუთნიდგა და მის ნაღვლიანად გაბ-მულ ორიველს ღირდაც ბანს გაბნით როგორ ეუბნება? იქ კი, ღამეში, ცეცხლისპირას შემო-ქუჩხული ღამის პატარა მგზავები — ხარ-კამე-ნის თვლემის მომგვრელ ცოხნაში ზღაპრებს ამბობენ და სადღაც ქვემოთ მტკვრის პირას გზაზე ურმულის სევდიან ღიღინში ურემი ტაბით მიტრიალებს... ანდა სწავლისთვის დე-დას და სოფელს მოშორებული პატარა ბიჭი როგორ გასძახის კუდმაკრატელა ყდურტულა მერტვლებს: მერტვლებო, კუდმაკრატლებო, დე-დაჩემი არ გინახავთ? ანდა როგორ უკუნისის გული მინდორში უტოლ-სწოროდ დარჩენილ ბაღს:

მინდორში წაველ, სწორებო — მზე
წითლად ამოდიოდა,
მე იქ რა გამაძლებინებს, თქვენი ხმა არ
მომიდიოდა...

მოუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი შედგენი-ლია ნაირნაირი მასალითა და ნაირნაირივე ავტორების ნაწარმოებებით, ასე გასინჯეთ, თარგმანებითაც, მოუხედავად იმისა, რომ ეს კრებული ერთგვარი ავრეგატია ნაირნაირი ლი-ტერატურული ჟანრებისა, თავისი ერთიანი სტილითა და დიდი საერთო სუბთქვით, ის ნაინც ერთ დიდ მთლიანობას შეადგენს, მაინც მონოლითური კმნილებაა. ამ დიდებულ წიგნის ინტეგრალური ნაწილები — დიდი საბა, აკაკი, უშინსკი, ლ. ტოლსტოი და ქართული ხალხური განუთქორებელი პოეზია და ეპოსი ისე ლოკა-კურად და საერთოდ სტილის დაუტრეკელად განაგრძობენ ერთიმეორეს თვით შეუდგენელისა-გან შიგა და შიგ მოხდენილად ჩართულ მასა-ლასთან ერთად, რომ გასაკვირველი სიმფონია იქმნება.

მართალია, სულხან-საბა ორბელიანმა უკი-დურეს ლაბიარობამდე მოიყვანა ქართული თხრობა, მაგრამ იაკობ გოგებაშვილი თას რო-დი დასჯერდა, — უფრო შორს წავიდა:

- ვანო, სკოლაში წადიო.
- მუცელსა მგერეშო.
- ვანო, მოდი, მაწინი ჰამეო.
- სად არის ჩემი დიდი კოვზო.

არავითარი დიდაქტიკური მსჯელობა, არც-ერთი ავტორისეული ფრაზა და ვანო მაინც მკაფიოდ არის დახატული. არცერთი ზედმეტი სიტყვა, არცერთი ამო შტრიხი და მაინც რა მომზიბლავი ჰუმორით, რა სიყვარულთი არის დახატული ამ პატარა ზარმაცის, მაგრამ ღადი ღირსუცელის სურათი. თქვენი ერთი ამას და-მიხედეთ. — როცა მაწონია შესაქმელი, მუცელს

როდი მგერეშო, დიდ კოვზს ეძებს სასვლელად დილოგის ასე ხატოვანად, ასე პორტრეტულად ამბეჭყვლება მხოლოდ იაკობ გოგებაშვილს შეეძლო და ამ მხრივ იგი ჩვენთვის დღესაც სანამუშაოა.

დიდი დიდაქტიკური იდეით სულანდგმული ყოველი წვრილმანი, შემადგენელი ნაწილი ამ წიგნისა იაკობ გოგებაშვილს გააზრებული აქვს მთელის უქველ გათვალისწინებით; ყო-ველ ლექსს, მოთხრობას ან სენტენციას ამ წიგნის გენიალური შემდგენელი როდი უკარ-გავს თვითადობას და ინდივიდუალობას, ყო-ველი მათგანი თავისი დამოუკიდებელი სიცოც-ხლით სუნთქავს, მაგრამ ამასთანავე ისე ორგა-ნულად და განუყოფლად არის მოქცეული მთელ-ში, რომ ერთი რომელიმეს გამოკლებით, შენობა დიდად დაზიანდება. წიგნის ამ ყოველ შემადგენელ ნაწილს თავისი ფუნქცია, თავისი კომპოზიციურ-კანსტრუქტიული დანიშნულება იმათათვე აქვს მინიჭებული. ბუნებისა და საყოფაცხოვრებო მოვლენათა აღწერის გარდა, ამ წიგნის შემქმნელი სხვადასხვა შინაარსის ლექსებითა და მოთხრობებით დიდაქტიკურ ტენდენციას ისე ოსტატურად მალავს, რომ ტელიობს ბავშვი როგორმე არ გააბეზროს და მით საწინააღმდეგო ეფექტი არ გამოიწვიოს. მოსწავლეს იგი როდი ატყუებს, პირდაპირ ეუ-ნება, რომ სწავლა თამაში კი არა, დიდი და თან ძნელი საქმეა და მისთვის ბევრი სიძო-ნება უნდა დასთმოს.

„ერთ პატარა ქალაქში შკოლა იყო გაპარ-თული. ამ შკოლაში სწავლობდა პატარა სოფ-ლული ვანო. ვანომ დილით ადრე წა-წაჩე მობიზიზა და პირის ბანა დაიწყო. მერე უკებ დედა მოაგონდა და მეტად დაღონდა. თასი-ცრემლანა დაიწყო თავის სოფლისკენ ცქე-რა. უკებ დაინახა იქიდან მომფრინავი ჩიტე-ბი. ვანომ ჩიტებს შესძახა:

ჩიტებო, ჩიორაბებო,
მაღხაზნო, ნაკრისფერებო,
სად ყოფილხართ, რა გინახავთ,
დედაჩემი არ გინახავთ?..“

ეს წიგნი, როგორც ყოველი სახელმძღვანე-ლო, მოზაიკური, კრელი წიგნია. ამიტომ არის, ისევე, როგორც მთის ნაკადულში მზის უშუკი შიგ ასე ნაირნაირად რომ ციმციმებს, ათასი თება, ათასი დიდაქტიკურ-აღმზრდევლობითი ამოცანა და სხვადასხვა სასარგებლო ცნობა ასე წარმეტყველად ლაგვლებს და გულს ახა-რებს.

როდესაც იაკობ გოგებაშვილი სამშობლოს ბუნებას — ფლორას ანდა ფაუნას აღწერს, ეს აღწერა უფერული, არაფრის მოქმედი ცნით როდია გადმოცემული. ყოველივე ეს მასაც



ახარებს და ამიტომ არის მისი თხოვრა ასე
ესპარსული, მერყეული და ცოცხალ დასა-
ნახავი. იაკობ გოგებაშვილი იცის ხალხური
ზეპირსიტყვიერების ფასი და ამიტომაც ისევე და
ისევე ხალხურ ლექსს ანდა ეპოსს ასე ზეპირად
რომ მიმართავს ზოლზე.

შავს კლდესა შავი ყორანი ჩავა და
ჩაქანება,
ჩავა და ლეშით გაძლება, ამოსვლა
დაეზარება...

ეს ლექსი ნათლად გვეუბნება, რომ ყორანი
შავი, საზარი ფრინველია და მისი საზარდო
ლეშია. მაგრამ რა ამაღლებელი მრისხანე სი-
ტყუებით არის ყოველივე ეს გადმოცემული. განა
ამ გოროზი ინტონაციური ელვადობით აღსაქმე
ლექსის შემდეგ შეიძლება დაგვიწყდეს რაა
ყორანი?

და ამ დიდებულ კუშტ სურათს ყორანისა
უცებ პატარა სენტენციური მოთხრობა „მეცე-
ხარა ქოთანი“ თავისი „შუბით ენაცვლება და
ბნელი ერთბაშად იფანტება“:

„ქოთნები ერთად შეგროვილიყვენ, შუაში
ჩამდგარიყო უფრო მაღალი ქოთანი და შეპ-
კევხოდა: მე თქვენისთანა როდი ვარ, თქონს
ძირი მაქვსო. უცებ თავზე წაადგა ციცხვი.
მეცეხარა ქოთანს შერცხვა და გაჰმინდა ხმა“.

მერე? მერე არაფერი. არც სენტენცია, არც
შეგონება. ყველაფერი თავისთავად გასაგებია.
მოთხრობის აზრი თვითონ პავშემა უნდა გამოი-
ტანოს, რადგან იაკობ გოგებაშვილის პედა-
გოგიურ შეხედულებათა თანახმად ინიციატივა,
აქტიური დამოკიდებულება ნაწარმოებთან მას
არ უნდა წაეართეთ, — აზრის ამოხსნას ის
პატარაობითგანვე უნდა მიეზივოს.

ამ პროზაული ამბის შემდეგ ისევ ლექსი:
ნარზე შემომჯდარ პატარა ნიბლიას სურათი:

ნეტამც არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ,
ნარზედა.
გამოგიქროლებს ალალი, წაგყვანს
ანარღაზედა.

რასაც ისევ მოთხრობა „ქოთანი და ქვაბე-
ბი“ მოსდევს. ეს მოთხრობა უშინისკისავე არის
ნაიხსენები, მაგრამ ისეთი ბუნებრივი ქართული-
თა ნათარგმნი, რომ დირსებით ორიგინალს
უღრის.

„ბებერი წყალზე იყო. ქოთანი და ქვაბი იქ
დავიწყდა. ძალიან გეხარადათ. ქვაბმა უთხრა
ქოთანს: შეეცურდეთ წყალში და ვისეირნო-
თ. ქოთანმა უთხრა, კარგით. შეეცურდნენ,
მაგრამ ქვაბი მალე ეხალა ქოთანსა და დაამს-
ხერია“.

ეს არის და ეს. აქაც არავითარი შეგონება
ან მორალიტი; ეს მოთხრობის აზრი მხოლოდ

ანდაზით არის მოცემული, რადგან ბავშვის
მულამ თავის ანაზრად მიტოვება არ შეიძლება.
და იაკობ გოგებაშვილი თავის კომპოზიციურ
უტყუარ გრძნობას არც აქ ლალატობს, ისევე
ლექსი, სადაც კურდღლის სურათი ასე დინა-
მიკურად არის დახატული:

კურდღლო ნუ სძოვ ყანასა, ნალარია და
ბრალია,
თორემ მოგიტევ მწვერებსა, ჩემი ალარა
ბრალია.

და შემდეგ იმავე კურდღლის გროტესკული
სურათი, რითაც ამ წიგნის შემდგენელი სერიო-
ზულ თემას ჰუმორით ახალისებს.

ყოველივე ეს ბოლოს მაინც საქმიანი სასაუბ-
როთი, ანდაზებით, გამოცანებით და წერითი
დავლებებით თავდება.

ამ განწყობილების შემდეგ, სადაც საქარ-
თვლოს ბუნება აღწერილი, იაკობ გოგებაშვი-
ლი უფრო რთულ საკითხებზე გადის. წიგ-
ნის ამ მონაკვეთში საქართველოს სხვადასხვა
კუთხეები და შიგ ჩახლართული საყოფაცხოვ-
რებო მასალებია წარმოდგენილი გოგებაშვილი-
სათვის ასე ჩვეული ხალისიანობითა და ბუნებ-
რივობით: „აზრიანი თათარი“, „ლექსი ჯავა-
ხეთზე“, „პური და იმერელი“ და სხვ.

იმის დასადასტურებლად, რამდენად კონკრე-
ტულია, მტყეველი და თან ეკონომიური იაკობ
გოგებაშვილის მეტყველება, რამდენიმე მოთხ-
რობა კიდევ მოვიტანოთ და მას დაეჯერდეთ.

თუ ორსტრიქონიან ლექსების ციტატა დიდ
სიძნელეს არ წარმოადგენდა, არც მოთხრობე-
ბის მოტანა გაავიჯირდება, რადგან ლექსებზე
მეტნი მოცულობით არც ისინი არიან. ამ შევ-
ვიძლია სანიმუშოდ აქლემის აღწერა ჩვენი
სიტყვით არ გადმოცეთ:

პატარა ალექსიმ ერთხელ მიწაზე დაწოლილი
აქლემი დაინახა. ყოყმანი როდი დაუწყია,
აღმა და ზედ შეეცოდა, აქლემმა ადგომა რომ
იწყო, ალექსიმ იფიქრა, ცად აედივარო, და
დაიძახა: მშვიდობით, საყვარელო დედ-მამაო!

რა ნათელი, რა ბავშვურად მაიაშიტი ჰუმო-
რით არის გაიცხლებული ეს ზანტი, აყლა-
ყულა და თოჯინასათი სასაცილო აქლემი და
მასთან ერთად ასევე სასაცილო ალექსის ასე
შემაქცევარი შიში. განა ამ მოთხრობის ავტორს
არ შეეძლო უბრალოდ ეთქვა: აქლემი ძალ-
ზე მაღალი და კუხიანი ცხოველია და, თუ არ
დაწვა, ზედ ვერ შეჯდებო? მაგრამ ეს ხომ
მშრალი უსიციოცხო ცნობების მიწოდება იქ-
ნებოდა და არა მეტყველო ხატვა. და აი, ჩვენმა
ბავშვმა აქლემი კონკრეტულად, თვალნათლივ
რომ წარმოიდგინოს, იაკობ გოგებაშვილი ამ
მშვიდ, მაგრამ უშნო ცხოველს აქაც მისთვის
ჩვეული მკაფიო ფერებით და მომხიზლავ პე-

მორთი ხატავს და მიზანსად ბრწყინვალედ აღწევს.

აი, კიდევ ერთი მაგალითი იაკობ გოგებაშვილის სტილისა:

„სიტუარმა ღვინო დალია. მეტად ემეავა და დაიღრიჯა. მასპინძელმა ჰკითხა: რას დაიღრიჯაო? სიტუარმა უთხრა: ტბილ ღვინოზე ასე ვიციო“.

აქაც იგივე სიტყვის სიძუნწე, სიძუნწე აზრის გაულარიბებლად, ჩვენს დიდ პედაგოგს, როგორც მოთხრობელს, ასე რომ ახასიათებს.

„ერთ იმერელს ძალიან შიოდა. კიღობანში ჰური ბევრი ეძება, მაგრამ ვერაფრით ვერ აპოვა. გამოვიდა ხალხში და იძახოდა: არც ძეგს და არც შშიაო“.

მაგრამ ეს განყოფილება წიგნისა დასრულებული არ იქნებოდა, ბავშვის მოთხოვნილება ფანტაზიისა და ჰუმორისადმი დაკმაყოფილებული რომ არ ყოფილიყო და ისიც მას ლექსი-ხუმრობით ასრულებს:

წისქვილს საფეკავი წაიღე, ავიღე სამსა

კატასა,

წინ თავენი შემომეყარენ, ჩამისდნენ

ალაგ-ალაგსა,

ერთსა ვკარ, ფეხი მოეტეხე, მეორე დადგა

აღასა,

მესამე შემუტერბოდა — კიდევ დათესავ

ყანასა,

ისე მოგიჟამთ ერთიან, ცელს ვერ ავლებდე

ჩალასა.

ასეთი ლექსებისა და მოთხრობების მოტანა ბლომად, ძალიან ბლომად შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ესეც კმარა და სიტყვას აქ ამიტომ არ ვაგრძელებთ. ერთს მაინც ვიტყვით, ვიტყვით, რომ აქაც ისევე, როგორც ზემოთ მოტანილ ლექსებსა და მოთხრობებს ძალზე იშვიათ გამოჩაღისით, არავითარი სენტენცია, არავითარი მორალიტე თან არ ახლავს. იმიტომ რომ იაკობ გოგებაშვილი ზოგიერთ მდარე მწერალივით, წერტილს ბოლოში გვიან კი არა, ოდნავ ადრე სვამს. ამ ოდნავ ადრე დასრულებულ მოთხრობებით ჩვენი უბადლო პედაგოგი ცდილობს, რომ თავის ნორჩ მკითხველს დამოუკიდებელი აზროვნებისა და მიხედვრის უნარი განუვითაროს. ჯერ ერთი, ბავშვმა ნაწარმოების აზრი თვითონ უნდა გამოიტანოს და, მეორეც, არაფერი არ არის ისე შეურაცხყოფელი ბალის ღირსებისათვის, როგორც ის, — როცა მის ჰუმანს ექვს თვალთ უტყვობს, არ ენდობიან და მზამზარეულ, დაღვიპლ აზრს პირში უდებენ.

იაკობ გოგებაშვილის დამსახურება ისიც არის, რომ მან მკვლარი, უსულო ღიდაქტია ცოცხალ შემოქმედებად, შთაბრუნების საგნად

იქცია. თემასთან ერთად ყოველ შემადგენელ კომპონენტის აზრსა და აზრთან ერთად ინტონაციას ის ისე წარმტაცად ცვლის ხოლმე, რომ მთელი წიგნის კომპოზიცია, მთლიანობა კი არ დაზიანოს, პირიქით, უფრო განამტკიცოს. ლექსი მოთხრობას ენაცვლება და მოთხრობა ლექსს, დინჯი საუბარი ჰუმორს, რეალისტური ხატვა გროტესკს და ბოლოს ყოველივე ეს სავარჯიშო საუბრით დინჯად ბოლოვდება.

ყოველი სიტყვა მისი წიგნისა გაედნეოლია პატრიოტიზმით, ღრმა ჰუმანიზმით და ამიტომ არის, რომ ბავშვობითგანვე ის გვინერგავდა გულში ასე ღრმად სამშობლოსადმი თავდავიწყებულ სიყვარულს და მით გვაკაცებდა. მან ავგადმევირა კილოყავებით აქრელებულ ქართველებს ღირსებისა და ხატოვანი ქართული ენა. ეს — იაკობ გოგებაშვილმა ავგავსო ეროვნული ღირსების ასეთი კეთილშობილური გრძნობითა და, თუ საჭირო იქნება, ჩვენი ქვეყნისთვის თავის დადების სურვილით.

ვინ იყო ის საკვირველი კაცი, მშობლიური ხალხისა და კაცობრიობის სიყვარულით გული ეგერ რომ ავგვიენესა? — იაკობ გოგებაშვილი.

ვინ დაგვიხატა ასე ჩამწვდომად ისტორიული ძნელდამოხიტი გაწამებული ბედი ქართლისა? — იაკობ გოგებაშვილმა.

ვინ იბრძოდა ეგეთი თავგანწირულებით ჩვენი ენისა და ჩვენი მეობის დასაცავად? — იაკობ გოგებაშვილი.

ვინ ახურებდა ჩვენს გულს ჰუმანისტური იდეებით? — იაკობ გოგებაშვილი.

და თუ მეტყვამეტე საუკუნის საქართველოში ილიასთან და აკაკისთან ერთად არის ვინმე ასე კეთილშობილი, ასე უშიში და ზნეობრივად ასე უმწიკვლო, პირველ რიგში გოგებაშვილია. ასეთ მოღვაწეებს ძველად წმინდანთა შორის შეარაცხდნენ ხოლმე და იაკობ გოგებაშვილი ქართველი ხალხის წმინდანია.

ამიტომ ვკითხულობთ მის „დედა-იანას“ ახლაც ასეთი გატაცებით და ეხიბულებით მისი კეთილშობილებითა და უპირეტუნო სისადავით.

და, როცა ამ წიგნს, წიგნს კი არა, უძვირფასეს განსს, წაიკითხვის შემდეგ გვერდზე გადასდებ, უნებლიედ ეკითხები თავს: რით არის ეს წიგნი ასე მტკიცედ შერკინულ-შედუღებულ? და ჩვენი პასუხი ერთია: ეს ვარდისფერი წიგნი ქართველი ხალხის დიად სუნთქვასთან ერთად იაკობ გოგებაშვილის კეთილშობილი სულით არის გამთბარი და ის მუდამ განუყრელი წიგნი იქნება არა მხოლოდ ქართველ ბავშვებისათვის, არამედ მათი მშობლებსთვისაც.



აკაკი ბელიაშვილი მებრძოლი მემოქმედი

როდესაც მსოფლიო ლიტერატურის კორი-
ფეებს ვახსენებთ, არ შეიძლება, რომ პირველ
რიგში ლევ ტოლსტოი არ იქნეს დასახელებუ-
ლი. და, მართლაც, არც ერთ მწერალს ისე
არ გაუყვირებია მსოფლიო თავისი ნამდვილად
ჯადოქრული შემოქმედებით, როგორც ტოლს-
ტოის. მის სახელს მოწიწებით იხსენიებენ
მომდევნო თაობის უბრაწინეალები წარმომად-
გენლები მწერლობაში. დიდმა შემოქმედმა
ერთდროულად მიაღწია ორ უდიდეს მწვერ-
ვალს — დიდი აზროვნებისა და დიდი მხატვ-
რობისა.

განა შეიძლება შეედაროს მხატვრულ ლიტე-
რატურაში რაიმე ტოლსტოის ფსიქოლოგიზმს,
ტიპებსა და ხასიათებს, მის ფრუ-ფრუს
ხოლსტომერს, მის „კახაყებს“, მის მიერ აწე-
რილ ბატალურ სცენებს, გამოძერწილ ხასია-
თებს, ანა კარენინას შეხვედრას შეილთან,
ანდრე ბოლკონსკის სიკვდილს ბრძოლის ველ-
ზე, ან „პაჟი მურატში“ დახატულ იმპერატორ
ნიკოლოზ პირველის პორტრეტს?

მიუხედავად თხრობის უბრალოებისა და სი-
სადავისა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთნაი-
რი სიმშველით წერდა როგორც პლატონ კა-
რაბაევზე, ასევე იმპერატორ ნაპოლეონზე,
ტოლსტოი იყო უდიდესი ენებათაღელვის მწე-
რალი. იგი არ იყო ყოფის აღმწერელი და
არ ჩეკეტოდა იასნაია პოლიანას მიდამოში,
მისი შემოქმედების დიაპაზონი ისევე ვრცელი
იყო, როგორც რუსეთის ველები. საიდან სად
და რას არ გადაწვდა მისი მხატვრული კალა-
მი. რით არ უნდა განგვიცვიფროს მისმა ოს-
ტატობამ. გავიხსენოთ თუნდაც კაცისმკვლედი
ევგორკა, როცა ის სიბრძნელოთ ეპყრობა
ლამის ფარვანებს, სანთლის ალზე რომ ფრთებს
იწვევენ, თავისი უხეში ხელებით სათითაოდ

აზიდებს მათ ამ ალს და სიყვარულით ეუბნე-
ბა უმწეო მწერებს: „სულელნო, სად მიდი-
ხართ, სად მიდიხართო“. ან გადახედოთ ტოლ-
სტოის მიერ შედგენილ ბოროდინოს ბრძოლის
სტრატეგიის ანალიზს, სადაც ეს უბაღლო მწე-
რალი იწენს სამხედრო საქმის ისეთ ცოდნას,
რომლის ბაღალს მგონი თვით კლაუზევიცის
ნაშრომებშიაც კი ვერ იხილათ. ან მოვიგო-
ნოთ მის მიერ აწერილი მშობიარე ქალის
მიერ განცდილი ტკივილები... მაგრამ რამდენი
ერთი უნდა ჩამოეთვალათ. ყოველი თავი
მისი ნაწარმოებისა — ესაა საოცრებათა მომა-
ჯადოვებელი პანორამა.

ცხოვრებაში ღრმად ჩახედული ეს დიდი
მწერალი, სხვათაშორის, ცდილობდა სახელ-
მწიფო ძალაუფლების შეინარსი ამოეხსნა. ამ
საკითხს მრავალი სტრიქონი მიუძღვნა თავის
ნაწარმოებებში. მართალია, მან ვერ შეძლო
გაეცა სრულყოფილი პასუხი ამ უძნელეს
საკითხზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი „ოზი
და მშვიდობა“ თითქმის მთლიანად ამ პრობ-
ლემისადმი მიძღვნილი, მაგრამ ტოლსტოიმ
შეძლო ყველაზე ნათლად, ქვეშაირი დიდი
ოსტატის ხელით, მთელი სიძლიერით დაესვა
საკითხი ძალაუფლების არსის შესახებ, დაესვა
კითხვა თუ რაში მდგომარეობდა საიდუმლოე-
ბა ისეთი მოვლენისა, როდესაც ერთი ადამი-
ანის, ნაპოლეონის, ბრძანებით ექვსასი ათასი
ადამიანი სისიკვდილო ბრძოლაში ჩაება და
რუსეთის ველებზე თავი დასტოვა. ტოლსტოის
აზრით, ადამიანს აქვს ორგვარი ინსტინქტი,
ინდივიდუალური და გუნდური, ისევე რო-
გორც ეს ფუტკარს ან ცხვარს აქვსო. მაგრამ
ტოლსტოის არ სწამდა პიპრეტსა, რომ ნების-
ყოფათა ერთობლიობა თითქო გადადიოდა
ისტორიულ პიროვნებაზე. ისტორიის მავალი-

თები ამას არ გვიდასტურებსო. „ძალაუფლება არის მასების ნებისყოფათა ერთობლიობა, ამ მასების მიერ არჩეულ მმართველებზე გადატანილი, გამოთქმული ან გამოუთქმელი თანამობით“ — ასე განსაზღვრავს საპარტიო მენიერება (ე. ი. მაშინდელი ბურჟუაზიული სოციალოგია — ა. ზ.) ძალაუფლების არსს, ამაზბის ტოლსტოი და არ მიიხსენებს ამას დამაკმაყოფილებელ პასუხად, რადგანაც, მისი აზრით, „რანაირი მოვლენაც არ უნდა მოხდეს, ვინც არ უნდა მოექცეს ამ მოვლენის სათავეში, თეორიის ყოველთვის შეუძლია გვიპასუხოს, რომ ასეთი პიროვნება მოექცა მოვლენების სათავეში იმტომ, რომ ნებისყოფათა ერთობლიობა მასზე იქნა გადატანილი“.

თანამედევრული ანალიზის შემდეგ ტოლსტოი დააკენის რომ: „ისტორიულ პიროვნებებზე მასათა ნებისყოფის გადატანის თეორია არის პერიფრაზა — კითხვის გამოთქმა სხვა სიტყვებით“.

ტოლსტოი ამბობს, რომ ძალაუფლება შეიძლება დავამგვანოთ კონუსს. ამ კონუსის საფუძველთან დგანან ის ადამიანები, ჯარისკაცები, რომლებიც თავისი ხელით ქმნიან ისტორიულ მოვლენებს, შრომობენ, იბრძვიან, თავს სწირავენ საქეს. მათ ზემოთ, მეორე ფენაში, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც კიდევაც ასრულებენ ნაწილობრივ შრომა-ბრძოლის საქმიანობას, მაგრამ გაცილებით ნაკლები ოდენობით, ვიდრე ჯარისკაცები და მათ მიცემული აქვთ უფლება უბრძანონ ამ ჯარისკაცებს. ესენი დაბალი რანგის უნტერ-ოფიცრობაა, მათ ზემოთ ოფიცრებია, რომელნიც უკვე ამ სერჟანტებს უბრძანებენ, ოფიცრებს ზემოთ — გენერლები, რომლებიც მარტო ბრძანებებს იძლევიან და ყველას თავზე ზის მთავარსარდა-

ლი თუ მბრძანებელი, რომელიც უშუალოდ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს პირდაპირ მოქმედებაში და მხოლოდ იძლევა საერთო განკარგულებებს.

„...ამგვარად, ჩვენ ვხედავთ კანონს, რომლის მიხედვით ადამიანები რაიმე შეთანხმებული მოქმედებისათვის ერთიანდებიან ყოველთვის იმგვარი შეფარდებით, რომ რაც უფრო უშუალოდ მონაწილეობენ ისინი მოქმედების ქმნილებაში, მით უფრო ნაკლებად შეუძლიათ მათ ბრძანებები გასცენ, მით უფრო მეტია მათი რიცხვი: და რაც უფრო ნაკლებია მათი მონაწილეობა პირდაპირ მოქმედებაში, მით უფრო მეტი მბრძანებლობის უფლებით სარგებლობენ ისინი და მით უფრო ნაკლებია მათი რაოდენობა. აი, ეს დამოკიდებულება მბრძანებელ პიროვნებათა იმათთან, რომელთაც ისინი უბრძანებენ, ქმნის ცნების იმ არსს, რომელსაც ძალაუფლება ეწოდება“.

ცხადია, ეს მეთად სქემატური გაშიფრვა ძალაუფლების არსისა ვერ ამოწურავს საკითხს. ტოლსტოი ამ შემთხვევაში გვერდს უვლის მეცნიერულ შეხედულებებს ამ პრობლემაზე, კერძოდ მარქსისტულ შეხედულებებს. მაგრამ დიდი მწერალი საკითხს უდგება როგორც მხატვარი და ხელოვანი, იგი ცდილობს ინტუიტურად ჩაწვდეს საკითხის არსს და ბევრს არსებითად დამაფიქრებელ აზრს გამოთქვამს.

ტოლსტოი იყო დიდი მეამბოხე და მეზამთრი მწერალი, რომლის წინაშე ქედს იხრიდნენ არა მარტო უბრალო ადამიანები, არამედ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. თავისი შემოქმედებით მან გაარღვია თვალუწყუნელი რუსეთის საზღვრები და ეს შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის საკუთრებად აქცია.





პოლის ბახვაძე

ლევ ტოლსტოის ლიტერატურულ-მსთეპიკური მრწამსი

ლევ ტოლსტოის მხატვრულ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნააზრევს. თუმცა ლ. ტოლსტოი არ თვლიდა თავს ხელოვნების თეორეტიკოსად, იგი ყოველთვის ფიქრობდა ხელოვნების თეორიულ პრობლემებზე და მას, როგორც გენიალურ მხატვარ-რეალისტს, მუდამ აღუვლებდა ისეთი საკითხები, როგორიცაა ლიტერატურისა და ხელოვნების ხალხურობა, იდეურობა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მხატვრის მსოფლმხედველობა, სინამდვილისადმი ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება, შემოქმედების ფსიქოლოგია, მხატვრული ნაწარმოების შინაარსი და ფორმა, ენა და კომპოზიცია, საკუთრივ ლიტერატურული შრომის თავისებურებანი (მხატვრული შთანაფიქრის წარმოშობა, მასალის დავრობება, ნაწარმოებზე მუშაობის პროცესი და ა. შ.), მხატვრული კრიტიკის მნიშვნელობა. ამ მხრივ ლ. ნ. ტოლსტოი აგრძელებს რუსული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს, ლიტერატურისა, რომლის ბევრი წარმომადგენელი მხვილი კრიტიკული მსჯელობის უნარით იყო აღჯილდოებული, თუმცა არ მიეკუთვნებოდა პროფესიონალ კრიტიკოსთა რიცხვს. მოვიგონოთ თუნდაც პუშკინის კრიტიკული შემოქმედება, გოგოლის წერილები ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, ტურგენევის „დონ კიხოტი და პამლეტი“, გონჩაროვის „ენგებათაღელვება მილიონი“, ჩეხოვის ჩანაწერები და გორკის ბრწყინვალე გამოსვლები. ტოლსტოიც ამ მიმართულებით არ წარმოადგენდა გამონაკლისს. შემთხვევით როდი აღნიშნავდა იგი, „ლიტერატურული ტალანტის ერთ-ერთ მთავარ თვისე-

ბას შეადგენს კრიტიკული მსჯელობის უნარი“. შეიძლება ითქვას, რომ პუშკინის შემდეგ არცერთ რუს მწერალს არ გამოუვლინებია ისეთი სიმდიდრით ესთეტიკური და კრიტიკული მსჯელობის უნარი, როგორც ლევ ტოლსტოის. ამიტომ მის წერილებსა და თეორიულ გამოცდებს, შილერისა და გოეთეს ნააზრევის მსგავსად, განსაკუთრებული ადგილი ენიჭებათ ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში.

ლ. ნ. ტოლსტოის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი მოცემულია ტრაქტატებში „რა არის ხელოვნება?“ და „რაღა ექნათ?“, წერილებში „ხელოვნების შესახებ“, „შექსპირისა და დრამის შესახებ“, ა. პ. ჩეხოვის, გი დე მოპასანის, ვილჰელმ ფონ პოლენცის შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილებში, გაბნეულია მწერლის თხზულებათა „აიუბილიყო“ კრებულის 90 ტომში (მისი პირველი ტომი გამოვიდა 1928 წელს ტოლსტოის დაბადების 100 წლისთაზე), დღიურებში, მემუარებში, ცალკეულ მხატვრულ ნაწარმოებებში („ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“, „ალღომა“, „განათლების ნაყოფები“, „პაჟი მურატი“, „ლუცერნი“, „ალბერტი“ და სხვ.).

ჯერ კიდევ თავისი მხატვრული შემოქმედების გარიყარაზე, XIX საუკუნის 50-იან წლებში, ლ. ნ. ტოლსტოიმ ნაწყვეტში „რისთვის წერენ ადამიანები“, დააყენა საკითხი მხატვრული შემოქმედების დედაზრის შესახებ, ხოლო 1851 წლის დღიურში 23 წლის ბელეტრისტს მოჰყავს ფრანგი რომანტიკოსი მწერლის ლამარტინის აზრი იმის შესახებ, რომ ხალხს არა აქვს თავისი ლიტერატურა და

არც ექნება, ვიდრე საკუთრივ ხალხისათვის არ დაიწყებენ წერას (ამ აზრს შემდეგში, 80-90-იან წლებში უკიდურესობამდე განავითარებს თვითონ ტოლსტოი). მას შემდეგ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ტოლსტოი დაინტერესებულ იყო ესთეტიკური პრობლემატიკით, ამასთანავე მას, გასაოცარი ერუდიციის ადამიანს, მხედველობიდან არ გამოჩენია რუსული და მსოფლიო ლიტერატურის არცერთი ძველი და ახალი მოვლენა, მათ შორის ნატურალისტური და დეკადენტური ხელოვნება; ამ უკანასკნელის მძაფრი და მიუდგომელი კრიტიკა ერთმა პირველთაგანმა მოგვცა მან, ავტორმა ტრაქტატისა „რა არის ხელოვნება?“.

ჩვენი წერილი, რა თქმა უნდა, მოხმად ვერ დაისახავს ლ. ნ. ტოლსტოის ლიტერატურულ შეხედულებათა ყოველმხრივ გაშუქებას. მისი მიზანია მიუთითოთ მწერლის ესთეტიკისა და კრიტიკის როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებზე ვ. ი. ლენინის გენიალური მითითებათა შეუქმნადობა მოცემული მისი წერილებში ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ, შეძლებისდაგვარად ავსხნათ მისი შეხედულებათა თანამედროვე მნიშვნელობა.

ვ. ი. ლენინის მითითებით, ლ. ნ. ტოლსტოი-მხატვარმა ასახა რუსეთის ცხოვრების ის პერიოდი, რომელსაც მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში ვუწოდებთ პირველი რუსული რევოლუციის მომზადების ხანას (1861—1905), გადავვიშალა თავის მხატვრულ სტილში ის მოვლენები და პროცესები, რაც ახლდა კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში. ლ. ნ. ტოლსტოის თანამედროვენი იყვნენ გლეხური რევოლუციის იდეოლოგები ნ. გ. ჩერნიშევსკი და ნ. ა. დობროლუბოვი, რომელთა თეორიულ მოღვაწეობაშიც (კერძოდ, ლიტერატურულ-ესთეტიკურ მოძღვრებაში) აისახა ამ რევოლუციის მოთხოვნები. რევოლუციური დემოკრატიზაციდან განსხვავებით, ლ. ნ. ტოლსტოიმ თარჯოვ ეს რადიკალური თვალსაზრისი. მართალია, იგი განუდგა თავის წოდებას, რუსეთის პრივილეგიურ წრეებს, მრისხანე პროტესტანტის ჰმა აღიმაღლა მისი თანამედროვე წყობილებასა და ცივილიზაციის წინააღმდეგ, მაგრამ, ამასთან ერთად, ცხადია ისიც, რომ ლ. ნ. ტოლსტოი გადავდა პატრიარქალური გლეხობის პოზიციებზე, გამოხატა მისი სიძლიერე და ჩამორჩენილობაც, შეიძლება ითქვას, პირდაპირი რეაქციულობაც თავის ეთიკურ-რელიგიური შეხედულებებით. რამაც დადი დასვა მის ესთეტიკურ მრწამსსაც.

.... ტოლსტოის ნაწარმოებებში გამოიხატა სწორედ გლეხთა მასობრივი მოძრაობის ძალაც და სისუსტეც, ძლიერებაც და შეზღუდულობაც... რევოლუციამდელი რუსეთი, რომლის

სისუსტე და ძლიერება გამოიხატა გენიალური მხატვრის ფილოსოფიაში.

...ტოლსტოიმ ვერც თავისი მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ საფუძვლებში და ვერც თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძღვრებაში სწორედ სინთეზი ვერ მოახმა, უფრო სწორად: არ შეეძლო მოენახა¹.

ვ. ი. ლენინის ეს შენიშვნები იძლევა „რუსეთის მიწაწყლის დიდი მწერლის“ (ი. ს. ტურგენევი) ესთეტიკური ნააზრების გასაღება. მისი მეცნიერულ-ისტორიული გარკვევა შესაძლებელია, თუ დავინახავთ ლ. ნ. ტოლსტოის კავშირს რუსეთის პატრიარქალური გლეხობის თვალსაზრისთან, გავეცეთ იმას, რომ ტოლსტოი თავის ფილოსოფიურ და ესთეტიკურ შეხედულებებში ვერ პოულობს სინთეზს, ჰშირად არღვევს ისტორიულ თვალსაზრისს და მიმართავს განყენებულ, ზოგად კეშმარიტებებს, „მსოფლიო სულს“, რელიგიას, რაც ხელს უშლის მას ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთმიმართებას რევოლუციურ-მეცნიერულ გარკვევაში, კლასიკური მეშვიდრობის, კერძოდ, შექსპირის დრამატურგიის ჯეროვან შეფასებაში. ეს გარემოება გაპრობებული იყო ტოლსტოი-ესთეტიკოსის იმ უკიდურესობით, რომლის შესახებაც მისთვის ჩვეული ნატიფი მახვილგონიერებით წერს ა. ვ. ლუნაჩარსკი, როცა ამბობს, — ტოლსტოი ერთნაირი ღვარძლით აღწერდა როგორც ეკლესიაში მღვდლის მიერ ლითურგიის შესრულებას, ისე დიდ თეატრში ოპერის წარმოდგენას.

ლ. ნ. ტოლსტოის ესთეტიკურ აზროვნებაში მაინც ყველაზე უფრო დაძაბული ხანაა 80-900-იანი წლები, როცა ცნობილი „აღსარების“, „რა არის ჩემი რწმენა?“ და „რაღა ექნათ?“ გამოქვეყნების შემდეგ². ლ. ნ. ტოლსტოი გადავიდა რუსეთის პატრიარქალური გლეხობის თვალსაზრისზე და ამ პოზიციებიდან ადასტავდა მოვლენას, მათ შორის ხელოვნებასაც. ამ პერიოდში გამოთქვა მწერალმა თავისი ყველაზე უფრო რადიკალური აზრები ხელოვნების ხალხურობის შესახებ. მხატვრულ რეალიზმთან ერთად ხალხურობა მიაჩნია ტოლსტოის ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად და ამიტომ არ უნდა გავგავიკრიფოთ ზემოთმოყვანილმა დაქმამ, რომ ტოლსტოიმ თავისი ფიქრები შემოაჩვიდა დაიწყო სწორედ დღიურში ლამარტინის პიტყვების ჩაწერითა და ანალიზით.

ტოლსტოი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ხელოვნება არის სინამდვილის ასახვა და თავისი არსობით საზოგადოებრივი მოვლენაა. ეს აზრი

¹ იხ. „ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ“, გვ. 82, 104, 107, 110, 116 და სხვ.

არის ჩაქსოვილი უკვე ხელოვნების არსის ტოლსტოიკულ განსაზღვრად, რომელიც მოცემულია სათაურში „თა არის ხელოვნება“¹. ტოლსტოი ხელოვნებაში ხელაღს ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ პირობას, ადამიანთა შორის ურთიერთობის საშუალებას, როცა ხელოვნების აღქმელი ამყარებს ურთიერთობას ხელოვნების ნაწარმოების წარმოქმნელთან, ასევე ყველა იმასთან, ვინც უკვე აღიქვა, ან აღიქვას ამ მხატვრულ შთაბეჭდილებას.

„ხელოვნება თქვენივე ზუსტად ისევე, როგორც სიტყვა, რომელიც გადაგვცემს ადამიანების აზრებსა და გაოცებულებას. ურთიერთობის ამ საშუალების თავისებურება, რომელიც ანსხვავებს მას სიტყვის საშუალებით ურთიერთობისაგან, იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვით ერთი ადამიანი მეორეს გადასცემს აზრებს, ხოლო ხელოვნების მეშვეობით ადამიანები ერთმანეთს გადასცემენ თავიანთ გრძნობებს... გამოიწვევს შენს მიერ უკვე გრძნობილ გრძნობა და ამ გამოწვევისას, მოძრაობის, ხსენების, საღებავების, ბგერების, სიტყვით გამოხატული სახეების მეშვეობით გამოხატო ეს გრძნობა ისე, რომ სხვებმაც განიცადონ იგივე გრძნობა, — ამით გამოიხატება ხელოვნების ზემოქმედება. ხელოვნება არის ადამიანის მოქმედება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ადამიანი შეგნებულად, გარკვეული გარეგნული ნიშნებით სხვებს გადასცემს თავის მიერ განცდილ გრძნობას, ხოლო სხვა ადამიანებს გადაეღება ეს გრძნობები და ისინიც განიცდიან მათ“¹.

გ. პ. პლესნაოვი თავის ცნობილ „უმისამართო წერილებში“ თითქმის იმთავითვე გამოეხმაურა ლ. ნ. ტოლსტოის ნაშრომს, აღნიშნა ხელოვნების მოცემული განსაზღვრების ცალმხრივობა, მიუთითა, რომ არსებობა თვითონ პოეზიისა, რომლის იარაღიც სიტყვაა, ამტკიცებს იმას, რომ ხელოვნებით გამოიხატება არა მარტო გრძნობები, არამედ აზრებიც, აქვე სამართლიანობა მოითხოვს შევნიშნოთ, რომ ტოლსტოი როგორც თეორიანში, ისე მხატვრულ პრაქტიკაში არ აღდა ამ ცალმხრივ თვალსაზრისს, განიხილავდა ხელოვნებას როგორც გრძნობისა და გონების ერთიანობას და შემაჯამებელი იყო დღევანდელი თეორიის განსაზღვრა.

ტოლსტოის ტრაქტატს მტრულად შეხედენ რევოლუციონერები, დეკადენტები, (პეტრენინი, გ. სოლოვიოვი, ფრანც სარ სელადანი, რომელმაც მთელი წიგნიც კი დაწერა მის წინააღმდეგ), ხოლო ტოლსტოის მიერ „საბატონო ხელოვნების“ კრიტიკამ გამოიწვია თანაგრძნო-

ბა ბერნარდ შოუსი და რომენ როლანისა, რომელიც შემდგომ წერდა:

„მე ვანიჭებდი ტოლსტოის მკაცრი კრიტიკა, რომელიც პრივილეგიებული საზოგადოებისა და ხელოვნების წინააღმდეგ იყო მიმართული“¹.

ტოლსტოის ესთეტიკურ მოძღვრებას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია მწერლის „ესთეტიკური კოდექსის“ ძირითად პრინციპებში გარკვევა.

ტოლსტოიმ უარყო ესთეტიკა, როგორც შეზღუდული „მეცნიერება მშენებლების შესახებ“ — ასე განსაზღვრავდა მას ტრადიციული ესთეტიკა. ცნობილია, რომ ასევე უარყოფითად მოეკიდა ესთეტიკის დიმიტრი პისარევი (იხილეთ მისი „ესთეტიკის დამსხვრევა“), მაგრამ ტოლსტოიმ სრულიად როდი იღო ხელი ხელოვნების ფილოსოფიიდან, მან მიუთითა, რომ ხელოვნება არის „ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი პირობა“ და მისი სფერო გაცილებით უფრო ფართოა მშენებლების სფეროსთან შედარებით. მხოლოდ ამის შემდეგ იძლევა იგი ხელოვნების არსის თავის საყოფიერ შემოთმთავრებლად განსაზღვრას, სადაც მიუთითებს, რომ ხელოვნებას თავისი გრძნობად-კონკრეტული ხასიათის მეშვეობით აქვს „გადამდები“ თვისება. თუკი ხელოვნებას გააჩნია ასეთი ძალა, ამბობს ტოლსტოი, აუცილებელია გავაჩიროთ ერთმანეთისაგან „კარგი“ და „ცუდი“ ხელოვნების ნაწარმოებები. ლ. ტოლსტოის მთელი ტრაქტატი ამ კრიტერიუმის დადგენის, ხელოვნების არსში გარკვევის მტკიცებულ და დაძაბულ ცდას წარმოადგენს, რომლის დროსაც ღრმავარაუდანი კრიტიკის გვერდით გვხვდება პირდაპირ ნიჰილისტური მომენტები.

დღი მწერალი როდი იყო ხელოვნების უბრალო უარყოფელი. იგი ხომ მთელი მისი ცხოვრების დედააზრს, საკაცობრიო პროგრესის იარაღს შეადგენდა. მაგრამ რელიგიურ-ესთეტიკურმა მომღვრებამ დააჩაღუნა ტოლსტოის კრიტიკის მხვეილი და მძალი, ქეშმარიტი ხელოვნების კრიტერიუმად „თავისი დროის რელიგიური შეგნების გამოხატვა“ აღიარებინა. რელიგიური იდელების უარყოფის გამო ტოლსტოი თვითონ უარყოფს „ხელოვნებათა და მეცნიერებათა აღორძინების“ ხანას, ეგრძოდ, შექსპირის დრამატურგიას, კლასიკური ხელოვნების ბევრ სხვა ნიმუშს იგი უწოდებს „უხეშ, ველურ და უაზრო ნაწარმოებებს“¹). სოფოკლეს, ევრიპიდეს, ესქილეს, არისტოფანეს, დანტეს,

¹ ლ. ნ. ტოლსტოი ლიტერატურის შესახებ. ბ., 1955, გვ. 355—357.

¹ რომენ როლანი. ახალი სამყაროს დასაცავად. ლ., 1932, გვ. 99.

ტასოს, მილტონის, შექსპირის, მიქელანჯელოს, არაფალს, ბახს, ბეთოვენს, რომ აოფერო არ ვთქვით იბსენზე, მეტერლინზე, ვერლენზე, ვაგნერზე, ბრამსზე, ლისტზე, რიხარდ შტრაუსზე!... თავის საკუთარ წარმატებებსაც კი ტოლსტოი არ ინდობს და ასევე აცამტყვრება, აყუთუნებს რა მათ „ცუდ ხელოვნებას“.

ტოლსტოიმდე მსოფლიო ლიტერატურაში ცივილიზაციას ასეთი მაკერი კრიტიკული მსჯავრი გამოუტანა ჟან-ჟაკ რუსომ, რომლის თაყვანისმცემელიც იყო ტოლსტოი. რუსომ უარყოფითად უპასუხა დიოონის აკადემიის შეკითხვას, შეუწყო თუ არა მეცნიერებათა და ხელოვნების განვითარებამ ზნეობათა განვითარებას. რუსომ თითქმის დასწრო ტოლსტოის, როცა აღნიშნა — ხელოვნებას და მის მიერ შექმნილ ესთეტიკურ ფასეულობებს მხოლოდ მაშინ აქვთ მნიშვნელობა, როცა ისინი ხალხის მასებისათვის არიან მისაწვდომი. აღშფოთებული იმით, რომ სოციალურ უთანასწორობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ხელოვნების ნაწარმოებებს მხოლოდ „ზემო ფენები“ ითვისებენ, რუსო ერთ წერილში თეატრის შესახებ მოითხოვდა, ხალხსაც მოეპოვებინა მხატვრული ნაწარმოებების შექმნისა და ტიპობის უფლება; მისი ხელოვნების იდეალი დაკავშირებული იყო განათვისუფლებულ საზოგადოებასთან¹. მაგრამ რუსოს მოძღვრებაში იყო რეაქციულ-უტოპიური, ანტიისტორიული მოთხოვნები: „დავუბრუნდეთ ბუნებას“, უარყოფით ხელოვნების ის ფორმები, რომლებიც უშუალოდ ხალხის ფორიდან არ გამოსულან.

ტოლსტოის ბევრი რამ აერთიანებს რუსოსთან. იგი ზედვს, რომ ბერეჟუხილი საზოგადოება მტრულია ხელოვნებისადმი, ისიც აიღვალეს პატრიარქალობას, არ ესმის რომ თავისი ობიექტური მნიშვნელობით სახალხო ხელოვნების დიადი ნაწარმოებები, რადგანაც ეპოქის მართლად ასახვის მეოხებით იქნინ ისტორიულად სახალხო მნიშვნელობის სიმღელვამდე აღიან. ტოლსტოის ესთეტიკაში ხანდახან პრიმიტივამდე დასვლის მოწოდებაც კი გაისმის — „ვისწავლოთ წერა გლეხის შვილებისაგანო“. მაგრამ ტოლსტოის ესთეტიკა წინააღმდეგობრივია ისევე, როგორც მთელი მისი მსოფლმხედველობა, მწერალი საბოლოო ანგარიშში ვერც კი ელევა ხელოვნების დიად ქმნილებებს.

ამის ნავალითა ტოლსტოის დამოკიდებულება შექსპირისადმი, კერძოდ, ცნობილი წერილი „შექსპირისა და დრამის შესახებ“, ლ. ტოლსტოის ამ ნაშრომში გამოკრთის თავისებური „ლოგიკური ლოგიკა“. ტოლსტოის არგუმენტაციას თითქმის ვერაფერი ვერ უძლევა, როცა იგი ესოდენ დაუნდობლად თავს ესხმის „მეფე ლირისა“ და „ჰამლეტის“ ავტორს, შექსპირის გენიალური ფუნჯით შექმნილ გმირთა მთელ გალერეას. ტოლსტოი მართლაც შენიშნავს ბევრ შესაბამიბას შექსპირის დრამებში, მაგრამ მისი მამფტი კრიტიკა ვერ წვდება შექსპირის ჰუმანურ სულისკვეთებას, რეგისასნულ შეგამოებას და ამდენად ნაძალადეგია, ტენდენციური. ტოლსტოის კრიტიკაში ელინდება ანტიისტორიზმი, რომელიც მოგვაგონებს პისარევის მიერ პუშკინის კრიტიკას. იგი ზოგადი რელიგიური ჰუმანიტების შეუქმნა ეყამათება შექსპირს, უყენებს მას „არისტოკრატიზმისა“ და „ურელიგიოზისა“ ბრალდებებს. ცხადია, რომ ტოლსტოის ამ წერილში გამოთქმული კრიტიკა ვერ უძლებს დროის გამოცდას, რომელსაც გაუძლო შექსპირმა და „ისინაია პოლიანას პატრიარქი“ ამოდ შეეცადა მოეგლოჯა „დრამატული პოეტების შეფის“ (ბ. ბელისკი) თავიდან მისი მოელვარე გვირგვინი¹.

აქვე შევნიშნავთ, რომ ასეთი არ იყო ლ. ნ. ტოლსტოის საბოლოო მსჯავრი შექსპირის შესახებ. თვითონ წერილში „შექსპირისა და დრამის შესახებ“ (1903 წ.) კრიტიკოსი აღიარებს შექსპირის დიდ უნარს „გამოხატოს ადამიანის გრძნობათა მოძრაობა“ და მისი პიესების „მკაფიო სცენურობას“. უფრო ადრე იგი პირდაპირ ურჩევდა მოსკოველ მახიობს ტ. სელივანოვს ეჩვენებინა „უბრალო ხალხისათვის შექსპირი“, ხოლო ბ. გოლდენვეიზერის შემუარებაში „შექსპირის უარყოფელი“ მწერალი ამბობს:

„დრამამ კი არ უნდა მოგვიტხროს ადამიანის მთელი ცხოვრების შესახებ, არამედ მან უნდა ჩააყენოს იგი ისეთ ვითარებაში, შეკრას ისეთი კვანძი, რომლის გახსნისას იგი სრულიად გამოთქვამს ყოველივეს. აი მე უფლება მივეცი ჩემს თავს გაშეკება შექსპირი. მაგრამ მასთან ხომ ყოველი ადამიანი მოქმედებს და ყოველთვის ნათელია, თუ რატომ მოქმედებს იგი სწორედ ასე. მის დროს პოეტი იღენენ წარწერით: მთვარის შუქი, სხალი. და მაღლობა ღმერთს, რომ მთელი ყურადღება მიეყაროს დრამის არსს“².

1 ლ. ნ. ტოლსტოი ლიტერატურის შესახებ, გვ. 364.

2 დასავლეთ ევროპული თეატრის ისტორიის ქრესთომატია. მ., 1956, „ისესტო“, გვ. 358.

1 ლ. ნ. ტოლსტოი ლიტერატურის შესახებ, გვ. 512—548.

2 ბ. გოლდენვეიზერი. ტოლსტოის სიახლოვეს. 1922, ტ. 1, გვ. 90.

ტოლსტოის აზრით, დეკადენტების ხელოვნებას ახასიათებს „ძლიერ უბადრუკი და არართული გრძნობები“ — „სქესობრივი ლტოლვა, სიამაყის გრძნობა, ცხოვრებისაგან მოწყენა“, მეტად ღარიბი ფილოსოფია, ფორმალიზმი, უიდეო „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. დეკადენტების გამოსვლა ადიქტებინებს ტოლსტოის, რომ მისმა თანამედროვე ხელოვნებამ დაკარგა შინაარსი, ფორმის სიღამაზე, გულწრფელობა, გახდა მონაგონი; მასში გავრცელდა გადმოღება, მიმბაძველობა, გაკვირვება და თავშეკცევა; უაზრო მშვენიერება კი შეუძლებელია¹.

„ამ გზით იქმნება, — წერს ტოლსტოი, — უამრავი ეგერეთოდებული მხატვრული ნაწარმოები, რომლებიც, როგორც ყველა ხელოსნური ნამუშევარი, შეიძლება შეუჩერებლად შესრულდეს: საზოგადოებაში ყოველთვის იყო და არის გავრცელებული მოდური აზრები. მოთმინებით ყოველთვის შეიძლება შესწავლო რაღაც ინტერბა და ვიდაცის რაღაც ყოველთვის მოეწონება...“

„აქედან სხება მოზღვაება ნაწარმოებებისა, რომლებიც აცხადებენ ხელოვნების ნაწარმოების პრეტენზიას, მაგრამ ხელოსნური ნაწარმისაგან ისინი განსხვავდებიან იმით, რომ ისინი არა თუ ყოვლად გამოუქადაგებარი, არამედ ხშირად მავნებიც არიან“².

ასე მაკარად აფასება ტოლსტოი რემი დე გურმონის, გუისმანის, ანრი დე რენიეს, ვაგნერის, თეოდორ გოტიეს, მაღარმეს, ზოდერის, ვერლენის, კაპლინგის, პელადანის, პოლ აღანის, მერეკოვსკის, მიწისკის, შესტოვის, ბალმონტისა და სხვათა ნაწარმოებებს. დეკადენტებს ტოლსტოი უპირისპირება კლასიკურ მწერლობას, მაგალითად მოჰყავდა პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ბალზაის, პიუგოს, სტენდალის, ფლობერის, მოპასანის შემოქმედება.

ხალხის ცხოვრება ბევრად უფრო მდიდარია, ვიდრე მოდერნისტი და ნატურალისტი მწერლების შემოქმედება, — ამბობდა ტოლსტოი. ამიტომ იზიდავდა მას ე. პოლენკის „გლეხის“ მსგავსი ნაწარმოებები. ლ. ნ. ტოლსტოი ტრაგიკულად განიცდიდა იმ გარემოებას, რომ ხალხისათვის, მისი ფართო მასისათვის მიუწვდომელი იყო კულტურის მწვერვალები, ლიტერატურისა და ხელოვნების შედეგები. იგი სულითა და გულით ესწრაფვოდა იწერა „შუა მამაკაცებისა და ქალების უზარმაზარი

მასისათვის.“ ამასთანავე თავისი ეთიკურ-რელიგიური მოძღვრებით შეზღუდულ ტოლსტოის არ ესმოდა, რომ არსებულ „ზნეულის ძალის“ დასაბოზად აუცილებელია სოციალისტური რევოლუცია, რომელსაც მწერლობაში გამოხატავდა მისი ახალგაზრდა მეგობარი მაქსიმ გოკი. პირადი მეგობრობის მიუხედავად, ლ. ნ. ტოლსტოიმ ვერ მიიღო გოკის ნაწარმოებები. მათი რევოლუციურ-რომანტიკული პათოსი და „რუსული ცხოვრების ტყუილად მძიმე უმსგავსებათა“ მაშინიღელი რეალიზმი.

ლ. ნ. ტოლსტოის ნააზრევში თვალსაჩინო ადგილი აქვს დთობობი მხატვრული რეალიზმის პრობლემებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტოლსტოი არაუხსტად ხმარობს ტერმინ „რეალიზმი“ (ეს უნდა აიხსნას მაშინდელი ლიტერატურათმცოდნეობის სუბტი განვითარებით), ხმარობს მას ნატურალისტური ხელოვნების აღსანიშნავად, რომელიც მისი აზრით, მეტად ზერეულ და ზედაპირულია.

ტოლსტოი დიდ მოთხოვნებს უყენებს რეალისტ მხატვარს, რათა დაარწმუნოს იგი მწერლის პასუხისმგებლობაში საზოგადოების, ხალხის წინაშე. მისი ღრმა რწმენით, „ვერავითარი მხატვრული ნაკადი ვერ განთავისუფლებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისაგან“. თუკი ხელოვნება არის საზოგადოებრივი მოვლენა, მაშინ მან თავისი გარკვეული მსჯავრიც უნდა გამოიტანოს ცხოვრების მოვლინებზე. ეს საკითხი ერთხანს საღაოდ მიაჩნდა მწერალს. ადრე, 60-იან წლებში, ტოლსტოი ერთმანეთს უპირისპირება ხელოვნებასა და პოლიტიკას, სკეპტიკურად ეყიდებოდა რუსული ლიტერატურის კრიტიკულ-მამხილებელ „გოგოლისეულ მიმართულებას“, მაშინ იგი კიდევაც გაემიჯნა ჯერნალ „სოცრემენიკის“ ხაზს. 80-90-იან წლებიდან, ლ. ნ. ტოლსტოი თვითონ ხდება მაშინდელი რუსეთის ცხოვრების ყველაზე უფრო პირშეუფერავი მამხილებელი, მაგრამ მის „მსჯავრმდებლობას“ ბოროტებს მწერლის ქრისტიანულ-ეთიკური იდეალები. თუმცა 1909 წელს, გოგოლის ბადების 100 წლისთავზე გამოქვეყნებულ წერილში ტოლსტოი გამოთქვამს აზრს, რომ რელიგია ვერ ფარავს ხელოვნებას, უფრო მეტი, ხელს უშლის რეალისტ მწერალს.

რეალისტური ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ ნიშანდობლივ თვისებად ტოლსტოი მიიჩნევდა მხატვრული ტიპიზიციის პროცესს... იგი აღნიშნავდა, რომ ტიპების შექმნა მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და დიდად აფასებდა ა. პ. ჩეხოვს, როგორც ქეშმარიტ „პოეტ-მხატვარს“, რომე-

¹ ლ. ნ. ტოლსტოი ლიტერატურის შესახებ, გვ. 402.

² იქვე, გვ. 235.



ლიც უტყუარი, უშუალო გრძნობით ავლენდა ტიპებს.

ლევ ტოლსტოიმ განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა რუსული კლასიკური რეალიზმი, შეიტანა მასში „სულის დიალექტიკის“, ადამიანის ფსიქიკური პროცესების ღრმა ცოდნის, გავებისა და მხატვრულად გადმოსახვის ოსტატობა, ეს არ იყო ზიგმუნდ ფროიდის მსგავსი რაღაც ყბადაღებული „ფსიქოანალიზი“. ტოლსტოი-მხატვარი გვიჩვენებს თავისი გმირების, „მდინარის მსგავსი ადამიანების“ ათთოეულ სულიერ მოძრაობას, ღრმად გვახედებს იმათ განცდებში, თითქმის რაღაც ჯგუფის სულიერ მიკროსკოპის ქვეშ წარმოგვიდგენს მათ განცდებს. ტოლსტოის შემოქმედება არის მკაფიო დადასტურება ტოლსტოის აზრისა, რომ ხელოვნება გასაგებად და მისაწოდებლად ხდის იმას, რაც წმინდა მსჯელობის ძნელი ასათვისებელია.

ლევ ტოლსტოისათვის მიუღებელი იყო ყოველგვარი სიყალბე და ძალდატანება. იგი ვერ იტანდა ყალბ მწერლობას, უსაფუძვლო მხატვრულ პრეტენზიებს, როცა ყოველგვარ ნიჭს მოკლებული „ლიტერატორი“ ცდილობს ნაცნობ ფორმებში „ჩაატოს“, „განაახლოს“ რაღაც უბადრუტი, ყბადაღებული შინაარსი და სიტუაციები.

„უნდა წერო, მხოლოდ მაშინ, როცა საკუთარ თავში იგრძნობ სრულიად ახალ შინაარსს, რომელიც გასაგებია შენთვის, მაგრამ უცხოა სხვებისათვის და როცა ამ შინაარსის გამოხატვის მოთხოვნილება მოსვენებას არ გაძლევს“ — რა ძვირფასი რჩევაა ახალგაზრდა (და არა მარტო ახალგაზრდა) მწერლებსათვის!

შინაარსთან ერთად ტოლსტოი არანაკლებ ყურადღებას აქცევდა ფორმის მაღალ მხატვრულობასაც. იგი მიუთითებდა, რომ ჰერმეტიკი მხატვარი ახალ შინაარსთან ერთად ყოველთვის მისი შესატყვისი ფორმის ძიებაშია და მაგალითად მოჰყავდა მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურა — პუშკინი, გოგოლი, ტურგენივი, დონტოვესკი, რომელთა ნაწარმოებების ფორმა, მისი აზრით, იძლეოდა ორიგინალურია, რომ განსხვავდება ევროპულსაგან, ვერ თავსდება რომანის, მოთხრობის, პოემის დაქანონებულ ჩარჩოებში.

ტოლსტოი ამბობს, რომ ასეთ მწვერვალებს მხატვარი მხოლოდ ყოველდღიური, დამატული, დაუღალავი შრომით აღწევს. ასეთი ტიტანური შრომის მაგალითებს იძლევა თვითონ ტოლსტოი, რომელმაც მ-ჯერ გადაწერა „ომი და მშვიდობა“, დავიტივა ასი ათასობით ხელნაწერი ფურცელი, რომანები, მოთხრობები, დრამები, დღიურები, წერილები.

— მე არ მესმის როგორ შეიძლება წერა, თუ ყველაფერი არ გადააკეთე მრავალჯერ,

ამბობდა მწერალი. — მე თითქმის არ მჩვევია დიდი ხნის წინათ დაწერილი ნაწარმოებების გადაკითხვა, მაგრამ თუ შემთხვევით გადავფურცლი, ყოველთვის მეჩვენება, რომ ყველაფერი გადასაკეთებელია. სხვაგან ტოლსტოი შენიშნავს, რომ დაწერილის გადაკითხვისა და სწორების დროს უმთავრესად უნდა იფიქრო არა ჩამატებაზე (თუ ამას არ მოითხოვს აუცილებლობა — აზრის ან ვითარების დაზუსტება, დახვეწა), არამედ წაშლაზე — ზედმეტი, თუნდაც „კარგი“ ადგილების ხარჯზე. მწერლის კულტურაზე მიუთითებს არა მარტო „ცოდნა იმისა, რა უნდა დაწერო, არამედ ისიც, თუ იცი, რა არ უნდა წერო. ვერავითარი გენიალური ჩანამატები ვერ შეძლებენ ნაწარმოების ისე გაუმჯობესებას, როგორც დროულად წაშლილი ადგილები“¹.

„ჩემი ნაწარმოების გმირი, რომელიც მიყვარს მთელი სულითა და გულით, რომლის მთელი მშვენიერებით წარმოსახვას ყოველთვის ვცდილობდი და რომელიც იყო, არის და იქნება მშვენიერი, — ეს სიმართლეა“², — მიუთითებს ტოლსტოი. როდესაც მასთან მოდიოდნენ მხატვრულ ნიჭს მოკლებული ადამიანები, მწერალი ყოველთვის დაუფარავლად ეუბნებოდა მათ სიმართლეს.

ლ. ნ. ტოლსტოი ბევრს და გამუდმებით მუშაობდა. ლიტერატურულ ენაზე. მისი ენა ეყრდნობა საერთო-სახალხო ენის მთელ სიმდიდრეს. ამიტომ მიუთითებდა ვ. ი. ლენინი ტურგენევის, ტოლსტოის, დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკის ენის სიდიადესა და ძლიერებაზე.

ლევ ტოლსტოი არაერთხელ გამოუთქა ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები (მოპასიას, პოლენცის, ჩეხოვის ნაწარმოებების შეფასებით). კრიტიკა მას მიაჩნდა უშუალოდ მწერალსა და მკითხველს შორის, მტრად სერიოზულ და საპასუხისმგებლო საქმედ, საზოგადოებრივი აზრის წარმმართველად და გამომხატველად. მართალია, ტრაქტატი „რა არის ხელოვნება?“ მწერალმა დაუნდობლად გააკრიტიკა მისი თანამედროვე რუსული კრიტიკა, მაგრამ ეს გამოწვეული იყო რეალური ვითარებით — ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და პისარევის შემდეგ ტოლსტოისდრინდელ რუსულ კრიტიკას არ წამოუყვებია დიდი სახელები. ტოლსტოი იმართბო იყო ესოდენ მკაცრი მისი თანამედროვე კრიტიკის მიმართ, რადგანაც იგი ფიქრობდა, რომ „კრიტიკოსების მიერ შექმნილი ყოველი ყალიბი ნაწარმოები არის კარი, რომლიდანაც წამსვე შემო-

¹ ლ. ნ. ტოლსტოი ლიტერატურის შესახებ, გვ. 20.

² იქვე, გვ. 25.

იჭრებიან ხელოვნების ფლიდები“. ამიტომ კრიტიკოსმა მიზნად უნდა დაისახოს „წამოწიოს და მიუთითოს იმ ყოველივე საუკეთესოზე, რაც მოიპოვება როგორც ძველ, ისე თანამედროვე მწერლობაში, ამაღლდეს გასაკრიტიკებელის გაგებამდე და არ ჩავარდეს ისეთ მდგომარეობაში, როცა ამბობენ: „სულელნი განიკითხავენ ბრძენთა“. ხოლო როგორ აფასებდა ტოლსტოი ჰუმბოლტ კრიტიკას, ამაზე ნათლად მეტყველებს მისი დღიურის ერთ-ერთი ჩანაწერი, რომელიც მწერალმა შეიტანა ბელინსკის წაითხვის შემდეგ:

„წერილი პუშკინის შესახებ — საოცრებაა. მხოლოდ ასლა გავიგე მე პუშკინი“¹.

ლ. ნ. ტოლსტოის ლიტერატურულ-ესთეტიკური ნააზრევი არაერთგვაროვანია, იგი ასახავს ჰუმბოლტების ამ დაუცხრომელი მაძიებლის რთულ, მიღწევებითა და შეცდომებით დამძიმებულ გზას. დღეს, როცა ლიტერატურათმცოდნეობაში მოგვეპოვება მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ურყევი საფუძველი, ვ. ი. ლენინის გენიალური მემკვიდრეობა, ჩვენ შეგვიძლია ობიექტურად შევაფასოთ ლ. ნ. ტოლსტოი, დავინახოთ მისი შემოქმედებისა და ეს-

თეტიკის როგორც ნათელი, ისე ჩრდილოვანი მხარეები. ცხადია, ჩვენთვის მიუღებელია ტოლსტოის მიერ კლასიკური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშების უაწყობა, რაღაც „განწმენილი“ ქრისტიანული რელიგიის უმაღლეს კრიტერიუმად აღიარება, გლეხური პრიმიტივების მისაბამ ნიმუშად გამოცხადება, „ბოროტებისადმი წინაღუდგომლობა“ და მოწოდება, რომ ხელწვებას აახოს ის, რაც არ არის ცხოვრებაში — „დროის რელიგიური შეგნების“ შექმნა. მაგრამ ჩვენთვის ძვირფას, მისაღება, „ცოცხალ მემკვიდრეობას“ შეადგენს ლ. ნ. ტოლსტოის ბრძოლა ხელოვნების ხალხურობისათვის, იდეურობისათვის, მხატვრული რეალიზმისათვის, დეკადენტობის კრიტიკა, ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალ ზნეობრივ-საზოგადოებრივი დანიშნულების აღიარება, დაუღალავი შრომა ესთეტიკურ ფასეულობათა შესაქმნელად. ყოველივე ეს შემოქმედებითად უნდა აითვისოს ყველა იმან, ვისაც იტაცებს ხელოვნება, ვინც მოწოდებულია გაიაროს ლევ ტოლსტოის მხატვრული აღზრდის ის მკაცრი და მომთხონი სკოლა, რომელსაც ალექსი ტოლსტოიმ ასე მკაფიოდ და ლაქონურად „ლიტერატურული შრომის აკადემია“ უწოდა.

¹ ლ. ნ. ტოლსტოი ლიტერატურის შესახებ, გვ. 40.





სიმონ ჩიქოვანი

ალექსანდრე აბაშელი

ქართული სიტყვის შესანიშნავი ოსტატის, ჩემი უფროსი მეგობრის ალექსანდრე აბაშელის გარდაცვალება მისი დაბადებიდან სამოცდაათი წლის შესრულების თარიღს დამთავრდა. იგი ორი თვით ადრე ავად გახდა, საავადმყოფოში დაწვა და განზრახულ საიუბილეო საღამომდის ვერ მიაღწია. მართალია, საწუთროში გატარებული სიცოცხლის სამოცდაათი წელი საკმაოდ გრძელი მანძილია, — ამ ხნის განმავლობაში დაბერებაც და დაუძლურებაც სრულიად ბუნებრივია, — მაგრამ ალექსანდრე აბაშელმა სიცოცხლის მიწურულშიც უნაყოლო შეინარჩუნა გრძნობის სიჯანსაღე და გონების ელვარება, საქმისადმი მუყაითობა, შემოქმედებითი შრომის უნარი და მის პოეტურ ხმას დაბერება არ დასტყობია.

„ანთებული ხევისა“ ავტორი თითქო მუდამ თავის ქვეყანას დაჰკანკალებდა და ჩვენი ხალხის ცხოვრებაში რაც ხდებოდა, ყველაფერი გულთან ახლოს მიჰქონდა. იგი მუდამ მიმინოსავით ფეთქავდა და თვალები სიამით უცემიკმებდა. მუდამ ძალზე გახარებული ან ძალზე შეშფოთებული ჩანდა. მის ხასიათში შუალედი განწყობილება არასდროს არ მეღაენდებოდა. შეშფოთება ხშირად იცოდა, მაგრამ ეს შეშფოთება ზოგჯერ უსაფუძვლო გვიჩვენებოდა და იგი უპირველეს ყოვლისა სიხარულის მოციქულად მიგვაჩნდა. გვიყვარდა მასთან ერთად სარდაქციო სამუშაოში ჩაბმა და ხალისიან მუსიკაში დავალების შესრულება. ალექსანდრე აბაშელის განშორება ნაადრევად და საოცრად გულის დამწველი აღმოჩნდა.

ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწილს გულწრფელად უყვარდა ალექსანდრე აბაშელი. იგი ყველას ხიბლავდა თავისი ღრმა ადამიანური თვისებებით და მომხიბლავი გარეგნობით. ვინმეს თვალში რომ ჩავარდნოდა, ხელს არ ამოისვამდა. ყველა სიხარულით ხედებოდა მას

და თვითმულ ჩვენგანს იგი თავის უახლოეს მეგობრად მიაჩნდა. ალექსანდრე აბაშელი იყო ქართული მწერლობის სინდისი, მისი ზნეობრივი სიმართლის მაჩვენებელი. იგი იყო უმწიკვლო და სპეტაკი ადამიანი, ეს ორი სიტყვა — უმწიკვლობა და სისპეტაკე — ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავდა ჩვენი პოეტის შინაგან არსებას და გარეგნულ იერს. გვაღვიანდეს ქუჩაში ისე გაივიღა, ფიორი მტკერიც მის ტანსაცმელს არ მიედებოდა. წვიმაში, ატალახებულ გზაზე თითქო არასდროს ტალახიანი წვეთი არ მიეშხეფებოდა, არც შემოდგომის ქარით მოწვევტილი ფოთოლი და არც ზაფხულის ჰაერში მფრინავი ირმის დორბლი მის არსებას არ ევარებოდა.

იგი ქართული ძველი ტაძრის ფრესკიდან ჩამოსულ მოციქულს მოგავგონებდათ. ქუჩებში გაკვირვებული გამომეტყველებით დადიოდა, ხელთ კევრითი ეპყრა და თითქოს შორეულ უდაბნოში წასვლას აპირებდა. მას მიმზიდვლი ხანდაზმულობა და ქართული სილამაზე ამშვენებდა. ნაზი სახიერება მამაკაცური იერით ჰქონდა შეფერილი და პოეტის სახე შინაგანი ქალით განათებულს ჰგავდა. როდესაც იგი მწერალთა კავშირში შემოდიოდა, გვეგონებოდათ, სულის სანთელი თან შემოჰქონდა და კიბოლი ღიმილი შუქივით წინ მიუძღვოდა. უაღრესად ჰკვიანი, მკვირცხლი გონების ადამიანი იყო. ერთობ ვინებამახვილი. ვნებიანი სიამბარი იყო და ზელების ვადამეტებული კრტიკულობით ნათქვამის სიმართლეში ვეჯერებოდა. საერთოდ, მოზღნეილი სიტყვა-პასოხი ჰქონდა. საუბარი უყვარდა ყოფა-ცხოვრების მოვლენებზე, ბუნების წყობაზე, მეტაფიზიკურ საკითხებზე. პოეზიაზე იშვიათად მსჯელობდა, ღვინოს არ სვამდა, თამბაქოს არ ეწეოდა და ღამეებს არ ათევდა. თითქო არაერთი ზღაირის დარღვევა და ცხოვრების ნაპირების ვადალახვა არ უყარა-

და. მართალია, საუბარში მისი გონება გაჰყრია-
ხობით და სიმკვირცხლით გამოირჩეოდა, მაგ-
რამ საოცარი მამოძრავებელი წამოძახებით იყო-
და, ბევრჯერ გაკვირვებას სწირდა მოულოდნე-
ლი აღტაცება ცელიდან. მისი იმედოვნად პირში-
ნარე სახე საქართველოს შუგის თამაშებოდა.
მაგრამ სწორად ავადმყოფობდა და სიკვდილის
მოახლოებას ქვეცნობიერად გრძნობდა. დავით
გურამიშვილის დარად, სიკვდილის მოახლოე-
ბის საოცრად ეშინოდა და ავადმყოფობის დროს
ლოგინში ვერ ისვენებდა. მაინც ლექსებში
სიკვდილზე ხმას არ იღებდა და პოეზიაში წუ-
სადღეს სიკვდილსაღვლიანობა არ უყვარდა.

ალექსანდრე აბაშელი არ იყო ადვილად შესა-
ცნობი პიროვნება. კეთილი გული ჰქონდა, ერთ-
გული მეოჯახე და თავისებურად მოფხუფეს
ადამიანი იყო. მუდამ მეგობრებზე და ნათესა-
ვებზე ზრუნავდა. არავისაღმე შურისა და უკმა-
ყოფილების გრძნობა არ გააჩნდა. იშვიათად შე-
მხვედრია მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე
სხვისი ბედნიერებით ან სხვისი გამარჯვებით
გახარებული ასეთი ადამიანი. მას ახარებდა არა
მარტო თავისი თაობიდან გამოსული მწერლის
წარმატება, არამედ უმცროსი თაობის მწერალთა
გამარჯვებაც მის სიხარულსა და გულწრფელ
კმაყოფილებას იწვევდა. სხვისი გამარჯვებით
გამოწვეულ აღტაცებას არ მალავდა. იგი იყო
თავდადებული საზოგადო მოღვაწე და ქართული
კულტურის ყველა გამარჯვება საკუთარ გამარ-
ჯვებზე მიიჩნდა. ყურნალო ან გაზეთში თუ
რაიმე გამოქვეყნებულ მასალა მიეწინებოდა,
ტელეფონით დაურეკავდა ავტორს და წარმა-
ტების მიულოცავდა. თვითგული ახალი ტალან-
ტის გამოჩენას იგი სიხარულით ხედავდა. მა-
გრამდნა, როდესაც პოეტი ანა კაიანდამე მწე-
რალთა სახლში პირველად ლექსებს კითხულობ-
და, ალექსანდრე აბაშელი მსმენელთა შორის იმ-
ყოფებოდა, სიხარულით ცას ეწეოდა, ადვილზე
ვერ ისვენებდა, ფეხქადა და აღტაცებას საჯა-
როდ გამოხატავდა. ერთხელ ზაფხულში ლადო
ასათიანი და მე რუსთაველის პროსპექტზე მიე-
დიოდით და წვიმა წამოგვეწია. თავი შევაფარეთ
„ზარია ვოსტოკას“ შერბობს. შესასვლელში
ალექსანდრე აბაშელი დაგვიხვდა, ისიც წვიმის
გადაღებას ელოდა. შევატყვე, რომ ლადოს პო-
რადად არ იცნობდა, მე გავაცანი, — „ას, კაცო,
შენ ხარ ლადო ასათიანი?“ — აღტაცებით წამო-
ყვირა ალექსანდრემ და აციმციმებული თვა-
ლები წრფელი სიყვარულით ახალგაზრდა თანა-
მოკალმეს შეანათა. ამ უბრალო შემთხვევაში
მისი მოსიყვარულე ბუნება ნათლად გამოჰყლი-
ნდა. იგი ასე აღტაცებული შესცქეროდა ვარა-
ზის სხეთან შეჯავფულ სტუდენტებს, ქარ-
თველი ხალხის მომავალს, ბილინის ცას და
საქართველოს მთა-გორებს. განსაკუთრებით
უყვარდა ახალგაზრდობა და ერთ ლექსში

გვეუბნება კიდევ: „წვერის შედეგა მომინდა,
რადგან ქაბუკებთან ასეთი წვერით შეერთება
მეუხერხულებო.“

პოეტი ალექსანდრე აბაშელი მთონხელ
გულს-კაცის ოჯახში დაიბადა და მშრომელი
სოფლის წიალიდან გამოვიდა. მალე თავისი ნი-
ჭის მეშვეობით დაწინაურდა და ჩვენი ხალხის
ცხოვრების ერთ-ერთი სულიერი მესაღმურვე
გახდა. ქართველი ხალხის გულის სიღრმეში ჩა-
იხვდა და ერის სულის საღაროში მრავალი პოე-
ტური მარგალიტი შეიტანა. რომენ როლანი ერთ
წერილში ამტკიცებდა, რომ დემოკრატიის წრი-
დან გამოსულ მოღვაწეებს კეთილშობილება და
სულიერი არისტოკრატიზმი უფრო მეტი გააჩ-
ნიათ, ვიდრე არისტოკრატიულ წრიდან გამო-
სულ ადამიანებს. ამ მოსაზრების საუკეთესო
დადასტურებაა ალექსანდრე აბაშელის პიროვნე-
ბა. მის პოეტურ ბუნებაში მკაფიოდ გამო-
ჰყვოდა დახვეწილი გემოვნება. თავშეკავებუ-
ლი ვნებები და ცხოვრების სუსხში გამოჰყ-
ვებულ სულიერი წესრიგი. იგი იყო კე-
თილშობილებით დასავსე ადამიანი, გრძნობ-
ების გაიაფება და მათი იოლად გაფლანგვა არ
უყვარდა.

განსხვავებით ზოგიერთი თანამედროვე ქარ-
თველი პოეტისაგან, ალექსანდრე აბაშელს სა-
კუთარ ლექსებზე მსჯელობა ტრიბუნაზე თუ
კერძო საუბარში ძლიერ ეუხერხულებოდა. იგი
არ იყო თავისთავზე შეყვარებული პოეტი. მას
უადრესად კდამაშისილი და მოკრძალებული
ხასიათი ჰქონდა და სხვისთვის თავისი შემოქმე-
დების დაძალება არ უყვარდა. შინაგანი თავმო-
ყვარება მას უფლებას არ აძლევდა, მკითხველ-
ზე რაიმე ზეგავლენა მოეხდინა. ყოველგვარი
ჩაზგასმელი პირადულობა მისთვის უცხო
იყო და პოეტური პოზის შერჩევაც საშინაოდ
ეჩითიერებოდა.

შეიძლება ამის შედეგია, რომ აბაშელის პოე-
ზიაში წმინდა რომანტიკული ნაკადი უფრო
ნაკლებია, ვიდრე ტიკიან ტაბიძის, გიორგი
ლეონიძის ან იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში.
ალექსანდრე აბაშელი ლექსს საოცრად ადვი-
ლად თხზავდა, მგონია, რომ მას ლექსების ვარი-
ანტები არ დარჩენია. ლექსებს მოყვითალო
იტალიურ ქალღღებზე წერდა. პოეტის ხელნა-
წერს ნერვულობა არ ეტყობოდა და ქალღ-
ღებზე მრგვალი ქართული ასოები ჩუქურთმები-
ვით ჰქონდა გამოყვანილი, საერთოდ, მას ყვე-
ლაფერი წესრიგში ჰქონდა მოყვანილი და საჭ-
მისაღმე დაუდევარი მოწყობა არ იცოდა. პო-
ეტურ სიჭაბუკეში იგი გატაცებული იყო გან-
ყენებული ფილოსოფიური თემებით, წიგნში —
„მზის სიცილი“ გამოვლინდა სამყაროს წყობის
საიდუმლოში ჩაწვდომის სურვილი და პოეტუ-
რი მსჯელობის მეშვეობით ამ ფილოსოფიური
საქიოთების გარკვევის ცდა. — „მზის სიცილი“

მზე, მთვარე და ვარსკვლავები არა მარტო მეტეორული მოვლენებია და ლექსის გარეგნული სამკაულები, არამედ ეს მნათობები პოეტური ხილვის საგნებია და სიმღერის სათავე. იგი ცდილობდა მათი დახმარებით ჩასწვდომოდა საყვაროს წყობას და სიცოცხლის რაობაც მათივე მეშვეობით განეჭვრიტა. მაინც წიგნში — „მზის სიცილი“ ბევრი სიტყვიერი მასალა ჩახერგული, ახლა ამ წიგნში ბევრი ლექსი გაყვითლებულია, ბევრს აკლია კონკრეტულობა და ლირიკული სიმძაფრე.

ალექსანდრე აბაშელი საოცრად დაუფლებული იყო ლექსის ტექნიკურ მხარეს და შეეძლო ქართულ პოეზიაში ბრწყინვალე ვირტუოზი გამხდარიყო. მაგრამ ჩვენი პოეტი ამ ცდუნებას არ გაჟყოლია. მან კარგად იცოდა, რომ პოეზიაში მთავარია სახალხო ზრახვითა გამოვლენა, ამიტომ მალე მიატოვა ბალმონისებური ლექსის თვითმისწერი ორკესტრირება და ვირტუოზობისაკენ შემჩნეული მიდრეკილება დაიძლია. მისი გულისყური ქართველი ხალხის დრამატულმა ცხოვრებამ მიიპყრო და პოეტურ ქართველი ხალხის ადრინდელი ტკივილების შემაბიანე ვახდა. ჯერ კიდევ „მზის სიცილში“ გახსნიანა ეკი კახტანგ ორბელიანის „იმედს“ და წამოიძახა: „შავი ფიქრი, მწარე ფიქრი მშობელ ერის მომავალზე უნდგეშო ცრემლის მივიღ დამემსხვრევა ღია თვალზეო“. ამ ეროვნულმა ტკივილმა შეიტანა პოეტის შემოქმედებაში მძლავრი დრამატული ნაქადი და გადააჩნია იგი განწყენებულ პოეტურ აზროვნებას, დააშორა არაეროვნულ თემატიკას. — იგი ჩვენი ხალხის გმირული სულის, მისი ბედნიერი დღევანდლობისა და მომავლის მომღერალი გახდა, ქართული კლასიკური პოეზიიდან ნაანდერძევე პოეტურ ზრახვებს მიუბრუნდა და პოეზიაში აკაკი წერეთლის მიერ გაკვალულ სამწერლო გზას დაადგა. ალექსანდრე აბაშელს, ისევე როგორც გალაკტიონ ტაბიძეს, მეცხრამეტე საუკუნის ქართველ პოეტებში ყველაზე მეტად აკაკი წერეთელი ხიბლავდა, არის გადმოცემა, რომ აკაკი წერეთლის ოქროს კლამი გაზეთ „თემის“ რედაქციამ პრემიად „მზის სიცილის“ ავტორს მიანიჭა. ასე იყო თუ ისე, 1915 წელს საჩხერეში აკაკის ცხედარს ახალგაზრდა პოეტების სახელით ალექსანდრე აბაშელი გამოეთხოვა თავისი ცნობილი ლექსით: „ჩვენი ბევრი ვართ შენს კალთაში, შენი ჩანგით გამოზოდილიო“, ხოლო 1944 წელს აკაკი ყიფიასკის მასვე მიმართა ბოწყივალე სტიოთეოთით: „ღდას საუთთეკლო ოუთაოთა თაიავით, ესიო ლექსების ნეეტრითი საყუე.“

თავისი ხალხის ბედი პოეტს დიდხანს აწვალედა, და თუ ადრე შემოთვებით წამოუძახია — „ვაიზე, ჰერება პოეზიის წმინდა სანთე-

ლიო.“ ეს წუთიერი შემოთვება გულწრფელ ხელოვანს დანაშაულად არ ჩაეთვლება. იგი უანგარო პატრონი იყო და მისი მუშა დიდი ქართველი პოეტების ლექსების ნექტარიან საცხსა-ქართველოს ფრავანსავით თავს დასტრიალებდა. ალექსანდრე აბაშელი იყო ზუსტი, მკაფიო პოეტური ფრავის ოსტატი. იგი ხშირად ქრესტომათიული სიზუსტით წერდა ლექსებს და პოეზიაში მაღალ სისადავეს ამკვიდრებდა. უყვარდა ლექსის კლასიკური ფორმა და ძალზე გარანდოლი სტრიქონი.

პოეტმა უბადლო სელოერი ენერგია, ლირიკული სიმძაფრე და ტყეილი სრულყოფილად ე. წ. საყოფაცხოვრებო თემებზე დაწერილი ლექსებში გამოამჟღავნა. ეს ლექსებია: „მამის სიკვდილი“, „პაპაჩემი“, „ბებია“ და „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“. ამ ნაწარმოებებში ავტორის ბიოგრაფიულობა შეუღამაზებლად შექრილია, ეს ბიოგრაფიულობა მძაფრი დრამატუზმის საფუძველია, გაზარული გულის დუდილია თუ გულდამწვარი სიმღერის საფანელი. ავტორის პირადული განწყობილება მოქმედი პირით დატრიალებულია ამ ლექსებში და იგი დიდი ლირიკული სიმძაფრით ვლინდება თვითივე სტრიქონში. ყველა სურათი ტიპურია, ზოგადი და ხალხური, ლირიკულ განცდათა კლასიკურობა შერწყმულია მკაფიო პოეტურ ფორმასთან. მამის და პაპის ტრაგიკული სახეები, მათი ცოცხალი ნაკვთები გამოძერწილია უბადლო მქერწავის მარჯვენიო. წისქვილიდან შინ მობრუნებული ურემი, რომელზედაც აწყვია ფქვილით სავსე ტომარები და ტომარებზე მწოლიარე, ნაბადუწახურული, ათეუბის ალში ვახვეული მომაცდავი მამის ჩვენება თავისებური შემოქმედებითი საოცრებაა, იგი სინამდვილის ზუსტი ანარეკლია და ვანთმეორებელი პოეტური ხილვის ნაყოფია. ეს მართალია დაუთვიწყარი სურათია, ხოლო ჭიჭიპათიან ურემში გაბმული ხარების უბედურების მათუწყებელი ბლავილი ყრუანტელის მომგვრელი ხმაა და ეს ხმა სიკვდილის უჩვეულო გზით გამოცხადების მანიშნებელია.

არანაკლებ მძაფრია და შთამბეჭდავი დმერთზე გამწყრალი პაპა, რომელმაც ზიარება არ მიიღო, ქრისტეს სისხლი ვადღვარა და უფალზე წყრობა საფლავში ჩაიტანა. ამ ლექსების ციკლში თითქმის გაიკლია ალექსანდრე აბაშელის პოეტურ სტიქიური დროებითი მიძინებულმა, ქართველი გლეხის გაუტეხელმა ბუნებამ და პოეზიაში აღმოცენდა მშრომელი ხალხის წარმომადგენელთა ფესვმავარი ხასიათები. ვინ დიქარება, რომ ასეთი კათანდარა, გამხდარი ათეუბანის დიხიოზ არსიპაში ასეთი ქარიშხალი ტრიალებდა. „მამის სიკვდილი“ და „პაპაჩემი“ პატარა მოკულობის, მაგრამ ღრმა შინაარსის ჭეშონ პოემებია. ამ ნაწარმოებებში არა მარტო დიდი ლირიკული სიმძაფრეა გადმოღვრილი, არამედ

მათში პოეტურად აღბეჭდილია რევოლუციამდელი ქართული სოფლის ღუჭიერი ცხოვრება, არც ერთ თანამედროვე პოეტს არ შეუძენია აღვინდელი, რევოლუციამდელი ქართული სოფლის ასეთი ტრაგიკული სურათები.

გარეგნულად სულ სხვაგვარია ლექსი „წერილი ნოე ჩხაკაძეს“. მაგრამ სულიერი სიმტკიცით, ოჯახური გრძნობებით თუ ყოფაცხოვრებითი თვისებების გაპოეტურებით ეს ლექსიც „მამის სიკვდილის“ და „პაპაჩემის“ რჯალს მიეკუთვნება. როგორც ცნობილია, პოეტი ნოე ჩხაკაძე აღექვსანდრე აბაშელის უახლოესი მეგობარი იყო. იგი ფართოდ აღიარებული პოეტი იყო არა მარტო დემოკრატიული პოეტების წრეში, არამედ ამ ფართის მოწინააღმდეგე „ცისფერყანწლებიც“ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ ნოე ჩხაკაძისადმი გამსჭვალულნი. ნოე ჩხაკაძე იყო ავტორი წრფელი პათოსითა და მოწოდებით დაწერილი მრავალი ლექსისა, მაინც მას დარჩა ერთი განსაკუთრებით ბრწყინვალე ლექსი „ვინ მკითხულობს, ვინ დამეძებს“. ეს ლექსი მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ანთოლოგიის კეთვინლებაა, მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ბევრია ამ ლექსზე უფრო არტისტულად და უფრო გარეგნულ ელვარებით დაწერილი პოეტური ნაწარმოები, მაგრამ ასეთი აღამაინებრი, ასეთი უშუალო და გულის სიღრმეში ჩამწვდომი პოეტური ქმნილება იშვიათია. ვალერიან ფაფრინაშვილი ამბობდა: „ისეთი ლექსი დაწერო მინდა, რომ არ დამეპირდეს კვლავ ლექსის წერაო.“ ნოე ჩხაკაძემ თითქმის მართლაც დაწერა ისეთი ლექსი, რომელშიაც თავისი გრძნობები მთლიანად ჩაღვარა და პოეზიაში საკუთარი უკვდავება დაამკვიდრა. ლექსი „ვინ მკითხულობს, ვინ დამეძებს“ განუმეორებელია, მოულოდნელად არის გულიდან ამოღრეწილი და იგი თვითეული ჩვენთაგანის ხანდაზმული სულის თავისებური აღსარებაა, რაც ხანი გვემატება, უფრო და უფრო ძლიერდება ჩვენი სიყვარული ამ ლექსისადმი.

ნოე ჩხაკაძე, როგორც ვთქვით, აღექვსანდრე აბაშელის ახლობელი ადამიანი იყო. იგი შესანიშნავად იცნობდა „მონა ქალის“ ავტორის პოეტურ ბუნებას და გული-ტკივილით დასტეროდა უღრმოდ დაღუპულ მეგობარს. ნოე ჩხაკაძის პოეტური ხატი ილიხანს არ მოშორებია „გაბზარული სარკის“ ავტორს და 1926 წელს ღირსეული ლექსი მიუძღვნა მას. ამ ლექსში ვლინდება ვაჟა-ფშაველას პოეტური სტიქიის გავლენა, ვაჟასებური სიმძაფრე და შეუდრეკელობა: „ქვეყნელს დათხრინდნენ შენი თესვები, მიწას პოიტაო რომ არ ეშობო“, ეუბნება იგი ნოე ჩხაკაძეს, და ამ სტრიქონების ავტორზე თავისუფლად შეიძლება ამავე სიტყვების განმეორება.

ამ ლექსში აღექვსანდრე აბაშელმა თავი და აღწია განწყენებულ პოეტურ აზროვნებას და თაიისი გრძნობები ხელშესახებად დაგვიხატა. მან მწვავე ოჯახური ტკივილი და მაღალი მხატვრული აზრის შერწყმა შესანიშნავად მოახერხა და პირადული გრძნობა მაღალი პოეზიის ხარისხში აიყვანა. დიდი ღირსეული პოეზია არის პირადი საწყაროს გატიპურება და ზოგადის პიროვნულად გადაქცევა. ამ ქმნილებაში ეს თვისება სრულყოფილად გამოვლინდა და ეს ნაწარმოები ორი შთაგონებული პოეტის მეგობრობის ძეგლი გახდა.

უკანასკნელ წლებში აღექვსანდრე აბაშელმა რამდენიმე რატორიკული, უფერული ლექსი გამოაქვეყნა და აღრინდელი ორგანული თემა მიივიწყა, მაგრამ ამ პუბლიცისტური ხასიათის ლექსებშიც კი ავტორის პოეტური გამარჯვებები. პოემა „გერმანიაში“ უთუოდ ქართული პუბლიცისტური პოეზიის მნიშვნელოვანი მიღწევაა. სამამულო ომის გმირულ ღღერებში აღექვსანდრე აბაშელი შეუწელებელი მონდომებით მუშაობდა საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ. აქვეყნებდა შესანიშნავ პოეტურ მოწოდებებს და თავისი პოეზიით საბჭოთა ხალხის გამარჯვების საქმეს ემსახურებოდა.

როგორც თავშივე აღვნიშნე, აღექვსანდრე აბაშელი კდემამოსილი, თავისებურად მოკრძალებული ხელოვანი იყო. ერთგულ მითხრას: „როგორც ფრინველი გრძნობს ჰაერში თავის ტანის წონას, ისე ჩემი ნიჭის შესაძლებლობა დიდი ხანია აწონილი მაქვსო“. მაინც არ მეგონა, თუ იგი თავისთავში ძლიერ დამეკვებული იყო, ან თავისი მაღალი ნიჭის ნაყოფით არ იყო კმაყოფილი. როდესაც „აბთებელი ხეივანის“ ავტორი საავადმყოფოში იწვა და სიკვდილი უჩინარად უახლოვდებოდა, იგი თურმე პოეზიაში თავის ნამაგარს გონების თვალით სინჯავდა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობას ლექსად გამოხატავდა. პოეტი სულში შემოკრიბი იქვს ასე გამოთქვამდა:

„ხანდახან ფიქრი დამბურავს,
ვეწეარ და არ მეძინება.
ვიტყვი ცხოვრების სამდურავს
და ცრემლი დამედინება.

გზას რომ გავებდავ ნისლიანს,
ჩაეჭვბო, ჩაივშირბები:
გზაზე რომ ყრია, ვისია
ფთამათეხილი ჩიტები?

ნუთუ ეს ჩემი ლექსების
მწარე ხევედრია ასეთი?
აჰოდ ვეაღერსები —
არ აფრინდება არც ერთი!

მე ამ გზას რისთვის გავყევი,
ჯადოქარ ხმათა მძებნელი?
დავალ და ლექსებს გავყევი —
არვინ მყავს ყურისმგდებელი...

ან ვყოფილიყავ მეურმე,
ან შავი მიწის მზარველი,
მე არ მყოლია მეურვე,
არც ანგელოზი მფარველი.

ვერაფერს გავზღი მზისაქენ
მუდამ ხელების აშვერით.
რაც გულს უნდოდა, ისა ვქმენ.
მაგრამ ამაოდ დავშვერი."

შემოქმედებითი იქვი თვითელი ქეშმარიტი
ხელოვანისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, იქვი
პოეზიის თანდაყოლილი თვისებაა, მას შე-
უძლია, ნამდვილი პოეტი მუდამ ფხიზლად და
მობილწებულად იყოლოს. ალექსანდრე აბა-
შელის ზემოთ მოყვანილი ლექსიც მოწმობს,
რომ არ ჩამქრალა, არც შენელებულა მისი პო-
ეზიის წმინდა სანთელი და მას კიდევ შეეძლო
ქართულ პოეზიაში მრავალი შედევრი შეექმნა.
ზაინც საკუთარ თავზე ასი პირდაპირ გამოთ-
ქმული იქვი გაზვიადებულია და უსაფუძვლო,
მაგრამ ეს ლექსი უთუოდ მერყველებს ავტორის
მოყრატლებულ და თავმდაბალ ხასიათზე.





თეიმურაზ ბაღვაშვილი

უკეთ დაგვაგაყოფილთ ახადგაგრძელების სუდიერი მოთხოვნისმგანი

სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობაზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშოვი ამბობდა: „ჩვენ ახლა ვწყვეტთ ორ ისტორიულ ამოცანას — კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და ახალი ადამიანის აღზრდას. თუ ჩვენ ჩამოვრჩებით საბჭოთა ადამიანების გახალისებასა და აღზრდაში, მაშინ აღუცილებლად დამუხრუჭდება კომუნისმის მშენებლობის მთელი საქმე!“

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად შექმნილია ყველაზე ხელსაყრელი პირობები ამ ამოცანათა გადასაწყვეტად. ამიტომ შეიშუშავა კომუნისმის მშენებლობის შესანიშნავი პირობა, რომელშიც თავლანთლივა მოცემული ის გეზი და ის საშუალებანი, რომელთა მეშვეობითაც მთელი საბჭოთა ხალხი, მისი სახელგანი ახალგაზრდობა მტკიცე რწმენით მიდის წინ — დიადი მომავლის მშენებლობის გზით.

თვით ჩვენი მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ ის უდიდესი მორალური და მატერიალური უპირატესობანი, რომლებიც ჩვენს ხალხს, ჩვენს ახალგაზრდობას გააჩნია „ნაქმე“ ამერიკისთან და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით. „წარმოადგენს თუ არა ვაშინგტონი ჩამორჩენილ პროვინციას კულტურული მხრივ?“ — ასეთ კითხვას სვამს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმის“ მომომხილველი ჰოვარდ ტაუბმენი. მის წერილში საინტერესო პარალელია გავლებული. იგი წერს: „შევიდაროთ ვაშინგტონი ისეთ ქალაქს, როგორიცაა თბილისი, რომელიც მოსკოვიდან ათას მილზე უფრო შორის მდებარეობს. ამ საბჭოთა ქალაქს აქვს ოპერა, ბალეტი, 4 დრამატული თეატრი, რამდენიმე საბავშვო თეატრი და მალალი კულტურული

ტრადიციები“. და შემდეგ „... არავინ დაიწყებს კამათს იმ აშკარა ფაქტის გამო, რომ კულტურის დარგში... ვაშინგტონი ჩამორჩენილი პროვინციაა.“

ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება ავიდა განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ფრთხილად ისხამს კარლ მარქსის გენიალური ნათქვამი:

„... სიმდიდრის საზომი იქნება არა სამუშაო დრო, არამედ თავისუფალი დრო.“ ე. ი. დრო, რომლის მეოხებითაც საზოგადოების წევრები იმენენ ცოდნას, ეუფლებიან მეცნიერებას, კულტურას, ხელოვნებას.

მართლაც და ყოველ წლებით ჩვენი ხალხი, ახალგაზრდობა მეტ თავისუფალ დროს პოულობს ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის.

მაგრამ არ იქნებოდა მართალი დასვენება წარმოვედგინა, როგორც უბრალო დროსტარება, ისევე, როგორც არასწორია კომუნისმის წარმოდგენა უსაქმური ადამიანების საზოგადოებად.

იმისათვის, რომ ახალგაზრდა მუშამ თუ კომუნისტმა იმუშაოს ხალხით, მუყაითად, დღეს უკეთესად, ვიდრე გუშინ და ხვალ უკეთესად, ვიდრე დღეს, მას უნდა შეეძლოს თავისი თავისუფალი დროის მეშვეობით შეივსოს ის დანაკლისი, რაც მას აქვს მეცნიერების ახალი ტექნიკის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სხვა დარგების შესწავლაში.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ასე სწრაფად ვითარდება მეცნიერება და ტექნიკა, როდესაც მუშას და კომუნისტს მოეთხოვება განსაკუთრებით მაღალი კულტურა, საწარმოო კვალიფიკაციის ყოველდღიური ამაღლება, რა

თქმა უნდა, არ შეიძლება დასვენება გავიგოთ, როგორც მხოლოდ ვასართბო და სამხიარულო ღონისძიებათა ორგანიზაცია, ახლა მთავარი ამოცანაა მოზარდ თაობაში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა. სხვაგვარად კომუნისტურ ლაბარაჟი შეუძლებელია.

ამიტომ აუცილებელია ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაცია სწორად და იდეურად მიზანდასახულად. თვითუფილი მისი ფორმა არ უნდა დადიოდეს უბარლო კულტურისობრივობა-მდ, არამედ თავისი სპეციფიკურობით მოვიქცეხება და გასაგებად, თვითუფილი ახალგაზრდობის მისაწოდებლად უნდა ეწეოდეს კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდას, უყუთ რომ ვთქვათ, უნდა წარმოადგენდეს კომუნისტური იდეოლოგიის გამოვლინებას, უნდა ეხმარებოდეს ახალი აღმართის აღზრდის საქმეს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“ ნათლადაა ხაზგასმული, რომ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლს პროპაგანდის სფეროს სიფიქროვე და ნაკლებ მასობრიობა წარმოადგენს.

მაშასადამე, ახალგაზრდობის დასვენების გონივრული ორგანიზაცია გულისხმობს ახალგაზრდობაზე კომუნისტური იდეოლოგიის ზეგავლენის გაძლიერებისა და პროპაგანდისტული მუშაობის ჩარჩოების გაფართოებას.

სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობაზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშოვი მიუთითებდა, რომ ახალგაზრდობის ერთ ნაწილში, რომელსაც არ გაუღია ცხოვრების კარგი სკოლა, ჯერ კიდევ შეინიშნება ფუქსავეტური და ერთგვარი ავღებული დამოკიდებულება ფიზიკური შრომის მიმართ, შეინიშნება სხვის კმაყოფილება ცხოვრების განწყობილება, არის ფაქტები უიდეობის, ერთგვარი ნიბილიზმისა.

არც ჩვენი რესპუბლიკა ამ მხრივ გამონაკლისი.

ჩვენთან, ჩვენს გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც, სახელს ვეიტხენ, გვარცხვენენ, არ უფრთხილებიან ჩვენი რესპუბლიკის ღირსებებს და სახელს, ბევრ შესანიშნავ ქაბუქსა და ქალიშვილს უწამლავენ თავისუფალ ღირსებასა და დასვენების საშუალებას არ აძლევენ მათ.

ამისათვის, რათა ჩვენს ახალგაზრდობას მიეცეთ თავისუფალი ღრისი რაციონალური გამოყენების საშუალება, რათა მან გონივრულად მოაწყოს საკუთარი დასვენება, საჭიროა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში — კინოებში, თეატრებში, კლუბებში, პარკებში და სხვაგან — მკაცრი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება.

როგორც კომკავშირის საკავშირო ცენტრალური

ლური კომიტეტის პლენუმზე საგვებით სწორად იყო მიითვებული, საჭიროა, ჩვენი პროპაგანდა მუდმივად აფართოვებდეს თავისი გავლენის სფეროს, მიმართული იყოს არა მარტო კომკავშირული აქტივისა და კომკავშირულთა ერთი წარმატება, არამედ, უმთავრესად, ახალგაზრდობის ფართო მასებისადმი, თვითუფილი ახალგაზრდა მუშის, კომკავშირის, ინტელიგენტის, მოსწავლისა და სტუდენტისადმი.

ლენინური ლოზუნგი, რომ ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს კომუნისტური, ღღეს ყველაზე ხშირად ედრეს. ატომური ზომადიდების და თანამგზავრების ეპოქაში სხვაგვარად შეუძლებელია მომავლის შენება.

უკანასკნელ წლებში გაიზარდა ახალგაზრდობის მისწრაფება ცოდნისადმი. სწავლა, ისევე როგორც შრომა, ჩვენი ქაბუქებისა და ქალიშვილების სასიცოცხლო მოთხოვნილება იქცა. ახალგაზრდობა ღღესღღობით გაიცლებით მერ თავისუფალი ღრის ანდომებს მეცნიერების შეწყვეთა დაუფლებას, ვიდრე ამ რამდენიმე ხნის წინათ.

ხელდომერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა: „არსად ხალხთა მასები ისე არ არიან დიდტერყნებულნი ნამდებოთ კულტურით, როგორც ჩვენთან; არსად კულტურის საკითხები ისე ღრმად და თანმიმდევრულად არაა დაყენებული, როგორც ჩვენთან.“

მართლაც, რაოდენ დიდი საუფჯეა გახსნილი ჩვენი ახალგაზრდობისათვის, რაოდენ დიდი ჩვენი მეცნიერების, ლტერატურისა და ხელოვნების მიღწევები! ვაზიაროთ სოციალისტურ კულტურის თვითუფილი ქაბუკი და ქალიშვილი — ასეთია აქამად გაღაუფლებული ამოცანა და ეს ყოველივე უნდა ხდებოდეს ადამიანთა თავისუფალი ღრისის პროცესში, ჩვენი ახალგაზრდობა იზრდება და ევკაცდება იმ ნაწარმოებებით, წიგნებით, კინოფილმებითა და სპექტაკლებით, რომლებსაც განაცემს ღებულობა და ღებულობის მომავლის მშენებელი თაობისათვის აუცილებელ სტლიერ საზრდოს. უცილობელი კეშმარცხებაა, რომ ჩვენი ცხოვრების ბევრი სუბიექტური მომენტის ნახულისა და წაითხულის გაიღენის შედეგია, ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ შესანიშნავ ღრის, როდესაც ახალგაზრდობას სრული საშუალება აქვს ლაღად გაშალოს მხრები. ფართო გზა მისცეს საკუთარ ნიჭსა და უნარს.

ამიტომ ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციები ზედმიწეგნით უნდა იყინებდნენ მათ ხელთ არსებულ შესაძლებლობებს. ჩვენი პროპაგანდის შემწეობით უნდა მივალწიოთ იმას, რომ თვითუფილი ქაბუქსა და ქალიშვილს მოთხოვნილება დადიექვის წიგნის კითხვა, თეატრში, მუზეუმში სამხატვრო გაღორიში სიარული.

ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია ამას კარ-

გად ავეთვს. მაგრამ ამ საქმეში მიზანდასახულობა და სისტემატურობა უმეტესად გვაკლია. ამა თუ იმ კინოფილმის ან თეატრალური დადგმის ნახვის შემდეგ აუდიტორიებში, საერთო საცხოვრებელში, ამხანაგთა და მეგობართა წრეში ხშირად იმართება, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტიქიური დისკუსიები და დისპუტები. ეს ბუნებრივია—ახალგაზრდობას უყვარს კამათი. მაგრამ აქ ნაკლებად იგრძნობა კომკავშირის მორგანოზებული და მიმართულების მიმცემი ხელი. კერძოდ, ამ შემთხვევაში მსედველობაში მაქვს უცხოური ფილმები, რომლებსაც მუდამ მრავალი მაყურებელი ჰყავს. ჩვენ უცხოური ფილმების დემონსტრაციის წინააღმდეგი როდის ვართ, არამედ მომხრენი ვართ ამ ფილმების (და, საერთოდ, ყოველი მხატვრული ნაწარმოების) სწორი გაგებისა, მათი შინაარსის სწორად წვდომისა. ამ მხრივ ჩვენი ახალგაზრდული პრესაც სცოდავს. ვერ დავასახელებთ თუნდაც ერთ უცხოურ მხატვრულ ნაწარმოებს—წიგნს, კინოფილმს—რომელიც საბჭოთა პოზიციებიდან ამ უკანასკნელ ხანს გაერჩიოთ ან გაეკრიტიკებინოთ, ამის გამოც სდება, რომ ჩვენში ზოგჯერ ჟონის ბურჟუაზიული იდეოლოგიის შეგარული ზეგავლენა.

მართალია, ამ ბოლო დროს შეიმჩნევა შემოქმედებითი ინტელიგენციის მეგობრობა ახალგაზრდობასთან, მაგრამ იგი მაინც ახლად იდგამს ფეხსებს. კარგ მუშაობას ეწევიან ამ მხრივ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, გრიბოედოვის სახელობის თეატრი, ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრი, მოხარდ მაყურებელთა თეატრები, მხატვართა კავშირი და სხვ. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირებზე. მართალია, ეს საყვდელი ზოგიერთ მათგანს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, არ შეეხება, მაგრამ ახალგაზრდებთან ერთად სახელმწიფოებრივი მწერლებიც უფრო ხშირად უნდა ეწვიონ მშრომლებს იქ, სადაც მომავლის ბედი წყდება—სამაგრიებში, ბრიგადებში, ფერებში, და მდლიანი სიტყვით გადასცენ მათ თავიანთი ცოდნა, ცხოვრების გამოცდილება, პოპულარიზაცია გაუწიონ მეცნიერების, ლიტერატურის, კულტურის მიღწევებს, აღაფრთოვანონ ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობა ახალი საგმირო საქმიანობისათვის.

ჩვენ ვადაპტირებ უნდა გავილაშქროთ იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ერთი ხელის მოსმით უარყოს და გააბიძგოს ის კარგი და დადებითი, რაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებას აქვს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თვალს დაგვუბრუნოთ ამ დარგში არსებულ ხარვეზებსა და ნაყოფიანებებზე, რადგან ლიტერატურისა და ხელოვნების ქმნილებებზე იზრდება, და უნდა აღიზარდოს

კიდევ, კომუნიზმის მშენებელი არაერთი თაობა.

შევეცდები ამ თელსაზრისით მივედგეო ქართული კინემატოგრაფიის უკანასკნელი ხანის პროდუქციას, რადგან ხელოვნების დარგთაგან კინო იყო, არის და იქნება კიდევაც მასობრივი აგიტაციის ყველაზე საუკეთესო საშუალება, საშუალება, რომლითაც შესაძლებელია მასაზე უდიდესი იდეოლოგიური ზეგავლენის მოხდენა.

ამ უკანასკნელ ორ წელს კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ ათამდე ფილმი გადაიღო, აქედან უმრავლესი ქართული ახალგაზრდობის ცხოვრებას ეხება. გულახდილად უნდა ვთქვათ—თითქმის ყველა ამ ფილმმა ჩვენი გულისტკივილი და რაღაც გულისწყრომაც კი გამოიწვია. ჩვენ აქ არ შევეუდგებით თვითნებულ მათგანის განხილვას. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ის მთავარი და არსებითი, რაც, ჩვენი აზრით, ამ ფილმების ძირითად ნაყლს უნდა წარმოადგენდეს. ელემენტარული კვშმარტებაა, რომ ახალგაზრდა კაცს უნდა ელაპარაკო იმაზე, რაც მას ყველაზე მეტად აწუხებს. ხელოვნების ნაწარმოებში მან უნდა პოვოს თავის მისწრაფებათა და ფიქრთა პასუხი. ხელოვნება ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვისათვის გაკეთებული რეკლამა-ფილმი როდია, რომლის მიზანიც იქნებოდა ახალგაზრდა კაცისათვის მიეთითებინა, თუ როგორ გაიაროს მარჯვნივ ან მარცხნივ, რათა ტრანსპორტის ქვეშ არ მოჰყვეს. სამწუხაროდ, ჩვენს კინოფილმებს ზოგჯერ ასე ემართებათ—ასწავლიან და ქადაგებენ იმას, რაც ყველა კულტურულ ახალგაზრდა კაცს თავისთავად მოეთხოვება. მორალის მშრალი კითხვა, გაშიშვლებული აგიტაცია—თითქმის მხოლოდ ეს შეადგენს სხენებულ ფილმთა „ლირსებებს“.

ახალგაზრდა მიაიკოესო ყოფაცხოვრების ელემენტარულ წესებს ხშირად შეიძლება ართვევდა კიდევ (მაღსტუხს ისე არ იკეთებდა, როგორც წესი და რიგია), მაგრამ თავისთავად ეპოქის სულსა და იდეალებს ატარებდა. არ შეიძლება ყველაფერი „ტრამვათში დაჯდომის“ პრობლემად დავიყვანოთ. ჩვენს ფილმებში ახალგაზრდა ადამიანის პროფესიაზე კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, არამედ მის მსოფლმხედველობას, იმაზე, თუ როგორ უყურებს იგი ცხოვრებას, რას იტყვს მისი დიამაზონი და მიზანი, როგორ იბრძვის იგი ამ მიზნის მისაღწევად და რას ფიქრობს საერთოდ ადამიანის და კერძოდ თავისი დანიშნულების შესახებ ცხოვრებაში.

ერთ დროს ჩვენ ყველანი ცდილობდით გვეპეჩორინა, ანდა პაეკა კორჩაგინისათვის მივეცება, მაგრამ ამა ახლა ვინ მოინდომებს წაბაძოს ჩვენი ფილმების გმირებს! და საქმე განა მარტო წაბაძვა, არამედ სხვაობა ახალგაზრდობის იდეალსა და ფილმის გმირის იდეალს შორის.

ჩვენთვის ფილმის გმირის მსოფლმხედველობაა სინტერესო, რადგან, კარგად მოგვსენებიათ,

მსოფლმხედველობის მარტო ის კი არ ეძიებს, ვინც ფილოსოფიობს, არამედ ყოველი კაცი, და მით უმეტეს ახალგაზრდა, რომელიც ცხოვრებაში ეს-ესაა შედის. და რადგან ფილმთა უძრავ-ლელობა საშუალო სკოლადამთავრებულებს ეხე-ბა, ჩვენც ამაზე ჩამოვადგებთ ლაპარაკს.

საშუალო სკოლის დამთავრებისას ყველა კაცი ყოველსავე ამდლებულზე, განსაკუთრებულსა და გმირულზე ოცნებობს, იშვიათია ახალგაზრ-და, რომელსაც არ ეგონოს, რომ იგი საბავთო და განსაკუთრებულად აღივსა დაიჭრის ცხოვრებაში. მაგრამ ცხოვრება ხშირად როგორც გეგმევა ისე, როგორც ჩვენ გვსურს, და ზოგჯერ კაცს აი-ძლებს ყოველდღიური, მოსაწყენი, პროზაული ცხოვრებით იცხოვროს, ამიტომ ის, რაც იოლი გასაგებია ხანში შესული ან დავეჯიკებულის ადამიანისათვის, ძნელი დასაჯერებელია 18 წლის გოგონას ან ვაჟისათვის. ამ ასაკში არ არის ოცნება. რომლის მიღწევაც შესაძლებლად არ მიგვიჩნდეს. და, როდესაც ასეთ საესებოთ კანონზომიერ და ბუნებრივ განწყობილებას უპირისპირდება ისეთი პროფესია, როგორიცაა ფოსტალიონობა ან სოფლის ექიმობა, არც ისე ადვილია ახალგაზრდის დაჯერება, მაგრამ მთა-ვარი მაინც ის არის, რომ პრობლემად არ უნდა იქცეს ის, რაც წვეთია ზღვაში, ანდა ნაფოტი ტყეში. ყოველშემთხვევაში, დამაჯერებლობით მაინც უნდა აღვჭურვოთ ნაწარმოები.

ჩვენს ფილმებში მთავარი ის კი არ უნდა იყოს, თუ რას იტყვიან მოზლები, ან შეყვარე-ბული რას გეტყვის, არამედ, ერთი მხრივ, შენი ოცნებისა და, მეორე მხრივ, სინამდვილის ჭილი-ლი. მაშინ დაინტერესდება ახალგაზრდა და მოხუციც.

დღეს ინტელექტუალური რომანი მნიშვნე-ლოვან ადგილს იჭერს მსოფლიო ლიტერატურა-ში. ამ ინტელექტუალური რომანის განვითარე-ბას არ შეიძლება ეკალი არ დაეჩინა კინემატო-გრაფიის განვითარებაზე და ამიტომაც გამო-ჩნდა ამავე ტიპის ფილმები, რომელთა მიზანია ახალგაზრდა კაცის ადგილის ჩვენება ცხოვრე-ბაში. რაღა თქმა უნდა, ჩვენი ახალგაზრდობა აო აყუყუბდა დასავლური ფილმების უიდეობასა და მელანქოლიას, რადგან ჩვენთვის აზროვნება და ბრძოლა ცხოვრების შინაარსს შეადგენენ. აქ უკვე ჩნდება კითხვები, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს: როგორ ვაზროვნებ? რისთვის ვიბრძვი? რაში გამოიხატება ცხოვრების, ასეულობის ში-ნაარსი? ამ კითხვებზე უნდა გასცეს პასუხი ჩვე-ნმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, პირველ რიგში კი კინემატოგრაფიამ — ჩვენი ეპოქის მსოფლმხედველობის შესაბამისად და არა პრი-მიტიული ობიექტულური კეთილდღეობის პოზი-ციებიდან.

თუ გინდა ადამიანს იცნობდე, უნდა იცო-დე — რა გულით, რა თვალით უყურებს იგი

ადამიანებსა და ცხოვრებას. ასევეა მხატვრული პერსონაჟი, რომელიც ერთი ადამიანის კი არა, მთელი თაობების ფიქრებისა და გრძნობების ნა-კადუმს უნდა სრუტადესს და გვიჩვენებდეს მის სახეს.

ჩვენს ქართულ ფილმებში არის კაცი, რომე-ლიც ეძებს ცხოვრებაში ადგილს, მაგრამ არ არის კაცი, რომელიც ატარებს თაობების ბედს, იდეალს, მიზანს, რომლის ძიება ვერცა ინდი-ვიდუალური ძიება კიარა, მთელი თაობის ძიება იქნებოდა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი მარტო ჩვენს კინემატოგრაფიას როდი შეეხება, ვფიქრობთ, ეს არის ყველაზე დიდი ხარვეზი საერთოდ ჩვე-ნი ლიტერატურისა და ხელოვნებისა.

აღბრულ საკითხთან დაკავშირებით უნდა შევხებით ხელოვნების ამ დარგსაც, რომელსაც ესტრადა ეწოდება, რადგან მის მაღალდღეურო-ბასა და მაღალმხატვრულობაზე მნიშვნელოვნ-დაა დამოკიდებული ჩვენი ახალგაზრდობის ეს-თეტიკური და, თუ გნებავთ, პოლიტიკური აღზრ-დაც. ესტრადა ხომ ერთ-ერთი ყველაზე მასობ-რივი და ყველაზე მოქნილი ფორმაა ჩვენი პროპაგანდისა, ახალგაზრდობის გონიერული დასვენებისა, ისეთი ფორმა, რომელსაც მასობ-რივად ეტანება ახალგაზრდობა. ამიტომაც არ შეიძლება მისი ბედი არ გვაღელვებდეს.

რესპუბლიკის ახალგაზრდობა სამართლიან პრეტენზიებს უყენებს საქართველოს სახელმ-წიფო ფილარმონიას, ფილარმონიის შესახებ რომ ვლაპარაკობ, პირველ რიგში ვვულისხ-მობთ ქართულ ესტრადას, რომელიც პირდაპირ თუ ვიტყვით, უკანასკნელ წლებში დაკნინდა და ჩამორჩა ცხოვრებას. რატომ მოხდა ასე, რა არის ამის მიზეზი?

პირველ რიგში არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქართული ესტრადა დამოკიდებული გახდა შემთხვევითს პირებზე, რომლებსაც არ გაჩნიათ ლიტერატურული ალღო, გემოვნება და ოსტა-ტობა. ამიტომაც არის, რომ დღეს არ გვაქვს მაღალმხატვრული, იდეურად გამართული საეს-ტრადო ნაწარმოები. როდესაც საესტრადო რე-პერტუარია ათვალეირებთ, პირველ რიგში თვალ-ში გეტყვით ის, რომ არ არის წარმოდგენილი არც ერთი ქართველი კლასიკოსი, არც ერთი თანამედროვე ცნობილი მწერალი თუ პოეტი. ეს რეპერტუარი ძირითადად საქმოსანთა ხელ-შია. ფილარმონიის ხელმძღვანელობა ცუდად მუშაობს ავტორებთან, არ ცდილობს თავის გარ-შემო შემოიკრიბოს სახელმწიფეკილი მწერლე-ბი, ახალგაზრდა, უნარიანი ლიტერატორები, მაყურებელი დაიღალა ერთიდაიგივე პერსო-ნაჟებით. ჩვენმა ესტრადამ დაკარგა ახლოს გრძნობა, ვერ არჩევს პირველხარისხოვანს მეორისაგან. მარტოდენ თვითმზნური სიცი-ლია ესტრადის მსახიობთა საზრუნავი. ისინი

შზად არიან გააცეთონ ყველაფერი, თავიც კი დაიმიტონ, ოღონდ მაყურებელი როგორმე გააცინონ.

განა ცოტა გვაქვს გასაკრიტიკებელი და გამო-სამწუხრებელი? სხვას რომ თავი დაეანებოთ, თვალი გადავლონ ჩვენს პრესას და ნახავენ, თუ რა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა საბჭოთა ხალხმა უქნარებს, ზარმაცებს, მათ, ვინც საზოგადო-ებრივად სასარგებლო შრომას, არ ეწევა. განა ეს ესტრადის თემა არ არის? ამ საქმეში ზომ შეეძლოთ თავიანთი სიტყვა ეთქვათ! მაგრამ ეს-ტრადამ მიჰყვება ერთ შაბლონს, ერთხელ გატყენილ გზას, მის მესვეურებს იმის უნარიც კი არ შესწევთ, ირგვლივ მიმოიხედონ და მოვადრი დაინახონ, დიდი ხანია ჩვენი ესტრადიდან არ მოგვისმენია მძაფრი პოლიტიკური სატირა, რა-მდენი რამ კი არის სათქმელი, რა მდიდარი მა-სალაა ამ მხრივ ესტრადის მუშაკთათვის!

მიხილ გოგიაშვილი დიდი ხანია ამ დარგში მუშაობს და მით უფრო ვასაკვირია, რომ იგი ესტრადაზე გვითავაზებს ანეგდოტებს, ოღონდ ხალხი გააცინოს და არაფერს ერიდება, ზოგჯერ კი იგი გვაწვდის უებილო და უშიშარსო, მომ-ველებულ ნაწარმოებებს. აი ერთ-ერთი მათგან-ი — „დედა, მამა და შვილი“. დედა გაბრაზებუ-ლია, რომ მის შვილს გადაემტერა მასწავლებელ-ი, მამა ეყამათება, რომ იგი აფუქებს ბავშვს, ამ დროს შემობრბის შვილი და დოდას სთხოვს ოთხ მანეთს, რადგან ქართულ წერაში და რუ-სულ ზებარში მიიღო ორიანები.

შევედარეთ ეს პატრიმისა და ხუნწარის ინ-ტერმედიას — „აბაჯრული ენერგია“: დედა და მამა ოთახში სხედან, ისმის კაყუნი, ისინი შე-შფოთლებიან, დაინახავენ შვილს და დამშვიდდებ-იან. შვილი სთხოვს მამას სამ თუმანს. რატომ? სამიანი მიუღია და თითო ნოშანში თუმნიანი ერ-გება. კომენტარები ზედმეტია.

ვის და რას დასცინიან ზონი და ენდლეო ერთ-ერთ ნომერში? მოვიტანთ მაგალითს: დილოგი სანატორიუმის მუშაკსა და დამკვეთებელს შო-რის. სანატორიუმის მუშაკი მოითხოვს, რომ დამკვეთებელმა ბარგი ჩააბაროს.

— რატომ? — კითხულობს დამკვეთებელი.

— შეიძლება მოგპაროს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მეზობელი გყავთ.

— მეზობელი აკადემიკოსია, ნუთუ მან შეიძ-ლება მოიპაროს? მე ზომ არ შემძლია მას რაი-მე მოვპარო?

— რატომაც არა, სრული უფლება გაქვთ, — პასუხობს მუშაკი.

ეს დილოგი სხვა არაფერია, თუ არა შეუ-რაცხოფა საბჭოთა ადამიანებისა, პატრიონანი მშრომელებისა.

ფილარმონია სრულებით არ ზრუნავს ქართუ-ლი ლიტერატურის შესანიშნავ ქმნილებათა, ქა-

რთული ლიტერატურის კორიფეების ნაწარმოებ-თა პოპულარიზაციისა და პროპაგანდისტის, მხოლოდ ცალკეული მსახიობის პროგრამაში თუ შეზღუდვით ვყავს ან ბარათშვილის ერთ-ორ ლექსს, მაგრამ ეს საემპირიო არ არის. რა-ტომ არ შეიძლება, საკავშირო ფილარმონიის მაგალითისამებრ, მოვაწყოთ კონცერტების მთელი ციკლი, რომლის პროგრამაში იქნება რუსთაველის, ბარათშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გლაკტონი ტაბიძისა და ჩვენი დროის სასიკადალო პოეტებისა და მწერლების ნაწარ-მოებთა მხატვრული კითხვა, შესრულებული ქართული ხელოვნების საუკეთესო ოსტატების მიერ!

ფილარმონიას დიდი შესაძლებლობა და სა-შუალება აქვს მოსასვლელში ფართო პროპა-განდა გაუწიოს კლასიკურ მუსიკას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას საშუალება აქვს შე-ღავათიან ფსიქეში გაავრცელოს აბონემენტები და მოიზიდოს კონცერტებზე მაყურებელი. მაგ-რამ აქაც, არაორგანიზებულობის შედეგად, ფი-ლარმონიამ მაყურებელთა ნდობა დაკარგა.

როდესაც ვეხებით კონცერტების ჩატარების ორგანიზაციის ხარისხს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ გარემოებას. ფილარმონიის მსა-ხიობებს რატომაც მეტად არასწორი შეხედუ-ლება აქვს სოფლის, რაიონის ახალგაზრდობა-ზე და თავისთავს უფლებას აძლევს მოეცინოს ისე, როგორც სურთ, აშინდის რაიონში დღიხა-ნია ფილარმონიას არ ჩაუტარებია არც ერთი კონცერტი, გასულ წელს, როგორც იქნა. ერთ-ერთმა საკონცერტო ბრიგადამ გაოაწყვიტა ეს ხარვეზი შეევსო. ვამოარეს აფიშები, გაი-ყიდა ნელთვები, კონცერტზე მოვიდა მაყურე-ბელი, მაგრამ მსახიობები არ გამოცხადდნენ. ასეთივე ფაქტი მოხდა ქუთაისის აბრეშუმის კომპინატის კლუბში. ფილარმონიის საკონცერ-ტო ბრიგადების ზოგიერთი ადმინისტრატორი საკუთარი ჯიბის გასქელებიდან უფრო ფიჭობს, ვიდრე კონცერტების ორგანიზებულად ჩატარე-ბაზე.

ფილარმონიას სჭირდება ახალგაზრდა შემოქ-მედთა კადრები, ესტრადის ნიჭიერი მსახიობები, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. ნელ-ნელა ჩამოსცილდნენ ესტრადის ცნობილი მსახიობები, ხოლო მათი ცეკა არ ჩანს. ჩვენის აზრით, ამ საკითხზე პირადად რიგში უნდა ითიქროს თეატრ-ალური ინსტიტუტები და კონსერვატორიამ. კარგი იქნება, თუ თეატრალური ინსტიტუტში შეიქმნება საესტრადო ხელოვნების ჯგუფი, სა-დაც მოამზადებენ ესტრადის მსახიობებს.

ყოველწლიურად კონსერვატორიას ამთავრებს არც თუ ისე ცოტა ვოკალისტი, მაგრამ ყველანი ოპერაში არ მუშაობენ და ეს გასაგებია. რა-ტომ არ შეიძლება განაწილების დროს გავითვა-ლისწინოთ ეს საკითხები და ფილარმონიაში სა-

მუშაოდ გავაგზავნეთ ეს ახალგაზრდები, რომელთაც შესწევთ უნარი ემსახურონ ესტრადას? ფილარმონიამ თავის გარემოში უნდა შემოიკრიბოს ნიჭიერი მწერლები, პოეტები, ახალგაზრდა ლიტერატორები, რომლებსაც შესწევთ უნარიცა და ძალაც შექმნან სრულფასოვანი საესტრადო ნაწარმოებები.

ამ ბოლო დროს ფილარმონიის ხელმძღვანელობამ სათანადო დისკენები გააკეთა შექმნილი მდგომარეობიდან. გადახალისდა საესტრადო ჯგუფების შემადგენლობა და შემსრულებელთა რეპერტუარი, გამოცხადდა კონკურსი ახალგაზრდა შემსრულებელთა მოსახილად. ალბათ მალე მოგვარდება თეატრალურ ინსტიტუტში ესტრადის მსახიობთა მოსამზადებელი ჯგუფების შექმნის საკითხიც. კულტურის სამინისტრომ და კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახეს სათანადო ღონისძიებანი აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად. ფილარმონიის მუშაობის გამოცოცხლება საწინდარია იმისა, რომ ახალგაზრდობის აღზრდის ეს საუკეთესო ტრიბუნა სათანადო სიმძლავრე დადგეს.

■

კომკავშირის აღმზრდელობის მუშაობაში ყოველდღიურად წარმოიშვება ახალი და ახალი ფორმები, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა ახალგაზრდობის მისწრაფებას — დაეუფლოს ცოდნას, გაიფართოვოს საკუთარი თვალთახედვა, შეიძინოს ახალი და კარგი, ახალგაზრდობაში ფართო გამოხმარება პოეზია კულტურის უნივერსიტეტების შექმნაში.

ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობს 25 კულტურის უნივერსიტეტი, რომლებსაც 8 ათასამდე მსმენელი ჰყავს. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტები იქმნება არა მარტო ქალაქად და რაიონის ცენტრებში, არამედ სიფლადაც (მგავლითად, ჭობულეთის რაიონის სოფ. ხუტუბანში, მახარაძის რაიონის სოფ. ნატანებში და სხვ.). მათს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, ქალაქისა და სოფლის ინტელიგენცია. უნივერსიტეტების მსმენელი თეორიულ კურსთან ერთად ისმენენ მუსიკალურ ნაწარმოებებს, ესრებიან კინოფილმებსა და თეატრალურ დადგმებს, აწყობენ ახალი ლიტერატურის გარჩევას, დისკუტებს, ხედებიან ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, წარმოების მოწინავე ადამიანებს.

მუშაობის ასეთი ფორმა ყოველგვარი მოწონებისა და წახალისების ღირსია, რაოგან, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდობა იმდიდრება საკუთარ ცოდნას, ეუფლება კულტურას, იგი ხელს უწყობს ინტელიგენციისა და მშრომელი ახალგა-

ზრდობის კავშირის განმტკიცებასაც, რაც ესოდენ აუცილებელია თანამედროვე პირობებში.

ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში, მისი დასვენების სწორად წარმართვაში დიდი როლს ასრულებენ სახალხო თეატრები. ამჟამად რესპუბლიკაში 24 სახალხო თეატრი და 2 სახალხო ოპერაა. მათს მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მშრომელი ახალგაზრდობა. ბევრმა რეჟისორმა დიდი ენთუზიაზმით აირჩია მოღვაწეობის ასპარეზად სწორედ სახალხო თეატრები. თეატრები მეტად კარგ და კეთილშობილ საქმეს აკეთებენ. უკვე შეიძლება დიდად სახოს ამოცანა — იმ დონემდე ავიყვანოთ თეატრალური წრეების მუშაობა, რომ გავუტოლოთ სახალხო თეატრების მოთხოვნილებებს. სახალხო თეატრის წოდების მოპოვება უნდა იყოს თვითმული დრამატული წრის საბრძოლო ამოცანა, და როგორც ამასწინათ ჩატარებულმა დრამატული წრეებისა და ავტომატურული ბრიგადების დთავალიერებამ დაგვანახა, მათ მისი სრული საშუალება და მონაცემები აქვთ. ამასთან ერთად, კარგი იქნებოდა, რომ კვლავ აღგვედგინა ტრადიცია, როდესაც რესპუბლიკის წამყვანი თეატრები, და არა მარტო თეატრები, არამედ მსახიობები და რეჟისორებიც, შეფობას უწყვიდნენ მუშათა და კოლმეურნეთა თეატრალურ კოლექტივებს. ამით მათ კარგი საქმის გაკეთება შეეძლოთ.

ახალგაზრდობაში სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით ბევრი კარგი და საინტერესო რამ გააკეთა საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირმა. ხშირად ეწყობა როგორც ახალგაზრდა, ისე სახელგანთქმულ მხატვართა მოძრაი გამოფენები. გამოფენებს, როგორც წესი, თან ახლავს ავტორები ან ხელოვნებათმცოდნეები, რომლებიც ახალგაზრდობას უტარებენ ლექციებს, მოხსენებებს, ესაუბრებიან ხელოვნების ცალკეულ საკითხებზე. ასეთი მოძრაი გამოფენები ჩვენს ქაბუტებსა და ქალიშვილებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, საყვარელია ათინიშნის. უკანასკნელ წელს მოძრაი გამოფენები ნახა 200 ათასზე მეტმა კაცმა. ეს მეტად სასარგებლო საქმეა და მას მომავალში უფრო მეტი გაქანება უნდა მიეცეს. ასეთ საუბრებზე, დათვალიერებებზე ახალგაზრდობას უვითარდება მშვენიერების აღქმის გრძნობა, ესთეტიკური გემოვნება. ახალგაზრდობის ამ ინტერესმა მხატვრობისა და, საერთოდ, სახვითი ხელოვნებისადმი, შესაძლო გახადა მსხვილ საწარმოებსა და კოლმეურნეობებთან ჩამოყალიბებული თვითმოქმედი სამხატვრო გალერიები და მუზეუმები. თბილისის სამხატვრო გალერიაში ასეთ მუზეუმებს უსასყიდლოდ გადასცა ქართველ მხატვართა მრავალი ნაწარმოებები. ასეთი თვითმოქმედი სამხატვრო გალერიები კარგად მუშაობენ ბოლნისისა და სიღნაღის

კულტურის სახლებთან, რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლესთან, კობულეთის რაიონის სოფ. ბობუკეთის სასოფლო კლუბთან და სხვანაირად.

უჩინასკნელი 2 წელია ფართოდ გავრცელებულია კინომოყვარულობა. კინომოყვარულთა წრეები არსებობენ კულტურის სახლებთან, კოლმეურნეობებთან, საწარმოებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან... მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდობის თვითმოქმედების ამ მოძრაობას ჯერ კიდევ არა აქვს ორგანიზებული ხასიათი, ამ საქმის ენთუზიასტებს ხშირად ბევრი სიმძნელე ეძღვებათ — არ გააჩნიათ კინოამბრატურა, კინოლენტები, არ იციან როგორ და რაზე წერონ სცენარები და სხვა. ამიტომაც, რომ ზოგჯერ ისეთ რამეს ჰკიდებენ ხელს, რაც მათს ძალებს აღემატება და არცაა მათი საქმე; ისინი ხშირად სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის გადაღების პრეტენზიასაც კი აცხადებენ. ჩვენ კი გვგონია, რომ კინომოყვარულთა უპირველესი საქმე მათი საწარმოს, კოლმეურნეობის, სოფლის, უმაღლესი სასწავლებლის ყოველდღიური ცხოვრების ასახვაა, მოწინავეს, კარგის კონკრეტულის პოპულარიზაციაა, ნაკლოვანებათა კრიტიკა-გამათრახება.

რაკი კინოზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შეიძლება არ შევეხოთ რესპუბლიკის მოსახლეობის კინომომსახურების საკითხსაც. არ გადავჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამ საქმეში ცუდი მდგომარეობაა. ძალზე მოუქნელად მუშაობს კულტურის სამინისტროს კინოგაქირავეების სამსახურელო. არის ათეულობით სოფლები, სადაც თევების მანძილზე კინო არ უჩვენებიათ, ანდა, თუკილა აჩვენებენ — მოკვლეულ ფილმებს, ამის გამო სოფლის ახალგაზრდობა სამართლიან საყვედურებს გამოიტყვამს. ბოლოს და ბოლოს, სოფლად ახალგაზრდობის კულტურა იმდენად წავიდა წინ, რომ მას აღარ შეუძლია ითმინოს ასეთი უპატივცემულობა და შეუფასებლობა.

კინოთეატრები ჯერ კიდევ არ ქცეულა ახალგაზრდობის ისეთ თავშესაფარად ადგილად, სადაც კინოს ჩვენების გარდა გასწევდნენ ჩვენი იდეოლოგიის მოწინააღმდეგე და სიინტერესო პრაზაგანდოს ისევ ხელოვნების საშუალებით. მაგალითისთვის ავიღოთ რესპუბლიკის ყველაზე დიდი კინოთეატრი „რუსთაველი“. თითქმის აქ ყველაზე უკეთ უნდა იყოს დაყენებული მასურებათა მომსახურება და გონივრული დასვენება. მაგრამ, თუ საკითხს ისე მივუდგებით, რომ კინოთეატრის მოვალეობას მხოლოდ კინოფილმის დემონსტრირება არ შეადგენს, მაშინ საქმე სხვაგვარად წარმოგვიდგება, ამ კინოთეატრის ოთხი უზარმაზარი ფოეი საესტეტი გამოუყენებელა, თუ არ ჩავთვლით მესამე და მეოთხე სართულზე გაკრულ სტენდებს, რომლებიც გვასწავლიან,

როგორ დავიცვათ თავი ატომური თავდასხმისაგან და რომ აუცილებელია თვითმფრინო მჭკაქაქ გახდეს მებახოვეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრი, საკვირველია პირდაპირ — აღაიზიან დასასვენებლად მოვიდა, მას კი ატომური თავდასხმაც ვუმაჯილეათ ყურადღებას, რა თქმა უნდა, ეს საჭიროა, მაგრამ იქ, სადაც, როგორც იტყვიან, ჯერ არს. ამავე კინოთეატრის პირველ სართულზე უჭრავს ქართულ საქრავთა ორკესტრი, ორკესტრი ყველაფერს ახრულებს, გარდა ქართული სიმღერებისა. განა მასურებლებისათვის ეს ყოველივე მისაბეზრებელი არ არის? განა არ შეიძლებოდა ამ ორკესტრის ნაცვლად ამ დიდ ფოიეში მოწყობილიყო მეცნიერულ-პოპულარული, მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება, ხელოვნების ისტატია გრამფირფიტებზე ჩანაწერების მოსმენა, შეხვედრები კინომსახიობებთან, ხელოვნების, ლიტერატურის მუშაკებთან, მხატვართა ნამუშევრების, სტირულ-იუმორისტული გაზეთების, სახალხო მეურნეობის, ხელოვნებისა და კულტურის მიღწევათა გამოფენები? ანდა, როდესაც მასურებელი კინოს დაწყებამდე თავს აცალკე ერთადერთ ბუფეტს, განა არ შეიძლებოდა გახსნილიყო პატარა კაფე გამაგრებელი სასმელებით, ნაყინით და სხვა? ეს ყველაფერი შეიძლება წერილმანად გვეჩვენოს, მაგრამ ასეთ „წვრილმანებში“ არ გამოიხატება აღამაინებზე ზრუნვა? ვფიქრობთ, მსგავსი ღონისძიებების გატარება არ გაძნელდება სხვა კინოთეატრებშიც. საქმე მხოლოდ მონდომება და გულისყურის გამოჩენაა.

ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კლუბს. კლუბების როლი თანდათანობით უფრო გაიზარდა. ყველასათვის ცნობილია, რომ კლუბი უნდა იყოს კოლექტივი, ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც გაერთიანდნენ იმისათვის, რომ საინტერესოდ, გონივრულად გაატარონ თავისუფალი დრო.

ჩვენს რესპუბლიკაში არის არა ერთი და ორი ასეთი დაწესებულება, რომლებიც ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელ თავშესაფარ ადგილადაა გადაქცეული. ამ კლუბებში, გარდა თვითმოქმედი წრეებისა, არსებობს ინტერესისდამიხედვით შექმნილი წრეები, ჩამოყალიბებულია სექციები. რომლებშიც ახალგაზრდობა ეცნობა საერთაშორისო მდგომარეობას, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკის ცალკეულ საკითხებს.

მაგრამ ჩვენი კულტსახლებისა და კლუბების უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც თანადროულობა აყენებს. უდავო ფაქტია, რომ თბილისის, სოხუმის, სამტრედიის, ლავარდისის, ზაზურის, ახალციხის და კიდევ ბევრი რაიონის კლუბები და კულტურ-

რის სახლები თავიანთ დანიშნულებას ვერ აბარებდნენ. რაღა შორს წავიდეთ, თბილისელი ახალგაზრდობა მზადაა დროს გასატარებლად წავიდეს ყველგან, ოღონდ კლუბში ნუ შეიყვანთ. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ თბილისის კლუბები მუშაობენ უინტერესოდ. თვითდინებით, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დაახლოებით ისევე, როგორც ამ 20—25 წლის წინათ, მათი ჩატარებული ღონისძიებანი მოძველებული და არაფრისმთქმელია, აქ შემოკრებილი ჰყავთ აქტივისტთა ვიწრო წრე, უჩვენებენ კინოფილმებს, ასრულებენ გეგმებს, იღებენ პრეზიებს და არიან ასე, ყოველგვარი განკითხვის გარეშე.

უფრო სერიოზული მდგომარეობაა სოფლის რაიონებში. დავიწყეთ იმით, რომ სოფლის კლუბის გამგედ შეიძლება მუშაობდეს თითქმის ყველა, ვისაც კი ამის სურვილი გაუჩნდება. სოფლად ძალზე ცუდად გაიგეს მითითება იმის შესახებ, რომ გაიზარდოს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა საკლუბო მუშაობისათვის. მოხდა ისე, რომ ბევრგან კლუბები და კულტურის სახლები რაილმასკომების კულტურის განყოფილებებს ჩამოართვეს და პატერიალურად იმ კოლმეურნეობათა გამგეობებს დაუქვემდებარეს, რომელთა წლიური შესოსავალი იმდენად მცირეა, რომ კლუბის ან

კულტახლის ხელმძღვანელი ფაქტიურად უხელფასოდ რჩება. გასაკვირი არ არის, რომ კლუბის ასეთი ხელმძღვანელი მუშაობით დაინტერესებული ვერ იქნება.

მოხდა პირიქითაც. ის კლუბები და კულტურის სახლები, რომლებიც ეკონომიურად ძლიერ კოლმეურნეობათა გამგეობაში შედიოდნენ, ზოგიერთებმა აბრეშუმის ქვის გამოსაყვან სადგომებად ან ქირანახელის საწყობებად აქციეს.

ჩვენ შემთხვევით არ შევჩერებულვართ ახალგაზრდების გონიერული დასვენების საკითხებზე. თანამედროვე პირობებში ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმეა, ჩვენი სისხლბორცეული საქმეა. ამ საქმის მოგვარებაზე დიდადაა დამოკიდებული ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა. პარტია და მთავრობა ზრუნვას არ აკლბენ ჩვენს ქაბუკებსა და ქალიშვილებს, რათა ისინი იზრდებოდნენ ზალისიანნი, ლაღნი, შეუპოვარნი, მორალურად მტკიცენი. პარტია სახავს ახალ დიდებულ გეგმებს. და ეს გეგმები ჩვენი მშფოთვარე თაობის ცხოვრების კანონი ხდება. ჩვენ ზოგველის არა მარტო ავაშენოთ კომუნიზმი, არამედ კიდევაც ვიცხოვროთ მასში, ამიტომ ჩვენ ყოველმხრივ მზად უნდა ვიყოთ შევიდეთ ამ ნათელ მსოფლიოში ახალ აღმავანებად.





გიორგი საყვარელიძე

პლენარში და ქართველი საზოგადოებრიობა

(მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლები)

როდის და რა საშუალებით გახდა ცნობილი პლენარის სახელი ქართველი საზოგადოებრიობისათვის?

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გამოცემების გავრცელების საქმე ძალზე გაძნელებული იყო მთელს რუსეთში. მით უფრო ეს იქმის საქართველოს მიმართ.

ჩვენში შედარებით მასობრივად გამოჩნდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გამოცემები 90-იანი წლების დასაწყისში. ამ დროიდან იწყება საქართველოში მარქსიზმის გავრცელება მუშათა მოძრაობის ზრდის ნიადაგზე პლენარისა და მისი ჯგუფის უშუალო გავლენით. „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გამოცემები ჩვენში შემოქონდათ აქ გადმოსახლებულ რუს მარქსისტებს, მაგრამ ეს არ იყო პლენარის შრომებისა და ჯგუფის სხვა გამოცემების საქართველოში გავრცელების ერთადერთი გზა.

არსებობს საფუძველი ვერწმუნოთ, რომ პლენარის ზოგიერთი წიგნი საქართველოში 80-იან წლებშივე გამოჩნდა. რაჟდენ კალაძის ვარაუდით 80-იანი წლების შუა ხანებში ეგ. ნინოშვილს უკვე წაკითხული უნდა ჰქონოდა პლენარის „ჩვენი უთანხმოებანი“ (ე. ნინოშვილი, თხზ., ტ. I, 1924 წ. რ. კალაძე, „ბიოგრაფია“, გვ. 56). შრომაში „თფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა“ ფ. მახარაძე აღნიშნავს, რომ ვარაუდში გამგზავრებამდე თბილისში მას ხელში ჩაეგვარა პლენარის პირველი სოც.-დემოკრატიული ბროშურა სათაურით: „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, გამოცემული ქენევაში 1883 წელს“ (გვ. 17—18).

ამავე ფაქტს უფრო ვრცლად აღწერს ფ. მახარაძე სტატიაში „როგორ გავიდა მარქსისტი“,

სადაც იგი კარგად გამოხატავს მარქსისტულ ლიტერატურას მოწყურებულის, რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის სურვილებსა და მისწრაფებას. „ისეთი რევოლუციონერები, — წერს ფ. მახარაძე — როგორც იყვნენ ჟელიაბოვი, პეროვსკაია, კიბალჩიჩი და სხვები, იდვალთ ითვლებოდნენ ჩემთვის, იმათკენ მივსწრაფოდი მთელი ჩემი არსებით. ეს იყო პირველი ნაბიჯი ჩემი გარეგნულუცინერების გზაზე, მაგრამ მე არ მქონდა გარკვეული პოლიტიკური პროგრამა, არ იყო საფუძველი. არ მქონდა სინამდვილის ანალიზი, თითქმის პერში ვიყავი დაკიდებული. ეს სულ უბრალოდ აიხსნება: მარქსისტული ლიტერატურის სრული უქონლობით. ასეთი ლიტერატურა არც კი არსებობდა, გარდა, „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ საზღვარგარეთელ ორგანიზაციის ორიოდ გამოცემისა, რომელიც ჩვენამდე არ აღწევდა. მხოლოდ მასოვს ერთი შემთხვევა, არ ვიცი 1888 თუ 1890 წ. წ. ხელში ჩამივარდა პლენარის ბროშურა „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, პირველი მარქსისტული ბროშურა, რომელიც დაწერილი იყო რუსული მარქსიზმის საფუძვლის ჩამყარების მიერ. მაგრამ უნდა გამოვტყუე, მე იგი მაშინ არ წამიკითხავს, ვინაიდან პლენარის სახელს მაშინ სრულიად არ ვიცნობდი...“ (ფ. მახარაძე, თხზ. კრ. ტ. I, 1924 წ. გვ. 33-25).

ამ პერიოდში ზოგიერთი ქართველი საზოგადო მოღვაწე პლენარის შრომებს საქართველოს ფარგლებს გარეთ გაეცნო (ისინი შემდეგ პოლიტიკური რწმენით სხვადასხვა გზით წავიდნენ). გ. ლასხიშვილი იგონებს: „...სტუდენტობის დროს „ნაროდოვოლუცი“ ვიყავი. ჩემი

მსოფლმშენებლობის საფუძვლამდელნი იყვნენ **ლავროვი, ტაჩოვ-ტიხომოროვთან** ერთად და მიხაილოვსკი. შემდეგში, განსაკუთრებით ციმბირში ყოფნის დროს (ლასხიშვილი ციმბირში გადასახლეს 1889 წელს. გ. ს.) ეს მსოფლმშენებლობა, ჩემი სოციალისტური აზროვნება შეარყია იმ დღემ, რომელიც ატყდა რუსეთში ნაორონიკებსა და მარქსისტებს შორის. ერთის მხრით მარქსის შესწავლამ და მეორე მხრით სტრუვეს და განსაკუთრებით **პლენაროვის** ნაწერებმა დრმა შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე და მომავლისკენ ის წმინდა წყლის რუსული უტოპია, ვითომ თემი და არტელი იხსნიან რუსეთს კაპიტალიზმისაგან და შესაძლებლად ვახდინა მისთვის პირდაპირ სოციალიზმის დამყარებას“ (გ. ლასხიშვილი, „მემუარები“, ტფილისი, 1934, გვ. 75).

ლასხიშვილის „მემუარებში“ გვხვდება პირდაპირი მითითებაც იმაზე, რომ უსტაქანოვორსკი გადასახლებულბამდე მასში მოუღწევია პლენაროვის ცნობილ წიგნს „ჩვენი უთანხმოებანი“, რასაც პოლიტიკური პატიმრები ცხოველი ინტერესით გაეცნობიან. ლასხიშვილი დასძენს, რომ პლენაროვის ამ შრომის წაკითხვის შემდეგ იგი ხელახლა შეუდგა მარქსის კითხვას და პოლიტიკური ეკონომიის ბეჯითად შესწავლას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ 80-იან წლებში პლენაროვის სახელი ჩვენში კანტიუტნად იყო ცნობილი მოწინავე ინტელიგენციის ერთეული წარმომადგენლებისათვის, რაიმე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მითუმეტეს „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის არსებობაზე კი ამ დროისათვის საქართველოში წარმოდგენა არავინ ჰქონდა.

ამ მოსაზრებას საეცებით ადასტურებს ერთ-ერთი პირველი ქართველი მარქსისტი ფ. მახარაძე. ცნობილია, რომ ფ. მახარაძე 1891 წლის აგვისტოში ქ. ვარშავაში გაემგზავრა. აქ იგი დაუკავშირა რევოლუციურად განწყობილ მოწინავე სტუდენტთა წრეს, რომლის წყალობითაც მან ბევრი რამ ახალი გაიგო.

ფ. მახარაძე იგონებს: „...ჩვენ გავიგეთ, რომ გერმანიაში და ავსტრო-უნგრეთში უფვე არსებობს **მარქსისტული პარტია — სოც-დემ. პუშათა პარტიის** სახელწოდებით, რომელიც წარმოადგენს ძლიერ და მაგარ ორგანიზაციას და რომელსაც აქვს დიდი გავლენა როგორც მუშათა კლასზე, ისე თვით სახელმწიფოს მართვა-გამართლაზე. გარდა ამის ჩვენ ქ. ვარშავაში, პირველად გავიგეთ, რომ 1883 წელს ქენევაში დაარსდა პლენაროვის, ზასულჩისა და სხვების მონაწილეობით „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“, რომელმაც (მხზნად გ. ს.) დაიხატა რუსეთში სოც-დემოკრატიული იდეების გავრცელება და რომ რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში უფვე არსებობენ პატარა-პატარა სოციალ-

დემოკრატიული **ჯგუფები**, რომლებიც მუშაობენ მუშებში... ყოველივე ეს, რაც ჩვენ ვერშევაში გავიგეთ, ჩვენივე პირდაპირ აღმოჩენა იყო“ (ფ. მახარაძე, „თფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა“, 1925, გვ. 18).

მარქსიზმის პოზიციებიდან საზოგადოებრივი ცხოვრების წყლებთანა გაშუქების ცდები გახშირდა 90-იანი წლების დასაწყისიდან.

საქართველოში მარქსიზმის გავრცელების საქმეში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ფ. მახარაძის მოღვაწეობის ვარშავის პერიოდი.

ცოტა რამ ფ. მახარაძის ვარშავაში გამგზავრების შესახებ. თბილისის სემინარიაში მომხდარი ვაფიციის შედეგად ვაფიცულთა მეთაურებს, მათ შორის ფ. მახარაძეს, გამოსაშვებ კლასში საატესტატო ნიშნად ყოფაქცევაში „4-“ დაეწერა. ასეთი ატესტატის პატრონი პატრი დახშული ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. მშობლიურ სოფელში ერთ წელს დასვენების შემდეგ, ფ. მახარაძემ გადაწყვიტა სემინარიის რექტორისათვის მიეთხოვა ამ საბედისწერო ნიშნის გადაკეთება, მახარაძემ განზრახვა განახორციელა და მუქარით შემინებულმა რექტორმა მოწყალემა გაიღო — ფ. მახარაძეს მისცა განსაკუთრებული მიწოდება, რაც მხოლოდ ვარშავის საბელთო ინსტიტუტში შესვლის უფლებას იძლეოდა. მეამბოხე ჰუმბეს ასეთი შეზღუდვისათვის დიდი მნიშვნელობა არ მიუცია, რადგან მისი მთავარი მიზანი იყო სოციალიზმის შესწავლა და მუშათა მოძრაობის პრაქტიკულად გაცნობა, რაც მას შესაძლებლად მიაჩნდა ნებისმიერ ინსტიტუტში სწავლის პირობებში. მახარაძე შევიდა ვარშავის საბელთო ინსტიტუტში, მაგრამ როგორც მოგვიანებით აღიარა, იქ მეცადინეობა მას სრულებით არ აინტერესებდა.

ფ. მახარაძესთან ერთად ვარშავაში გაემგზავრნენ ს. ჟორდანია, ს. მიქაძე და მ. მირიანაშვილი. აქ ისინი დაუახლოვდნენ მარქსიზმში ასეთ თუ ისე გარკვეულ სტუდენტებს შუმოვს, რუნკევისს, ლიუბიმსკის, ცვეტკოვს, ნეცკის, ანტოკოლსკის, პესკინსა და დამა ვიტკინებს. ისინი თვითნათ თავს უწოდებდნენ სოციალ-დემოკრატებს, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მიმდევრებს.

1891 წლის დამლევს ჩამოყალიბდა მარქსიზმის შემსწავლელი წრე, რომელმაც იარსება 1893 წლის აპრილამდე. მასში გაერთიანდნენ პესკინი, ანტოკოლსკი, დამა ვიტკინები, ლიუბიმსკი, ცვეტკოვი, ნეცკი, მახარაძე, ჟორდანია, მიქაძე და მირიანაშვილი. რუნკევიჩი და შუმოვი წრის წევრებად არ ითვლებოდნენ, მაგრამ ისინი მას გარედან უწევდნენ საქმრო ხელმძღვანელობას.

ზემოთ ჩამოთვლილი ბევრი ახალგაზრდა ამ წრეს და საერთოდ მუშათა კლასის საქმეს ბო-



ლომდე არ შეჩვენია. წრიდან მალე გავიდნენ მირიანაშვილი, ცვეტაიკო და ნეკეი. ვიტკინდი პარტიზონში მოხვდა წრის საბოლოო განდგერებამდე, პარტიზონისაგან თავდადებული პე-სკინი საზღვარგარეთ გაიქცა 1892 წელს, ეორ-დანია საქართველოში დაბრუნდა ამავე წლის ზაფხულში. მიქაელ წრეს ბოლომდე შეჩვენა, მაგ-არ ამ შემდეგ იგი, ისევე, როგორც ეორდანი და მირიანაშვილი, სრულად ჩამოშორდა მეცნიერულ სოციალიზმსა და მუშათა კლასის საქმეს.

ამგვარად, წრეს ბოლომდე შეჩვენენ მხოლოდ ანტოკლესი, ვიტკინდი (მეორე), ლიუბიმსკი, მახარაძე და მიქაელ.

მარქსიზმის შემსწავლელ სტუდენტთა წრის წევრები კვირაში ორჯერ იკრიბებოდნენ სამეცადინოდ. მეცნიერული სოციალიზმის თეორიის შესწავლას ისინი შეუდგნენ კალკის „მარქსის ეკონომიური მოძღვრების“ ხელნაწერი ეგზემ-პლარით. ამ წიგნში კალკი მოკლედ გადმოცემ-და „კაპიტალის“ პირველი ტომის შინაარსს.

მარქსიზმის საფუძვლებთან წინასწარი გაცნო-ბის შემდეგ წრის წევრები შეუდგნენ უშუალოდ „კაპიტალის“ პირველი ტომის შესწავლას. გარ-და ამისა, წრეში გულმოდგინედ შეისწავლეს „ანტი-დიურინგის“ ცალკეული თავები, „კომუ-ნისტური პარტიის მანიფესტი“ და გ. პლენარო-ვის შრომები „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ და „ჩვენი უთანხმოებანი“.

1923 წელს დაწერილ სტატიაში „როგორ გავხილ მარქსისტი“ ფ. მახარაძე აღნიშნავს: „როგორც საზოგადოებრივი მარქსიზმის შეთქმულ-ში, აგრეთვე განსაკუთრებით რუსეთის სოცია-ლისტურ პარტიების გაცნობაში ძვირფასი დაწველი მიუძღვის ჩვენთვის პლენაროვის ნა-წარმოებო და განსაკუთრებით „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ და ჩვენი უთანხმოე-ბანი“. ეს უკანასკნელი ნაწარმოები მოხერხე-ბულთ და ბრწყინვალედ აშკარაებდა რუ-სეთის სინამდვილეს. ამ წიგნს მრავალჯერ გა-დავიკითხავდი, ამან მომცა საშუალება საბო-ლოდ გამეჩკია თავისთვის როლი და მნიშე-ნელობა რუსეთის ცნობილი თემის (Однѣннѣ), აგრეთვე, როლი და მნიშვნელობა რუსეთის რევოლუციური მოძრაობაში მუშათა კლასის ყველა იმ სოციალისტურ და ნახევრად სოცია-ლისტურ (ნაროდნიკებისა) პარტიების, რომლე-ბიც ყველა თავის იმედებს ამყარებდნენ თითქ-მის მართო ამ თემის არსებობაზე“ (ფ. მახ-არაძე, თხ. კრ. I, ტფ. 1924 წ. გვ. 49).

მარქსიზმის დაუფლებისათვის თავდადებულ-ლმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ფ. მახარაძემ მალე გაითქვა სახელი, როგორც უნარიანი და ნიჭიერი ახალგაზრდა.

მარქსიზმის შემსწავლელ სტუდენტთა წრემ გადაწყვიტა სათანადოდ აღენიშნა კარლ მარქ-სის გარდაცვალების ათი წლის თავი. ფ. მახ-

არაძეს დაევალა რეფერატის მომზადება კარლ მარქსის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე წა-საკითხად. ეს იყო საპატიო დავალება, რასაც იგი სათანადო პასუხისმგებლობით მოჰყიდებია.

მარქსის გარდაცვალების ათი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო მოეწყო 1893 წლის 14 მარტს. საღამოზე თავი მოიყარა ასამდე კაცი, რაც იმ პირობებში საკმაოდ ფართო საზოგადო-ებად, თვით თავმოყრის ფაქტი კი მეტად გა-ბედულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. მაშინდელ ვარშავაში ყოველი სახლის მეფეობეც კი პოლი-ციის ფართო აგენტს იყო და ამგვარ აქტს მშვიდობიანად შეეძლო ჩაევლო მხოლოდ წრის ორგანიზატორთა კონსპირატულობაში საკმაო დახელოვნების წყალობით. ფ. მახარაძის რეფე-რატს დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოუწვევია. საღამოს შემდეგ იგი ხელახლა წასაკითხად ხელიდან ხელში გადადიოდა. რეფერატის ცალ-კე პროშურად გამოცემაც განუზრახავთ, მაგრამ ამ განზრახვის შესრულება არ მოხერხებულა I.

მარქსისტული მოძრაობის ფართოდ გაშლას დიდად აფერხებდა მარქსისტული ლიტერატუ-რის ხელმოუწვდომლობა.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი დიდ სიმწელებს აწყდებოდა თავისი გამოცემების გავრცელების გზაზე. ძალზე გაძნელებული იყო ჯგუფის გამოცემების რამდენადმე საგარეოში რაოდენობით შემოზიდვა რუსეთში. წიგნების გაზავნის ცდები სისტემატურად იშლებოდა. ლ. დიჩი, რომელიც ჯგუფის ორგანიზაციულ, ფინანსურ და ადმინისტრაციულ სამუშაოებს განაგებდა, დააპატიმრეს 1884 წელს არალეგა-ლური ლიტერატურის რუსეთში შემოტანის ერთ-ერთი ცდის დროს. წიგნების მცირე პარ-ტიების შემოტანა ზოგჯერ წარმატებით ხერ-ხდებოდა სამშობლოში დაბრუნებული რუსი სტუდენტების საშუალებით. მაგრამ ამას მის-ზოდური ხასიათი ჰქონდა. ამ რთული სამუშაოს შესასრულებლად რაიმე ჩამოყალიბებული და მოწყობილი იყო ორგანიზაცია არ არსებობდა.

რუნევიჩისა და შუმოვის განუზრახავთ თავი-ანთი წვლილი შეეტანათ ამ საქმეში. მათ რამ-დენჯერმე კიდევ მოახერხეს მარქსისტული ლი-ტერატურის ვარშავიდან რუსეთში შემოტანა.

შემდეგ ამ საქმეში ჩაბმულა ვარშაველ სტუ-დენტთა მარქსიზმის შემსწავლელი წრე. წრის წევრთაგან ამ მხრივ პირველი ნაბიჯი პესკინს გადაუღვამს. იგი საზღვარზე გადადიოდა აეს-ტრიის ამ პრუსიის რომელიმე სასაზღვრო ქაო-ქიდან. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს აესტრიის საზღვარზე პესკინი შეუპყრიათ, მა-გრამ პარტიზონისაგან მას თავი დაუღწევია და უცხოეთში გაიხიზნულა.

I ჩხრეკის შემთხვევაში წრის წევრებს ეს რეფერა-ტი დაუწევიათ. ფ. მახარაძის დაპატიმრების შემ-დეგ.

ამის შემდეგ უცხოეთიდან მარქსისტული ლიტერატურის შემოზიდვის ფუნქცია მახარაძესა და ანტოკოლსკის უკისრიათ. ფ. მახარაძეს უცდია არალეგალური ლიტერატურა მიეწოდებინა თბილისელი ამხანაგებისათვის და 1892 წლის ბოლოს კიდეც მოუხერხებინა მცირედენი წიგნების შემოგზავნა, მაგრამ ეს მას სრულიად არასამართლიანად მიუჩნევია და საქართველოში მარქსისტული ლიტერატურის მეტი რაოდენობით გამოგზავნის სამზადისს შესდგომია. მახარაძეს ეგ. ნინოშვილისათვის შემოუტყდა მოგვარებინა ამ დანიშნულებით ფულის შეგროვება და მისთვის მიწოდება. ეგ. ნინოშვილსა და მ. ცხაკაიას, რომლებიც დიდად იყვნენ დანტერესებული ამ საქმით და თავის მხრივ ატარებდნენ ვარშავიდან ლიტერატურის მიღების ღონისძიებებს, „სალამო“ გაუმართათ და მცირე თანხა (30 მან.) შეუგროვებინათ. ეგნატეს დული გოუგზავნია ვარშავაში ფილიპეს სახელზე. ფილიპემ მიიღო ცნობა ამ თანხის გადაგზავნის შესახებ, მაგრამ თვით ფულის მიღება არ დასცალდა, რადგან 1893 წლის აპრილში იგი დააპატიმრეს.

ეს მოხდა შემდეგ გარემოებაში. ვარშავაში ფილიპესთან მივიდა მისთვის უცნობი მოქალაქე და შეატყობინა, რომ გამოგზავნილია და ვარშავაში მალე მიიღებენ ყუთის არალეგალური ლიტერატურით. მასში „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის უკანასკნელი გამოცემები — პლენარის შრომები, ახალი პოლიტიკური ლიტერატურული კრებული „სოციალ-დემოკრატია“ და სხვ. წიგნები განკუთვნილი იყო რუსეთის ქალაქებში გასაგზავნად თანდართული განაწილების მიხედვით. ფილიპეს გადასცა საწყობიდან გზავნილების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტები. ყუთის გამოტანისას მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო დაცული სიფრთხილე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო არა მარტო წიგნების გამოძანება, არამედ არალეგალური წრის ყველა წევრის ჩაეარდნა და წრის მთლიანად განადგურება.

წიგნებით სავსე ყუთი მართლაც მიიღო სატრანსპორტო საზოგადოება „ნადეჟდას“ საწყობმა. აქედან მისი გამოტანა დაეცა მახარაძესა და ანტოკოლსკის. ყუთის დასაბინავებლად შეირჩა მირიანაშვილის ოთახი, როგორც შედარებით უხეფათო ადგილი. მახარაძე და ანტოკოლსკი მოუტიფდნენ ბარგის დამტარებელ მუშას (№85), ისე, რომ ამ უკანასკნელმა, ცხადია არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა ეს ტვირთი. ანტოკოლსკის დაეცა საწყობში ეწარმოებინა დავიკრება — ხომ არავინ უთვალავებდა ყუთის გამოტანის საქმეს.

გასაგები მოსაზრებით ფილიპემ მუშას პირველად არასწორი მისამართი მისცა და ქუჩაში დაეგლოდა ანტოკოლსკის, სადაც ამ უკანასკნელს

მისთვის უნდა შეეტყობინებინა საწყობში წარმოებული მეთვალყურეობის შედეგი.

ანტოკოლსკის ამ ხანებში შეემჩნა ნერვული დაავადების ნიშნები. ამ გარემოებამ აქცა იმისათვის, მას მოეჩვენა, რომ წიგნების გამოტანას უთვალავებდნენ პოლიციის საიდუმლო აგენტები და ეს ცნობა ფილიპემ მახარაძეს, ამ უკანასკნელმა იცოდა რა ანტოკოლსკის მდგომარეობა, ყველაფერი მოჩვენებად მიიჩნია და გადაწყვიტა მუშისათვის ნამდვილი მისამართი მიეცა. თვითონ მერვე ეტლით შორიაშლო გაჰყვა მათ და მირიანაშვილის ბინამდე მშვიდობით მიიღწია. მირიანაშვილმა იკისრა თავის ბინაზე ყუთის შენახვა იმ პირობით, რომ საქმის გახსნის შემთხვევაში მთელ პასუხისმგებლობას იგი ფ. მახარაძეს დააკისრებდა.

მირიანაშვილის ბინიდან დაბრუნებული მახარაძე პოლიციის კვალის დასაბნეველად „შეეშალა“. წვერ-უღვაში გაიბარსა და დასასვენებლად შინ დაბრუნდა. აქ მას დახვდა ანტოკოლსკი და ხელახლა დაუწყო რწმუნება, რომ მათი ჩავარდნა გარდაუვალია. ორივენი წავიდნენ შემოვთან, რათა აქ ეგზოთ რუკევიჩი და რუკევიჩისათვის ორივენი შეეყვანათ საქმის კურსში. გაიგეს რა საქმის ვითარება, შემოვმა და რუკევიჩმა საჭიროდ ჩათვალეს მოეძებნათ მუშა და სათანადო სიფრთხილით გაეგოთ მისგან — საეჭვოდ ხომ არავინ შეამჩნია მირიანაშვილის ბინაზე მის მიერ ყუთის მიტანა. მუშა მოიხმეს. აქ ანტოკოლსკიმ წინდაუხედლობა გამოიჩინა და ისეთი საუბარი გამართა, რომ მუშისათვის ყველაფერი აშკარა გახდა.

ახლა კი მართლაც დაიღუპა ყველაფერი. საქმეს ვერ უშველა ოქროს თუმბინამ, რომელიც მუშას გულის მოსაგებად აჩუქეს.

პოლიციამ, რომელმაც ამის შესახებ აქამდე არაფერი იცოდა, ახლა უკვე ძვირფასი ცნობა მიიღო.

ამას მოჰყვა ფ. მახარაძის პატიმრობა ე. წ. აღუქსანდრეს ციხედლის „სამშაბი შენობის“ მაღალ და დაღვრემილ კედლებში. ჩქარა გაიღო რკინის დიდი კარები, რომელიც შესვლისას ისევ სწრაფად დაიხურა ყრუთ და დიდი ხნით“ (ფ. მახარაძე, თხზ., ტ. I, გვ. 64, 1924 წ.).

„მესამე დასვლა“ მებაიარაგებ ეგ. ნინოშვილი დიდად იყო მოწადინებული საფუძვლიანად შეესწავლა მარქსიზმი. ეგნატე უზომოდ იყო გატაცებული გ. პლენარით.

ე. ნინოშვილს მიაჩნდა, რომ იმდროისთვის

I ფ. მახარაძესთან ერთად მირიანაშვილიც დააპატიმრეს, მაგრამ იგი მალე გაათავისუფლეს, რადგან ისეთი ჩვენება მისცა, როგორცეც აღრევე შეუთანხმდა ფ. მახარაძეს.

ბელეტრისტიკასთან შედარებით პუბლიცისტიკას დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ გრძნობდა, რომ არ გააჩნდა პუბლიცისტიკისთვის საჭირო თეორიული მომზადება.

„მესამე დასკლთა“ მეორე კრების შემდეგ, 1893 წლის ზაფხულის დასაწყისში ეგნატე სოფელში დაბრუნდა უსახლვრო სურვილით, რაც შეიძლება მალე მისცემოდა მდიდარი მარქსისტული ლიტერატურის გაცნობის შესაძლებლობა.

სულ მალე ეგნატეს მისმა სიყრმის მეგობარმა სილიბისტრო ჯიბლაძემ აცნობა, რომ სახლგარეუთიდან მან მიიღო არალეგალური ლიტერატურის დიდი „ტრანსპორტი“, რომლის ნაწილი თვით ს. ჯიბლაძესთან, დანარჩენი კი ნიკოლოზი დიმტრი კალანდარიშვილთან ინახებოდა.

რადენ კალაძე იკონებს:

„ეგნატე მიხვდა, თუ რა ლიტერატურა და რა ტრანსპორტი უნდა იყოს ის; უმწვერვალესათ გახარებული, მყისვე გაქანა დანიშნულ ადგილისაკენ; ნახა, თავისი თვლით ნახა ის მოჩუხჩუხე, ანკარა წყარო, წყარო იდეების, იდეალების და კაცობრიულ ზედნიერების...“

ეს იყო „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გამოცემები: ჟურნალ „სოციალ-დემოკრატი“-ს 1889 წლის №16, აგრეთვე პლენარის და აქსელროდის შრომები; იყო ზოგი სხვა რამე“ (ე. ნინოშვილი, თხზ. ტ. I, 1924 წ. რ. კალაძე „ბიოგრაფია“, გვ. 103).

ეგნატე განსაკუთრებული გულმოდგინებით ჩაუჯდა ამ ლიტერატურის შესწავლას და სულ მალე, შეიძლება ითქვას, იგი მთელი თავით ამაღლდა, მხოლოდ ამის შემდეგ მიიჩნია მან შესაძლებლად დაეწერა თავისი პირველი პოლემიკური სტატია „ძველი დავა ახალ ქურქში“.

ამ ხანებში რ. კალაძეს განუზრახავს სამტრედიამო ლეგალური სტამბის გამართვა. იმ ვარაუდით, რომ აქ არალეგალური წიგნების ბეჭდვა მოეწყობა, კალაძეს მოესურვებია კონსულტაციისათვის შეხვედროდა ეგ. ნინოშვილს. შეთანხმების მიხედვით ისინი ერთმანეთს შეხვდნენ მატარებელში, როცა ეგნატე ზესტაფონში გამოდით თბილისის მიმგზავრებოდა. ეგნატეს თხოვნით რადენი სამტრედიიდან ზესტაფონამდე გაჰყოლია მას.

დიდ ინტერესს იწვევს მატარებელში გამართული მათი საუბარი. მოგვყავს მისი შინაარსი ისე, როგორც მას რ. კალაძე აღმოგვცემს.

„— ბევრი ვიკითხე, რადენ, ამ ზაფხულს და კარგადაც შევისწავლე ის კითხვები, რომლებიც ჩვენ ისე გვალეღვებს. ამიერიდან ჩვენი ერთადერთი გზის მაჩვენებელი, წინამძღოლი და მასწავლებელი მარქსი და ენგელსი და კიდევ ამათი ახალგაზრდა რუსი მოწაფე, გიორგი პლენარია.“

მუშათა კლასი! აი ვინ ყოფილა ჭვენიერების და ცხოვრების ჩარხის მატრიალბელი!

მუშათა მოძრაობა! აი ამ ჩარხის ბრუნვა! ერთი თუ ჩვენშიაც დატრიალდა ეს ჩარხი, თუ ჩვენშიაც გაჩაღდება მუშათა მოძრაობა, მაშინ ჩვენი ცხოვრებაც ძირფესვიანათ გადატრიალდება“ (მითითებული შრომა, გვ. 104).

რ. კალაძე განავრძობს: ეგნატემ „...უბის ჯიბიდან თავისი განუწყრელი უბის რვეული ამოიღო და გადაშალა:

— ნახე, რამდენი ციტატები, ამონაწერები მაქვს ამ ზაფხულს წაკითხული წიგნებიდან. ისეთი სტატიები აქვს, ისეთი... პლენარის, რომელიც დადაკითხვის მეტი არ უნდა ცოტათ თუ ბევრათ ამისათვის მომზადებულ კაცს, რომ გონების თვალი აეხილოს, დაინახოს თუ როგორ დაბრმავებული იყო იგი დღემდე იდეალისტური ფილოსოფიით, ათასგვარი სუბიექტური უტოპიით...“ (იქვე, გვ. 104).

ფ. მახარაძემ პატიმრობაში დაჰყო თითქმის ორი წელი. 1895 წლის იანვარში იგი გაათავისუფლეს და საქართველოში გამოუშვეს შრომითი სოფელში პოლიციის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრების უფლებით. აქ მას ჩამოუტანია გ. პლენარის წიგნი „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“. როგორც ცნობილია, პლენარის ეს შრომა ლეგალურად გამოიცა პეტერბურგში 1894 წელს.

ფ. მახარაძე იკონებს: „ეს წიგნი საქართველოში პირველად მე ჩამოვიტანე ვარაუდით. პირველი, ვინც ეს წიგნი წაიკითხა ჩვენში, იყო კ. ჩხეიძე, რომელიც... მიხაილოვსკის მიმდევარი იყო და მხოლოდ ბელტოვის (პლენარის, გ. ს.) დაახლებული წიგნის საშუალებით იყო, რომ იგი გამოეთხოვა მიხაილოვსკის. შემდეგ ეს წიგნი წაიკითხა. ჯიბლაძემ, რომელიც მას თან დაატარებდა და თავის ახლომელ მეგობრებს აკითხებდა“ (ფ. მახარაძე, „თფილისის როგ. 30 წლის არსებობა“, გვ. 26, სხოლო).

გამორიცხული არ არის, რომ პლენარის ეს წიგნი მახარაძის მიერ ვარაუდით ჩამოტანამდე გამოჩენილიყო საქართველოში.

ქართველ საზოგადოებასთან პლენარის ურთიერთობის გვირგვინს წარმოადგენს თვით პლენარის გამოსცლა ქართულ პრესაში.

ქართველ მარქსისტთა თხოვნით პლენარის ვარლამ ჩერქეზიშვილის წინამდებდ დასწერა ცნობილი სტატია „როგორც ჰქუხს, ისე არა“

წვიმს“. ეს იყო პლენარის წერილი „ქვალის“ რედაქციის, მიმართ¹.

1900 წელს ჩერქეზიში იყო „ივერიაში“ გამო-აქვეყნა წერილი „ბელგიაში მოგზაურობა“. ამ წერილში იგი უარყოფდა მარქსის კანონს კაპიტალის კონცენტრაციის შესახებ და მარქსის დიალექტიკურ მეთოდს უწოდებდა „არამეცნიერულს“, „სოფისტიკურს“. ჩერქეზიშილის კრიტიკა შეეხებოდა პლენარის, როგორც მარქსისა და ენგელსის თავგამოდებულ მოწაფეს.

1 საერთაშორისო ანარქიზმის თეალაჩინო წარმომადგენელი ე. ჩერქეზიშილი დაიბადა 1846 წელს და გარდაიცვალა 79 წლის ასაკში. 1925 წელს. იგი, როგორც ნეჩაევის ჯგუფის წევრი, გადასახლებული იყო ტომსკში, საიდანაც გაიქცა 1876 წელს. აქედან ჩერქეზიშილი საზღვარგარეთ გავიდა. 1905 წელს საზღვარგარეთიდან პეტერბურგს და აქედან საქართველოში დაბრუნდა, სადაც იგი დარჩა 1907 წლამდე. ჩერქეზიშილი მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გაშალა „ნობათის“ ფურცლებიდან. ამას მოჰყვა ი. ბ. სტალინის ღირსშესანიშნავი მარქსისტული შრომა „ანარქიზმი და სოციალიზმი“.

სტატიაში „როგორც ჭეხს, ისე არა წვიმს“ პლენარში გააცემტვერა ე. ჩერქეზიშილის ანარქისტული შეხედულებები¹.

რევოლუციურად განწყობილ, მოწინავე ქართველ მოღვაწეებს პლენარის შრომები ერთგვარ სამოციქულოდ მიაჩნდათ, ისინი განსაკუთრებული გულმოდგინებით სწავლობდნენ ამ შრომებს და პოლიციის მხრივ ეჭვის მიტანის ან ჩხრეკის მოლოდინში სასოებით გადაშალავდნენ ხოლმე მათ. მარქსისა და ენგელსის ამ დიდი მოწაფისადმი ცხოველი ინტერესი ჩვენში არ შენელებულა მთელი იმ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რასაც პლენარის მოღვაწეობის მარქსისტული პერიოდი მოიცავს.

¹ ეს სტატია პლენარის სიცოცხლეში რუსულად არ გამოქვეყნებულა. პლენარის არქივში აღმოჩნდა წერილის ორიგინალი—რუსული ხელნაწერი. აკლდა ზოგიერთი გვერდი. აქვე აღმოჩნდა ქართული ტექსტიც, საიდანაც შეივსო რუსული ხელნაწერი და სტატია „როგორც ჭეხს, ისე არა წვიმს“ რუსულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა 1928 წელს კრებულში „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი.



ფოტოები ოთარ თურქიასი

გივი გეგეჭკორი
გუგამ შანჭიძე

ფეხბურთის სეზონი არასოდეს მთავრდება...

ვისაც ფეხბურთი ნამდვილად უყვარს, მისთვის ფეხბურთის სეზონი არასოდეს მთავრდება. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სტადიონის ტრიბუნებს მოეფინება ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩის მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა და ტრადიციული მარში, იწყება ახალ სეზონზე ფიქრი, განვლილი საფეხბურთო პირველობის შედეგების შეჯამება და მომავალი ასპარეზობის გარშემო სჯა-ბაასი.

გულშემატკივარნი სწონიან ჩვენი „დინამოს“ ძალებს, ითვლისწინებენ მის შესაძლებლობებს. რა თქმა უნდა, მათი ვარაუდი ხშირად არ გამართლებულა, მაგრამ მათთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამ უკანასკნელ წლებში, ყოველი სეზონის დამთავრების შემდეგ მრავალნი წინასწარმეტყველებდნენ, რომ მომავალ წელს ავთანდილ ლოლობერიძე ვეღარ გამოიყვანდა გუნდს მოედანზე და ვეღარ ითამაშებდა, მაგრამ თბილისის „დინამოს“ ეს მრავალჭირნახული ვეტერანი ჯერჯერობით გმირულად უმკლავდება ამ წინასწარმეტყველებას. ფეხბურთის მოყვარულები კამათობენ და

მსჯელობენ არა მარტო თბილისში, არა მარტო მის გარეუბნებში, არამედ საქართველოს ყოველ კუთხეში. კამათობენ ისინი, ვისაც არასოდეს გაუცდენია ქართველი ფეხბურთელების მიერ ჩატარებული მატჩი და ისინიც, ვისაც ერთი-ორჯერ ან სულ არ უნახავს მათი თამაში. ფეხბურთის გულშემატკივართა უმრავლესობას ანლოს არ უნახავს თავიანთი სათაყვანებელი ფეხბურთელები. არ უნახავთ მწვანე მინდვრის გარეთ, ჩვეულებრივ გარემოში, ჩვეულებრივ ტანსაცმელში, უბუცებოდ, უტრუსებოდ, უმთხურებოდ... არ უნახავთ მიხეილ მესხი, რომლის ვირტუოზულ თამაშს ქება-დიდებას უძღვნიდნენ ფეხბურთის სამშობლოში — ინგლისში. არ უნახავთ შოთა იაშინაძე, ხერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ბარჭაია და სხვანი, რომელთა შესანიშნავ თამაშს ვერ დაივიწყებს საფრანგეთი და ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი და ინგლისი, არ უნახავთ ისინი, რომლებმაც ამდენი სიხარული და აღტაცება მოგვიტანეს და ასეთი უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურეს.

ჩვენ ძალიან გვიყვარს ჩვენი ფეხბურთელ-



მიხეილ მესხი უკვე გაუსხლტა მეცხვლს. ცოტაც და სტადიონის ტრიბუნებს
მოვლდება: „მეს-ხი! მეს-ხი! მეს-ხი!“

ხო და ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა მათ წარუმატებლობას და ასეთივე ზედმეტი ექსპანსიურობით ვხვდებით მათ გამარჯვებას.

მათი წარუმატებლობითა და უპასუხისმგებლობით აღშფოთებულებს ხშირად გვითქვამს, ამიერიდან სტადიონს აღარ გავეცარებითო, მაგრამ მატჩის სანეტარო წუთების მოახლოებასთანავე სტადიონისაკენ მივიჩქარით. საქმარია, ჩვენმა ფეხბურთელებმა ისევ ევანახონ თავიანთი შესანიშნავი ოსტატობა, რომ გული ისევ მოგვიბრუნდეს, ისევ დავივიწყოთ ყველაფერი და ბავშვებივით გახარებულებმა იარუსებიდან მქუხარე ტაშით გავაციოლოთ ისინი. მარწყინვალედ ჩატარებული მატჩის შემდეგ


ჩვენ დაუსრულებლად ვლაპარაკობთ, რა შესანიშნავი ფინტები აქვს მესხს, თუ რა შესანიშნავი დრიბლინგი აქვს იამანიძეს ან თუ რა შესანიშნავი კომბინაციური ალღო აქვს ბარკაიას...

ჩვენ გვიყვარს ჩვენი ფეხბურთელები და ხას-ტიკად განვიცდიდით, როცა მათ აუღს ვისმენო. ჩვენ ხარბად ვუვდებით ყურს მრავალ მართალსა და ტყუილს, გავიწილსა და ყურმოკრულ ამბებს მათ შესახებ, რომლებიც სწრაფად ვრცელდება ქალაქის ქუჩებში, რკინიგზებზე, სოფლის ორღობებში... თაყვანისმცემლებს, გარდა იმისა, რასაც საკუთარი თვალებით ზედავენ იარუსებიდან, აინტერესებთ აგრეთ-

ვე ფეხბურთელთა პირადი ცხოვრების წვრილმანები, თვითმუშა მათგანის შეხედულებები, ხასიათები... მათი მისწრაფებები, ფიქრები, ოცნებები, მათი წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზები... თუ რა იქნება სვალ, ზეგ, მაზგ.

მათ სურთ ბევრი რამ შეიტყონ იმ ადამიანებისა, რომლებიც ერთი ოჯახის წევრებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთმანეთს ძმებით უფროსილდებიან, უფლიან, ეხუმრებიან და უთმობენ ერთმანეთს. ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ამ ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებთ ტყავის ბურთი, ერთად გატარებული დღეების მოგონებები, რკინიგზის ლიანდაგები, გაწათებული კუპები და მომქანცველი მგზავრობა ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში. უცნობი ადამიანების ცნობისმოყვარე სახეები, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, ინგლისი...

მათ იციან, რომ ისინი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მრავალი ბავშვი, დახდებდნენ ბავშვობაში ჩვრებით შეყვრილ ბურთს და სკოლიდან დაბრუნებულები ქუჩებში თამაშობდნენ, კარის ძეღის აღსანიშნავად ჩანთებს



ასე ისვენებს გლადიმერ ბარქაია ვარჯიშის შემდეგ.

იყენებდნენ და ხშირად მანქანის გავლას ელოდნენ, რომ თამაში ისევ განეგრძოთ, რომ ისინი ანთებული თვალებით შესცქეროდნენ ბავშვის სათამაშოებზე და შოკოლადის კოლოფებზე დახატულ ფეხბურთელებს და ოცნებობდნენ დიდ სტადიონებზე, სადაც შრიანლებდა პატარა აღმები, ანათებდა ვიებერთელა

პროექტორები, სადაც ირხეოდა კარის ბადეები და სადაც ქვევით დიდი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ გარეგნულად მშვიდი ფეხბურთელები, რომლებიც მაყურებლების ყიჟინასა და ღრინაცელში გამოვლინდნენ მოედნებზე და მიიწევდნენ სულ წინ, სულ წინ...

ფეხბურთის მოყვარულებმა ბევრი რამ იცი-




შოთა იამანიძე ქურონალ „ცისკრის“ აქტიური თანამშრომელია. ახლა იგი თავისი წერილის ანაბეჭდებს კითხულობს.

ან, მაგრამ უფრო ბევრის გაგება აინტერესებთ. ეს ინტერესი იგრძნობა გაზეთის ფარდულებთან, სადაც ისინი ყიდულობენ გაზეთებს და ფეხბურთის უკანასკნელ ამბებს გაუაცინებთ კითხულობენ, იგრძნობა სტადიონის მისასვლელებთან, როცა „დინამოს“ ავტობუსი ძლივს მიარღვევს მოზღვაგებულ ხალხს. ეს ინტერესი იგრძნობოდა იმ მძღოლის გამოხედვაშიც, რომელმაც ტაქსით მიგვიყვანა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა სპორტული ბაზის კიშკრამდე, დიღომში.

ჩვენ ვნახეთ ქართველი ფეხბურთელები თავიანთ სამფლობელოში, რომელიც მაღალი რკინის მესრით არის შემოზღუდული. მესრის იქით დგას ორსართულიანი სახლი, რომელშიც ქართველი ფეხბურთელები ცხოვრობენ. ისინი ღიმილით შეგვიგებენ, გაგვიბეს გულაბდილი საუბარი, მაღლე გავვიშინაურეს, ჩაგვითრიეს და აგვიყოლიეს. ისინი არაფერს გვიმალავდნენ, დიდი სიყვარულით ლაპარაკობდნენ ფეხბურთზე, ერთმანეთზე, განვლილ საფეხბურთო დღეებზე, ამინდზე, ქალიშვილებზე, რომლებიც ფეხბურთელებს ყოველ წუთს ურევადნენ ტელეფონით.

ისინი სამართლიან გულისწრომას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ, მიუხედავად სათაუვანებელი ფეხბურთელებისადმი ჩვენი უსაზღვრო სიყვარულისა, ჩვენ ზშირად უსამართლონი ვართ და მკაცრად ვფასებთ ზოლმე ცალკეული ფეხბურთელის ან მთელი გუნდის შეცდომებს. ჩვენ გვაიწყდება, რომ ისინი მექანიზმები არ არიან, აქვთ თავიანთი განწყობილებები, განცდები, ახასიათებთ ადამიანური სისუსტე. ისინი მთელი წლის მანძილზე მხოლოდ ზოგჯერ იძინებენ საკუთარ სახლში, მხოლოდ ზოგჯერ ნახულობენ მშობლებს, დებს, ძმებს, მეუღლეებს, შვილებს, შეყვარებულებს. მხოლოდ ზოგჯერ შეეძევებიან ოჯახში მომ-



ბურთი კიდევ დიდხანს იქნება ჰაერში. იგი მიწაზე მხოლოდ მაშინ დაეშვება, როცა გივი ჩიხელაშვილი მოისურვებს.

ზადებულ კერძს (მაგალითად, ვლადიმერ ბარქაის შარშან, როცა ღვიძლი აწუხებდა, მთელი წლის განმავლობაში ენატრებოდა ღვინო და სულუგუნი). ჩვენ გვაიწყდება, თუ რა ძნელია ზოგჯერ მოზღვაგებული სურვილის უკუგდება და ის მკაცრი სპორტული რეჟიმი, რომელიც საზღვრავს მათ სურვილებსა და ვნებებს და ერთ საერთო მიზანს უქვემდებარებს მათ ხასიათსა და განწყობილებას.


ზშირია შემთხვევა, როცა ფეხბურთელები უხეშ შეცდომას უშვებენ და მაყურებლები ამ დროს სტენდით გამოხატავენ ზოლმე თავიანთ უკმაყოფილებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის როდის აკვირდებიან და უფიქრდებიან.

თუ რატომ დაემართა ეს ამა თუ იმ ფეხბურთელს, რომლის ძალებშიაც არავის ეჭვი არ ეპარება.

— ჩვენ სასტიკად ვღელავთ თამაშის წინ, — გვითხრეს ფეხბურთელებმა. — ხანდა-ხან თამაშის წინა ღამეს არც გვეძინება. — ჩაერია საუბარში სულიკო თორაძე. — მასსოვს, საფრანგეთში ვიყავით. ჩვენი სასტუმროს წინ კაზინოს შენობა იყო, მთელი ღამე არ დამეძინა და როგორმე დრო რომ გამეყვანა, ფანჯარასთან ვიჯექი და შევუარებდი, თუ როგორ ჩერდებოდნენ სპარადო შესასვლელთან მანქანები და როგორ გამოდიოდნენ შენობიდან ჯიბე-დაცარიელებული მოთამაშეები და მილიონერები.

— ძალიან დაძაბული გამოვედი მწვანე მინდორზე პარიზში, ევროპის თასზე იუგოსლავებთან თამაშის დროს, — გაიხსენა მიშა მეხხმა. — ფეხები თითქმის შემეცრა. ზუმრობა ზომ არ იყო, ევროპის თასი უნდა აგველო, ისიც საფრანგეთში, სადაც ამდენა უცხო თვალი გვიყურებდა. მე თითქმის უმრავლეს შემთხვევაში გვერდს ვუვლიდი. უკან ვტოვებდი მცველს და მაშინ, როცა ძირითადი ხაქმე უკვე გაკეთებული მქონდა და გასული ვიყავი, მღელვარებისა და ნერვიულობისაგან ზოგჯერ ბურთი ხაზს იქით გამირობოდა. ამხანაგური თამაში რომ უოფილიყო, ალბათ ვიფრენდი იმ მცველთან“.

თუ როგორ ღელავდნენ ფეხბურთელები თამაშის წინ, ჩვენც კარგად ვიცოდით. ფეხბურთელებთან საუბრის დროს გავიხსენეთ საბჭოთა კავშირის თასის ფინალში მოსკოვის „ტორპედოსთან“ შეხვედრის წინაღვე, როდესაც სასტუმრო „პეკინში“ ჩვენი ფეხბურთელები ვინახულეთ. ყველაზე უფრო ნერვიულობდა თბილისის „დინამოს“ მესაერ სერ-



გო როგორ იამაყებს ეს პატარა ბავშვი ზვალ! სერგო კოტრიკაძის დახმარებით იგი პირველად მისწვდა კარის ზედა ძელს.

გო კოტრიკაძე, რომელსაც ხელში წმისი და ძაფი ეჭირა და გეტრებს ათვალერებდა, რომ სადმე პატარა გარღვეული მაინც ენახა და ამოეცმხა. სერგოსთვის მაშინ ძალაან



— ბიჭებო, კბილები გამოაჩინეთ, ახლა ფოტოკორესპონდენტი სურათს გადაგვიღებს, — ეუბნება მეგობრებს ჯემალ ზეინკლიშვილი.

ნელა მიდიოდა დრო, და საქმე უნდოდა გაეჩინა. ჩვენ წინა დღით ჩავედით თბილისიდან და იგი გვევდრებოდა თბილისის ახალი ამბები გვეთქვა მისთვის. ჩვენ ვლაპარაკობდით და ვლაპარაკობდით, მაგრამ ვგრძნობდით, რომ იგი არ გვისმენდა, რომ იგი სადღაც შორს იყო და მხოლოდ დრო უნდოდა გაეყვანა.

ჩვენი ფეხბურთელები დამარცხებასაც სასტიკად განიცდიან. მოსკოვის „ტორპედოსთან“ იმავე თამაშის შემდეგ გასახდელში ჩასული თბილისის დინამოელები ერთმანეთს თვლებში არ უყურებდნენ. „ლელოს“ სპორტულ კომენტატორს ბ. ქორჭიას ვლადიმერ ბარჭიაშვიტყვით სთხოვა და მერე დიდხანს ატრიალა ბელში. გაოგნებული ფეხბურთელი დიდხანს იდგა ჩუმად, გარინდებული, მერე სავარცხელი თავზე არ გადაუსვამს, ისე დაუბრუნა ბატრონს. თბილისის „დინამოს“ მცველს ბორის ხიჭინავას ხელები უკანკალდება და ჩემოდანში ვერასგზით ვერ მოათავსა ბუცები, ტრუსი და მაისური, ვერასგზით ვერ მოახერხა ჩემოდნის დაკეტვა, და ბოლოს ჩემოდანი კედელს მიაწარცხა.

დამარცხების შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები ზოგჯერ შინ აღარ ბრუნდებიან, რომ ნაცნობებსა და მეგობრებს არ შეხვდნენ თბილისის ქუჩებში, და დიდმის სპორტულ ბაზას მიაშურებენ ზოლმე. ისინი აქ ერთად ატარებენ და-

მეგობ. ფეხბურთელები შეეჩვივნენ ერთად ცხოვრებას, ერთად ინაწილებენ გამარჯვების სიხარულს და ერთად გადააქვთ დამარცხების დარდი და სინანული. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ფეხბურთელები სხვადასხვა ბუნებისა, მისწრაფებებისა და ზასიათის ადამიანები არიან, ფეხბურთის სიყვარულმა და ერთად ცხოვრებამ ერთ ურღვევ ოჯახად შეაყვამირა ისინი.

თბილისის დინამოელები ერთი დიდი ოჯახის წევრები არიან, ერთ ჰერქვეშ იძინებენ, ერთ ჰერქვეშ იღვიძებენ, ერთად შეეძევებიან საქმელს, ერთად ჯანჯღარებენ და ირყევიან ავტობუსებში და ბოლოს ერთად გამორბიან მწვანე მოედნებზე..

მათ იციან ერთმანეთის ოჯახური ამბები, ვის რა სტიკვა, ვის რა აწუხებს. ისინი დიდის ამბით ელიან ჯემალ ზეინკლიშვილის პირველ შეილს, რომლის დაზადებასაც მალე აღნიშნავენ თბილისის დინამოელები. მათ იციან, რომ გივი ზოქოლავას ძალიან უყარს თავისი ცოლი და ბავშვი და ყოველ ქალაქში მათთვის რაიმეს უიღულობს. მათ კარგად იციან გივი ჩოხელის ზასიათი, იციან, თუ რა ბუზღუნა იგი ვარჯიშის დროს და როგორ უყვარს თამაში დიდმის სპორტული ბაზის დარაჯის ვარდენას პატარა ბავშვებთან. ისინი ერთმა-

ნეთს სიყვარულით მტკსახელებსაც ეძახიან, მაგრამ მტკსახელი არავის არ სწუხის. სერგო კოტრიკაძეს ხშირად აღიზიანებენ: სიკოხტავე გიუვარს, იაშინს ბაძავ. ქუდი იაშინივით შეიკერეო. ფრანგულ სუნამოს, რომელიც „რესინ-გის“ ფეხბურთელებმა გვაჩუქეს პარიზში, თვალისჩინივით უფრთხილდები და სულ იმის სურნელი აგდისო. სერგო ამაზე არაფერს ამბობს თურმე და იცინის. იგი ალალი გულიაა, მხიარული და მოხდენილი. თავისი სიკოხტავე სერგომ არც საბჭოთა კავშირის ფინალში მოსკოვის „ტორპედოსთან“ შეხვედრისას დათმო, და ყინვაში რეიტუსში გამოწყობილ პოლიკანოვისაგან განსხვავებით მაინც ტრუსით გამოვიდა. თბილისის „დინამოს“ მეყარე, როგორც მისი მეგობრები ამბობენ, თურმე ჯიუტია, რასაც იტყვის, იმას ვერავინ გადათქმევინებს. ამავე დროს დაუზარებელია, იგი ხშირად ესმარება დილმის სპორტული ბაზის დარაჯს ვარდენას სავარჯიშო მოადანზე ბალახის თიბვაში და ფეხბურთელთა კინომექანიკოსიც სერგოა. თენგიზ მელაშვილს ფეხბურთელები ჩუმ და საყვარელ აღამიანად თვლიან, მისი ხმა მაღალი სიტყვა ჯერ არავის ახსოვს და არც არავისთვის უწყენინებია არასოდეს.

ყველაზე ნებისყოფიან მოთამაშედ მიხეილ მესხი ითვლება. იგი საოცარი სიჭუსტით იცავს რეიზმს. მას შეუძლია თავის ოთახში განმარტოვდეს და ოთხი საათი გაატაროს საწოლზე, აუცი ნატკენ ფეხს მოუხდებია. ძალიან აფასებს

ბრაზილიურ და იტალიურ ფეხბურთს, მაგრამ მისი ოცნება მაინც ინგლისში თამაში იყო. ეს სურვილი მისას ინგლისში პირველად ყოფნის დროს დაებადა, როდესაც იგი სათადარიგო სკამზე იჯდა „უემბლის“ სტადიონზე, ლონდონში და საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ინგლისის ნაკრებთან წააგო ანგარიშით 0:5. როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოს“ მარტენა გარემარბს ეს ოცნება წელს აუსრულდა. მიშა ძალზე დინჯია და ცოტა ლაპარაკი უყვარს. როცა ლაპარაკობს, ძალზე უშუალოა და ნაამბობს განიცდის. გული წყდება, რომ ეს პანეთის ნაკრებთან თამაში არ შედეგა. „საინტერესოა ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ჰელენიო პერერა ჩემს წინააღმდეგ სათამაშოდ რომელ დამცველს გამოიყვანდა, ვიცი, რომ ეძებდაო“. მიშა ახალგაზრდა თბილისელი მხატვრების ხშირი სტუმარია და მოქანდაკე ელ-გუჯა ამაშუკელის მეგობრად ითვლება.

მეტად თავისებური პიროვნებაა ვლადიმერ ბარქაია, რომელიც ბევრს კითხულობს და უყვარს მსუბუქი მუსიკა. თვითონ ამტკიცებს და მოედანზედაც იგრძნობა, რომ მასზე აბსოლუტურად არ მოქმედებს მასურების რეაქცია, რაც ძალზე იშვიათია. ყოველთვის კარგად თამაშობს მოსკოვში, ამიტომ ბიჭები „სტალინის“ ეძახიან. ამბობენ, ენაშვარეო. მიაწერენ მრავალ ყურმოკრულ ამბავს. სწავთა შორის, კიევში თამაშის შემდეგ ბანკეტზე კიევის „დინამოს“ ნახევარმცველს ი. ვოინოვს სიცილით



წინ მხოლოდ მეყარელაა! ზაურ კალოევმა იცის, როგორ უნდა მოიქცეს...

უთქვამს: თამაშის დროს შემაქო, კარგად თამაშობ, ყოჩაღ, ასე განაგრძე, ბიჭო, უწინ სად თამაშობდიო?! ვლადიმერ ბარქაია განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს იმ დროს, როცა გავრის სტადიონზე საბჭოთა ფეხბურთის გამოჩენილ ოსტატებს თვალყურს ადევნებდა ხოლმე და მერე გახსენებულ მაისურში გამოწყობილი ნაჭრის ბურთით ბაძავდა მათ მოძრაობებს... ბარქაიას უახლოესი მეგობარია ბორის სიჭინავა, რომელსაც ბავშვივით ეხალისება საქვითან ჯდომა და მანქანის ტარება.

გუნდში უყვართ მხიარული ჯემალ ზეინკლი-

თუ გაუცდენია, ყოველთვის საპატიო მიზეზი ჰქონია. ჩვენ შევასწარიტ ერთხელ, თუ როგორ მიემგზავრებოდა იგი სოხუმში ავადმყოფი მამის სანახავად და როგორ ერიდებოდა ბიჭებისა—რა ვქნა, ბიჭებო, ზვალ თქვენთან რომ ვერ ვითამაშებო. ავთანდილ ლოლობერიძე იმდენივე წელიწადია, რაც ფეხბურთს თამაშობს, რამდენი წლისაც ჯერ არც არის ჩვენი გუნდის მოთამაშეთა უმრავლესობა. ორმოც წელს მიღწეულმა ვეტერანმა საერთო ენა გამოიხატა 23 წლის ბიჭებთან და დიდი სიყვარული დაიმსახურა. იგი პირველი ცხადდება ვარჯიშზე და დაუღალავი ვარჯიშით მაგალითს აძლევს მათ. უყვარს



პატარა ფეხბურთელი იქნებ შოთა იამანიძეს გაუსსლტეს კიდევაც, მაგრამ კარში რომ სერგო კოტრიკაძე დგას...

შვილი, რომელიც ყოველ ქალაქში სხვადასხვანაირ საფერფლეს ყიდულობს და აგროვებს. გუნდის „მებრძოლი სული“ ედუარდ თორაძე, კომბინაციის დამაგვირგვინებელი ზაურ კალოვი, ქართველი ფეხბურთელების დიდი ოჯახის არც თუ ისე დიდი ხნის წევრები ილია დათუნაშვილი და ლევან ქორდანი.

დიდ პატივს სცემენ გუნდში ავთანდილ ლოლობერიძეს, დაუღალავ და დაუცხრომელ ფეხბურთელსა და გუნდის კაპიტანს. „ბასას“ ბურთი ისე უყვარს, როგორც სიციცხლე. თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე იშვიათად თუ გაუცდენია ვარჯიშიც კი. და

ბურთი, ფეხბურთელის დაუღეგარი ცხოვრება და თავისი ბიჭი, რომელიც თვალყურს ადევნებს ხოლმე მამას და შეძახილებით ამხნევებს. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა იცინა, რომ „ბასას“ რეიმსში ნაჩუქარი შამანიურის რამდენიმე ბოთლი აქვს შენახული, ბიჭის ქორწილში უნდა გავსენაო, — ამბობს თორმე.


თბილისის დინამოელები დიდ პატივს სცემენ შოთა იამანიძეს, თავისი გუნდის ერთგულ ფეხბურთელს, რომელიც ვერ იტანს უხეშ თამაშს და ზშირად მოედანზე მისი გაცხარების მიზეზიც სწორედ ეს არის ხოლმე. იგი გუნდის ერთგულია ყოველთვის, გავისხენოთ თუნდაც

თუ როგორ გამოვიდა იგი მოსკოვის „ტორპედო-სთან“ თასის ფინალში. როგორც ცნობილია, შოთას ამ თამაშის წინ ფეხს აკრავდა ნატკენი, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა, ნატკენ ფეხზე წინა დღით ექიმს ნოვოკაინის ბლოკადა გაკეთებინა და მეორე დღეს მოედანზე გამოვიდა, რადგან იგი უადრესად საჭირო იყო ამ მატჩში. თასის ფინალში გუნდი ყოველ წელს როდი გადის! შოთა მომავალი ნშენებელია, ნწავლობს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და გუნდის კომპავეზირული ორგანიზაციის მდივანია. თუ როგორი ფეხბურთელია შოთა, ყველასათვის ცნობილია. ჩვენ მოწმენი ვიყავით ვარჯიშის დროს, როდესაც კარში სერგო კატრიკაძე იდგა, თუ როგორ დარტყა ბუთო პენალტი შოთა იამანიძემ. მას არცერთი არ აუცილებია და თან ეხუმრებოდა თბილისელთა მეტარეს, თუ გახურს, კიდეშიც შეგდება ბუთივებსო (მხედველობაში ჰქონდა მატჩი კიდეში, როცა სერგო კატრიკაძემ ორი თრთმეტმეტრიანი დარტყმა მოიგერიო).

რამდენიმეჯერ ვიყავით დილმის სპორტულ ბაზაზე. ამ ჩვენი ხშირი სტუმრობის დროს განსაკუთრებული მასპინძლობა შოთა იამანიძემ გავიწია. ჩვენ ახლაც გვახსოვს ოქტომბრის ერთი ხალაშო, როცა მზე ჩავიდა მაღალი ჰაერის სხეულის იქით. ჩვენ მხიარული სიცილით გამოვედით ორსართულიანი შენობიდან და მანქანაში ჩავსხედით. შოთა მანქანის საკეტთან

დაჯდა და მანქანა დაიძრა. მანქანაში იჯდოდა დათუნაშვილი და რაღაცას ლიღინებდა. ჩვენ ვიცინოდით და მხიარულად ვსაუბრობდით. ქანაობდნენ ვარსკვლავები. მარცხნივ და მარჯვნივ მიჰქროდნენ ხეების გაურკვეველი გამოსახულებანი, მტკვრის ვერცხლისფერი წოლი. ჩვენ ვბრუნდებოდით ქალაქში და ხუთ ახლოს ციმციმებდა დიდი ქალაქის ჩირაღდნები. ჩვენ ვსაუბრობდით ყველაფერზე, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც ფეხბურთის ვუბრუნდებოდით. მათ მტკიცედ სჯეროდათ, რომ თბილისის „დინამო“ კიდეც მრავალ წარმატებას მიაღწევდა. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვიჩვენებია ჩვენი ნამდვილი ძალა, ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი — გვითხრა შოთა იამანიძემ. ეს სიტყვები ისე სერიოზულად და ისეთი პასუხისმგებლობით იყო ნათქვამი, რომ ჩვენ არ შეგვეძლო, უბრალოდ, უფლება არ გვქონდა, არ დაგვეჯერებინა.

ჩვენ გვჯერა თქვენი, თბილისის დინამოელებო, ჩვენ გვჯერა ახლაც, როცა ამ ნარკვევს ვწერთ. გვჯერა, რომ მრავალი ქვეყნის სტადიონები მოწმენი იქნებიან თქვენი ბრწყინვალე გამარჯვებებისა, რომ მაყურებლები ისევე მქუხარე ტაშით დაგაჟილდოვებენ თქვენ, როგორც გაჟილდოვდნენ მოსკოვის „ლუენიკი-ბისა“, პარიზის „პარკ დე პრენსისა“ და ვულვერპემპტონის „მოლინე გრაუნდის“ სტადიონებზე.



ლე

„დაცვითი მარიანტი“

ნახატი-ხუმრობა დ. ერისთავისა

ფასი 6 ჰაბ.

Бкоф



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»